



Ի՞շտին Հեղափոխություն  
Քաջազնություն  
Հայոց Հեղափոխություն

# 100 - ԱՄԵՐԻԿԱՅԻ ԾԱՌԱՎՈՒԹՅՈՒՆ




Դաս առց առ Տէռություն. 1919 թվական  
31 դեկտեմբերի 23:30 առ Ելայանուն.  
Ճանակ պոլ. զարգացնածն.

Ազգայի մասնակի, ծագութ անհօգությունը.  
և կայսերական իշխանությունը լույս  
ու պետք ու լուս ու կայուն  
աշխատավոր, ու բարձր սովոր...  
իշխանությունը, առանձ հյունա...

Խաչիկ Պատրիարքին



# ՈՎԿՐԻՉ ՅԻՒԱԶՊԼԱՏԵԱՆ



Իշխան Գևորգյան  
Քաջազնության  
օպերային դաստիարակություն

წიგნის კონცეფციის  
ავტორი/შემდგენელი  
გიორგი გორგოძე

ტექსტი - დღიურები  
და მოგონებები:  
იაკობ ტრიპოლსკი

დიზაინი და  
არტრედაქტირება:  
ზაზა ასანიშვილი

წიგნი გამოცემულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

წიგნში გამოყენებულია:  
თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის  
სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის და  
კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის  
მუზეუმებში დაცული მასალები და ფოტოები



ქართველი  
სახელმწიფო  
სააკადემიური  
დამსახული თეატრი

მოწოდებული მასალებისთვის მადლობას ვუხდით:  
გიორგი კალანდიას, რუსუდან შოშიტაშვილს,  
მედეა თაბუკაშვილს, ნინო ზაქარიაძეს,  
ალექსანდრე დათებაშვილს, რომან ამირეჯიბს



იაკობ ტრიპოლსკი



სპექტაკლიდან „მოკვეთილი“  
გულსუნდა – მედეა ჯაფარიძე  
ბახა – იაკობ ტრიპოლსკი

ოუ ი-ეს ჭმალ,  
უგრი ռყმა,  
დუვოჩუმა...

საღაც ვშობილვან,  
გავზრდილვან  
და მისროლია ისარი,  
საღ მამა-პაპა მეგულვის,  
იმათი კუბოს ფიცარი,  
საღაც სიყრმითვე ვწვეულვან, —  
ჩემი სამშობლო ის არი...

ჩაფიც ვისთავი



იაკობ ტრიპოლსკი

# ჩემი ცხოვრების ღათანტული ფურცლები

ჩემი ცხოვრების აღმიანულო ზრდი ბინა-ბუნასა შეხვეულებელი...  
რა მასი, ბოროს რა ბოროს, მასი გარეაზე უკიდურეს...  
მოწიდებით უირებ ხეროს ხსნები ყალამის,  
უშიშო... კინ, თუ ყველას თვითი ხადგროინი ურ მიუთხო?  
მაშინ რა კანა?..

მგონია, მაინც თქმა სჯობია...  
თუ თქმა ჭობს, ეგრე იყოს,  
დავიწყოთ...

დავიბადე ისე, როგორც ყველა  
იბადება. ის განსხვავება  
იყო, რომ ერთ თოვლიან წელი-  
წადს, 1919 წელს, 31 დეკემბერს  
მოვევლინე ქვეყანას, გუდამა-  
ყანში... ამ დღეს ნახევარ თასან-  
აურსაც არ გაუგია ჩემი დაბადე-  
ბა, ერთი წამომიკნავლია და  
გავრჩებულვარ...

სხვათა შორის, ბევრს აინ-  
ტერესებს, ამ პოლონერი წარ-  
მოშობის კაცს რა უნდა ამ ღრმა  
და კლდოვან საჭიბვოშიო, რა  
საქმე აქვსო... წარმოიდგინეთ,  
თურმე ჰქონია...

პაპაჩემი იაგონ ფრიპოლსკი  
საგზაო ინჟინერი იყო, ჩამოვიდა  
მთიულეთში და დასახლდა ფა-  
სანაურში.

როგორც თვითონ ამბობდა,  
უგზობამ ჩამომიყვანაო. სინამ-  
დვილები კი – გზის კეთებამ.  
პაპა ჭაბილების კარგი მშენებელი  
იყო და დიდად პატიოსანი კაცი  
– მთელ გუდამაყარსა და მთიუ-  
ლეთში თითქმის ყველა იცნობ-  
და. შვიდი შვილი ჰყოლია.

პაპა და ბებია მყავდა ქართ-  
ველები. ბებია არ მახსოვს, ჩემი  
მეორე ბებია ვაუა-თუშაველას  
სოფლიდან ყოფილა.

იაგონ ფრიპოლსკი ისე  
გარდაიცვალა, რომ ქართული



1925 წლის ფოტოზე იაგორ ტრიპოლსკი შვილებთან - გიორგი და ლილასთან ერთად. ცენტრში და მარჯვნივ დგანან: იაკობის დედა ირინე წიკლაური და და პელო

კარგად ვერ ისწავლა. ბებიამ არც ერთი სიცევა არ იცოდა რუსულად. არ ვიცი, დღე ხელებით აგებინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ დამით... არ ვიცი...

პაპამ ცუდად იცოდა რუსულიც და ქართულიც... ზოგიერთი მუშამეონედ სთხოვდა ფულს... უხმოდ მოცრიალდებოდა, შევიდოდა სახლში, აიღებდა ფულს, მისცემდა და თან ეცყოდა, აპა, ეს ფული შენ და ჩემი ცოდვაც შენ!.. ეს იყო და ეს, იმ კაცს თავის სიცოცხლეში მეცად გვერდით არ გაიკარებდა.

ყოველთვის ვამტკიცებ, რომ სადაც იბადება ადამიანი, სადაც იზრდება, რა ჩვევებს იღებს, იქ არის მისი სამშობლო...

ყოველთვის მჯერა – „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სად მისროლია ისარი“, ზუსტია... აქაური ხარ!..

მამაც არ მახსოვს, ადრე გარდამეცვალა. გამზარდა დედამ და კეთილმა ქართველმა ხალხმა...

მოგონებათა მორევში ჩავიძირე... ჩემი ადრინდელი წლები ბინდ-ბუნდად მახსოვს... მახსოვს, ჩემს სახლში ვიღაცები ციროდნენ, ახსენ-ებდნენ ვალოდიას... თურმე, მამაჩემს ციროდნენ...

ვიღაც ყაჩაღი, თურმე, ცყეში იმალებოდა, არაგვის გაღმიდან უსროლია აქეთ... აინცერესებდა, რამდენად ზუსტად მიჰეონდა თოთს მიზანში ცყვია...

ისროლა და მოარცყა... რას  
ერჩით...

ხუთი წლის ვიყავი, როდე-  
საც მამა მომიკვდა, დავრჩით  
მე, დედა და პატარა და ოლიკო  
ვცხოვრობდით თასანურში.

არ მახსოვს, საიდან დაიწყო  
ჩვენი ცხოვრება. გაღმოცემით  
კი ვიცი, რომ ერთ კეთილ მეზო-  
ბელს ერთი ჯამი თქვენილი მოუ-  
ცია ჩვენთვის. ძალიან გვიჭირ-  
და... მაგრამ არა უშავს, თურმე  
ზევრი კეთილი ადამიანი ყოფი-  
ლა ქვეყანაზე.

მეშვიდე კლასში ვიყავი მა-  
შინ, როცა მასწავლებელმა  
დამიბარა და მითხოა: ხვალ  
სიცყვით უნდა გამოხვიდე მშო-  
ბელთა კრებაზე და უნდა მოუ-  
წოდო მშობლებს, რომ ობლებს  
დაეხმარონ...

მოვიდა ის დღეც, გამოვე-  
დი და ვუთხარი სიცყვა: მშო-  
ბლებო, უნდა დავეხმაროთ გა-  
ჭირვებულებს, ობ...ო...ბლებს... აქ  
კი ვეღარ შევიკავე თავი და ავღ-  
რიალდი.

ამყვნენ სხვა მშობლებიც და  
რაღაც საოცარი კრება გამოვი-  
და. კრება კი არა, თითქოს ვიღა-  
ცის დასათვლავება იყო.

კიდევ კარგი, მშვიდობიანად  
ჩატარდა ეს საოცარი კრება. მას  
შემდეგ მშობლები რომ  
მხვდებოდნენ, როდის გვექნე-  
ბა კრებაო, მეკითხებოდნენ...  
იმ კრების შემდეგ მშობლების  
უმრავლესობა ორაცორგას



ოფიცერი ვიტა ტრიპოლსკი, იაგორ  
ტრიპოლსკის ვაჟი, რომელიც 1921  
წელს მოხალისედ წავიდა წითელი  
არმიისგან თბილისის დასაცავად



მოეთასთან



ფასანაური. 1870 წელი

Для актовъ, оплачиваемыхъ сборомъ высшаго оклада, на сумму не свыше 3000 рублей, и для актовъ, оплачиваемыхъ сборомъ низшаго оклада, на сумму не свыше 30.000 рублей.

*Надпись на документе*

### ДОГОВОРЪ.

Тысяча девятьсот шестнадцатого года Сентября  
19<sup>го</sup> дня. Мы нижеподпишились крестьяне  
Елена Павловна Мкевалидзе и Владимира Егоро-  
вич Трипольский, жительствующие въ уроцищѣ  
Пасанаурѣ, Душетскаго уѣзда, заключили настоя-  
щій договоръ въ слѣдующемъ: изъ насъ Елена  
Мкевалидзе продала Владимиру Трипольскому, за  
две тысячи четыреста рублей, кои получены спол-  
на при подписаніи сего договора, на сломъ и сносъ  
принадлежащую Мкевалидзе постройку, одноэтажный домъ,  
состоящий изъ двухъ жильихъ комнатъ и одной комнаты подъ лавку, каковая построй-  
ка находится на участкѣ казенной земли, состоящемъ въ уроцищѣ Пасанаурѣ, Душет-  
скаго уѣзда, Тифлиской губерніи, въ раницахъ: съ Востока-домъ Вешагури, Зала-  
ла-домъ ~~и~~ Тудица, Съвера-шоссе ~~и~~ ал дорога и ~~и~~ та же шоссейнъ ~~и~~ дорога  
и приобрѣтена Еленой Мкевалидзе покупкою отъ крестьянина Дмитрия Михайловича  
Мкевалидзе по продажному акту, засвидѣтельствованному Тифлискимъ Нотаріусомъ  
Лукомскимъ 24 Апрѣля 1913 года по реестру № 2907.

*Елена Павлова Мкевалидзе, а по ее изъ-  
мененному письму по ее инициативѣ  
приступивъ къ подписанию. Душетскій  
мѣданинъ Николай Бидзина ~~и~~ Трипольский  
Крестьянинъ Владимира Егоровича Трипольского*



ამ ნასყიდობის მონაბით  
იაკობის მამამ, ვლადიმერ  
ტრიპოლსკიმ შეიძინა  
სამოსახლო ნაკვეთი  
დაბა ფასანაურში

მიწინასწარმეტყველებდა და მარწმუნებდა, რომ ნამდვილად კარგი ორატორი ვიქნებოდი.

მეშვიდე კლასში რომ გადავედი, მუშაობა დავიწყე ფოსტაში, დამის მორიგედ...

ერთ შუადღებზე ბავშვებმა თანჯარაზე გააკრეს სურათი. არ ვიცოდი, ვისი სურათი იყო, ბავშვები მოჰყვებოდნენ და გაჰყვიროდნენ: „ნაცო ვაჩნაძე, ნაცო ვაჩნაძე!..“

მეათე კლასში რომ გადავედი, მუშაობა დავიწყე მეტეოროლოგიურ საღგურში უფროს დამკვირვებლად. ათწლები იქნოს მედალზე დავამთავრე და უგამოცდოდ მიმიღეს უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ინგლისური ენის განხილით.

პირველ კურსზე სწავლისას ვმუშაობდი გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში, მესამე კურსზე რომ გადავედი, დავიწყე მუშაობა თბილისის მე-14 სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად...

უნივერსიტეტში რეზისორი ვასო ყუშიცაშვილი დგამს ინგლისურ ენაზე გოლსუორსის პიესას „პატარა კაცი“, სადაც ვთამაშობ მთავარ როლს და ყუშიცაშვილი მირჩევს, გავყვე მსახიობის გზას...

დღესაც, როდესაც უნივერსიტეტის შენობაში შემოვდივარ, ყოველთვის ძალიან ვღელავ,





და ოლიკო, იაშა და დედა –  
ქალბატონი ირინე

ჰერ იმიცომ, რომ ხუთი წელი, ყველაზე საყვარელი და ძვირ- ფასი წლები აღამიანისა, რო- გორც სცულენტმა, გავატარე ამ დიდებულ კედლებში და მეორეც იმიცომ, რომ ამ სცენაზე ავიდ- გი ფეხი, როგორც მსახიობმა, რომელიც შემდეგში გახდა ჩემი ცხოვრების მიზანი და შინაარსიც.




ამ ფოტოზე იაშას  
უახლოესი ნათესავები არიან:  
ნინ – დეიდა პელო და დედა – ირინე;  
უკანა პლანზე – დეიდა მარო, ბებია  
ანა და ბიბა – ალიკო აფციაური

საქართველოს დაფარისტები ფედერაციი



ფასანაურში



მეგობრებთან ერთად



მშობლიურ  
ფასანაურში

მაშინ აქ ძალიან ძლიერი თეატრი არსებობდა. ამ სცენაზე უთამაშიათ ლიბა ჩერქეზიშვილს, თამარ ჭავჭავაძეს, პიერ კობახიძეს. ჩემსავით აქ აიდგა თეხი მეღეა ჟაფარიძემ. ბევრ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა უნივერსიტეტის სცუდენცთა თეატრი, ალბათ, ვერ დათვლით, რამდენი ხელოვანი, რამდენი დრამატურგი აღზარდა ამ თეატრმა.

მახსოვს, ლევან გოთუამ თავისი პირველი პიესა „ხვამლის გამოქვაბული“ აქ წაიკითხა. ამ სცენაზე სპექტაკლები იდგმებოდა არა მარტო ქართულად, უცხო ენათა ფარულოების სცუდენცები თამაშობდნენ ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად.

იწყება ომი, მეხუთე კურსი სასწრაფოდ დამამთავრებინეს, მაგრამ ფრთხოები არ წამიყვანეს, როგორც პოლონელი...

მაშინ მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან ერთმა მეგობარმა მიიჩია: თეატრში ვაჟები გვაკლია, შენ შეგიძლია მსახიობობა და მოდი ჩვენთან თეატრშიო...

მეც მივედი.

ერთი თვე მაცარა და მერე მკითხა, რა გვარი ხარო. ვუთხარი, რომ ვარ ტრიპოლისკი – ინგლისური ენის მასწავლებელი პირველ საშუალო სკოლაში-მეთქი. მითხვა: ალბათ, შენ ქართული არ იცი და ვერ მიგიღებო...

თეატრალურ ინსტიტუტში ვცა-დე ბედი, გავედი გამოცდებზე...

მაგრამ ასე მითხვეს: შენისთანა უნიჭო ჭერ აქ არავინ მოსულაო...


სულვილი დიდი მქონდა, გა- მახსენდა ვასო ყუშიფაშვილი და მივაკითხე მარჯანიშვილის თე- აცრს. მიმიღეს შეფატგარეშე თანა- მშობლად, ვმონაწილეობდი მა- სობრივ სცენებში.

ერთი თვის შემდეგ სპექტაკლ „მეფე ერეკლეში“, ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი სპექტაკლის დაწყების წინ ავად გახდა და სრულიად შემთხვევით მათამაშეს მის მაგივრად. მეორე დღესვე და- მიბარა ვერიკო ანჯათარიძემ და მომცა მთავარი როლი პიესაში „ინ- უინერი სერგეევი“, რომელსაც თვი- თონ დგამდა... ასე დაიწყო წამები- სა და შემოქმედების მძიმე გზა.

დრო ულმობელია, ხელიდან გვტაცებს ჩვენთვის ძვირფას, სა- სიცოცხლოდ საჭირო აღამიანებს, გვიფოვებს იარას, რომელსაც ისევ დრო უშუშებს პირს, მაგრამ ყრუ ტკივილი სამუდამოდ გვრჩება.

კაცი რომ სიცოცხლეს გაას- რულებს, თითქოს ერთიანად წარ- მოდგება მისი ცხოვრება, მისი ნაღვაწი. ყოველი მოვლენა, ყველა წვრილმანი თავის გამართლებას, თავის ადგილს პოულობს, ყვე- ლაფერი თანმიმდევრულად ლაგ- დება და ერთ გაბმულ, ლოგიკურ ჯაჭვად აღიქმება.

თითქოს ასეც იყო განსაზღვრუ- ლი არსთა გამრიგესთან, თითქოს ზუსტად საამისოდ გარჯილა ამ კა- ცის ბედ-იღბალი...



სპექტაკლი „მოკვეთილი“  
ბახა – იაკობ ტრიპოლსკი



სპექტაკლიდან  
„მეფე ერეკლე“  
ბესიკი –  
იაკობ ტრიპოლსკი

მოწევ უზოა  
იყვარებუ...

საიდუმლო ბარათო,  
მექმენ... მექმენ მარადო  
სიხარულის მომნიჭედ  
და სევდისა ფარადო!

ახალი



მეულე - ქალბატონი  
ნაზიკო მაისურაძე

# როცა ასეთი სიყვარულია...



ნაზიკ!

გაგივირდება ეს ბარათი, რა-დგანაც სულ რაღაც დღეების ნაცნობები ვართ, მაგრამ, გთხოვ, დაკვირვებით წაიკითხო ბოლომდე და მიხვდები ამ ბარათის შინაარსს. კიდევ ერთხელ გთხოვ, ბოლომდე დაკვირვებით გადაიკითხოთ.

ამ წერილს არ მიმიხვდეთ ისე, თითქოს „პატივმოყვარე კაცი ხელისუფლების მწვერვალზე ასვლას ოცნებობს და მლიქვნელობის ფალახში სცურავს“. არა, მე ყველაფერს გულახდილად გეცყვით და მერე თქვენზეა დამოკიდებული. ცხოვრებაში ბევრი ჭვარედინი გზებია, ყველა თავის გზით მიდის – ზოგი მარჯვნით და ზოგი

მარცხნით. ვინ როგორ ხედავს, ვის როგორ ესმის.

ესეც კარგად იცით, რომ ყველა აღამიანი თავიდან სიზმარ-შია, ზოგი სიზმარი უცხადეს ფაქტზე სინამდვილეა. მხოლოდ სინამდვილე, უსიამოვნო სიზმარი და ვცდილობ, ზოგი სიზმრებიდან გამოვათხიზლო. ზოგს კი სიზმრების ენით ველაპარაკო. ვის როგორ უყურებ, ვის როგორ ესმის...

ამ ქვეყანაზე ყველაფერი, რაც კი ბუნებას შეუქმნია, წყვილია. ყველა ეძებს მეგობარს, თუმცა ამ მეგობრის ძებნაში შეიძლება დაიღუპოს და თავისი ცხოვრება მარტოობაში აფაროს, მაგრამ ზოგიც პოულობს მეგობარს და ამ წუთიერ ცხოვრების ფანჯვას ორივე იზიარებს.



მარჯვნივ – ქალბატონი ნაზიკო

მეც, როგორც ყველა, ამ ბუნების შვილი ვარ და მეც დავეძებ მეგობარს – არა ისეთ მეგობარს, რომელიც გატაცებულია პატივ-მოყვარებით და განდიდებით, არამედ მეგობარს, ნამდვილ ადამიანს, გრძნობების ადამიანს და იმისთანა ადამიანს, რომელიც მე გამიგებს და მეგობრობას გამიწევს.

მის სახელს მანამ შევინახავ, სანამ ჩემს წმინდა სისხლს არ შეეხება ის ცივი ძალა, რომელსაც ხალხი სიკვდილს უწოდებს.

რაღაც ერთი დანახვით მომეწონეთ, არა გარეგნობით, არამედ გამოხედვით. ყველა ადამიანის შინაარსს მისსავე თვალებში ამოიკითხავ და რატომ-დაც ეს ადამიანი, რომელსაც მე ვეძებდი, თქვენ თვალებში დავინახე, დავინახე და მინდა, ახლა დავუმეგობრდე, გამიცნოს, გავიცნო და იქნებ საერთო ენა გამოვნახოთ, ენა, რომელსაც ჩვენ ორის მეტი ვერავინ გაიგებს.

ის პასუხი რომ მომცეთ, ვითომც და თქვენ პატარა იყვეთ და ჰერ ამისი დრო თქვენთვის არ არის, ეს პასუხი მართებული არ იქნება და, აი, რატომ: მე იმისთანას არაფერსა გთხოვთ, რომ აქ წლოვანება განსაზღვრავდეს საქმეს.

მე გთხოვთ ამხანაგობას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეგობრობას. ეს მეგობრობა კი გამოიხატება იმაში, რომ შევხვდეთ ერთმანეთს, ვისაუბრებთ (როგორც ამ საღამოს), თქვენ,



თანაკურსელებთან -

თქვენ ამჩავს მეტყვით, მე – ჩემ-სას და ასე გამოვნახავთ საერთო ენას და თუ ვერ გამოვნახავთ (მე კი არა მგონია, რომ ასე მოხდეს), მაშინ ყველას თავისი გზა აქვს და ყველა მონახავს ცხოვრების უსწორმასწორო ბილიკს და გაუყვება მას.

და როდესაც ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ, ის დროც მოაღწევს, როდესაც თქვენ უკვე „პატარა“ აღარ იქნებით. მაშინ ორივემ ერთად მეგობრობით, ერთმანეთის გატანით და ერთი გრძნობით და სულით ჩამოვხიოთ ცხოვრების ის ჭრელი, მაცდური ფარდები, რომლებიც დღეს ჩვენ თვალებწინ ჩამოთარებულან და ორივემ ერთად შევცუროთ ცხოვრების მორევში, საღაც ერთი, უმეგობრო უფრო ადვილად დაიღუპება, ვიდრე მეგობრები, რომლებიც ერთი ჰაერით სუნთქავენ...

მე კი ვწერავ, თუ თქვენ წაიკითხეთ ბოლომდე, მაგრამ იმედი მაქვს, გექნებათ ამის ნებისყოფა. თუ მე თქვენგან მივიღე მეგობრობის თანხმობა, ჩემგან უფრო მეტს გაიგებთ.

მე შემიძლია ვთქვა, რომ მე გრძნობების ადამიანი ვარ და ვთვიქობ, მეგობრობის გაწევაც შემიძლია.

ერთ რამეს გთხოვთ: პასუხი ბარათის მიღებისთანავე დამიბრუნეთ, რადგანაც შეიძლება მე თქვენში თანაგრძნობა ვერ გამოვიწვიო და უარს მეუბნებით მეგობრობაზე. მაშინ, იქნებ, მეც დროულად ჩავკლა ჩემში ის გრძნობა, რომელიც წარმოიშვა და არ მივცე საშუალება, ფესვები გაიდგას, რის შემდეგ ძნელი იქნება ამ ამბის გაღატანა.

თანხმობის შემთხვევაში გავაძლიერებ ამ გრძნობას თქვენდამი და დავლჩები საუკუნოდ თქვენი მეგობარი.

მე ამ ორ დღეში ვაპირებ წასვლას, მაგრამ თუ თქვენგან თანხმობა იქნება, მე მაშინ დავლჩები მანამდე, სანამ თქვენ არ წახვალთ. ველი პასუხს.

მარად თქვენი  
პატივისმცემელი  
იაკობ ჭრიპოლსკი  
23.08.1940 წელი ღამის 3 საათი


## ქალბატონო მარო!

დიდ ბოდიშს ვიხდი ამისთანა მომართვისათვის, მაგრამ ძალიან დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

ძალიან გთხოვთ, ნაზივო გამოუშვათ ჩემთან ჰილველ მაისს

ჩემი ამხანაგი გოგოს დღეობაზე და რომელ საათვისთვისაც გინდათ, იმ დროს თვითონ მე და ჩემი და მოვიყვანთ სახლში.

იაშა. 1941. 27.04





მარად სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებ იმ ადამიანს, რომელიც ჩემი გრძნობის ხაფია, რომელიც ნამდვილი გრძნობის ადამიანია და ძვირფასი იმისათვის, ვინც გაიცნობს...

იმ დღეს ვერ წამოვედი, რომელ დღესაც გითხარი, რომ უნდა წამოვსულიყავი... და აი, დღეს აქა ვარ, მაგრამ დამერწმუნე, სულით მანდა ვარ, ვთიცავ წმინდა გულს, რომ ამ წუთას ადამიანის მაგივრად ვესაუბრები ქუდს (ალბათ მიხვდები, ვის ქუდს).

ეხ! ვინ იცის, ჩემი საუბარი უკანასკნელიც იყოს. ვინ იცის, კიდევ სად გამახსენდება ჩემი ცხოვრების დკბილი წუთები და ვინ იცის, როდის გადატრიალდება უკუღმა ჩემი ცხოვრების წაღმა მოტრიალე ჩარხი.

არ ითიქრო, სასოწარკვეთილებას მივცემოდე, მაგრამ რადგანაც ცხოვრებაში ჯერ კარგი არათერი მინახავს, ველოდები რაღაც მომავალს. ვთიქრობდი, ჩემი ოცნებისათვის ფრთხები შემესხა და სინამდვილედ მექცია, მაგრამ „კაცი ბჭობს და ღმერთი იცინისო.“ – ნათქვამია და



ჩემი სხეულები დაფარებული ფერსლები

6pm!  
By the 3<sup>rd</sup> of Jan 1931 I had  
made much progress, though  
not as much as I wanted.  
I had made 15000 ft.  
of wire mesh 31" apart, averaging 100 ft.  
of 1000 ft. long 2 ft. " by 10 cm squares.  
D. (from) 19/1/31 ✓  
Jacob  
Gruen  
630m apart 1/1/1931 9:20 A.M.

სწორედ მე დამემართა ასე. თუმცა, ერთი კია, მოვკლები წმინდა გრძნობით, გრძნობით, რომელიც შეიძლება და მართლაც ნამდვილი გრძნობაა და სწორედ შემიძლია ვიამაყო ამით, რომ ეს გრძნობა და ადამიანობა ყველაზე მეტი მაქვს. მიყვანს ყველა, ვისაც გრძნობა აქვს და დიდად ვათასებ გრძნობის ადამიანს. ჭერ კიდევ არ მიცნობ, ნაზიკო და თუ ის ადამიანი ხარ, რომელსაც მე ვთიქიქრობ, ადვილად გამიცნობ. არ შეგეშინდეს, დიდი უცნაური არაფერი ვარ, თუმცა ეს კია, სულ სხვანაირი თანამედროვეებთან

შედარებით. იყავი ისე, როგორ-იც დედაშენს შენთვის უნდოდეს. ვუსურვებ კანძრთელობას და შვილების კარგად ყოფნას შენ მშობლაბს.

მიხვდი, თუ როგორ დავე-  
ლოდები პასუხს, გინდა უბრალო  
ქალალის ნაგლეჭს.

ეხლა კი, მე და ჩემი ძვირთვასი ნივთი (ქუდი) ვამთავრებთ საუბალს.

ნახვამდის.

ჩემი მისამართი უბრალოა:  
სად? ვის?

ପ୍ରକାଶ 1941 29 06



კუაცრიელი  
ამ იუსტიცია!

უკაცრიელი ჩემ წინ პარტერი...  
სცენას კი მკრთალი სინათლე ლამზავს  
და სცროიქონები გადანამცვერი  
ეხმიანება ცარიელ დარბაზს...

ეთო მალებე,  
„უკაცრიელი პარტერი“

# გაუმარჯოს ამ თეატრის!

პროფესიით მასწავლებელი ვარ. ცოტა არ იყოს, უცხოდ უდერს მსახიობისგან ნათქვამი ეს აღიარება, მაგრამ რა გინდ უხერხულიც უნდა იყოს, მე მაინც ვაღიარებ. ვამბობ ამას თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი თეატრის – მარჯანიშვილის თეატრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მინდა მივულოცო ქართველ პედაგოგებს. სად მასწავლებელი და სად მსახიობიო, იტყვით თქვენ, მაგრამ მე ვაიგივებ მასწავლებელსა და მსახიობს. კარგი მასწავლებელი კარგი მსახიობი უნდა იყოს,

ხოლო კარგი მსახიობი – კარგი მასწავლებელი.

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენის მეორე კურსზე ვიყავი. ერთხელ ინგლისური ენის მასწავლებელს, ერეკლე ტატიშვილის დაებადა სურვილი, ენის უკეთ შესწავლის მიზნით, რამე სპექტაკლი ინგლისურად დაგვეძგა. ჩანაფიქრი მოგვეწონა. გადავწყვიტეთ, უნივერსიტეტში მოგვეწვია იმხანად საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი. დაიდგა გოლსურსის „პატარა კაცი“, რომელშიც მთავარ როლს მე ვასრულებდი (კურსზე სულ ორი ბიჭი ვიყავით). ვასო ყუშიტაშვილს მოეწონა ჩემი აქტიორობა და მითხრა: მსახიობობაზე რას იტყვი, აბა, ერთი დაფიქრდიო.

ამის შემდეგ შემიჯდა თავში ეს



თეატრის მუშკუდიანი, დოდო ჭიჭინაძე, იაშა ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე



რამდენ დღიდ მსახიობს და საყვარელ ადამიანს იტევს კოტე მარჯანიშვილის  
სახელგანთქმული თეატრის დასის გასტროლებზე გადაღებული ეს ფოტო...

აზრი, მაგრამ ცხოვრება თავისი გზით წავიდა და მეც დავიწყე მას-ნავლებლად მუშაობა თბილისის მე-14 საშუალო სკოლაში, შემდეგ 25-ე საშუალო სკოლაში ვასწავლი-დი, ბოლოს კი პირველ სკოლაში ვმასწავლებლობდი. ერთი ქიმიის მასწავლებელი გვყავდა, ვარდიაშ-ვილი, სიმკაცრით გამორჩეული. ერთ დღეს დერეფანში ვმორიგე-ობდი, მას მოსწავლე ვეგონე, მო-მიახლოვდა და – აქ რას აკეთებთ ყმანვილო, გაბრძანდითო, მითხრა. როდესაც გაიგო, რომ მასწავლე-ბელი ვიყავი, გაუკვირდა, სამას-ნავლებლოში შემიყვანა და თქვა: როგორ ამყარებს კლასში წესრიგს ეს პატარა ბიჭუნაო. მე ვგრძნო-ბდი, რომ კარგი მსახიობობა იყო

აუცილებელი კარგი მასწავლებლი-სთვის, თუნდაც წესრიგის დასამ-ყარებლად.

მასწავლებლობასთან ერთად, ვასო ყუშიტაშვილის წყალობით, დავიწყე მუშაობა თეატრში, სა-ბეჭინიეროდ, სულ მალე მომი-ნია მთავარი როლის შესრულება. ვასრულებდი გერმანელის როლს და გერმანულად ვმეტყველებდი სცენაზე. იმხანად ომი დამთავრ-და და პოლონელები, რომლებიც ჩვენთან დარჩნენ, სამუშაოზე გაანაწილეს. სამი მათგანი ჩვენს თეატრში მოვიდა. მნახეს რა გერ-მანელის როლში, ჩემი გვარის წყალობით, მაყურებელს მეც პო-ლონელი ვეგონე, ასე გახმაურდა ჩემი მსახიობობა.



**მარჯანიშვილები:** ტარიელ საყვარელიძე, გივი გოგუა, ვანო ესაძე, გივი ციცქაშვილი, გიზო სიხარულიძე, თამარ თეთრაძე, იაკობ ჭრიპოლსკი და სხვები

კოტე მარჯანიშვილსა და უშა-ნგი ჩხეიძეს არ მოვსწრებივარ. სერგო ზაქარიაძე, შალვა ლამბა-შიძე, ვასო გოძიაშვილი იყვნენ ჩემი მასწავლებლები. მე ვხე-დავდი მათ შთაგონებულ სახეებს სცენაზე და კულისებიდან საათო-ბით ვუცქერდი, ვსწავლობდი მათ-გან, ვსწავლობდი და ვადარებდი სკოლას. რა ტონითაც დაინტებს პირველი მსახიობი სპექტაკლს, იმ ტონით მიდის წარმოდგენა ბო-ლომდე – რა ტონითაც დაინტებს მასწავლებელი გაკვეთილს, ისეთი ტონით მიდის ბოლომდე, იმ ტონს იღებენ მოსწავლეები... და მე ვცდილობდი, მესწავლა მათგან, მესწავლა რეჟისორების – ვა-სილ ყუშიტაშვილისა და ვახტანგ ტაბლიაშვილისგან სცენის ტონი,

თეატრალური ხელოვნება. არ მოვყვები ჩვენი თეატრის ისტორიას, მის აწმყოსა და ნამყოს, ამაზე ბევრი რამ ითქვა. მინდა, მივულოცო ჩემს თეატრს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და ვუსურვო, ზე ასწიოს ქართული სული და განფინოს მზეზე, დაანახვოს ყველას, ვინ ვართ და რანი ვართ ქართველები.

მარჯანიშვილის თეატრი მუდამ იცოცხლებს, ვიდრე იცოცხლებს კოტე მარჯანიშვილის სახელი, ვიდრე იარსებებს მაყურებლის სიყვარული თეატრისადმი.

ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუ-სურვებ მარჯანიშვილის თეატრს და ხმამაღლა ვიტყვი: გაუმარჯოს ამ თეატრს!

გაზეთი „სახალხო განათლება“, 1979 წელი

# ის უიალექნო ნავს ემსგავსება

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი – ვინა ხან შენ... რა სწორი ნათქვამია!

მახსენდება ფასანაურის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასი. არ ვიცი, მყავდა მაშინ მეგობარი? ან ვიცოდი კი, რა იყო მეგობრობა? ეს კი ვიცი და მახსოვს, რომ ობოლი ვიყავი და მასნავლებელიც და მოწაფეებიც რაღაც სათუთად, გადამეტებული მზრუნველობით მეპყრობოდნენ. რა თქმაუნდა, მათ შორის იყვნენ ისეთები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩემდამი...

დიახ, ყურადღებას. მაშინ არ შემეძლო განსჯა იმისა, თუ რა იყო ეს ყურადღება და მზრუნველობა, მეგობრობა თუ სიბრალული, მაგრამ, რომ წამოვიზარდე, გამიჩნდა აზრი, რომ მეგობრობა ყურადღებაა, ყურადღებას ყურადღებითვე უნდა უპასუხო და კარგი მეგობრები იქნებით.

გარბოდნენ წლები, თანდათან უფრო გავერკვიე ცხოვრებაში, გულში რაღაც ტკბილმა გრძნობამაც გამკრა და მივხვდი, რომ მიყვარს, ვიღაც მიყვარს...

ერთ-ერთი გოგონას მიმართ



სამეგობრო ტრადიციულად სუფრასთან იკრიბებოდა: ვახტანგ ნინუა, იაკობ ტრიპოლსკი, გოგი გელოვანი, ედიშერ მალალაშვილი, ტარიელ საყვარელიძე



ნინო ჩხეიძე, იაშა ტრიპოლსკი, მარინა თბილელი

განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩინ; მინდა, მისი გულისთვის რაღაც გმირობა ჩავიდინო; მინდა, ისეთი რამ გავაკეთო, რომ მას ვასიამოვნო; მინდა, კარგად ვისწავლო, რომ მის თვალში ჩემი ლირსება და თავმოყვარეობა არ დაეცეს. ვაჟებშიაც უფრო მკვეთრად გამოიკვეთნენ მეგობრები. სულ მათთან მინდა ვიყო, მათთან ერთად ვიმეცადინო, მათ მინდა გავანდო ჩემი უცნაური გრძნობაც, რომელიც მარტო ვერ ამიხსნია.

რა თქმა უნდა, სიყვარულიც დიდი ყურადღებაა... ჩვენმა თაობამ დიდი ტრაგედია გადაიტანა – მეორე მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი... ჩემი ჭაბუკობის მეგობრების უმრავლესობა ამ მრისხანე ომმა შეიწირა. ასე რომ, საშუალო სკო-

ლის მეგობრებიდან თითქმის აღარავინ შემომრჩა....

შემდეგ – უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი (ინგლისური ენის განხრით). აქ მინდა ერთი ასეთი ამბავი მოგითხოვთ:

საშუალო სკოლა მედალზე დავამთავრე და უნივერსიტეტში უგამოცდოდ მიმიღეს. სურვილი მქონდა, ფრანგული ენის სპეციალისტი გამოვსულიყავი. განცხადებაც ამ ფაკულტეტზე შევიტანე, მაგრამ პირველ სექტემბერს რომ მივედით უნივერსიტეტში, გამოგვიცხადეს, რომ ფრანგული და გერმანული ჯგუფები იმ წელს არ იქნებოდა და ყველანი ინგლისურ ჯგუფში ჩაგვრიცხეს.

ინგლისური არ ვიცოდი და გადავწყვიტე, გადავსულიყავი სხვა



დაუვიწყარი „ქეთო და კოტე“... ყველანი დარჩეული, ლამაზები, კიშიანები, ერთი მეორებზე უკეთესები!.. ისინი თავიანთი ცხოვლების წესით, ოჯახიშვილობითა და ნიჭიერებით ალამაზებდნენ და ამშვენებდნენ თბილისს, საქართველოს და ქართულ ხელოვნებას...





**სად არიან შენი ყოჩი, ქამრიანი ბიჭები!.. მარცხნიდან: თეიმურაზ ანჯაფარიძე, ზურაბ ლეჟავა, გოგი გელოვანი, იაშა ტრიპოლსკი**

რომელიმე ფაკულტეტზე. პირველ დღეს მაინც დავესწარი ლექციას ინგლისურ ენაში, რომელსაც ატარებდა პროფესორი ერეკლე ტატიშვილი.

ერეკლე ტატიშვილმა ამოიკითხა სია, ყველას ეკითხებოდა, იცოდა თუ არა ინგლისური, სადაური იყო, ან სად დაამთავრა საშუალო სკოლა? როდესაც ჩემი ჯერი დადგა, რატომღაც დაინტერესდა ჩემი გვარით, გამომკითხა ყველა წვრილმანი. გაიგო ისიც, რომ ინგლისური არ ვიცოდი და მითხრა: დღეიდან შენ იაკობი კი არა, ჯეკობი იქნებიო. თუ დამიჯერებ და კარგად იმეცადინებ, ნურაფრისა შეგეშინდება, კაცი გამოხვალო.

და მართლაც, მთელი იმ წლების მანძილზე გარემოცული ვიყავი ამ შესანიშნავი ადამიანის მზრუნველობითა და ყურადღებით. მეც ცდილობდი, ეს სიკეთე კარგი სწავლით გადამეხადა ჩემი უფროსი მეგობრისთვის, ჩემი საყვარელი პროფესორისთვის.

საშუალო სკოლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი – ეს სულ სხვა სამყაროა, სხვა ცხოვრება, სხვა მეგობრები და უკვე გამოკვეთილი მიზნისკენ სწრაფვაა. მესამე კურსზე რომ გადავედი, ერეკლე ტატიშვილის რეკომენდაციით დამნიშნეს თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად.

ერთდროულად ვიყავი სტუ-  
დენტი, მოწაფე და მასწავლებე-  
ლი, ვცდილობდი, სკოლაში ჩემი  
მოწაფეების მიმართ ისეთივე ყუ-  
რადლება გამომეჩინა, როგორ ყუ-  
რადლებას და მზრუნველობასაც  
იჩენდნენ ჩემი პროფესორ-მასწავ-  
ლებლები ჩემდამი... ჩემი მოწა-  
ფეების მარტო მასწავლებლი არ  
ვყოფილვარ, ვცდილობდი, მათი  
მეგობარი ვყოფილყავი.

ჩემი ცხოვრების პრაქტიკიდან  
ასეთი რწმენა გამიჩნდა: კარგი მას-  
წავლებელი მოსწავლის მეგობარი  
უნდა იყოს. და კიდევ: კარგი მას-  
წავლებელი კარგი მსახიობი უნდა  
იყოს და კარგი მსახიობი, კარგი  
მასწავლებელი. და აი, ეს ტკბილი,  
შესანიშნავი ცხოვრება და ოცნებე-  
ბით სავსე მომავალი უცებ მეორე  
მსოფლიო ომის დაწყებამ დაან-  
გრია. ყველა სამშობლოს დასაცა-  
ვად! – ასეთი იყო მოწოდება...

ბევრი ვეღარ დაუბრუნდა ვეღ-  
არც თავის სამშობლოს და ვეღარც  
უნივერსიტეტის კედლებს.

## გოგი ველოვანი:

**საყვარელი კაცი იყო**  
**როგორც სცენაზე, ისე პირად**  
**ცხოვრებაში. ამიტომ ჰყავდა**  
**ლამაზი ოჯახი, ლამაზი**  
**მეგობრები... სტუდენტობის**  
**მეგობრები ჰყავს, ისეთი ლამაზი**  
**მეგობრობა ჰქონდათ, სულ**  
**ერთმანეთის გადაძახებაში**  
**იყვნენ. და ასე ლამაზად**  
**ცხოვრობდა იაშა ამქვეყნაზე.**

ჩემი ცხოვრების გზაც სულ  
სხვა მხრივ წარიმართა და საბო-  
ლოოდ ხელოვნებას დაუკავშირდა.


ახალი ცხოვრება, ახალი მიზ-  
ნები და ახალი მეგობრები.

როგორც კი თეატრში მოვხვდი,  
მაშინვე ვიგრძენი ის ყურადლება,  
რომელიც ასე საჭიროა ყველა  
საქმეში, განსაკუთრებით კი –  
ხელოვნებაში. არასოდეს დამა-  
ვიწყდება შალვა ლამბაშიძის მა-  
მაშვილური სიყვარული, ვერიკო  
ანჯაფარიძის ზრუნვა და მის მიერ  
შემოთავაზებული პირველი როლი,  
სერგო ზაქარიაძის დარიგებები და  
მასთან ერთად როლზე მუშაობაში  
გათენებული ლამეები: ჩემი საყ-  
ვარელი რეჟისორების – ვახტანგ  
ტაბლიაშვილის „სოლომონ ისაკის  
მეჯლანუაშვილი“ და არჩილ ჩხარ-  
ტიშვილის „მოკვეთილი“, კაკო კვან-  
ტალიანის ოპტიმიზმი და ცხოვრე-  
ბის სიყვარული, ალე ომიაძისა და  
გიორგი შავგულიძის მეგობრობა  
ახალგაზრდებთან... და ბოლოს –  
ვასო გოძიაშვილი, რომლის საუბარი  
და მსახიობური ტალანტი სკოლა  
იყო ყველა ჩვენგანისთვის.

ადამიანი – ადამიანად ყალიბ-  
დება თავის ოჯახსა და მეგობრე-  
ბის წრეში... შეიძლება ბოლომდე  
არ შეგრჩეს ყველა მეგობარი, მაგ-  
რამ მათი წვლილი საზოგადოების  
წევრად შენს გახდომაში – რა თქმა  
უნდა, უდიდესია. უმეგობრო კაცს  
არავინ უყვარს, არავის ბედი არ  
აწუხებს, ეგოისტია. იგი ჰგავს უი-  
ალქნო ნაცს, რომელიც დასალუ-  
პადაა განწირული.

ჩაიწერა მანა კარტოზიამ

# აღარ განმეორდება



იყო და... ალბათ, აღარც განმეორდება. იყო ერთი განუმეორებელი მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში – გიორგი... თუმცა გიორგის არ ეძახდნენ, დიდი სიყვარულის გამოსახატად და მოსაფერებლად ყველა უორას ეძახდა. რატომღაც არ უხდებოდა უორასთვის ბატონი გეთქვა. 40-50-იან წლებში იმდენი დიდი მსახიობი მოღვაწეობდა, რომ ჩამოთვლაც ძნელია... საკმარისია დავასახელოთ შალვა ღამბაშიძე, მიშა სარაული, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, აკაკი კვანტალიანი, შაშო გომელაური, ალე ომიაძე, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გრიგოლ კოსტავა... მეტს აღარ გავაგრძელებ, თორემ შეიძლება გული გაუსკდეს კაცს...

რა უიღბლო თაობა იყო... ვერ მოესწრნენ ტელევიზიას, იქნებ შემოენახა ისტორიას მათი შემოქმედება და ნამდვილი ხელოვნება. და აი, ამ მსახიობთა თაიგულში შავგულიძე მინდვრის ყვავილივით გამოიყურებოდა.

დიდუბის პანთეონში რომ შევალ, ყვირილი მინდება – ადექით, აյ რა გინდათ? თქვენს უკან მავალ თაობას რას უპირებთ-მეთქი, ჩუმად ჩემთვის ჩავილაპარაკებ... თუმცა, ვცდილობთ, არ შევარცხვინოთ თქვენი საქმე და ის დიდი შემოქმედება, რომლისთვისაც თქვენ იღვწოდით და შემოქმედებაში ინვოდით... ალბათ, ეს იყო იმის მიზეზიც, რომ თითქმის ვერც ერთმავერ მიაღწია სამოც წლამდე...

უორა კი თავის ორმოცდაათი წლის თავსაც ვერ მოესწრო. ალბათ, ასეთი ნიჭიერი ხალხი კომეტასავით განათდება და საღლაც უსასრულობაში ჩაინთქმევა...

კრძალვით ვიწვდი ხელს თაიგულისაკენ, მინდა, ხელი შევახო იმყვავილს, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა, თან ვშიშობ, ვაითუ ვერ შევძლო მისი შეფასება და ისე შემკაბა. როგორც მას ეკუთვნის. პირველ ყოვლისა, ქუჩაში რომ მოდიოდა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექცია მისი აღნაგობისთვის. მოდიოდა და ათასი სიცოცხლე მოჰქონდა...


საოცარია, ეს ათლეტური აღნაგობის კაცი სახასიათო როლში როგორ დაინგრეოდა, როგორ დაიგრიხებოდა ისე, რომ აღარაფერი ჰქონდა უორასი.


ეს იყო გამოჩერჩეტებული, დანგრეული სიარული, ყვითელ ხალათზე, რომლის კალთებიც მუხლებამდე სცემდა, გულის მხარეს გამოწეულ მკერდზე ჩამოკიდებული „ოსოავიახიმის“ სპორტსმენის, „ვოროშილოვის მსროლელის“ და ყველა რანგის მედლებით.

ვერაფრით დაიჯერებდით, რომ ეს ის კაცი იყო, რომელიც ელბაქიძის დაღმართზე მოდიოდა და თან მოჰქონდა სიცოცხლე და ათასი ქალიშვილის მზერა.

უორასთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი... სულ პატარა როლიც მის ხელში მთავარ როლად იქცეოდა – პიესაში „სოლომონ ისაკიჩ მეჯდანუაშვილი“ უსაქმური თავადის როლს ასახიერებდა. სცენაზე რომ შემოვარდებოდა, სულ სამად-სამი სიტყვა ჰქონდა: „ცაცა, ცუცა, ნუცა“ – უმაღლ ტაშის გრიალი და მაყურებელი დატყვევებული იყო...

თავისი შეყვარებულისთვის რაღაც უჩვეულო და გმირული რომ ეჩვენებინა, ვან გოგმა უეცრად ყური მოიქრა და ერთგულების დასამტკიცებლად შეყვარებულს მიაწოდა. ამის შემდეგ არც ის გაუკვირდება კაცს, რომ ჩვენი სახელოვანი და დიდი მსახიობი უორა შავგულიდე ლამაზი ქალის გულისთვის ლენინგრადში ყინულით სავსე მდინარე ნევაში გადაეშვა და გაცურა...





მართლა საოცარი მსახიობი იყო გიორგი შავგულიძე და რა თქმა უნდა, მისი ცხოვრებისეული მოქმედებაც უცნაური იყო.

ბევრ დიდ მსახიობთან მომინია მუშაობამ, ყველას რაღაც ჰქონდა თავისი, საკუთარი, რომელიც განასხვავებდა დანარჩენებისგან, მაგრამ ამათში უორა შავგულიძე გამორჩეული იყო. არც შავგულიძემდე და არც მის შემდეგ არ მინახავს და არ გამიგია, რომ რომელიმე მსახიობს ორი საათი დასჭირებოდა უძიროების („აზიაცებს“ რომ ეძახიან) ჩასაცმელად. დიახ, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილზე“ შავგულიძე ორი საათით ადრე მოდიოდა უძიროების ჩასაცმელად. ეს იყო მისი შემოქმედებითი წვალებაც და კმაყოფილებაც.

შავგულიძეს ძალიან უყვარდა ახალგაზრდები. თეატრში უფრო ხშირად მათთან მეგობრობდა, ზოგს შვილობილს ეძახდა, ზოგს – ძმობილს და რა ვიცი... ასევე მეგობრობდა ჩემთან. ერთხელ გავიგე მისგან, ღამე რომ მივალ ხოლმე სახლში და არ მეძინება, ვიტყვი ხოლმე – შავგულიძე დაიძინე, თორემ წიგნს წაიკითხავო.

პირველ ხანებში მართლა მეგონა, რომ უორას წიგნის კითხვა და ზედმეტი ფილოსოფია არ უყვარდა, მაგრამ წლების განმავლობაში როლზე მის მუშაობას რომ ვაკვირდებოდი, არავისზე ნაკლებს არ კითხულობდა და მუშაობდა. დამემონმება ბატონი ვახტანგ ტაბლიაშვილი, თუ როგორ მუშაობდა შავგულიძე „დავით აღმაშენებელზე“. მაშინ ჭყონდიდელის როლს ამზადებდა... შევნიშნე, წიგნი უჭირავს ხელში, საათობით ზის ფოიეში და კითხულობს. ვკითხე: ასე გატაცებით რას კითხულობმეთქი და მაჩვენა ლუკას სახარება, მათეს სახარება უკვე წავიკითხეო, მითხრა...

უორა შავგულიძე „ქართულს“ არ ცეკვავდა. ცეკვავდა მხოლოდ „კინტოურს“ და ეს ცეკვაც, მისი ილეთებიც, ლადო გუდიაშვილისგან ჰქონდა შესწავლილი და ამას ყოველთვის ამაყად იტყოდა ხოლმე, რასაც ბატონი ლადო გუდიაშვილი ლიმილით ადასტურებდა. დიახ, სხვა ცეკვებს არ ცეკვავდა. სამწუხაროდ, უორას ჩოხები აღარ არის თეატრში.

ალბათ, სხვა როლებში სხვა მსახიობებმა გამოიყენეს, თორემ

თქვენ ნახავდით, რანაირი გემოვნებით შეკერილ ჩოხებს იცვამდა. ახლაც მახსოვს, რომ ჩოხებს მხოლოდ ერთ მკერავს – უგულავას აკერინებდა, იმისთანა ქართულ ჩოხას ვერავინ კერავსო, იტყოდა.

გრიმი ხომ საოცარი იცოდა. ახლი წარმოდგენის წინ, სანამ გენერალური რეპეტიცია არ დაიწყებოდა, გრიმს არ გაიკეთებდა. გენერალურის წინ ჩაიკეტებოდა თავის პატარა ოთახში, საიდუმლოდ იკეთებდა გრიმს და მთელი თეატრი ელოდებოდა, იცოდნენ, რომ რაღაც უჩვეულოს მოიგონებდა...

ხანდახან სცენაზე ხუმრობაც უყვარდა, მით უმეტეს, თუ ვინმე ეტყოდა, სცენაზე ვერ გამაცინებო.

უნდა გითხრათ, რომ სცენაზე ხუმრობა და სიცილი არ უყვარდა ბატონ სერგო ზაქარიაძეს და ერთხელ ფოიში თქვა კიდეც, სცენაზე ვერავინ გამაცინებსო. უორამ გამოიხედა ჩვენსკენ, თვალი ჩაგვიკრა და გვითხრა: მაშ, ახლა მე მაცალოსო....

„კოლმეურნის ქორწინება“ მიდიოდა. ზაქარიაძე ჯიბილოს როლს თამაშობდა, უორა – ხარიტონს.

**ჯიბილო ეუბნება:** მაშ, მამაჩემმა გითხრა ეგ?

**ხარიტონი:** კი, აპა... ჯიბილო, კაცი არ ხარ, მითხარი...


**ჯიბილო:** მაქანე გაჩერდი, ფეხი არ გამოადგა აქეთ...

**ხარიტონი:** აქანე ვიდგე?

ამ წარმოდგენამდე რამდენიმე



საგასტროლო მატარებელში უორა შავგულიძესთან ერთად



„კოლმეურნის ქორწინება“:  
ხარიტონი – უორა შავგულიძე

დღით ადრე „მასკარადის“ პრე-  
მიერა იყო, სადაც ზაქარიაძე არბე-  
ნინს თამაშობდა და ბოლო მოქმე-  
დებაში არბენინი უცნობს ეუბნება:  
ვინ ხარ, ადამიანი თუ დემონი?

და უცებ „კოლმეურნის ქორ-  
წინებაში“ ხარიტონი ეუბნება –  
აქანე ვიდგე? სიმართლე მითხარი,  
ჯიბილო, მითხარი, ვინ ხარ? ადა-  
მიანი თუ დემონი?..

უნდა გენახათ, რა მოუვიდა  
სერგო ზაქარიაძეს, სიცილი ველარ  
შეიმაგრა და სცენიდან გავარდა.

„კოლმეურნის ქორწინებაში“ გამ-  
ნარებული ჰყავდა მსახიობი სანდრო  
რამიშვილი, რომელიც ლომკაცას  
თამაშობდა. ერთ-ერთ სცენაში რამ-  
იშვილი შემოდიოდა და ხარიტონ-  
შავგულიძეს ეუბნება: ხომ ვარ მახ-  
არობელი, გოჭებს რომ შემპირდი,  
უნდა მომცე ახლა...

**ხარიტონი:** როდის შეგპირდი,  
ბიჭო, გოჭებს?

**ლომკაცა:** ჯიბილოს და გვირი-  
ტინეს ამბავი რომ გითხარი...

**ხარიტონი:** მახსოვს, მახსოვს, მა-  
გრამ გოჭები დამზადებას ჩავაბარე  
და ველარ მოგცემ, აგერ ყვავილებს  
მოგცემ და ბავშვებს წაულეო...

ამას რომ ეტყოდა, ხელს ლოყაზე  
მოუთათუნებდა და მიწებებულ  
ულვაშებს მოაძრობდა ხოლმე.

რამიშვილი ხმას ველარ იღებდა,  
მიიფარებდა ხელს ტუჩებზე და სი-  
ცილ-სიცილით სცენიდან გადიოდა.  
ერთხელაც მიდის ეს სცენა, ისევ  
ისე ააძრო ულვაში უორამ და რას  
ხედავს – ულვაშის ქვეშ ზუსტად  
ისეთი ულვაშები დაუხატავს. ეს  
რომ დაინახა უორამ, ველარაფერი

თქვა, თვითონ გაფუჭდა და სცე-  
ნიდან გავარდა...

საოცარი მსახიობი წავიდა, ჯერ  
კიდევ ახალგაზრდა კაცი... ახალ-  
გაზრდები რომ მოდიან თეატრში,  
ყველას ვათვალიერებ, იქნებ ვინმე  
მოვიდეს-მეთქი მისი გზის გამგრ-  
ძელებელი, მაგრამ სამწუხაროდ,  
ჯერ არავინ სჩანს.

არ შეცდები, თუ ვიტყვი, რომ  
შავგულიძე დრამატული თეატრე-  
ბის ფიროსმანი იყო.

ერთხელ რუსთავიდან მოვდი-  
ოდით და ავტობუსში მითხრა: ე,  
ბიჭო, იაგორ (იაგორას მეძახდა  
ხოლმე), ამოდენა ხალხს იცნობ,  
ერთი ტელევიზორი მაშოვნინე და  
მაღარიჩი ჩემზე იყოსო. ვინ დაუ-  
ჭერდა შავგულიძეს ტელევიზორს,  
მაგრამ ასეთი მორიდებული იყო.  
მეორე დღეს ვაშოვნინე ტელე-  
ვიზორი. როგორი გახარებული

იყო... მესამე დღეს კინოსტუდია-  
სთან შემხვდა და მითხრა: „ნამოდი,  
ტელევიზორი „დავასველოთო“.  
უარი ვუთხსარი, ახლა არ მცალია,  
შემდეგისთვის იყოს-მეთქი. ბევ-  
რი მეხვენა, მაგრამ ნამდვილად  
დაკავებული ვიყავი და არ წავედი.  
„არ გინდა და ეგრე იყოსო,“ – ასე  
დავშორდით ერთმანეთს...


სალამოს წარმოდგენა მქონდა,  
„შავთვალა გოგონას“ ვთამაშობ-  
დით. ბოლო მოქმედება მიდიოდა,  
ვიღაც კულისებიდან მანიშნებს  
რაღაცას, მივედი კულისებთან და  
მეუბნებიან, უორა შავგულიძე აღარ  
არისო...

რა თქმა უნდა, მაყურებელმაც  
გაიგო, რომ მათი საყვარელი მსახი-  
ობი აღარ იყო...

ასე ჩაქრა სიცოცხლით სავსე  
მსახიობის და ადამიანის ცხოვრე-  
ბა...



სცენა სპექტაკლიდან „კოლმეურნის ქორწინება“: მარჯვნივ – უორა შავგულიძე



სრულიად შემთხვევით მოვხვდი სცენაზე,  
როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ  
მოვეძი მარჯანიშვილის თეატრში....


იაკობ ტრიპოლსკი

# Ի՞նչուր ըս հմայցու առջանցիք

Բայենս Ցիբի-Շահպալս Շահմեդապոկիս մագլուս  
առյօնու, հասա շախակազմութեալո, հռմ ամ առևշուս  
թյուղ աճամիանս եղլուցնեիս մռտեռազնուլուցի այցես.  
ալունատ, ամուտ ասեսնեիծ, հռմ շահտավելու  
կապուս ծունցեիծա տեսագրանդուրու օյրու գագուրացես.

ՏԵԽԾԱ ԽԱԿԱԽՈՒԾ  
„Քանաբիւրուցի հեթո ուոյերեիսա“

# სევდით და კრძალვით ვიგონებ



ბევრი ვიფიქირე... ყოყმანის შემდეგ მაინც წამძლია სულმა და გადავწყვიტე – იქნებ დანაშაულს ჩავდივარ, რომ ერთი საათით მაინც არ გავესაუბრო ჩვენს გამზრდელებს, თეატრის მშენებლებს.

14 იანვარი მსახიობების საყვარელი დღეა. ალბათ, თითოეულ ჩვენგანს თავისებური სიწრფე-ლით უყვარს ეს დღე. პირადად მე, მიყვარს იმიტომაც, რომ თეატრის დღეს განსაკუთრებული სევდით და კრძალვით ვიგონებ ხოლმე მარჯანიშვილის თეატრიდან იმ ქვეყნად წასულ უფროს მსახიობებს, მათ შემოქმედებით გზას, თავისებურებებს და განუმეორებელ თვისებებს.

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს პესიმისტი ვიყო და იმიტომ ვიყურებოდე უკან, არა – ამ ერთ, ჩვენთვის მნიშვნელოვან დღეს, ქართული თეატრის დღეს – 14

იანვარს ვუთმობ მათ ხსოვნას, ვისთანაც გავატარე ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები და სურვილი მიჩნდება, რომ მათი ცხოვრებისეული ადამიანური ხასიათები და თვისებები, ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს მოვუყვე...

...

ქართული თეატრის სიამაყეს ვასო გოძიაშვილს ძალიან უყვარდა თავისი კუთხე – კახეთი. ერთხელ სილანღში ვითამაშეთ „მეფე ერეკლე“. წარმოდგენის შემდეგ სახელდახელო პურმარილი გაიშალა.

ყველა მსახიობი არ მიიპატიუეს და ცოტა უკმაყოფილონი იყვნენ მსახიობები, მაგრამ გოძიაშვილის ხათრით ვინ რას იტყოდა? თეითონაც იგრძნო, ეწყინა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს...

მეორე წარმოდგენა სოფელ ვაზისუბანში გვქონდა. ვასო გრიმის გასაკეთებლად წავიდა, დანარჩენი მსახიობები სოფლის კლუბის ბაღში ვიყავით ჩასულები... ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და გამომეცნაურა:

„ტრიპოლსკი არა ბრძანდებით?“

„დიახ, ტრიპოლსკი გახლავართ!“

„თუ ძმა ხარ, მესტუმრე სახლში, მინდა, დაგიმეგობრდე... ქვევრს აგიხდი... დედას პური, კარგი ყველი და კეთილი გული... იქნებ, აქეთ როდესმე მოხვდე კიდევ და ჩემი სახლი იცოდე!“

ვიუარე: წარმოდგენა მაქს და ვერ წამოვალ-მეთქი! ბევრი მეცვენა, მაგრამ არ გაჭრა. წამოდგა, გაიქცა და მალე მობრუნდა, თან დოქით ღვინო, დედას პურები, ყველი და რა ვიცი, კიდევ რა არ მოიტანა.

გაიშალა სუფრა, ყველა ჩვენი მსახიობი მიიპატიუა და გაუმასპინძლდა...

მე ერთი ჭიქა ღვინო შევსვი და გრიმის გასაკეთებლად წავედი. საგრიმიოროში ვასო სარკესთან იჯდა და უკვე გრიმს იკეთებდა.

„ბატონო ვასო! – მივმართე აღტაცებით, – აუუ, რა ქნა კახელმა, რა ქნა!“

„რა ქნა?“ – ისე მკითხა, რომ ეჭვითაც კი შეფიქრიანდა, ცუდ რამეს ვეტყოდი.

ვუამბე ბაღში მომხდარი და მოსაკითხის ამბავი, ერთი-ორად კიდევაც გავაზვიადე:

„ახლა იმ კახელს, დაბლა, ბაღში არსენასავით გაუშლია სუფრა და

მსახიობებსა და გამვლელ-გამომვლელს პატიუებს!“

ისეთი თვალებით მიყურებდა, ლამის გადავეყლაპე, მერე უცებიყვირა: „მერე?.. რომელიმე ჩვენი მაიმუნი იმერელი არ ეგდო იქა?!“

...

ძია შაშოს, სიყვარულით ასე მივმართავდით ალექსანდრე გომელაურს, ბინას აძლევდნენ. უთხრეს:

„წადით, ნახეთ ვაკის პარკთან ესა და ეს ბინა და თუ მოგეწონებათ, მოგცემთო!“

ძია შაშომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

„მე იქ არ წავალ, სადმე, თე-ატრთან ახლოს მომეცითო!“

უთხრეს: „წადი, ნახე და თუ არ მოგეწონება, მერე ვილაპარაკოთო!“

ცოლმა, შესანიშნავმა ქალბატონმა მერი დავითაშვილმა როგორც იქნა, დაიყოლია და წავიდა ძია შაშო ვაკის პარკთან ბინის სანახავად...

... რაკი ბინა ნახა, ეტყობა, მართლაც მოეწონა, მივიდა რაიკოში და უთხრა: „ჯანიც გავარდეს, ტრიპოლსკის ბინაზე ძალიან შორს არა ყოფილა და წავალო!“

ეს ამბავიც მას შემდეგ მოხდა: ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ხშირად ჩემს სახლში ვიკრიბებოდით და რასაკვირველია, რა დიდი დასტური უნდა, ძია შაშოც ჩვენს გვერდით იყო, მუდამ ჩვენთან, ახალგაზრდებთან უყვარდა ყოფნა.



შეუდარებელი  
ვასო გოძიაშვილი

ერთხელაც: რა საუბრის პასუხი იყო და მოულოდნელად, გოგი გელოვანმა ძია შაშოს მოქრილად ჰკითხა: „ძია შაშო, აქედან შენს სახლამდე შორია?“

„იქნება ასე, ორმოცდაათი კილომეტრი!“ – უპასუხა ძია შაშომ.

„ვაა, დუშეთში ცხოვრობ, ძია შაშო?“ – აკვიატებული იუმორით ჰკითხა გელოვანმა...

„არა, კაცო, – ხელები გაასავ-სავა ძია შაშომ, – ორმოცდაათი კილომეტრი კი არა, ხუთი მეტრი... არა, კაცო, რის ხუთი მეტრი... ვაა, რა მომივიდა, ხომ ვამბობდი, სულ ახალმა ფულმა ამრია... აი, თუ ბიჭები ხართ, იანგარიშეთ და თქვენ გადაიყვანეთ ახალ ფულზე!..“

...

ერთ თავისუფალ დღეს კოტე მარჯანიშვილის თეატრში შევიარე

შურნალ-გაზეთების გამოწერის საკითხის გასარკვევად.

„იაკობ! იაკობ! – თეატრის კიბეებთან მომესმა ჩვენი მუზეუმის გამგის მაია კვანტალიანის ხმა: „ერთი შემოიარე მუზეუმში, შურნალ-გაზეთების ქვითრებია გამოწერილი!“ – მაიას ხმა იყო...“

„იაკობ! იაკობ! შაშო ხომ არ არის მანდ?“

მაიას ხმა...

თუ აკაკი კვანტალიანის ხმაა...“

„არა, არა!“ – მომესმა პასუხად... მაგრამ ეს ვიღას ხმაა...“

გვერდზე მოვიხედე: „თუ კაკოს ხმა იყო, მაშ, ძია შაშოც იქ იქნება!..“ – ჩავილაპარაკე უნებლიერდ.

„კი, აქ არის!“ – მომესმა ძია შაშოს ხმაც – აქ არის, მაგრამ ტრიპოლსკიზე შორს არ არის!“

„შორს არ არის?“ – კი, ვიცანი გოგი გელოვანის ხმა.



„სულაც არა!“

„მაინც რამდენი იქნება?“

„ასე... ორმოცდაათი კილომეტრზე მეტი არ იქნება!“

„როგორ, ძია შაშო, დუშეთში ცხოვრობ?“

„არა, კაცო, ორმოცდაათი კილომეტრი კი არა, ორმოცდაათი მეტრი იქნება... არა, კაცო... ნაბიჯსაც წინ გადავდგამ...“ – გულიანად იცინის ძია შაშო და სათქმელს თავს ვეღარ უბამს...

და მეც: ლიმილნარევი ცრემლი უკვე ცხვირსახოცს მისველებს...

...

მუზეუმში შევედი:

არავინ დამხვდა.

სავარძელში ჩავჯექი.

ფიქრებმა გამიტაცა.

თვალი მოვავლე იქაურობას.

აგერ, ძველი, გაცრეცილი პროგრამა ძირს ჩამოვარდნილა.

მოიცა...

რომელი სპექტაკლის პროგრამაა.

ჰო, შატბერაშვილის „მკვდრის მზის“ პროგრამაა.

აგერ, ბატონი ნიკო გოცირიძე – სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი – ჩვენი ძია ნიკო...

მაგიდასთან რეპეტიციების გავლის დროს ისე ახლოს იჯდა ჩემთან, რომ მისი სუნთქვა მესმოდა.

აი, გოცირიძე-მეჯლანუაშვილი რეპლიკას კითხულობს:

„ალექსანდრე რაზბოინიკო, შენი ჭირიმე...“

უჩვენოდ რომ დანიშნულხარ, შენ გენაცვალე...“

...და მოულოდნელად:

კულისებიდან გვესმის გიორგი შავგულიძის ხმა, რასაც ჩვენი



თავშეუკავებელი ხარხარი მოსდევს:

„ჭირიმე... ჭირიმე... შენი ჭირიმე...“

ჩემი ჩირი შენ!“

...

...ომის წლებში თეატრის მსახიობებს მიწის ნაკვეთები დაგვირიგეს საბურთალოზე.

უორა შავგულიძემ მთხოვა: მოდი, შევამხანაგდეთ და ჩემი ნაკვეთი ორივემ დავამუშაოთო. დავთანხმდი.

ერთ დღეს მე და უორა ჩვენს ზიარ ნაკვეთში ავგარდით, დავბარეთ, სხვასაც მივეხმარეთ და მთელი დღის ჯაფით კმაყოფილები უკან წამოვედით.

მას შემდეგ ნაკვეთში არა თუ აღარ ავსულვართ, აღარც გაგვხსენებია.

კარგა ხნის შემდეგ მივაკითხეთ და რას ვხედავთ: ყველა ჩვენი მეგობრის ნაკვეთი შესანიშნავად არის დამუშავებული, სიმინდიც კი შრიალებს, პომიდორი დახუნდლულია.

ჩვენი ნაკვეთის შუაში კი ერთი ძირი სიმინდი ამოსულა...

იქვე, ქვაზე ქალალდი იყო დამაგრებული...

ქალალდზე ეწერა: „აქ განისვენებენ ზარმაცი ბატონი შავგულიძე და უქნარა მოჯამაგირე ტრიპოლსკი... დამწუხრებული ნათესავი სანდრო რამიშვილი“.

მეზობელ ნაკვეთში შალვა ჯაფარიძე მუშაობდა, დაგვინახა და სიცილით გვიხმო:

„ნახეთ, წუხელ მიშა სარაულს რა უქნია... წითელი სალებავი მოუტანია, შალვა ლამბაშიძის მწვანე პამიდორები შეულებია. ამ დილით კი – შალვამ ეს წითლად შელებილი პამიდორები დაკრიფა და შინ წაიღო!“

...

და კვლავ გოცირიძე-შავგულიძესთან დაკავშირებით: მარჯანიშვილის თეატრში ჩემი სამსახიობო მოღვაწეობის დაწყების პირველივე დღეებიდან მახსენდება მსახიობი ნიკო გოცირიძე. ჩვენი ძია ნიკო, ყველაზე უფროსი კაცი თეატრში. იქნებ ასაკის გამოც, ყველანი

„ურიელ აკოსტას“ ვთამაშობ-  
დით, რაბინების სცენა მიდის,  
ყველა რაბინს აცვია გრძელი კაბა,  
უკეთია უშველებელი წვერ-ულვა-  
ში ისე, რომ ძნელიცაა მსახიობის  
ცნობა.

რაბინებს ფეხთ ეცვათ უძი-  
როები, რაც ცოტა ძნელი ჩასაცმე-  
ლია, ერთი კია – გრძელ სამოსში  
მაინცდამაინც არ ჩანს.

#### სცენაზე დგანან:

სილვა – თვითონ ბატონი შალ-  
ვა ღამბაშიძე, ურიელი – ბატონი  
პიერ კობახიძე და სხვა რაბინი-მსა-  
ხიობები...

სპექტაკლის მსვლელობისას,  
თურმე შალვას სცენაზე შეუმჩ-  
ნევია, რომ ერთ-ერთ რაბინ-მსა-  
ხიობს უძიროების ნაცვლად თავისი  
ფეხსაცმელები აცვია, ხან რაბინს  
მიაჩირდება, ხან – მის ფეხსაცმე-  
ლებს, რომ გამოიცნოს, რომელმა  
მსახიობმა დაარღვია წესი.

ვერა და ვერ ამოიცნო. მსახიო-  
ბიც მიხვდა, რომ მას და მის ფეხ-  
საცმელებს დაადგა თვალი ღამბა-  
შიძემ.

ეს სცენა მთავრდება იმით, რომ  
ურიელი მირბის და რაბინებიც  
ფეხდაფეხ მისდევენ.

ფარდა დაიხურა თუ არა, შალ-  
ვამ იყვირა:

განსაკუთრებული პატივისცემით  
ვეკიდებოდით. შეხუმრებასაც ასე  
იოლად ვერ უბედავდნენ, მაგრამ  
გიორგი შავგულიძე მისი სუსტი  
მხარე იყო:

მაგონდება, „სოლომონ ისაკიჩ  
მეჯლანუაშვილს“ ვდგამდით.

ძია ნიკოს მაგიდასთან რეპე-  
ტიციის დროს რეპლიკა დაავინყდა:

„ვა, კაცო, იმას რა ჰქვია?..“ –  
წაილაპარაკა მორიდებით.

„კიტრი, ოპანეზ ნიკიტიჩ,  
კიტრი!“ – მაგიდის ბოლოდან გა-  
მოსძახა შავგულიძემ.

ამის თქმა იყო და ჩაბჟირდა ძია  
ნიკო, ხმას ვეღარ იღებდა, სცე-  
ნიდან გავიდა და კულისებიდან  
უთხრა გიორგის:

„ვაჲ, შე ყურუმსალო, აღარ  
მომეშვები, გუშინ აქლემიო, დღეს  
კიდევ – კიტრიო... ხომ იცი, რომ  
სცენაზე მალე ვფუჭდები, თავი და-  
მანებე, რა...“

...

თეატრის მამა და მასწავლე-  
ბელი!

ასე ეძახდნენ შალვა ღამბაშიძეს.  
მართლაც, ყველასთან მამო-  
ბრივი დამოკიდებულება ჰქონდა,  
განსაკუთრებით ჩემი თაობის ახ-  
ალგაზრდა მსახიობებთან. ის გახ-  
ლდათ უწმინდესი და უსპეტაკესი  
ადამიანი, მაგალითი იმისა, თუ  
როგორ უნდა უყვარდეს მსახიობს  
თეატრი.

შალვა ღამბაშიძე ჩვენი თეატ-  
რის დირექტორი და ძალიან კარგი



**კოტე მარჯანიშვილის თეატრის დასი: ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია...  
წინა პლანზე სერგო ზაქარიაძის გვერდით – იაშა ტრიპოლსკი**

„ყველა რაბინი ფონეში შემოვ-იდეს!“

ერთ-ერთი რაბინის შემსრულებელი მსახიობი – ავთანდილ ვერულეიშვილი უმაღ მიხვდა, რაშიც იყო საქმე, სცენიდან გასული უცებ შევარდა თავის ოთახში, რის ვაი-ვაგლახით სწრაფად გამოიცვალა ფეხსაცმელები და სანამ ღამბაშიძე ფონეში შემოვიდოდა, ვერულეიშვილი უძიროებით უკვე იქ დახვდა. „აბა, ჩამნკრივდით, რაბინებო!“ – ბრძანა შალვა ღამბაშიძემ, იმით კმაყოფილმა, რომ გამოიჭირა თეატრის წესების დამრღვევი და ახლა მას შავ დღეს დააყრის: „აბა, აინი-ეთ კაბები!“

ყველამ მუხლამდე აინია კაბა.

ღამბაშიძემ ჩამოუარა რაბინ-მსახიობებს რისხვად შეკრული შუბლით და გაოცდა, უკლებლივ ყველას ერთნაირი უძიროები ეცვა.

„სულ რამდენი რაბინი ხართ პიესაში?“ – დაეჭვდა იგი.

„ექვსი, ბატონო შალვა!“

დათვალა...

მის წინ მართლაც ექვსი რაბინი-მსახიობი დგას...

აუგლის, ჩამოუვლის...

ყველა მსახიობის კოსტიუმი წესრიგშია...

შეჩერდა, ამოიოხრა და უცებ, ვე-დრებით თქვა: „ოღონდ სიმართლე მითხარით, რომელს გეცვათ საკუთარი ფეხსაცმელი და ჩემს ნანას გეფიცებით, არათერს გეტყვით!..“

...

ვასილ პეტრეს ძე ყუშიტაშვილი, უგანათლებულესი პიროვნება, თეატრისათვის შენირული კაცი...

მოიარა მთელი მსოფლიო და ბოლოს, თავის ქვეყანას და თავის თეატრს შესწირა ყველაფერი...

უყვარდა მსახიობი, უყვარდა, რეპეტიციებზე თუ ვინმე სთხოვდა შველას, რასაკვირველია – ვინც არ მონაწილეობდა პიესაში და მათზე ამონშებდა თავის ნამუშევარს. თუ შენიშნავდა, რომ ვინმე ლაპარაკობდა, დაუძახებდა: „შენ, მოდი აქ... წადი ახლა, ნახე, გვინჩიძე მოსულია თუ არა და პასუხის მოსატანად აქ აღარ მოხვიდე!“ – ეტყოდა წყრომით.

ყუშიტაშვილი პირველად საზღვარგარეთიდან რომ ჩამოსულა, ჩვენი სამმართველოს უფროსს დაუბარებია გასაუბრებისთვის.

ვასილ პავლეს ძე ზუსტად მისულა დანიშნულ დროს 12 საათზე და მდივნისთვის უთქვამს:

„მე მოვედი...“

„დაბრძანდით, დაგიძახებთ...“

გაჩერდა ხუთი წუთი და ისევ ეუბნება: „იცით, მე 12 საათზე ვიყავი დაბარებული...“

„კი, ბატონო, თვითონ დაგიძახებთ...“

მოიცადა, თურმე, კიდევ ხუთი წუთი და უთხრა:

„იცით, მე დრო არა მაქს, წავე-დი და სხვა დროს მოვალ“. მოითმინეთ, ახლავე მოვახსენებთ...“

...მოახსენეს და:

შევიდა უფროსთან ვასილ პავლეს ძე.

უფროსმა გამომცდელი თვალით შეხედა საზღვარგარეთიდან ჩამოსულ კაცს და ჰკითხა:

„აი, თქვენ ოც წელზე მეტია საზღვარგარეთ იყავით. ახლა ჩამოხვედით. რაიმე განსხვავებას თუ ხედავთ ჩვენს ცხოვრებასა და მათ ცხოვრებას შორის?“

ყუშიტაშვილმა თვალი გაუსწორა და დინჯად უპასუხა:

„პირველი განსხვავება ის არის, იქ რომ თორმეტ საათზე დაგიბარებენ, ზუსტად თორმეტ საათზე მიგიღებენ!..“

...


დევიდა ლიზა!

ასე მივმართავდით ჩერქეზიშვილის ქალს, ელისაბედს!

თუ მარჯანიშვილის თეატრიდან თავისუფალი იყო, იმ დღეებში სხვა თეატრების სცენისკენ ილტვოდა სათამაშოდ, უქმად ყოფნა არა სჩვეოდა! რატომძაც, განსაკუთრებით უყვარდა თელავი!

დამინახავდა თუ არა, სადაც კი შევცვდებოდით ერთმანეთს, დამიძახებდა ომახიანად: „ტრიპოლსკი! თავისუფალი ხარ? მოდი, ხვალ თელავში წავიდეთ, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ვითამაშოთ!“

იფიქრებდი, რომ განაწყენებული იყო, როცა იკითხავდა ხოლმე: ყველა პიესაში რატომ არ ვთამაშობო?..



ვთიქონობ და ასეც არის, რომ  
მსახიობს, თავისი ცხოვრე-  
ბის მიწურულში, ანდა მისი  
სიკვდილის შემდეგ რჩება  
ძალიან მცირე რამ, რითაც  
შეიძლება ის მოიგონონ.  
ეს „მცირე რამ“ რეცენზიებია,  
სურათები, დღიურები ან მო-  
გონებები, რომლებიც რჩება  
და მის სახელს აცოცხლებს.

სახმო ზაჟარიაძე

„ჩანაწერები ჩემი ფიქრებისა“

სადაც და რაშიც თამაშობდა,  
ყველა და ყველა ფერში ქართული  
კაბითა და ჩიხტი-კოპით გამოდი-  
ოდა! სხვა ტანსაცმელი მის ტანზე  
არ მინახავს არც სცენაზე და არც  
ცხოვრებაში!

დეიდა ლიზა! ასე მივმართავდით  
ჩერქეზიშვილის ქალს ელისაბედს!

...

სერგო ზაქარიაძეს ძალიან უყ-  
ვარდა ფშავ-ხევსურეთი და მთიუ-  
ლეთი. რამდენიმეჯერ იყო ჩასული  
დასასვენებლად ჩვენსკენ – მთიუ-  
ლეთისკენ. დავდიოდით ფეხით  
გუდამაყრისა და ხევსურეთის სო-  
ფლებში.

მეუბნებოდა: აქაური მცხოვრე-  
ბლები ძალიან ალალი და პატიო-  
სანი ხალხიაო.


და ასეთი ამბავიც მომიყვა:

„ერთ დილას ვიღაცა კარზე მი-  
კაკუნებს. გავაღე კარი, ახალგაზრ-  
და ხევსური დგას, ხელში ერბოთი  
სავსე მოზრდილი ხის ჯამი უჭირავს  
და მეუბნება:

- ერბოს არ იყიდი, ძამავ?
- რატომაც არ ვიყიდი, რამდენი  
გინდა მაგ ჯამ ერბოში?
- ხუთ მანათ მინდა.

გამიკვირდა ასე იაფად რომ  
აფასებდა, ამოვიღე ჯიბიდან ხუთ-  
მანეთიანი და ვკითხე:

- ეს ხუთი მანეთი გინდა?
- ეს იმიტომ ვკითხე, რომ ბევრი  
ხევსური მაშინ ფულს ვერ სცნო-  
ბდა.
- ჰო, ეგ ხუთ მანათ მინდა.



მივეცი ფული და ვუთხარი:

– როცა ერბო გექნება, კიდევ  
მომიტანე!

მესამე დღეს ისევ გაუვსია ის  
ჯამი ერბოთი და მომიტანა:

– აიღებ, ძამავ, ერბოს?

– ავიღებ, მაშ... ხუთი მანეთი  
გინდა, არა?!

– არა, ხუთ თუმან მინდა!


– რა ამბავია, გუშინწინ ხუთ  
მანეთად მომყიდე ეს ჯამი ერბო,  
დღეს ხუთ თუმანს მთხოვ?

ხევსურმა გაკვირვებით შემომ-  
ხედა და მითხრა:

– გუშინწინ ხუთ მანათ მჭირდ-  
ებოდა, დღეს ხუთ თუმან მჭირ-  
დება!..“

აქ წერტილს არ ვსვამ, მრავა-  
ლი წერტილია, რადგან ბევრ მსა-  
ხიობზე მინდა მოგიყვეთ კიდევ,  
რომელთა შესახებ მოგონებებსაც  
შემდეგისთვის ვინახავ.

# მე არ მინახავს ასეთი მსახიობი და ადამიანი




მე არ მინახავს ისეთი ადამიანი, როგორიც სერგო ზაქარიაძეა. ბევრი თავისებურად შეხვდა სერგო ზაქარიაძის შემოქმედებას, მის ადამიანობას, ხაზს ვუსვამ - სხვადასხვა მიზეზების გამო. მინდა, გავიხსენო ბატონი სერგო, როგორც პიროვნება.

სრულიად შემთხვევით მოვჭვდი სცენაზე. ბევრჯერ მომიყოლია ეს ამბავი: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოვედი მარჯანიშვილის თეატრში. ერთ დღეს მსახიობი მგელაძე გახდა ავად, მიდიოდა სპექტაკლი „მეფე ერეკლე“, ეძებდნენ შემცვლელს, არის ერთი სირბილი, ნერვიულობა.

იქ იყო ამ დროს პეტრე გრუზინსკი, რომელმაც თქვა, რომ აქ არის ერთი ნიჭიერი ბიჭი ტრიპოლისკი და ის ითამაშებსო. შალვა

ლამბაშიძემ თქვა მომიყვანეთო. ბატონ შალვას ოთახში შემიყვანეს, შემომხედა, ხელი ჩაიქნია, წადინადიონ და გამომაგდეს. დაიწყეს ისევ მსახიობის ძებნა, ვერ იპოვეს ისეთი, ვინც მოასწრებდა და დაისწავლიდა სიტყვებს. მერე ისევ მე შემეკითხენ: ზეპირად თუ იტყვი ამ სიტყვებსო. ვუთხარი რომ ვიტყოდი. გამიყვანეს სცენაზე.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი. მათ დანახვაზე ცოტა შევშინდი... მოვიდა ჩემთან ვერიკო, დამადო მხარზე ხელი, ამას მგელაძე ვგონივარ, სცენა მიდის... მერე შემომხედა და იკითხა, ეს ვინ არისო? - უთხრეს, ჩვენი ახალი თანამშრომელიაო. ვერიკომ მანუელშა, ნუ გეშინია, მე გეტყვი, სცენაზე როდის გახვიდეთ.



რა მოეთხოვება მსახიობს თეატრში: მსახიობი უნდა იყოს  
მათემატიკოსივით გახსნილი გონების მქონე და აფთიაქარი-  
ვით ზუსტი. საქმის სიყვარული ჰქონდეს უსაზღვრო, რწმენა  
- ურყევი, ნებისყოფა - ფოლადის, შრომა - ფენომენალურად  
დაუღალავი და ნიჭი თავისთავად, როგორც ბალავარი.

სერგო ზაქარიაძე  
„ჩანაწერები ჩემი ფიქრებისა



## შედეა ჯაფარიძესთან და მარინა თბილელთან ერთად

ხმა არა უშავს მქონდა. მოქმედება-ში ტექსტი უნდა მეთქვა: „ბრძანება თქვენი, დიღო მეფეო!“

ყველამ ჩემკენ მოიხედა. უორა შავგულიძემ იკითხა, ვინ არის ეს მხეცი, როგორ ღრიალებსო. წუნუნავა მიყურებს, ვინ ხარ შვილო, ვის დაკარგვიხარო.

მერე შალვა ღამბაშიძემ გასცა ბრძანება ჩემთან მოიყვანეთო. შემიყვანეს. ბატონი სერგოც იქ არის. ის ჩემით დაინტერესდა.

- ვისი ხარ, ბიჭო, შენ? - მკითხა ღამბაშიძემ.

ვუთხარი, რომ ტრიპოლსკი ვარ.

- არ სნავლობ არსად? - ომის დრო იყო და უსაქმური და დეზერტირი ბევრი დადიოდა, ალბათ, იფიქრა, ვიღაც დაკარგულიაო. ამ დროს ინგლისურის მასწავლებელი

ვიყავი პირველ სკოლაში. ვუთხარი, რომ უნივერსიტეტი დავამთავრე.

- რომელი ფაქულტეტი?

- ფილოლოგის. ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

- მერე, არ მუშაობ?

- კი, როგორ არა, თბილისის პირველ სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად, თან მერვე კლასის დამრიგებელი ვარ.

- არტისტობა გინდა?

- ძალიან!..

ისეთი თვალით მიყურებდა, თითქოს უნდოდა მადლობა გადაეხადა ჩემთვის იმის გამო, რომ უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი მოვედი თეატრში დაშტატგარეშე თანამშრომელი ვარ. მერე უცებ დაიყვირა:



### ვერიკო ანგაფარიძესთან და კოტე მახარაძესთან ერთად

- სულ ტრიპოლსკიმ ითამაშოს დავით სარდლის როლი, მგელაძემ აღარ ითამაშოს! წადი ახლა!..

არ ვიცი, რა ილაპარაკეს უჩე- მოდ. ბატონი სერგო გამოვიდა და მყითხა:

- რა გაქვს ჯამაგირი?

- 60 მანეთი.

- გადმოხვალ ჩვენთან თეატრ-ში? 69 მანეთს დაგინიშნავთ.

გამისარდა და დავთანხმდი. მერე გამომყვა ბატონი სერგო და გზაში ვისაუბრეთ. თურმე ერთ მხარეს ვცხოვრობდით, ის ბარნოვის ქუჩის დასაწყისში, მე კი გოგებაშვილის ქუჩაზე. გამომყითხა ყველაფერი-ვინ ვარ, ვისი შვილი ვარ.

ამის შემდეგ დავხლოვდით. ვმეგობრობდით ბატონი სერგო, ვახტანგ ტაბლიაშვილი და მე.

დაიწყეს ინგლისური ენის სწავლა, ყოველ დილით ცხრა საათზე ბატონი ვახტანგი და ბატონი სერგო მოდიოდნენ და მეცადინეობდნენ.

ზაფხულში ერთად ვისვენებ-დით ფასანაურში. მე მაშინ უშანგი ჩხეიძეს არ ვიცნობდი. როგორც ნატო ვაჩინაძე სახელი და გვარი არ მეგონა და იყო ჩემთვის სილამაზე, ისე იყო ჩემთვის უშანგიც. ძალიან მაინტერესებდა მისი ნახვა.

სცენიდან ნასვლის შემდეგ უშანგი თეატრში არ მოსულა. პირველი შემთხვევა იყო, როცა რამდენი-მე წუთით მოვიდა და „უამთაბერის ასული“ ნახა, მალე მოტრიალდა და წავიდა. მას შემდეგ აღარც და-ბრუნებულა თეატრში.

სერგოსთან სულ თეატრზე იყო ლაპარაკი. ერთ დღეს როცა მას-



თან ვიყავი, მითხრა, ახლა უშანგი დამირეკავს და დიდხანს ვილაპარაკებთო. ორი საათი ისაუბრეს. სერგო უყვებოდა: ვერ გადავდივარ ურიელის მონოლოგიდან. უშანგიმ მეც ეგრე მემართებოდა, ნეტავ, რატომ გააკეთა კოტემ ეს მიზანსცენაო.

სერგომ მომიყვა მერე: რა კარგი რამ მითხრა უშანგიმ, მეც მიჭირს ამ მიზანსცენაზე გადასვლაო. მხოლოდ თეატრზე იყო ლაპარაკი.

მე ასეთი მსახიობი არ მინახავს, არც შემიძლია ასეთი დიდი მსახიობი შევაფასო, როგორიც სერგო ზაქარიაძეა. არც თეატრის დირექტორი იყო, არც სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ, როცა ის თამაშობდა, ვის შეეძლო, თავისუფლად გაევლო...

ვაჟაობაზე ჩარგალში ვიყავით და ვბრუნდებით. მაშინ ამდენი მანქანა არ იყო, ერთ დანჯლეულ საბარგოზე ვიდექით 10-15 კაცი.

იქ ცუდი გზაა, სულ ორმოები და მოსახვევებია. დავინახეთ ვიღაც ფშავი ქალი ცხენზე, ისეთი კარგი გოგო!.. მძლოლმაც შეამჩნია, რომ ცხენი მოსდევს და სიჩქარეს უმატა. ქალმაც გარეკა ცხენი, გაუსწრო მანქანას. მიდის ჭენებით და ძახილით: ჰოი!..

ასეთი არაფერი მინახავს: უცებ სერგო მანქანის ბორტზე გადაწვა. ქალი ბეჭებით აიტაცა და გადმოსვა მანქანაზე. უმხედრო ცხენი გაიქცა და ქალი ჩვენთან დარჩა!

შემდეგ ამ ქალს დავუმეგობრდით. ფიცხელაური იყო გვარად.

თბილისში დეიდა ჰყავდა. ვარდისუბის ქუჩაზე ცხოვრობდა. ხინკლებზე გვპატიუბდა ხშირად. დავდიოდით. როცა გათხოვდა, ქორწილშიც დაგვპატიუბა და თან განაცხადა - ჩემს ქორწილში თამადა უნდა იყოს სერგო ზაქარიაძეო. სერგომ კატეგორიული უარი თქვა, ღვინოს არ ვსვამო.

- თუ თქვენ არ იქნებით თამადა, მაშინ, ჩავშლი ქორწილს!..

ამ სიტყვების მერე რა უნდა ექნა სერგოს, დადგა თამადად. ყველა დაგვათრო, თვითონ კი ისე იყო, თითქოს ერთი ჭიქაც არ დაულევია.

ერთხელ, ღამის ორ საათზე მოვედი სახლში და კარებში დამხვდა წერილი: „რა დროც არ უნდა იყოს, გელოდები ჩემთან სახლში. სერგო“. ვიფიქრე, რაღაც უბედურება მოხდა. იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ დასალევად მეძახის. თურმე, სხვის სახლში იხდიდა შვილის, გუგას ქორწილს.

**1971 წლის აპრილი იყო, როცა საავადმყოფოში მივედი სერგოსთან, გარეთ დამხვდა. ვკითხე როგორ იყო. არა მიშავსო, რაღაც წამალი გამომიგზავნა მოსკოვიდან კაპიტონოვმა (საკავშირო ცეკას მდივანი - რედ.) და ვნახოთო. ვერ იყო გუნებზე.**

დილის ექვს საათზე ვიღაც მირეკავს, სერგო აღარ გვყავსო... ეს იყო დიდი ტრაგედია. მუხლს ვიყრი ბატონი სერგოს ხსოვნის ნინაშე!..

საქართველოს ხელოვნებისა  
და ლიტერატურის დეკადა

## მონაწილეთა დღიურები



სპექტაკლიდან  
„მოკვეთილი“ – ბახა

### იაკობ ჭრიაოლსაი:

წინააღმდეგობა პირადულ ვნებათაღელვასა და სამშობლოს სიყვარულს შორის, შერცხვენილი ვაჟკაცობის სიმწვავე, შურისძიების სურვილი არღვევს ბახას სულს და მას სამშობლოს მოღალატედ აქცევს.

ასეთი თავისებური ხასიათის სცენაზე განხორციელება მსახიობისგან დიდ ოსტატობას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ეს პასუხისმგებლობა მე დამეკისრა.

მოსკოველმა მაყურებელმა უკვე ნახა „მოკვეთილი“. ეს თავისებური, უაღრესად ეროვნული და კოლორიტული სპექტაკლი.

დამდგმელი კოლექტივის საერთო მონდომებამ კარგი შედეგი

გამოიღო. ჩონთას, ხეთისოს, ჯავარას, ბახას, გულსუნდას და სხვა ამაყი მთიელი გმირების განცდები კარგად გაიგო და მიიღო მოსკოველმა მაყურებელმა.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად სპექტაკლის საერთო გააზრებას, დადგმის ორიგინალურ გადაწყვეტას, რაც რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის დამსახურებაა, რომელმაც სტილის მთლიანობითა და დახვეწილობით შესანიშნავი განწყობა შეგვიერნა სპექტაკლის იდეისა და გმირთა ხასიათების გასახსნელად.


„ახალგაზრდა კომუნისტი“. 1958 წელი

იხსნება ფარდა და ოქვენ წინ საუცხოო  
თეატრალური სანახაობა გადაიშლება, რომელიც  
ისე გიზიდავთ, გხიბლავთ, გიპყრობთ, რომ  
სპექტაკლის დამთავრებამდე ოქვენი გულისყური  
სცენაზეა მიჯაჭვული.

პიესის ცენტრალური ფიგურა ბახაა, თემის  
საუკუნეობრივი ადათის გამტეხი, სამშობლოს  
უნებური მოღალატე, მოკვეთილი და განდევნილი.

გამოჩენდება მეტოქის მიერ დამარცხებული,  
შეურაცხყოფილი და განადგურებული ბახა  
(იაკობ ტრიპოლსკი), რომელიც ძლიერმა  
ადამიანურმა ვნებებმა, პირადი შეურაცხყოფისა  
და შერისძიების დაუკაველმა გრძნობებმა  
სამშობლოს მოღალატედ აქცია.

როგორი განადგურებული და მიწასთან  
გასწორებულია იაკობ ტრიპოლსკის ბახა  
წყევლის და მოკვეთის სცენაში! მძაფრი  
სულიერი დრამატიზმით ისმენს განაჩენს. ღრმა  
სიმართლით აქვს გახსნილი მსახიობს ბახას  
ტკივილი. ან რა სიხარულს გამოხატავს მსახიობის  
თვალები, მშობლიურ სალაშქრო დროშას რომ  
დაიხსნის, იაკობ ტრიპოლსკის ბახა წარუშლელ  
შთაბეჭდილებას ტოვებს...



# მსახიობის ახალი როლი

კინოსტუდია „მოსფილმში“ შემოქმედებითი გაერთიანება „ვრემია“ ამთავრებს ახალ ორსერიან ფერად მხატვრულ ფილმს „მიზნის არჩევა“. მას იღებს ცნობილი კინორეჟისორი იგორ ტალანტინი.

სტალინის როლს ასრულებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი. მოსკოვიდან დაპრუნების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა იაკობ ტრიპოლსკის.

**— როგორ მოხდა თქვენი შერჩევა ამ როლში?**

— უნდა გითხრათ, რომ ადრე არც სცენაზე, არც კინოში არა-სოდეს შემისრულებია ეს როლი. მოსკოველ კოლეგებს ვუნახივარ „ქალის ტვირთში“ და რაღაც „მსგავსება“ შეუნიშნავთ. სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ სასინჯ გადალებებზე მიმიწვიეს.

სულ ამ როლში გასინჯეს ოცა-მდე მსახიობი და პირველი ტუ-რის შემდეგ ხუთნიღა დავრჩით.

საბოლოოდ გადამლებმა ჯგუფმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა.

**— რას მოგვითხრობს ფილმი?**

— ნიჭიერი რეჟისორის იგორ ტალანტინის ახალი ფილმი მოიცავს 1941-1946 წლების პერიოდს. მოგვითხრობს თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერების მუშაობაზე ატომური იარაღის შექმნისთვის. მაყურებელი ფილმში ნახავს აკადემიკოსებს — კურჩატოვს, იოფე-სა და სსვებს. ფილმში კურჩატოვის როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სერგეი ბონდარჩუკი, არმიის გენერლის, უკუკოის როლში ვიხილავთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს მიხეილ ულიანოვსა და სხვა ცნობილ მსახიობებს.

**— როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?**

— მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, შინ დამხვდა დეპეშა კიევიდან, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რეჟისორი ტიმოფეი ლევჩუკი. იგი კიევის დოკუმენტს სახელობის



კინოფილმიდან „მიზნის არჩევა“,  
სერგეი ბონდარჩუკსა და გიორგი ჟენოვთან ერთად





იაკობ ტრიპოლსკი  
სტალინის როლში



კინოფილმიდან „მიზნის არჩევა“,  
სტალინი – იაკობ ტრიპოლსკი,  
მარშალი შუკოვი – მიხეილ ულიანოვი

კინოსტუდიაში იღებს მხატვრულ  
ფილმს „სიმამაცის კილომეტრები“  
და სტალინის როლის შემსრულე-  
ბლად მიმიწვია. ფილმი ეძღვნება  
საბჭოთა პარტიზანების გმირობას  
უკრაინის მინა-წყალზე ლეგენდ-

არული სერგეი კოვაკის მეთაუ-  
რობით.

ერთი სიტყვით, სამუშაო ძნელი  
და საბატიოა. განსაკუთრებული  
მღელვარებით ველი მაყურებლის  
მსჯავრს.


1974 წელი  
გაზეთი „ობილისი“.



კადრი კინოფილმიდან  
„ქალის ტვირთი“

# როცა თეატრი ახალგაზრდებით ივსება

იახობ ჭიათუაშვილი



ყველაზე ლამაზი მოგონებანი ადამიანისთვის დაკავშირებულია ახალგაზრდობის წლებთან.

დღეს რესპუბლიკის წამყვან აკადემიურ თეატრებში არცთუ დიდია ახალგაზრდობის რიცხვი. საჭირო და აუცილებელი კი გახლავთ, რომ ახალგაზრდული ასაკის მსახიობები უფრო მეტნი იყვნენ თეატრებში.

როგორც სტუდენტური თეატრების არაერთხელ ჩატარებულმა ფესტივალებმა დაგვანახვა, სტუდენტური სპექტაკლები უკვე მაღალ პროფესიულ დონეს გვიჩვენებენ. ახალგაზრდობა განიმსჭვალა თეატრისადმი დიდი სიყვარულითა და მოწინებით. რატომ ვათამაშოთ 30 წლის, ზოგჯერ 40

წლის მსახიობებსაც კი 18 წლის ქალიშვილის როლი, როცა შეიძლება ასეთი ახალგაზრდები გვყავდეს თეატრში.

თეატრს საკუთარ სტუდიაში მუშაობის საშუალება რომ ჰქონდეს, მგონი, ეს საკითხი იოლად მოგვარდებოდა – ნიჭიერებს დასში ჩარიცხავდა. ახლა კი, სანამ ახალგაზრდა ინსტიტუტში მოხვდება, სანამ დაამთავრებს, სანამ სამსახურში მიიღებენ, გადის წლები და სამწუხაროდ, ზოგჯერ ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედიც იკარგება.

თბილისის უნივერსიტეტის თეატრისმოყვარე ახალგაზრდობასთან შეხვედრამ დიდი სიხარული მომანიჭა. აქ უყვართ თეატრი,



კადრი კინოფილმიდან  
„ქალის ტვირთი“  
ლია ელიავასთან

აშკარაა მათი თაყვანისცემა თეატრალური ხელოვნებისადმი. სიხარულზე მეტია, როცა თვალნათლივ ხდები იმისი მოწმე, თუ როგორი ახალგაზრდობა მოდის თეატრში, ელტვის ხელოვნებას და რაც მთავარია, ქმნის. ეს კი, მოგეხსენებათ, გარკვეულწილად, ხელს უწყობს შინაგანი კულტურის დახვენას, გაკეთილშობილებას.

უნივერსიტეტის სტუდენტურ თეატრში თანამშრომლობის სურვილი ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ გამოიტქა. გაოცებული ვარ, თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული გოგო-ბიჭი რამდენი ყოფილა ამ დალოცვილ სასწავლებელში! მათთან მუშაობამ ჩემი თაობის ახალგაზრდობა გამახსენა: გაბედულება, შემოქმედებითი პროლისა და ახლის სურვილი, რამაც ჩვენ, უფროს თაობას, ამდენი ბედნიერი წუთი განვითარდევინა, უნივერსიტეტელებსაც ამასვე მოამკევინებს.

პირველად ბოიაჯიევის „დუელის“ დადგმა გადავწყვიტეთ. პირსა რომ წავიკითხეთ, თითქმის იმავე წუთიდან დაიწყო რეპეტიციები, ისე სწრაფად აუღეს ალლო ნაწარმოებს, იმიტაციის ისეთი უნარი გამოავლინეს, რომ მართალი გითხრათ, დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ განმიცდია.

ნიჭიერი ხალხია, სასიამოვნო, საყვარელი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ყველა, ვინც კი თეატრში თანამშრომლობის სურვილი გამოიტქა, კვლავ ვათამაშო ახალ სპექტაკლში.

ჩემი უნივერსიტეტისაგან მე უფრო მეტად ვარ დავალებული.

ინგლისური ენის ფაკულტეტი დავამთავრე. მარჯანიშვილის თეატრში კი კულისებიდან დაიწყო ჩემი თეატრალური მოღვაწეობა.

მე და ჩვენი სასიქადულო მსახიობი მედეა ჯაფარიძე, რომელიც ასევე უნივერსიტეტიდან მოვიდა თეატრში, ხშირად ვიგონებთ სტუდენტობის წლებს, უნივერსიტეტს, ვცდილობთ, რითიც შეგვიძლია, დავეხმაროთ უნივერსიტეტის სტუდენტობას.

დღესაც ისეთი გრძნობით გამოვდივარ სცენაზე, როგორც მაშინ, პირველ წლებში და ყველას, რა პროფესიის ადამიანიც უნდა იყოს, ვეტყვი, რომ მხოლოდ შრომას, განუწყვეტელს და დააბულს, მოაქს ჭეშმარიტი შემოქმედებითი სიხარული.

მცირერიცხოვან მაყურებელთან თამაში უფრო დიდ სიამოვნებას მგვრის. საერთოდ, მაყურებელი ყველანაირი მიყვარს. მიხარია, როცა თეატრი ახალგაზრდობით ივეხება.

ჩაინერა  
მარადი ანასაშვილმა



კადრი კინოფილმიდან  
„ქალის ტვირთი“

# ნუთუ გათავდა...

ჩემო ეროსი, რა მძიმე დავალება დამაკისრა თეატრმა: სპექტაკლის დასასრულს უნდა მეუწყებინა მაყურებლისთვის, რომ შენ აღარ ხარ... არ მახსოვს, როგორ გამოვაცხადე შენი დაკარგვა, მაგრამ... ის კი მახსოვს, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ქვითინებდა... მე კი ჩემ თავს ჩურჩულით ვეკითხებოდი: ნუთუ, მართლა აღარ გვყავს ეროსი, ნუთუ, გათავდა მეგობრის სიცოცხლე?..

არა! ჭეშმარიტი მამულიშვილი არასოდეს კვდება, განაგრძობს სიცოცხლეს უკუნითი უკუნისამდე.

აყვავდება ნუში, ვაზი დაინტებს ყვავილობას და ვაზში ქართული ჩუქურთმასავით ჩაიქსოვება შენი სახელი და კაცობა.

„ერო ქართველო! გამრავლდით! გამრავლდით!“ – ეროსის გმირის ხავერდოვანი ხმა ზღაპრულ, ტალღასავით გადაივლის ჩვენს ქვეყანას და ეს იქნება მისი სიცოცხლის დასტურიც...

ხალხთა მეგობრობა და სიყვარული სულ უფრო და უფრო გაღრმავდება, გაასკეცდება და აქაც, მეორე სიცოცხლით წარმოსდგება ეროსი – ზიმზიმოვი.

იქნებ რომელიმე ჩვენგანს გაუჭირდეს, „ქვევრში“ გამოიკეტოს,



მრჩევლად და საშველად ეროსის გაუწვდის ხელს, მის გახსენებაზე თბილი და რაღაც ტკბილი მღელვარება ჩაეღვრება სხეულში და ეროსის კეთილი იუმორი სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს გაჭირვებაში ჩავარდნილს...


სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ბედნიერებისთვის ბრძოლა. ზოგჯერ იმქვეყნად წასული, აქ დატოვებული თავისი საქმიანობით უკეთ აკეთებს ამას...

დიახ და ჭეშმარიტად, ეს არის ადამიანის მეორე და უკვდავი სიცოცხლე.

ჩვენო მეგობარო და კარგო ხელოვანო! ამქვეყნად, მართალია, ცოტა იცოცხლე, მაგრამ ბევრი გააკეთე.

ნეტავ, ყოველმა ჩვენგანმა მოიპოვოს ის სიყვარული, რა სიყვარულითაც გაგაცილა დიდ გზაზე შენმა საყვარელმა ერმა.

**იაური ჭირიძესი**



ლელთ ღუნია  
სპექტაკლში „ასი წლის წინ...“

„**ქართველი**  
კურსი,  
**გვარი**  
**ქართველი**

„მიგიხდი, ჩემო მოხევევ,  
რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი.  
„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ –  
სთქვი შენ და მე გავიგონე...“

# ქართველი კაცი, გვარად ტრიპოლსკი

**ართი მახასისებრი**



პოლონეთიდან ფეხით იარა პა-  
პამისმა. ბუნებით პილიგრიმი იყო  
და საუკეთესო ადგილს ეძებდა  
ფუძის დასადებად. ბევრი იარა თუ  
ცოტა იარა, კავკასიონი გადმოი-  
არა და იქ დაუშვა ღუზა, სადაც  
თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვის  
– ფასანაურში.

წლები სწრაფად გაფრინდა და  
ახლა შვილიშვილს ეპატარავა იქაუ-  
რობა – ფრთების გაშლა მოუნდა.  
რაკი გაფრენა ჯერ არ შეეძლო,  
დაადო თავი და მანაც ფეხით იარა  
თბილისამდე – იარა, იარა და უნი-  
ვერსიტეტის კარს მიუკაუნა...

სულ მალე, ინგლისური ენის  
ფაკულტეტის სტუდენტთა სია-  
ში ახალი და საკმაოდ უჩვეულო  
გვარი გაჩნდა ბიბლიური სახელით  
– იაკობ ტრიპოლსკი. პოლონური  
წარმოშობის ქართველი გლეხი-  
ბიჭი, მამით ტრიპოლსკი, დედით  
ნიკლაური. ირინე ერქვა დედამისს.

შემდეგ, როცა თეატრის სცენაზე  
გამოჩენდა, ერთხანს ირინაშვილის  
ფსევდონიმით გამოდიოდა. სულ  
მალე, თავადვე უარყო „ფსევდოო-  
მობანას“ თამაში, მამისეულ გვარს  
დაუპრუნდა და იაკობ ტრიპოლ-  
სკის სახელით შევიდა ქართული  
თეატრის ისტორიაში.

პოეზია უყვარდა და ლექ-  
სის კითხვა. ხშირად, შოთა ნიშ-  
ნიანიძის „ფუტკარს“ კითხულობდა  
სცენაზე, სუფრასთან, მანქანაში,  
მეგობართა წრეში და ასე გასინ-  
ჯეთ, თავისთვისაც ჩაიბუნებდა:  
„იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს  
თაფლი მისცე და ღმერთს – სან-  
თელი“. რუსთაველსაც კითხულობ-  
და, ვაჟას, გალაკტიონს, მაგრამ  
„ფუტკარს“ უფრო ხშირად. არც  
გასაკვირია, რადგან მთელი თა-  
ვისი არსებით თავად იყო მოფუს-  
ფუსე, მოუსვენარი და დაუდალა-  
ვი ფუტკარი. მთელი სიცოცხლე

წელზე ფეხს იდგამდა, რათა ოჯახს არაფერი დაკლებოდა, სოსო და ირაკლი ვაჟკაცებად გაეზარდა. 40 წელზე მეტი გაატარა კინოსტუდის პანია, მთლად თამბაქოს ბოლითა და ნიკოტინით გატენილ ოთახში, გამოუსვლელად, დილი-დან საღამომდე, ხშირად ღამითაც საუკეთესო უცხოურ ფილმებს აქართულებდა, თარგმნიდა, ახ-მოვანებდა. ვინც ერთხელ მაინც, სულ მცირე ხნით შესულა ამ ოთახში, კარგად იცის, შრომა კი არა, წამებაა, გაზის საკანში გაგუდვაზე არანაკლები. სიგარეტს ხომ პირი-დან არ იცილებდა. მარჯვენა ხელის შუა და საჩვენებელი თითები ერთთავად გადაყითლებულ-გა-დაყავისფრებული ჰქონდა.

ლამაზი სიყვარულიც იცოდა. საუკეთესო გოგონა აირჩია ცხოვ-რების მეგზურად.

იშვიათად თუ ვინმეს ყვარე-ბია საქართველო და ქართველობა ისე, როგორც მას. სულ ქართული პიესების დადგმას მოითხოვდა თეატრში. დღენიადაგ დაულალა-ვად ამტკიცებდა, რომ ქართულ სცენაზე ჭეშმარიტი გამარჯვება მხოლოდ ქართულმა პიესამ შეიძლება მოგვიტანოსო. ზოგჯერ არ ვეთანხმებდით, მსოფლიო კლასიკურ დრამატურგიას ვიშ-ველიებდით, მაგრამ ვერაფერს ვუმტკიცებდით. ჯიუტად და კატ-ეგორიულად, მხოლოდ ყველაფერს ქართულს აღიარებდა კაცი, გვარად ტრიპოლსკი.


თუ მსახიობთა ფოიეში სიჩუმე იყო და მხოლოდ ერთი კაცის ხმა ისმოდა, შეუცდომლად შეგეძლო

გეთქვა, რომ იქ იაშა რაღაცას ყვებოდა. უბადლო მთხოვობელი და საუცხოო მოქართულე იყო. ან სულგანაბული უსმენდა ყველა, ან ყველა სიცილით იხოცებოდა. იუ-მორი ხომ მისი ადამიანური ბუნებ-ის ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება გახლდათ. გაბრაზებაც იცოდა, ვერ იტანდა „ხალტურას“ სცენაზე. არც თვითონ დაუშვებდა რაიმე ამდაგვარს და არც სხვას მისცემდა უფლებას.

მაგონდება, ერთი სპექტაკლით „დავდიოდით“ საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეში. იაშა გვიან უნდა გამოსულიყო სცენაზე და როცა სპექტაკლს ვიწყებდით, სასტუმ-როში ისვენებდა, ყოველდღიურად ღამისეული ბანკეტებით გადაღ-ლილი. მართალია, სმას ყოველთვის

ერიდებოდა: „არ შემიძლია, ძმე-ბო, სმა ყველას გასუქებთ, მე კი პირიქით, ვხდები, ყოველ პურმა-რილში ორ-სამ კილოგრამს ვკარ-გავ“.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მართლაც ასე იყო და თავად განსა-ჯეთ, ოცდაათდღიანი გადაბმული, ყოველდღიური ბანკეტების შემდეგ რაღა დაგვრჩებოდა მისგან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დალევ თუ არა, როცა პურმარილები დილამდე გრძელდებოდა და უძილო ღამე ღამეს მისდევდა. სპექტაკლზე რომ მოვიდოდა, უკვე შუანელს გადაცი-ლებულები ვიყავით. პირველი, რა-საც პირთან მიტანილ თითებში სიგარეტის ნამწვავგაჩრილი იაშა იკითხავდა, კოტემ მონოლოგი თუ წაიკითხაო. იყო ერთი საკმაოდ გრძელი მონოლოგი, რომელსაც



## სცენა სპექტაკლიდან „მე ვხედავ მზეს“

ხანდახან მეც იღაუგანწყვეტილი გადავახტებოდი ხოლმე, მეგობრების და ჩემდა სასიხარულოდ. და თუ იმ დღეს ის ავბედითი მონოლოგი გამოტოვებული მქონდა, ვაი, თქვენს კოტეს, მაშინ სცენაზე გამოსვლისთანავე თვალებს ისე გადამიძრიალებდა, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი...

საოცრად უყარდა ხალხს. არც კი მაგონდება, იყო თუ არა შემთხვევა, რომ ტაშით არ შეგებებოდა მაყურებელი.

არჩევულებრივი მეოჯახე და ამავე დროს დაუღალავი საზოგადო მოღვაწე იყო. ყველას ხელს უმართავდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს.

და ბოლოს, მახსოვრობა, ანუ მეხსიერება. არც კი მეგულება მეორე ქართველი მსახიობი, არც წინა, არც მის მომდევნო და არც მომავალ თაობაში, რომელსაც შე-

ეძლო ასე სწრაფად, როგორც იტყვიან, თვალის ერთი გადავლებით შეეთვისებინა ტექსტი და უმაღვე გამოსულიყო სცენაზე. თუმცა, ვინც იაშაზე რამეს დაწერს, ამას უპირველესად გაუსვამს ხაზს და ამიტომ თავს არ შეგანწყენთ, ვიტყვი მხოლოდ, არ ვიცი, რომელი სიტყვა უფრო შეეფერება ამგვარ მახსოვრობას – ფენომენური თუ ფანტასტიკური, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ტვინის უჯრედების ამგვარი წყობა და ასეთი მკვირცხლი აზროვნება არასოდეს შემსვედრია.

ერთხელ თბილისს პოლონელი რეჟისორები და მსახიობები ეწვივნენ და ჩვენს „დონ-კარლოსს“ დაესწრნენ. ორი მათგანი ჩემი დიდი ხნის მეგობარი იყო და სპექტაკლის შემდეგ იქვე, სახელდახელო ვახშამი გავუმართე, ცხადია, ამ ვახშამზე იაშაც დავპატიჟე. ის ფილიპე მეორეს თამაშობდა, მე –

მარკიზ დე პოზას. იაშა, უმთავრესად ჩუმად იჯდა სუფრასთან, ვუსაყვედურე კიდეც, საგანგებოდ დავპატიჟე „შენიანები“, ჩვენი პოლონელი ტრიპოლსკიც გავაცანი და შენ კი სდუმხარ-მეთქი.

ვგრძნობდი, რაღაც სწყინდა, მაგრამ რა? ბოლოს, ერთ-ერთი პოლონელი იაშას მიუბრუნდა და უთხრა:

— საქართველო საოცრად მომნის, არაჩვეულებრივი ხალხი, უნიჭიერესი მსახიობები, მაგრამ პოლონეთში ცხოვრებას მიჩვეულს აქ მაინც გამიჭირდებოდა. როგორ აღმოჩნდა თქვენი ოჯახი საქართველოში? არ გაგიძნელდათ უსამშობლოდ ცხოვრება?

იაშამ დინჯად ასწია თავი, თამბაქოს ფერფლი დაბერტყა, ჩაახველა და მიუგო: არა, არ გაგვჭირვებია. საოცარია, აი, თქვენ თბილისს ეწვიეთ, ჩვენს თეატრში მობრძანდით, ნახეთ ჩვენი სპექტაკლი, პროგრამა წაიკითხეთ, გითხრეს, რომ ერთ-ერთ მთავარ როლს პოლონელი კაცი თამაშობს, გვარად ტრიპოლსკი.

ეს გვარი ხომ გავრცელებულია პოლონეთში და სურვილიც კი არ გაგიჩნდათ, შემოსულიყავით ჩემთან, გამცნობოდით, გენახეთ, გამსაუბრებოდით, გეკითხათ მაინც, დალოცვილებო, ვინა ვარ და სადაური.

კოტეს რომ არ დავეპატიჟე, ალბათ, ისე წახვიდოდით, ხელსაც არ ჩამომართომევდით, არც დამელაპარაკებოდით.

აი, მე კი, ამ შემთხვევაში უკვე ქართველი კაცი, მსოფლიოს რომელ

კუთხეშიც, გნებავთ, ვთქვათ ინგლისში, ან თუნდაც პოლონეთში რომ მოვხვედრილიყავი და გამეგო, რომ იქ ქართველი მსახიობი ცხოვრობს, რა გული გამიძლებდა, მინა არ გადამებრუნებინა, ქვესკნელშიაც კი მომექებინა, არ ჩავხვეოდი, არ გადამეკოცნა...

იაშა წამით შეჩერდა. თავ-ჩალუნულები ისხდნენ სტუმრები.

— ამიტომ დაიდო ბინა საქართველოში პაპაჩემმა. ტრიპოლსკებს ეს თვისება გვაკლდა და აქ შევიძინეთ.

ასეთი გახლდათ ქართველი კაცი, გვარად ტრიპოლსკი, კაცს რომ თაფლი მისცა და ლმერთს — სანთელი.

## კოტე შახარაძე:

ეს უნიკალური, არააღამიანური მებსიერების კაცი, რომელსაც

**15 წუთით ადრე ეცყოლნენ,**

**რომ დავუშვათ, დღეს არ**

**მოვიდა უორა შავგულიძე,**

**ერთს გადაავლებდა მის**

**ცექსცს თვალს და პირდაპირ**

**შედიოდა როლუში... გაოცებას**

**იწვევდა, არც მე მაქვს ურიგო**

**მებსიერება, მაგრამ იაშა რაღაც**

**ფენომენალური მოვლენა იყო**

**და ასეთ კაცს ბოლოს წაერთვა**

**მებსიერების უნარი. ჩემთვის**

**ეს უფრო თავზარდამცემი იყო,**

**გილრე თავად მისი**

**გარდაცვალების ფაქტი.**



## გოდერძი ჩოხელი: იაშა ტრიპოლსკი – ჩემი ძია...

დედაჩემი ლელა წიკლაური და ძია იაშა ტრიპოლსკი და-ძმის შვილები იყვნენ. წიკლაურებად იწერებოდნენ, თორემ ისე ხომ ბუბუნაურები ყოფილან. სისხლი მართებდათ ვიღაცის და წიკლაურებს შეჰვარებიან, მათი გვარი მიუღიათ. ხშირად იყვნენ ერთად დედაჩემი და ძია იაშა ბუბუნაურთა დიდ სახლში, რომელიც ბურ-საჭირის ფერდობზე დგას. ახლა

იმ სახლის ერთი კუთხელა დარჩა და მთელი სახლის ანგელოზები, ალბათ, იქ იყრიან თავს. მჯერა, ვისაც ბურსაჭირის ფერდობზე ფეხშიშველს გაუვლია, უკვალოდ არ ჩაივლის. ეს თითქოს ღმერთის ფერდობია. ძია იაშა ობოლი იყო. მაინცდამაინც არც ფეხსაცმელი ექნებოდა, მოუწევდა ფეხშიშველს სიარული, ეგეც არ იყოს, ეგ ფერდობი ისეთი მოქარგულია,

რომც გქონდეს ფეხსაცმელი, მაინც ფეხშეველი ირბენ... ამ ფერ-დობზე ვიწრო, ვიწრო შესასვლელია გუდამაყრის მხრიდან, მერე იძლება ფერდობი, იქიდან გადადის ხევში, ხევსურეთში და ჭიუხებით მთავრდება.

ვიწრო შემოსასვლელიდან, ჩოხის მხრიდან, როგორც გველი, ისე შემოიკლაკნება ხოლმე ნისლი. ნელ-ნელა მიდის ხოლმე მიხვეულ-მოხვეულში გველეშაპივით. დედაჩემი ჰყვებოდა, იაშას მაგრად ეშინოდა მაგ ნისლისო, არ ვიცი, რა ეგონა, დაიძახებდა თურმე – მოდის, მოდისო და დიდ, თხილით მოწნულ გოდორში იმაღებოდა.

ეტყობა, ბუბუნაურები მაგარი ნიჭიერები იყვნენ. ერთი ბიძა მყავდა, ძია იაშას ტოლი იყო, ყველაზე ნიჭიერი ის იყოო, – ძია იაშა ამბობდა. ირაკლი რქმევია. კომუნისტებს სადღაც გაუგზავნიათ, გაციიებულა, ტვინის ანთება დამართნია და მომკვდარა. ძია იაშას იმის დახატული ცხენი ჰქონდა შენახული...

დედაჩემი და ბებო ირინე – იაშას დედა, ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს, თითქოს ბუნებას ელაპარაკებოდნენ და ბუნებაც პასუხობდა მათ. ბებო ირინეს ძმა ჰყოლია – გაგილა. მეჯვარედ იყო და შემთხვევით გასროლილ ტყვიას მოუკლავს. ბებო ირინე მოჰყვა: – ქვრივი ვიყავი, ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი დავკარგე. შევთხოვე გაგილას სულს – რა იქნება, ის ბეჭედი მაპოვნინეო. უცებ გავი-გონე წკრიალიო. გავიხედე გარეთ, ვხედავ, ქათამი რალაცას

აგდებს ნისკარტით, ჩამოვარდება, გაიწერიალებსო... ვნახე – ჩემი ბეჭედი იყო. გაგილას სულმა მაპოვნინაო...

ძია იაშას მამა ფასანაურიდან თბილისისკენ მოდიოდა ველოსიპედით. გაღმა ტყეში ვიღაც თოფიანი კაცი ყოფილა. სულ არაფრის გულისათვის გამოუშვერია თოფი – მოვარტყამ, თუ არ მოვარტყამო და ასე უბრალოდ მოუკლავს. 19 წლისა. დაქვრივდა ბებო ირინე...

ძია იაშა მოსიარულე სიკეთე იყო, იმდენად კეთილი იყო, რომ მამის მკვლელის შვილს, რომელიც ციხეში იჯდა და ჭკუაზე თითქოს ვერ იყო, პატრონობდა. ციხიდან გამოიყვანა. მიჰყავდა ხოლმე შინ, აჭმევდა, ასმევდა, წამლებს ყიდულობდა. ძია იაშას ორივე შვილიც ეგეთია... იმათშიც გაგრძელდა მისი სიკეთე.

ერთხელ ძია იაშა ბურსაჭირში სათევზაოდ ამოვიდა, პატარა ვიყავი. იმ დღეს საშინელი დელგმა დაიწყო, ჩამოიქცა ქვეყანა. ის ნისლიც დაიძრა ძია იაშას შესაშინებლად. ბანიანი სახლი გვქონდა და სახლშიც კი წვიმდა. რა თევზაობა, რის თევზაობა, ისე ადიდდა შავი არაგვი, სულ დაანგრია ყველაფერი. ძია იაშას ჩოხში ჰყავდა მანქანა დატოვებული, იმის იქით სამანქანო გზა აღარ მოდიოდა, ბურსაჭირამდე შვიდი კილომეტრი ფეხით ევლო.

მეორე დღეს ჩამოვაცილეთ ჩოხამდე მე და დედაჩემა. იქ მეორე მდინარე უერთდება შავ არაგვს. ისიც ადიდებულიყო, კალაპოტი შეეცვალა და გადავარდნილა



**ბატონი იაშა ყოველთვის გოდერძი ჩოხელის გვერდით იდგა, ლხინშიც და განსაცდელშიც. ეს ფოტო გოდერძის ქორწილშია გადაღებული. რძალთან – გოდერძის მეუღლე ნინოსთან**

### **ლაშა თაბუკაშვილი:**

**სიცყვა უმწიკვლო მეჩვენება  
ძალიან პათოსურთად,  
მაგრამ ბატონ იაშას  
ძალიან უხდება. მე არ  
მინახავს ამ აღამიანისგან  
ვინჩე შეწუხებული, ერთი  
გაღიზიანებული ადამიანი  
არ მინახავს მის მიმართ.**

სხვა მხარეს. იმდენი თევზი დარჩენილა... პირველად ვნახე მაშინ იმსელა ოქროსწინწკლებიანი კალმახები. ხალხმა ხომ იცოდა, რომ ძია იაშა იყო სათევზაოდ ამოსული, გამოსულიყვნენ, კრეფიდნენ თევზს და ძია იაშას მანქანასთან იდგა კალათების, გოდრების ჯარი, სულ კალმახით სავსე. ძია იაშა უყურებდა გაბადრული სახით ხალხს, რამხელა სიყვარულს ხედავდა!..

**არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, რომ ჩამოდიოდა ფასანაურში, ყველა მასთან გამორბოდა, მისი მოყოლილი ამბავი მთელი სანახაობა იყო. თეატრშიც ასე ელოდებოდნენ თურმე ძია იაშას...**

მე რომ წერა დავიწყე, ძალიან უხაროდა ძია იაშას. ეს თითქოს მეც გადმომედო და რამეს რომ დავწერდი, სულ ვფიქრობდი, ამას რომ ძია იაშა წაიკითხავს, რას იფიქრებს, თუ გაუხარდება-მეთქი.

წერის დროს აღტყინებული ვიყყავი. ძია იაშა ჩემს მოთხოვობებს მხატვრულად კითხულობდა რადიოში. მერე მოინდომა ჩემი მოთხოვობის მიხედვით პიესის გაკეთება. არ დასცალდა...

**არაჩვეულებრივად შეეძლო ფილმის გახმოვანებაზე მუშაობა. თითქმის ყველა გახმოვანებაზე ინვევდნენ კინოსტუდიაში.**

შესასრულებელია ასეთი სამუშაო: ტექსტის ჩაწყობა, ეკრანზე მსახიობი რომ ლაპარაკობს, სულ სხვა სიტყვებს ამბობს. გახმოვანებისას ისეთი სიტყვა უნდა მოძებნო, რომ მსახიობის ტუჩების მოძრაობას დაემთხვეს.



„მე და ირაკლი ტრიპოლსკის რამდენიმე სცენარი ერთად გვაქვს დაწერილი, თავისი სახელი ამომალებინა... ასეთები არიან...“

ამას უნაკლოდ აკეთებდა ძია იაშა. რამდენი ფილმი აქვს ასე გახმოვანებული... ირაკლი კვირიკაძის „ქვევრის“ სიტყვები სულ მისია, ოთარ იოსელიანის „პასტორალისაც“, „გიორგობისთვისაც“... სცენარის თანაავტორადაც კი დაწერა ოთარ იოსელიანმა.

„ბაკურხეველი ხევსური“ რომ გადავიღე, მინდოდა, უხმო ფილმი ყოფილიყო. ძია იაშას დაჟინებულ თხოვნას – აუცილებლად ტექსტი უნდა გაუკეთოო, დავთანხმდი. დაჯდა და მთელი ტექსტი დამინერა „შაო ნინათი“ დაწყებული.

ახლა ვფიქრობ, ტექსტის გარეშე რა უნდა ყოფილიყო „ბაკურხეველი ხევსური“.

მე და ირაკლი ტრიპოლსკისაც

რამდენიმე სცენარი ერთად გვაქვს დაწერილი, ისეა გაკეთებული ის ტექსტები, დღესაც ვერაფერს შეცვლი.

„სამოთხის გვრიტებიც“ ირაკლისთან ერთად გავაკეთე. სცენარის ავტორად გოდერძი ჩოხელი და ირაკლი ტრიპოლსკი დავაწერე. არ ქნა ირაკლიმ... თავისი სახელი ამომალებინა...

ასეთები არიან, კეთილები, დასაყრდენები...

ძია იაშა ძალიან მაკლია, მენატრება... იმისი სიკვდილის შემდეგ დავობლდი თბილისში. მერე ეგეთი სიზმარი ვნახე: ტელეფონით ველაპარაკებოდი ძია იაშას.

იქიდანაც მამშვიდებდა და ბედნიერებას მჩუქნიდა...



# სხვაგვარალ წარმოუდგენელიც კი იქნებოდა...

## თენაზ აჩჩაძე

სევდიანი ფიქრები მეძალება, ასე სათითაოდ, თვალსა და ხელს შუა, ნისლებივით რომ შემომეფანტნენ ჩემი უფროსი თაობის გენიალური თეატრალური მეგობრები, თეატრისა და კინოს პრეინვალე ვარსკვლავები, ვისთან ერთადაც გავატარე ყმაწვილკაცობის უმშვენიერესი წლები – ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია

თაყაიშვილი, მედეა ჯაფარიძე, მარინა თბილელი, ვასო გოძიაშვილი, პერ კობახიძე. უორა შავგულიძე, იაშა ტრიპოლსკი, კოტე მახარაძე, ვახტანგ ნინუა, ზურაბ ლაფერაძე, შოთა გაბელაია, ლადო ცხვარიაშვილი. უზადო ნიჭიერებით დაჯილდოებული მსახიობები ბრძანდებოდნენ და უთუოდ ამ ნიჭიერების ნიადაგზე შემოვიდა და იპოვა თავისი თავი იაკობ ტრიპოლსკიმ ქართული თეატრის სცენაზე. საკმაოდ



გახმაურებულ სპექტაკლებში მო-  
გვიწია ერთად მონაწილეობა.  
დიდი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშ-  
ვილი „მოკვეთილს“ დგამდა. მთა-  
ვარი როლები სერგო ზაქარიაძეს,  
პიერ კობახიძეს, უორა შავგულიძ-  
ეს უნდა ეთამაშათ. ეს ორმოცდაა-  
თიანი წლებია, ის პერიოდი, როცა  
სერგო ზაქარიაძე თეატრიდან ნავ-  
იდა. მსახიობების ახალი შემად-  
გნლობა შეირჩა.

ბატონი არჩილ ჩხარტიშვილი  
ამ დროს თეატრის ხელმძღვანელ-  
იც გახლდათ და ახალგაზრდა  
მსახიობების მიმართ გამორჩეულ  
ყურადღებასა და კეთილგანწყო-  
ბას იჩენდა. იქნებ ამიტომაც ახალ  
შემადგენლობაში როლები იაკობ  
ტრიპოლისის, ოთარ მელვინეთუხ-  
უცესს და მე გაგვინაწილეს.

დიდი, კარგი სპექტაკლი გამოგ-  
ვიდიდა. მერე იყო სპექტაკლი „ხეები

ზეზეურად კვდებიან“. მოხდა ისე,  
რომ მე და იაშამ ამ სპექტაკლ-  
შიც ერთად ვითამაშეთ. როგორც  
სპექტაკლმა, ასევე მსახიობებმა,  
შეფასებაც ჯეროვანი მივიღეთ.  
მნიშვნელოვანი იყო რეჟისორ გიგა  
ლორთქიფანიძის დადგმა – „ღა-  
ლატი“. ვგონებ, ჩვენი მუყაითობის  
გამო, მე და იაშა სპექტაკლში თეა-  
ტრის წამყვან მსახიობებთან ერთად  
დაგვაკავა. ეს იყო ქართული თეა-  
ტრისა და კინოს მართლაც დიდე-  
ბული თანაგარსკვლავედი: აკაკი  
ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო  
გოძიაშვილი, სესილია თაყაიძვილი,  
ალე ომიაძე, მედეა ჯაფარიძე, მა-  
რინა თბილელი, მალხაზ ბებურიშ-  
ვილი, ვის გვერდით მოღვანეობაც  
არა მარტო მე და იაშას, არამედ  
მთელი ჩვენი თაობის მსახიობებს,  
ვეებერთელა პასუხისმგებლობას  
გვანიჭებდა.



სცენა სპექტაკლიდან „ასი წლის წინ...“, თენგიზ არჩვაძესთან ერთად

სპექტაკლში „ერთი ცის ქვეშ“ ვახტანგ ნინუასთან, კოტე მახარაძესთან, ზურაბ ლაფერაძესთან და ლადო ცხვარიაშვილთან ერთად ვთამაშე. ხუთივენი საქართველოს სახალხო არტისტები ვიყავით, მეგობრები, „სახალხო-ელექს“, გვეძახდნენ. იაშა ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ამდენ „სახალხოელს“ რა გაასვენებსო...

კინოში მხოლოდ ერთ ფილმში „ხევისბერ გოჩაში“ მოგვინია ერთად გადაღება. ხმა ჰქონდა გენიალური: მოქნილი, მჭექარე, ხავერდოვანი

და ხიბლიანი. იაშამ ფილმზე მუშაობისას სასწაული მოახდინა და ამ ხმის სავსებით მოულოდნელი, მეამბოხე ტემპრით დაამშვენა თავისი როლი. არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი მომენტი, თვითმყოფადი ადამიანური ნიჭით, მთელ კინოგადამლებ ჯგუფს, როგორც უკეთილშობილესმა პიროვნებამ, ღირსეულად დაამახსოვრა თავი. ეს მისი სისხლ-ხორცეული, გენეტიკური თვისება იყო.

აქვე კიდევ ერთი ეპიზოდი მახსენდება: თბილისიდან ყაზბეგში

მივდიოდით. გზად ფასანაურში შევჩერდით. იაშას აქ, მამაპაპი-სეულ ძველ სახლში დედა ჰყავდა, წიკლაურის ქალი, მშვენიერი პირლიმილიანი ქალბატონი ირინე. როგორც ყოველთვის, ჩვეული გულგახსნილობით შეგვეგბა, რაკი გაიგო, ყაზბეგში მივდიოდით, ამხელა გზაზე მშივრები ხომ არ ივლითო, ვეებერთელა ქვაბით ხინკალი გაგვატანა. ერთი პირობა ვიუარეთ, ყაზბეგში ხინკლით ვის გავაკვირვებთო, მაგრამ ვიცოდით რა მისი ხასიათი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ექნებოდა, მალევე დავნებდით და ქალბატონმა ირინემ, გამარჯვებული სახით, ესეც დასძინა: ყაზბეგში რომ ხინკალს ახვევენ, თერგს გადახერგავს, მაგრამ დედის მოხვეულ ხინკალს სხვა გემო აქვსო. მართალი იყო.

ბევრი თქმულა და დაწერილა იაშას ფენომენური მეხსიერებისა და სასწაულებრივად მდიდარი სიტყვათა მარაგის თაობაზე. ამ თემას ცოტა სხვა კუთხითაც ვუყურებ. ჯერ ერთი ის, რომ სკოლა თავის მშობლიურ სოფელ ფასანაურში წარჩინებით ჰქონდა დამთავრული. მეორე ის, რომ ასეთივე წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტში

სწავლა დასავლეთ-ევროპული ენების სპეციალობით და რაც მთავარია, მთიულეთის მითიური ბუნების წიაღში გაზრდილი კაცისგან რა ან რად უნდა გაგვევირვებოდა.

როცა თეატრიდან გამოთავისუფლებულ დროს ვიპოვიდით მეგობრები, ხშირად ფასანაურში მივდიოდით. სუფრასთან მომლხენი იყო, სადლეგრძელო ჰქონდა სიტყვაკაზმული და უთუოდ ლექსით დამშვენებული. როცა შეთვრებოდა, განსაკუთრებით ერთი ეპიზოდის გახსენება უყვარდა, რომელსაც არასოდეს დაასრულებდა:

„ფასანაურიდან თბილისში პირველად პაპაჩემბა წამომიყვანა. მაშინ გზა დუშეთზე გადმოდიოდა. ურემს ფეხით მოვდევდი. ქალამნები მეცვა...“

ჩვენი ფასანაურული საღამოები გვიანობამდე გრძელდებოდა და გულიდან ამოლილინებული ხმაშენებილი სიმღერებითა და არაგვის ტყბილი მისამღერით, ამაღლებულ განწყობაზე ვაგვირგვინებდით. ეს მისი ცხოვრება იყო.

არადა, წარმოუდგენელიც კი იქნებოდა არაგვის ხეობაში გაზრდილ კაცს სხვაგვარი ცხოვრება აერჩია.



# სცენაზე შემოჰქონდა ქართული სული

## მარა ჯაფარიძე

მე და იაშა ერთ დღეს მოვე-  
დით თეატრში. არც მას ჰქონდა  
თეატრალური ინსტიტუტი დამ-  
თავრებული. უნივერსიტეტში უც-  
ხო ენებზე სწავლობდა. ერეკლე  
ტატიშვილის მონაფე იყო და  
იაშასაც კარგად ესმოდა ამ საო-  
ცარი პიროვნების ფასი.

მე და იაშა თეატრის შტატგა-  
რეშე მსახიობები ვიყავით. მაშინ  
თეატრს შტატგარეშე მსახიო-  
ბის მიღების საშუალება ჰქონდა.  
იქნებ იმიტომაც, რომ ის პიესები,  
რომლებიც იმხანად იდგმებოდა,  
მასობრივ სცენებს მოითხოვდა. ამ  
სცენებში, უმეტესად ახალგაზრდა,

ახალგებდა მსახიობებს აკავებდნენ. რეჟისორს ჰქონდა მათზე დაკვირვებისა და მათი დანახვის საშუალება.

სულ ორიოდე დღის მოსულები ვიყავით თეატრში, სპექტაკლი „მეფე ერეკლე“ გადიოდა. მახსოვს, ერთ-ერთი როლის შემსრულებელი მსახიობი ავად გახდა.

სცენაზე იყვნენ მეფე ერეკლე და პაატა ბატონიშვილი – შალვა ლამბაშიძე. ბატონი შალვა იმ დროს თეატრის ხელმძღვანელიც გახლდათ.

იაშა სცენაზე ისე შემოვარდა, ისეთი აფორისაქებული რიტმი და ღელვა შემოიტანა, მისი თამაში იმდენად ექსპრესიული იყო, პაატა ბატონიშვილს – შალვა ლამბაშიძეს თავისი როლი დაავიწყდა და სათამაშოდ შემზადებულ მონუსხულ კაცს ერთბაშად გაუნათდა და გაებადრა სახე, იაშას შემხედვარე აღტყინუბას ველარ ფარავდა, ისევ თეატრის ხელმძღვანელად იგრძნო თავი. მან იაშას სახით დაინახა, თურა ახალი ძალა შეემატა თეატრს.

მას შემდეგ იაშას მთავარ როლებს აძლევდნენ. ის იყო ნამდვილი მსახიობი, რომელსაც სცენაზე შემოჰქონდა ქართული სული, დიდი ტემპერამენტი და თავისი გასაოცარი, მომხიბვლელი ხმა, რაც ასე სჭირდებოდა თეატრს.

მახსენდება, ოცი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც სცენაზე „რომეო და ჯულიეტა“ აღარ იდგმებოდა, მაგრამ პროფესორი ოთარ ჯინორია მუდამ აღტაცებით ლაპარაკობდა სპექტაკლში ნათამაშებ იაშას ტიპაჟზე.




იაშა იყო მეტად გულთბილი ადამიანი. ის ყველაფერს განიცდიდა, რაც ჩვენს გარშემო, ჩვენს თეატრში ხდებოდა. იყო ასეთი შემთხვევაც, როცა თეატრში მდგომარეობა გართულდა აზრთა დიდი სხვადასხვაობის გამო, მეც ჩემი აზრი გამოვთქვი და თეატრი ჩიხში მოექცა. მაშინ წასვლა დავაპირე. ჩემმა გადაწყვეტილებამ იაშაზე იმდენად იმოქმედა, რომ მშვენიერი წერილი მომწერა, როგორც მეგობარმა და თავისი კეთილშობილური რჩევით გადაწყვეტილება შემაცვლევინა.

და როცა თეატრში შემოვდივარ, ვგრძნობ ამ კედლებს, ამ სცენას თუ როგორ აკლია იაშას ნიჭი და ჩვენ კი – მისი სითბო.

# დიდებული სახელი და კვალი დატოვა

ჩამო თაბუაშვილი



იაკობ ტრიპოლსკისთან, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება მაკავშირებდა. მისთვის იაკობი არასოდეს დამიძახა.

უპირველესად მისი მოწაფე ვიყავი, როცა თვითონ იაშა – იაშა მასწავლებელი თავად იყო თბილისის უნივერსიტეტში პროფესორ ერეკლე ტატიშვილის უსაყვარლესი სტუდენტი. კარგი პედაგოგები მყავდა და ეს ის დრო იყო (დღევანდელ პედაგოგიკას არ შეურაცხვყოფ), როცა საქართველოში პედაგოგიკის ხარისხი ძალიან მაღალი იყო. იაშა ინგლისურ ენას მასწავლიდა და იქიდან მოყოლებული ის ჩემი მეგობარი იყო, ერთადერთი

მასწავლებელი, ვისაც წერილებს ვუწერდი და სოფლიდან ჩემს ახალ ლექსებს ვუგზავნიდი, არდადეგების დროს.

მერე ისე მოხდა, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვში წავიდი. როცა თბილისში დავბრუნდი, იაშა მარჯანიშვილის თეატრის მახიობის ამპლუაში დამხვდა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ არც ამ დღიდან შეწყვეტილა ჩვენი სიახლოვე. ის არ იყო მხოლოდ მსახიობი, რომელსაც პრემიერებზე ვნახულობდი, როგორც მაყურებელი. ბედმა დამანათლა ქართული თეატრის დიდ მსახიობებთან, ვარსკვლავებთან

შემოქმედებითი სიახლოვე და მათ შორის ჩემ საყვარელ ადამიანთან, ბატონ იაშასთან.

24 წლის ბიჭი ვიყავი, როცა მარჯანიშვილის თეატრში ჩემი პირველი პიესა დაიდგა და ორ მთავარ როლს ასრულებდნენ სერგო ზაქარიაძე და იაშა ტრიპოლსკი. ასე რომ, იაშას ვიცნობდი არა მხოლოდ როგორც მსახიობს, არამედ კარგად ვიცნობდი მთელ მის შემოქმედებას და მქონდა ბედნიერება, რომ იმ პროცესებისთვის თვალი მედევნებინა. როგორც თეატრთან და კინოსთან დაკავშირებული კაცი, იაშას მეორე კუთხითაც დავუკავშირდი. ეს უკვე კინემატოგრაფს ეხებოდა. ხშირად ვხედავდი გადასაღებ მოედანზე სხვადასხვა როლების შესრულებისას, ვიყავი მისი შემოქმედებითი წვის მოწმე და ზოგჯერ მონაწილეც იმ პროცესებისა, რომელიც ქართულ კინოში მიმდინარეობდა, ზოგჯერ თანავუგრძნობდი კიდეც, რადგან მას ოჯახის სარჩენად უზარმაზარი ჯაფის დახარჯვა უწევდა ფილმების სადუბლიაჟო საამქროში. იმ სიბნელეში და უპარობაში საათობით უწევდა ყოფნა და სადუბლიაჟოს მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ებლაუჭებოდა მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ექსპლოატაციას უწევდა, რადგან იყო ნამდვილი „სნაიპერი“ – კაცი, რომელსაც ფილმის გახმოვანებისას ერთი წაკითხვით შეეძლო, ტექსტი სინქრონულად მოეხვედრებინა გამოსახულებასთან. ბევრისთვის ცნობილია მისი საოცარი მეხსიერების შესახებ,

მაგრამ ის იყო არაჩვეულებრივი ფილოლოგიც, ლიტერატორიც, წმინდა მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რასაც ეს სამუშაო პროცესი მოითხოვდა მისგან. იყო დიდოსტატი თავისი საქმისა და რასაც აკეთებდა, როგორც ლიტერატორი, იგივეს ელვის სისწრაფით ასრულებდა, როგორც მსახიობი. ის მთლიანად იყო ჩართული ამ მომქანცველ სამუშაოში, თუნდაც იმიტომ, რომ ერჩინა ოჯახი მხოლოდ თავისი შემოქმედებითი ოფლით, მხოლოდ თავისი შემოქმედებითი წვით. დიდებული, ზნეობრივზე ზნეობრივი კაცი იყო, ბევრი ზნეობრივი ადამიანი ვიცი თეატრში, მაგრამ იაშა თავისი სისპეტაკით, გამორჩეული იყო როგორც მეგობარი, როგორც ქართველი პატრიოტი კაცი, თავით ფეხებამდე საქართველოსთვის ჩამწვარი კაცი. ჩემ საქმიანობაშიც მეფე იყო იაშა, უპირველესი კაცი, რომელსაც მუდამ აინტერესებდა ყოველი ეტაპი ჩემს ფილმზე მუშაობისას, ყოველი ნიუანსი, ჩემი წასვლა-ჩამოსვლა უცხოეთიდან, თუ რა ნადავლით ჩამოვედი, რა ჩამოვიტანე და სამომავლოდ რას ვაპირებდი. არ მახსოვს, რომ იაშას ჩემი ფილმების რომელიმე პრემიერა გაეცდინა და მას სიტყვა არ ეთქვა ცრემლიანი...

დიდებული ბიჭი იყო იაშა.

დიდებული ოჯახი დატოვა.

დიდებული სახელი და კვალი დატოვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.



# გასროლა სცენაზე

## ბაზა ზურაბიძე

„გუშინ იაშა იყო ჩვენთან...“ – ასე იწყება სერგო ზაქარიაძის დღიურებში ომისდროინდელი პერიოდის თითქმის ყოველი მესამე დღის ჩანაწერი. მაშინ დამეგობრდნენ ახალგაზრდა მსახიობი, ინგლისური ენის ყოფილი მასწავლებელი იაშა ტრიპოლსკი და მამაჩემი. ჩვენს პატარა ბინაში განცალკევდებოდნენ კუთხეში და საათობით, დაუღალავად საუბრობდნენ ყველაფერზე, რაც თეატრსა და კინოს ესტონდა. თემას რა გამოლევდა, თანაც რამდენიმე სპექტაკლში ერთად უხდებოდათ მონაწილეობა.

ომის მძიმე წლებში, შიმშილისა და სიცივის მიუხედავად, თბილისის თეატრები არ გაჩერებულან, დღე

და ღამე ჰქონდათ გასწორებული. „ხალტურა“ სცენაზე დაუშვებელი იყო. მაყურებელსაც ვერაფერს გამოაპარებდი. სუსტ სპექტაკლს, მიუხედავად თეატრის დიდი სიყვარულისა, ხალხი არ მიიღებდა. მაყურებლის მოთხოვნები იცვლებოდა და მოლოდინი მატულობდა. ომით გადაღლილ ქვეყანაში კი პრობლემებს ბოლო არ უჩანდა.

უჭირდათ თეატრებს. სამუშაო გეგმებთან დაკავშირებით კოტე მარჯანიშვილის თეატრში აზრი გაიყო.

მამაჩემს თავისი მოსაზრებები ჰქონდა, ზოგიერთი არ ეთანხმებოდნენ. დასში სერიოზული კონფლიქტები გაჩნდა.

სერგოს შრომის გასაოცარი უნარი ჰქონდა და ამასთან მკაცრი დისციპლინის მოყვარული იყო. არტისტებისათვის დამახასითებელი ცხოვრების წესი არ იტაცებდა. არ სვამდა. სპექტაკლის წინ ორი-სამი დღე იყო განმარტოებული, ფიქრობდა, ძალას იკრებდა. თვით-განვითარებაზე მუდმივად ზრუნავდა, ბევრს კითხულობდა, უსმენდა მუსიკას, ხვდებოდა მწერლებს, მეცნიერებს და არ ბეზრდებოდა სწავლა. იდეები არ ელეოდა – პროექტებს იგონებდა ნაირ-ნაირს, წერდა, სქემებს ხატავდა.

ომის მიწურულს „ახალგაზრდა გვარდიის“ დადგმა ჩაიფიქრა და საინტერესო გეგმა შეიმუშავა. ეს იდეა გააცნო ახალგაზრდა მსახიობებს, შემოიკრიბა ენთუზიასტები და დიდი ხალისით შეუდგნენ მუშაობას.

წამყვან მსახიობთა ერთი ჯგუფი სერგოს ცხოვრების ინდივიდუალურ წესს უწუნებდა და მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას არ მაღავდა. ამ განწყობამ, სამწუხაროდ, თანდათან დევნის სახე მიიღო და მალე სერგო კოლექტივისათვის შეუფერებელ წევრად გამოაცხადეს.

უკმაყოფილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე მივიდა. ჩატარდა თეატრის კრება პარტიულ მაღალჩინოსანთა მონაწილეობით, რომელზეც სერგოს, როგორც ურჩა ადამიანს, ღიად შეუტიეს. უფროსების ბრალდება მრავალი იყო – „პრეტენზიულია, როლებს არჩევს, სცენაზე განსაკუთრებულ რეკვიზიტს ითხოვს, დაგვიანებას არავის

პატიობს, აღლუმებს აცდენს, მედლებს არ ატარებს, პარტიაში შესვლა არ უნდა და საერთოდ ცალკე დგას. ახლა დადგმაც მოგვინდომა და ახალგაზრდებზე გავლენა აქვს – სურვილი გამოუთქვამთ, „ახალგაზრდა გვარდია“ ზაქარიაძემ გვინდა დაგვიდგასო“, – წერს მამაჩემი თავის დღიურში.

„რას ჩააცივდით ამ ზაქარიაძეს?!“ ვერ გაიგეთ, რომ არ ვაძლევთ დადგმას?! ვერ გაიგეთ, ხელს რომ გვიშლის?! – უყვიროდნენ კრების ინიციატორები ახალგაზრდებს.

იაშა ტრიპოლსკი, რომელიც თეატრის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო, არ შეუშინდა წამყვან მსახიობებთან და ხელისუფლებასთან შეკამათებას და სიტყვით გამოვიდა სერგოს დასაცავად: ჩვენ, ბატონო, იმიტომ გვინდა ზაქარიაძე, რომ ვიცით, მშრომელი კაცია და კარგად იმუშავებს, და თქვენ თუ რამე ანგარიშები გაქვთ მასთან, ჩვენ მაგაში ნუ გაგვხვევთო! ახალგაზრდებმაც მხარი აუბეს და ლია დაპირისპირება რამდენიმე საათს გაგრძელდა.

მეორე დღიდან დაიწყო ცალკე სერგოს და ცალკე მისი მომხრე ახალგაზრდა მსახიობების გამოძახება ცენტრალური კომიტეტის სამმართველოში დაკითხვებზე, თანაც ახალგაზრდებს ცხვირნინ ქალალდს უფრიალებდნენ და ემუქრებოდნენ: ამ საქმეს ჩვენ ასე არ დავტოვებთ. აი, აგრე გვაქვს ზაქარიაძის მხარდამჭერთა სიაო!

იაშამ და ახალგაზრდა მსახიობებმა თავიანთი სიტყვები უკან არ წაიღის.



სერგო  
ზაქარიაძე

დასი ორად გაიყო და ურთიერთობა ყოველდღიურად იძაბებოდა.

ომი დამთავრდა. თეატრი მუშაობას აგრძელებდა. წარმოდგენების უმეტესობა სრული ანშლაგით მიდიოდა. მაყურებელზე განსაკუთრებით დიდ შთაპეჭდილებას ახდენდა ლევან გოთუას პიესის მიხედვით ახალგაზრდა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ, მხატვარ დავით კაკაბაძესთან და კომპოზიტორ არჩილ კერესელიძესთან ერთად დადგმული სპექტაკლი „უძლეველნი“.

დრამა ვითარდება ომის პერიოდში, საპრძოლო ოპერაციის შესასრულებლად ზღვაში გასულ წყალქვეშა ნავზე. სერგო კაპიტნის, მერაბ რატიანის როლს ასრულებდა, იაშა ტრიპოლსკი კი მეორე მთავარ როლს, ლადის – სამხედრო კორესპონდენტს, კაპიტნის ბავშვობის მეგობარს და მისივე პასუხისმგებლობით წყალქვეშა ნავზე მოხვედრილს, რომელსაც არანაირი საპრძოლო გამოცდილება არ გააჩნდა. დედაჩემი, მერი ქორელიც, მონაწილეობდა სპექტაკლში

ერთ-ერთი ოფიცირის როლში. სახი-ფათო ოპერაციის კრიტიკულ მო-მენტში ლადის ნერვები უმტყუნებს და გადაწყვეტს ნავის აფეთქებას თავის ეკიპაჟიანად.

კაპიტანი აფრთხილებს ლადის, ცდილობს შეაჩეროს იარაღის მუ-ქარით, მაგრამ ის არ ემორჩილება და რატიანი იძულებულია, ნაღმის ასაფეთქებლად გაქცეულ მეგო-ბარს ესროლოს. გასროლა ნამდ-ვილი, „პარაბელუმის“ პისტოლეტი-დან ხდებოდა, რომელიც თეატრმა საგანგებოდ შეიძინა სპექტაკლი-სათვის. გასროლის მომენტში ხმის იმიტაციისათვის კულისებში სპე-ციალურად მოწყობილი აგრეგატის დახმარებით ხარაჩოდან მძიმე ფი-ცრებს აგდებდნენ იატაკზე.

სერგოსათვის არ არსებობდა ცნება „როლის დეტალი“. განსა-კუთრებული სერიოზულობით ეკი-დებოდა გრიმს, კოსტიუმსა თუ რეკვიზიტის ყოველგვარ აქსესუ-არს. წარმოდგენის დაწყებამდე ყოველთვის ორი-სამი საათით ად-რე მიდიოდა თეატრში, პედანტუ-რად ამონტებდა და ანესრიგებდა სპექტაკლისათვის საჭირო ყვე-ლა ნივთს. „უძლეველნის“ წარ-მოდგენის დაწყებამდე უსაფრ-თხოების წესების განსაკუთრებული დაცვით უმზადებდნენ საბრძოლო პისტოლეტს, მაგრამ თვითონ მა-ინც გულდასმით ამონტებდა ცარი-ელ იარაღს. ლულას გადახსნიდა, დაათვალიერებდა და ისე გადიოდა სცენაზე.


ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ, სერგო სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მივიდა თეატრში

და მზადებას შეუდგა. მაშინვე შენიშნა, რომ რეკვიზიტში პისტო-ლეტი არ იყო. მოითხოვა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ია-რალის მოტანა დააგვიანეს და უკვე სცენაზე გასვლისას მიაწოდეს. პისტოლეტის შემოწმების დრო, პრაქტიკულად, აღარ რჩებოდა. გამნარდა. არ ვიცი, გულმა უგრ-ძნო, თუ წესრიგიანობამ აიძულა... შეყოვნდა, იარაღი ძირს დაუშვა, პისტოლეტს თითო გამოჰკრა და ...პისტოლეტმა გაისროლა! „პარა-ბელუმი“ საბრძოლო ტყვიებით აღ-მოჩნდა დატენილი. რაღაც ძალა დაეხმარა რამდენიმე წამით სიმწ-ვიდე შეენარჩუნებინა. ამოყარა ტყვიები, შედგა ფეხი სცენაზე და გასროლის ეპიზოდი შეუფერხებ-ლად ჩაატარა. მაყურებელი ვერა-ფერს მიხვდა.

ბეწვზე გადარჩნენ. ამ ეპიზოდში კაპიტანი იარაღით ხელში თანდა-თან უახლოვდება ლადის და მიახ-ლოებისას ცდილობს, ლაპარაკით შეაჩეროს. ბოლოს ჩახმახს წევს, გასროლა კი ლამის მიბჯენით ხდე-ბა, ორიოდ ნაბიჯის მანძილზე.

ვილაცამ ორი სატკივარის ერ-თად მოშორება განიზრახა. სერგო ზაქარიაძე ყველას თვალწინ მკვლე-ლობას ჩაიდენდა და პასუხისმგებაში მიეცემოდა, იქ კი ვინ დაინდობდა?! სერგოს ქომაგი და ამ საქმეში ახალ-გაზრდების „წამქეზებელი“ იაშა ტრიპოლსკი კი მამაჩემის ნასროლი ტყვიით სცენაზე დალევდა სულს. მაშინ სერგო 39 წლისა იყო, იაშა კი 27-ის!

ყველა გაშრა. კულისებში შემო-ბრუნებულ, გაოგნებულ მამაჩემს



სანშიშესული კაცი, თეატრის რეკვიზიტის განყოფილების გამგე, მუხლებში ჩაუგარდა: ბატონონ სერგო, გეფიცებით, მე არაფერი ვიცი, პისტოლეტი გაქრა და ბოლო წუთში ისევ თავის ადგილზე აღმოჩნდა. ყველაფერს მე დამაბრალებენ! ოჯახი მყავს, ცოლ-მვილი, შვილიშვილები, ნუ გამიმეტებთ, ნუ დამლუპავთო.

თავზარდაცემული სერგო უცებ მოეგო გონს. რეაგირებას უთუოდ უდანაშაულო ადამიანი შეეწირებოდა, დამნაშავის ვინაობა კი სამუდამოდ ამოუცნობი დარჩებოდა. ყველამ დუმილი არჩია.

ამ ამბის შესახებ სერგოს დღიურში ჩანაწერი არ არსებობს. ეს ისტორია მხოლოდ უშუალო

მოწმეებისა და მათი ახლობლების წრეში დარჩა. მამაჩემს არავისზე ეჭვი არ გამოუთქვამს, მაშინაც კი, როდესაც ერთი წლის შემდეგ, 1947 წლის 17 ივნისს, შუალამეს, ტექ-რეჟისორი შეხვდა ქუჩაში და უთხრა, დღეს სალამოს თეატრიდან მოგხსნეს. მოხსნეს ისე, რომ თვითონ კრებას არ ესწრებოდა!

ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერდა ცკ-ის ხელოვნების საქმე-თა სამმართველოს უფროსი, განთავისუფლების მიზეზად თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა იყო დასახელებული, ხოლო საფუძვლად ორად-ორი სიტყვა – გამოკვლევის მასალები!

რეპრესირებულ სერგოს მხოლოდ ახლო მეგობრები სტუმრობდნენ, მამაჩემთან ლიად მეგობრობას არც იაშა ერიდებოდა. მართალია, ამის გამო ახალგაზრდა კაცს ბევრი ხიფათი შეხვდა: „რაც თეატრში პრობლემაა, სულ იმის ბრალია, ზოგიერთებთან სტუმრად რომ დაპრძანდებიან ტრიპოლსკები და ვილაცეებიო...“ – ასეთი განცხადებაც გაკეთდა ზემოთ. თუმცა, ამ არაკეთილგანწყობილ გარემოშიც კი, იაშას არ უცდია თავისი შესაძლო მკვლელის ძიება.

არც იმ უმძიმეს პერიოდში და არც შემდგომში, როდესაც რეაბილიტირებული მამაჩემი თეატრში დაბრუნდა, ვიღაცის მიერ გულგრილად სასიკვდილოდ განწირულმა ორმა მეგობარმა არ იკადრა მტკიცებულების გარეშე ვინმეს დადანაშაულება.

ჩაიწერა ნინო ზაფარიშვილი



კინოფილმიდან  
„ქეთო და კოტე“

# მთიდან ქალამნებით ჩამოსული

## კაცი

ცხრილი



ელენე ყიფშიძე და იაკობ ტრიპოლსკი

უნივერსიტეტის სტუდენტურ თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა ინგლისურ ენაზე დადგა სპექტაკლი „პატარა კაცი“. ამ პიესაში ჩემი დაც იყო დაკავებული. სპექტაკლზე მან წამიყვანა და საშუალებაც მომეცა, სცენაზე მენახა იაკობ ტრიპოლსკი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა. იაშა ჩემმა დამ გამაცნო – აი, ეს არის მთიდან ქალამნებით ჩამოსული კაცი, გვარად ტრიპოლსკიონ და ამ შემთხვევას მერეც ხშირად იხსენებდა იაშა, როცა ჩვენს სკოლაში ინგლისური ენის პრაქტიკანტ მასწავლებლად მოიყვანეს. მაშინ მეცხრე კლასში ვსწავლობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. ვასო ყუშიტაშვილმა იაშა, როგორც მსახიობის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, მარჯანიშვილის თეატრში

წაიყვანა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მეც მარჯანიშვილის თეატრში მივედი და უნებლიერ გავხდი იაშას პარტნიორი. ჩვენი პირველი სპექტაკლი უილიამ შექსპირის „მეთორმეტე ლამე“ იყო. იაშა მანვოლიოს თამაშობდა, ბრწყინვალე, სახასიათო როლი შექმნა. მეორე სპექტაკლი იყო ესპანური კომედია „ცოცხალი პორტრეტი“, რომელიც გიგა ლორთქიფანიძემ დადგა. შემდეგ იყო „შავთვალა გოგონა“, სადაც იაშა მამაკაცის, მე კი ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლებად დაგვასახელეს და პრიზები მივიღეთ. იაშასთან ურთიერთობის ბევრი ბედნიერი წუთი მახსოვს, მაგრამ სპექტაკლი „მაია წყნეთელი“ იყო გვირგვინი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ამ სპექტაკლის გმირების ცხოვრებით ვცხოვრობდით.



„დონ კარლოსი“: ტარიელ საყვარელიძე, ელენე ყიფშიძე და იაკობ ტრიპოლსკი

ვახტანგ ტაბლიაშვილმა ერთ ზაფხულს, როცა თეატრი გასტროლებზე იმყოფებოდა, ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი“ დადგა. მაშინ მე მასობრივ სცენებში დამაკავეს. იაშამ გელას როლი ითამაშა. ჯერ კიდევ რეპეტიციების დროს პირდაღებულები ვუყურებდით მსახიობის თამაშს, გაოცებულები ვიყავით...

იაშას ჰქონდა თავისი ბუნებრივი დიალექტი და ბუნებრივი ხმა, ეს იყო განსაცვიფრებელი. კულისებიდან ვადევნებდით თვალს იაშას ნათამაშებ გელას, გათანგულსა და განადგურებულს, გვაურულებდა, რადგან ზღვარი იაშასა და გელას შორის აღარ არსებობდა, ეს იყო იაშას ენა.

იაშას მიერ შექმნილ ამ როლზე, კარგმა თეატრმცოდნებმ, კარგი დისერტაცია შეიძლება დაიცვას.

იაშას სამსახიობო სკოლა არ ჰქონდა გავლილი, მაგრამ ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა. იაშას ჰქონდა დამთავრებული ცოცხალი სკოლა-აკადემია და ეს იყო ჩვენი თეატრის მსახიობთა თანავარსკვლავედი, ამ თეატრის ოქროს ხანაში მოუწია მოღვაწეობა, სამართლიანად ატარებდა მარჯანიშვილელის სახელს და სამართლიანად დარჩა მარჯანიშვილელად.

მართალი ადამიანი იყო. როგორც ქმარს, როგორც მამას, როგორც ბაბუას, როგორც მეგობარს არასოდეს არავისთან არაფერი შეშლია და ეს ნამდვილად იყო არაჩვეულებრივი.

უშურველი იყო, უხაროდა სხვისი წარმატება და ამაზე კარგი რა შეიძლება ითქვას ადამიანზე, დიდ მსახიობზე, რომელიც ჩვენს შორის აღარ არის...

# მაყურებლის სიყვარული და აღიარება ჰექონდა

ოთახ მელინეთხუსასი



დაიშალა ის თეატრი, რომელიც დამხვდა. როცა ინსტიტუტიდან მივედი, იაშა ტრიპოლსკი უკვე ცნობილი მსახიობი იყო. ბევრ მთავარ როლს ასრულებდა. წინამორბედ დიდ თაობასთან შედარებით უმცროსი იყო, ცხადია, ისინი ახალგაზრდებს ათამაშებდნენ და ჩვენი იაშა თეატრის წამყვანი ძალა გახდა. მაშინ დამწყები მსახიობი ვიყავი, ზევით, ქანდარაზე ავდიოდი და ერთი და იგივე სპექტაკლს ბევრჯერ გაოცებული ვუყურებდი.

მაყურებლის სიყვარული და აღიარება ჰექონდა. ეს განსაკუთრებული კალებში შეინიშნებოდა და

მისი მამაკაცური მომხიბელელობიდანაც მოდიოდა, რადგან გარდა მსახიობური აქტიურობისა, მამაკაცურადაც ძალიან მოსწონდათ.

შესანიშნავი გარეგნობა და სმა ჰექონდა. ბანი ჰექონდა რბილი, მშვენიერი და მოძრაობა – საოცრად მოქნილი.

კარგი მთხობელი იყო. ის რომ რამეს მოყოლას დაიწყებდა, მის გარშემო მთელი თეატრი შეიკრიბებოდა ხოლმე, თვითონვე ჩაკუჭკუჭებულად, ისე გემრიელად იცინოდა, უთუოდ ჩვენც გადაგვედებოდა. როგორც მსახიობი, ემოციური იყო, ლირიზმი ჰექონდა შეუდარებელი.

მისი მეხსიერება ყოველი ჩვენგანისთვის ცნობილი იყო. ფილმების გახმოვანებაზე ხშირად მოქმედრილვარ მასთან და ვიცი, ერთ ფურცელ ტექსტს თვალის ერთი გადავლებით იზეპირებდა და მეორე ცდაზე უკვე სინქრონში წერდა.

ეს, რასაკირველია, მისი ნიჭიერების ერთ-ერთ ძირითად ნიშანსაც წარმოადგენდა, რაც ერთი მხრივ შესაძურიც კი იყო ზოგიერთი მსახიობისთვის, მაგრამ ამან მერე ცუდი სამსახურიც კი გაუწია.

უფროსი თაობის მსახიობებიდან ვინმე ცუდად თუ გახდებოდა, რეჟისორებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ იაშა ტექსტს წამიერად აითვისებდა და სპექტაკლი რომ არ ჩაეგდოთ, დაიმედებულები მას დაუძახებდნენ და მასაც ერთ დღეში უწევდა სამსახიობო როლში შესვლა.

მოგეხსენებათ, რეჟიტიციები ტყუილად არ არის შემოღებული, კაცს სჭირდება ეს პროცესი, რომ როლი თანდათან მოირგოს, შექმნას, თავისად აქციოს ის მასალა, რომელსაც აძლევენ როგორც მსახიობს, რომ მერე დაბადოს როლი, ზოგჯერ მისთვის მოულოდნელიც კი... იაშას კი, რაც ზემოთ ვთქვით, უმძიმეს ტვირთად აწვებოდა მხრებზე. ეს გარკვეულად, არასახარბიელო როლსაც კი თამაშობდა მის ცხოვრებაში იმიტომ, რომ რაც უნდა ნიჭიერი იყოს ადამიანი და მართლაც ნიჭიერი კაცი იყო იაშა, ჰქონდა საოცარი გრძნობა და უნარი უცებ დაეჭირა როლის ხასიათი და მისი მსახიობური უნარი იმაშიც აისახებოდა, რომ უცებ შეეძლო

ამ როლის ნახაზის მოხაზვა, უცებ ესწავლა ტექსტი და ამის გამო ხშირად უწევდა დუბლიორად ყოფნა ვიღაც დიდი აქტიორისა, რომელსაც მთელი რეჟიტიციები ჰქონდა დათმობილი. იაშას კი სპექტაკლში მყისიერად უწევდა შესვლა... და სადაც ეს არ ხდებოდა, იქ, რა თქმა უნდა, სავსებით ბედნიერი იყო და შედეგიც ბევრად უკეთესი ჰქონდა.

მახსოვს, სულ ორი წლის მისული ვიყავი, თეატრში „მოკვეთილი“ რომ დადგეს. როგორც პარტიონიორებს, ერთად მოგვიწია თამაში და ჩემი პირველი შთაბეჭდილებებიც აქედან მოდის.

სპექტაკლ „მეცე ერეკლეში“ ბესიკი ითამაშა. ორივე სპექტაკლში დიდი წარმატება ჰქონდა. „მოკვეთილი“ მოსკოვში ჩავიტანეთ და დიდი წარმატებით დავბრუნდით თბილისში.

საოცარია ისიც, რომ ამ უნიჭიერეს კაცს, თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის სპეციალური სკოლა გავლილი არ ჰქონდა. თუმცა ისეთი მსახიობების გვერდით მოუწია მოღვაწეობა, იქნებ უკეთესი სკოლა არც არსებობს: ვასო გოძიაშვილის, შალვა ლამბაშიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის, უორა შავგულიძის გვერდით ყოფნა, მათი ყოველდღიური შრომის უურება, თვალთვალი, იმხელა სკოლა იყო...

იქნებ მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში იმ ინსტიტუტის არსებობა-არარსებობას მნიშვნელობა არც კი უნდა ენიჭებოდეს და ეს ასეც არის. გასტროლებზე როდესაც გავდიოდით, ნებისმიერ კუთხეში



სცენა სპექტაკლიდან  
„მოკვეთილი“  
იაკობ ჭრიპოლსკი და  
ოთარ მელვინეთუხუცესი

და გარეთ გასვლა არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაყურებელს იაშა არ მოეკითხა, განსაკუთრებით ეს ხდებოდა ქუთაისში, რომელ წრეშიც უნდა ვყოფილიყავით, „ბატონი იაშა ჩამოვიდა თუ არა...“, „რომელ სპექტაკლშია დაკავებული...“ ძალიან უყვარდათ იაშა, ძალიან...

დღიდი სიყვარული ჰქონდა თეატრში და როდესაც მსახიობი თეატრში უყვართ, განსაკუთრებით ის მსახიობი, რომელსაც მაყურებელში დღიდი წარმატება აქვს მოპოვებული, ეს იმას ნიშნავს, რომ მან სწორად იცხოვრა, კაცური ცხოვრება გაიარა, ადამიანებთან ურთიერთობებში შეცდომები არ დაუშვია. ახლა კი, ხშირად, როდესაც მასზე ლაპარაკი ჩამოვარდება, ჩემი მეუღლე გურანდა გაბუნია გულთბილად იხსენებს ხოლმე: ასაკით უმცროს მსახიობებს ისე გვეპყრობოდა, როგორც მშობელიო.

სპექტაკლში „პრემიერა“ ერთად

ითამაშეს და ის პირველი წრფელი შთაბეჭდილება, როგორც ახლობელი და საყვარელი ადამიანისა, დღემდე დარჩა.

მშვენიერი ოჯახი შექმნა იაშამ. მისი ოჯახის წევრებს დღემდე კარგი ურთიერთობა აქვთ ჩვენს თეატრთან. მახსენდება დედამისი, ქალბატონი ირინე, მშვენიერ ხინკალს ამზადებდა. ჩვენი თეატრის მსახიობები, ვინც იაშასთან, მის ოჯახთან ახლოს იყვნენ, ხშირად მიდიოდნენ ფასანაურში ამ მშვენიერი ქალბატონით არაერთხელ მოხიბლულები.

ტკბილი კაცი იყო ჩვენი იაშა. არც კი მეგონა, ჩემზე ამდენად უფროსი თუ იყო, იმდენად ახლობლად მივიჩნევდი თავს. გამითამამა კიდეც, მეგონა, რომ ჩემ ტოლთან, ან სულაც რამდენიმე წლით უფროს კაცთან ვმეგობრობდით, ისეთი იყო ჩვენი იაშა...

მანამ ჩვენ ვიქნებით, მისი სახელი მუდამ იარსებებს მარჯანიშვილის თეატრის კედლებში.

## ცარიელ საყვარელიძე:

**ავაზასავით მძიმე და ცხიერი  
ნაბიჯებით დადიოდა იაშა  
სცენაზე. ღუმილშიაც კი  
რაღაცა უცნაური შემართება  
ჰქონდა. ხმას ამოიღებდა  
და მისი ფოლადნარევი  
ბარიტონი ირგვლივ  
ყველაფერს იმორჩილებდა.**

# თეატრის გული და სული იყო

## ბიბა მოქადაგიშვილი

იაშასთან, როგორც მეგობართან და კოლეგასთან ჩემი ცხოვრების მრავალი წელი გავატარე. ბევრჯერ შექვედით სცენაზე, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

ახალი წლის წინ, 31 დეკემბერს, მისი დაბადების დღეზე, მის შესანიშნავ ოჯახში მრავალჯერ ვყოფილვარ. ჰყავდა არაჩეულებრივი მეუღლე, ქალბატონი ნაზიკო და შესანიშნავი შვილები. იაშა იყო ტიპური ქართველი კაცი, ქართული ტრადიციული ოჯახით და ქართული ტრადიციული შეხედულებებით.

ჯერ კიდევ მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა იაშა პირველად შექვედი. უნივერსიტეტში სწავლობდა, ბოლო კურსის სტუდენტი იყო, როცა ჩვენთან, პირველ სკოლაში მოვიდა მასწავლებლად, ინგლისურ ენას გვასწავლიდა. ახასიათებდა საოცარი მომხიბვლელობა, ულამაზესი ხმა, მეტყველების კულტურა და ინგლისური ენის კარგი ცოდნა. მერე უცებ გავიგეთ, რომ მარჯანიშვილის თეატრში მსახიობად წავიდა და გული დაგვწყდა.

ჩემი სტუდენტობის პერიოდში, სანამ რეჟისორი გავხდებოდი, ვხედავდი, რომ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში, იაშა ამ თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა. უკვე ყველამ ვიცოდით, რომ ის შალვა ღამბაშიძის უსაყვარლესი მონაფე იყო. ამ

ღვთისნიერ ადამიანს იაშა ძალიან უყვარდა და დიდ პატივს სცემდა. შემდეგ, როცა ამავე თეტრში რეჟისორად მივედი, სპექტაკლი არ იყო, რომელშიც ის არ თამაშობდა, ეს იყო მთავარი თუ ეპიზოდური როლი.

ანალიტიკური ჭკუისა და გონების მსახიობი იყო, კარგად იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა, თავდავიწყებით უყვარდა თეატრი და თავისი პროფესია.

თეატრის გული და სული იყო, ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა, რადგან ის თავისი თეატრის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. როგორც ადამიანი, პიროვნება, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მარჯანიშვილელთა ცხოვრებაში და ისე შეერწყა უფროს თაობას, თითქოს მათთან ერთად დაიწყო ამ თეატრის მშენებლობა. შალვა ღამბაშიძეს, ვასო გოძიაშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, უორა შავგულიძეს ლირსეულ პარტნიორობას უწევდა.

იაშას ფენომენალური მეხსიერების შესახებ ბევრი თქმულა და ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. თელავში გასტროლებისას სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი შაქრო გომელაური მოულოდნელად ავად გახდა. ეს სპექტაკლი იაშას არც კი ჰქონდა ნანახი. ამ დროს სასტუმროში ისვენებდა. აუხსნეს,

რომ ბილეთები უკვე გაყიდული იყო და სთხოვეს, უნდა გვიშველოო. სასწრაფოდ მიიყვანეს თეატრში, ჩააცვეს კოსტიუმი, დასვეს საგრი-მიოროში, თან გრიმს უკეთებენ, თან მიზანსცენას უკითხავენ.

შევედით პარტერში და დაძა-ბულები ველით, რა მოხდება სცენაზე. მთელი როლი უშეცდომო, ზუსტი რეაქციებით ითამაშა, მართ-ლაც შეუცვლელი იყო იაშა.

ბოლო ხანს ვერ იყო კარგად, ვე-ღარ თამაშობდა, ჩამოსცილდა თე-ატრის. მისი მეგობრები, ახლობლები ამას განვიცდიდით, რადგან თავისი თეატრის ნამდვილი ბურჯი იყო. რა თქმა უნდა, საოცრად ადრე წავიდა ქართული თეატრიდან.

ის დაგვაკლდა ყველას იმიტო-მაც, რომ მისი მონაცემების მსახიო-ბი დიდხანს იქნებოდა საჭირო ჩვენი თეატრისთვის, მას ასაკი ვერაფერს დააკლებდა, როგორც სახასიათო მსახიობი, თავისი წლოვანებისა და უფროსი ასაკის როლების შესრულე-ბასაც შესანიშნავად შეძლებდა. ის იყო დიდი დანაკლისი, ამ მხრივ, ძალიან უბედური თეატრისა.

ამ თეატრიდან ისედაც წაად-რევად წასულან შესანიშნავი მსახი-ობები, კორიფეები და იაშას წასვლა კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა იყო ამ დიდებული კოლექტივის ცხოვრე-ბაში.

ამ შესანიშნავი პიროვნების, მსახიობისა და მოქალაქის, კარგი ქართველი ვაჟკაცის – იაკობ ტრი-პოლსკის დანაკლისი ძალიან ღრმა ჭრილობად დააჩნდა მარჯანიშვი-ლის თეატრს, მის შემოქმედებასა და ცხოვრებას.



ალე ომიაძე და  
იაშა ტრიპოლსკი

# ლამაზი სიზმარი

ნახეონ სახაზეშვილი



ლამაზი სიზმარივით ამიხდა ნატვრა, 12 წლის ასაკში სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი ყველა ბავშვის საოცნებო კინემატოგრაფის ზღაპრულ სამყაროში; კინოფილმ „მანანაში“ მთავარი როლის – მანანას შემსრულებლად მიმინვიეს და როგორც მსახიობს, დიდი ბედნიერება მხვდა წილად, რომ პირველი ნაბიჯი კინოს ბრწყინვალე თანავარსკვლავედის – სესილია თაყაიშვილის, სანდრო უორქოლინანის, მედეა ჩახავას, იპოლიტე ხვიჩიას, იაკობ ტრიპოლსკის „ხელდასმით“ გადამედგა.

ბატონი იაშა ფილმში ჩემს მამას თამაშობდა. იყო საოცარი ადამიანი, ერთდროულად დინჯი და ემოციური, ლალი და სერიოზული, მკაცრი და გულჩვილი. საოცრად ფლობდა საკუთარ სხეულს და იყო საშურად პლასტიკური, ძალუძდა, კინოგადასაღებ მოედანზე თვალდათვალ შეეცვალა ემოცია და განწყობილება.

ჩემ მიმართ გამოკვეთილი თბილი, მამაშვილური დამოკიდებულების პარალელურად, გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებდა. მუდამ ყურადღების არეში ვყავდი, გადაღებებიდან თავისუფალ დროს თეატრში დავყავდი და იმდენად მივეჩვიე, რომ ისევე, როგორც კინოგადასაღებ მოედანზე, უკვე სახლშიც კი მამას ვეძახდი.

კინომ მომხიბლა და მოუთმენლად ველოდი, კინოსტუდიიდან როდის გამომიძახებდნენ მორიგი ეპიზოდის გადაღებისთვის. კინოგადასაღები მოედანი სავსებით გავითავისე, გადამღები ჯგუფის წევრები ერთმანეთზე მეტად მეფერებოდნენ და მათამამებდნენ. მე კი ეს სითამამე იმდენად მომერია, რომ ერთ-ერთი მიზანსცენის გადაღების დასასრულს, როცა კინოპარატს კუთხის არეს უცვლიდნენ, გამნათებლებს ოპერატორივით შევუძახე – რას

ელოდებით, სინათლე ჩააქრეთ-მეთქი. ჩემმა საქციელმა გადამლები ჯგუფის წევრების სიცილი გამოი-წვია და ამასთან დაკავშირებით, ესეც მახსენდება: მე კი მეგონა, რომ ჩემი ნიჭიერი, მოსწრებული შეძახილით ხალხის გამხიარულება შევძელი, მაგრამ ბატონმა იაშამ მოგვიანებით დამიმარტოხელა და მისთვის ჩვეული თბილი, მამაშვილური, დამრიგებლური საყვე-დურით მითხრა: „მე მსახიობობას გინინასწარმეტყველებ, შენ კი რო-გორ იქცევი?! იმის მაგივრად, რომ როლზე იფიქრო, გაუაზრებელ, ბავშვურ პრძანებებს იძლევი.

თუ გულით გინდა, რომ მსახიო-ბი გამოხვიდე, ყოველთვის იფიქრე შენს როლზე და რაც შენი საქმე

არ არის, იმაზე ფიქრს თავი დააღ-წიე. საკუთარი სურვილების დაძ-ლევა უნდა შეძლო, ეს კი შენგან თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს და შედეგიც სახეზე გექნება – მი-ზანს უეჭველად მიაღწევ“.

ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღე-ბის დღე მახსენდება, სცენარის მიხედვით ბატონ იაკობს ჩემთვის ყური უნდა აეწია. შევატყვე, უცნა-ურად დელავდა. არც დაუმალავს, მითხრა – ყურს რბილად აგინძევ, ოღონდ სახე ისე დამანჭე, ვითომ ძალიან გეტკინა, განზე არავი-თარ შემთხვევაში არ გაიწიო, რომ ტკივილი არ მოგაყენოო.

დაიწყო ეპიზოდის გადაღება. ბატონმა იაკობმა მართლაც რბი-ლად ამიწია ყური და სახე ზუსტად



კინოფილმიდან „მანანა“: სანდრო უორუოლიანი,  
იაშა ტრიპოლსკი და სესილია თაყაიშვილი



ისე დავმანქე, როგორც ამიხსნა, მაგრამ ისე გამწარებით დავიღ- მუვლე, კაცი შეწუხდა, გადამღე- ბი ჯგუფის წევრებს კი ეგონათ იაკობმა ნაწყლის ყური მართლა აახიაო. თუმცა, გადაღების დასას- რულს ყველაფერი გაირკვა. ბა- ტონმა იაკობმა მხარზე ხელი მოსიყვარულედ გადამხვია და სახალხოდ მომმართა – ახლა კი დავრჩნმუნდი, შენგან კარგი მსახი- ობი დადგებაო.

ზაფხულში კინოგადაღებები ბა- თუმში გაგრძელდა. ჩემი ფილმი- სეული მამა ისე მივლიდა, როგორც საკუთარ შვილს. აქ ჩემთვის თვალ- შისაცემი კიდევ ერთი საინტერესო თვისება აღმოვაჩინე ბატონი ია- კობის ხასიათში – ის, რომ არა მარტო ჩემდამი, სხვა მსახიობების

მიმართაც გასაოცარ ყურადღებას იჩენდა და მიკვირდა, როგორ ახერ- ხებდა: და ისიც მაკვირვებდა, რომ ჩვენი ფილმის მსახიობებიდანაც გამორჩეული ყურადღება და ზღვა სიყვარული უბრუნდებოდა. ხოლო ყოველივე ეს დიდი ადამიანები- სთვის ღვთით ბოძებული დიდი ნი- ჭის, ბუმბერაზთათვის გენით მო- მადლებული თავმდაბლობისა და ყოვლით კეთილშობილთა ზნეეთი- ლობის შედეგი იყო.

და უკვე ჩემს მრავალნლიან სამსახიობო კარიერაში, ჩემი მაყუ- რებელი ჩემში რაიმე ღირებულს თუ აღმოაჩენს, უნდა განვაცხადო, რომ ეს სწორედ დიდებული არ- ტისტებისა და თავად ბატონი ია- კობ ტრიპოლსკის დამსახურების წყალობითაა.

# მუხლებზე ღაჩოქილ რუსს „სტალინმა“ სამშანეთიანი უწყალობა



როდესაც იაკობ ტრიპოლსკიზე წერილის გაკეთება გადავწყვიტე, ცხადია, მის ოჯახს, მეუღლეს და შვილებს მივაკითხე. მისი მეუღლე ქალბატონი ნაზიკო გულთბილი მასპინძელი აღმოჩნდა. შემოგვთავაზა, ჩემ ვაჟს სოსოს დავუძახებ, მოგვეხმარება, თორებ შეიძლება რაღაც-რაღაცები გამომრჩესო.

**ნაზიკო მაისურაძე:** იაშა 1942 წლის ზაფხულში, ფასანაურში გავიცანი. დასასვენებლად ვიყავი ჩასული, ის ფასანაურში ცხოვრობდა. პირველი, რაც გაცნობისთანავე ვიგრძენი, მისი შინაგანი სიკეთე და სითბო იყო. ჩვენი სიყვარული ფასანაურიდან დაიწყო და თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა. 1945-ში კი უკვე დავქორწინდით.

ბავშვობიდან მსახიობობაზე არ უოცნებია. სკოლის დამთავრების-თანავე სახელმწიფო უნივერსიტე-

ტში განაგრძო სწავლა ინგლისური ენის ფაკულტეტზე.

რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა სტუდენტთა მონაწილეობით გოლსუორსის „პატარა კაცი“ დადგა და მთავარ როლზე იაშა დააკავა. ვასოს ისე მოენონა თურმე მისი მეტყველება, ხმა და უშუალობა, რომ მარჯანიშვილის თეატრში თანამშრომლობა შესთავაზა. იაშამ მაშინ რატომლაც თავი შეიკავა, მაგრამ მსახიობობის სურვილი ნამდვილად გაუჩნდა. უნივერსიტეტის დამთავრების მერე პედაგოგად



შვილებთან

დაიწყო მუშაობა, მაგრამ მსახიობობის „ჭია“ აღარ ასვენებდა.


პირველად, მოზარდ მაყურებელთა თეატრში მივიდა. იქ მისი გვარი რომ გაიგეს, ეჭვით შეხედეს თურმე: შენ ქართული ხეირიანად არ გეცოდინებაო, დაიწუნეს და გამოისტუმრეს. მერე თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა საპუთები, მაგრამ გამოცდაზე ისეთი რთული ეტიუდი მისცეს, რომ უკვე ცნობილი მსახიობი ამბობდა, იმის შესრულებას დღესაც ვერ შევძლებო. იქიდანაც წამოვიდა, მაგრამ თითქოს გაჯიუტდა კიდეც. მერე მარჯანიშვილის თეატრში, რეჟისორ ყუშიტაშვილს მიაჰითხა. ვასო გულთბილად შეხვდა.

თანამშრომლად მიგიღებო, დაპირდა. რამდენიმე დღეში ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ უნდა ეთამაშათ. ამ სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე ავად გახდა და აუცილებელი იყო მისი შეცვლა. დასში თავისუფალი მსახიობი თითქმის აღარ ჰყავდათ, უმეტესობა აღნიშნულ სპექტაკლში მონაწილეობდა და ავადმყოფი მსახიობი იაშამ შეცვალა. ისე კარგად ითამაშა, მეორე დღესვე თეატრში ჩარიცხეს. მერე ვერიკო ანჯაფარიძემ „ინუინერი სერგეევი“ დადგა დალეიტენანტ კრევერის როლი მისცა. აი, ასე დაიწყო იაშას შემოქმედებითი ცხოვრება.

რაც შეეხება ტრიპოლსკების გვარის წარმოშობასა და გენეალოგიას: მისი პაპა პოლონელი იყო. საქართველოში რომ ჩამოვიდა, ქართველი ქალი მოიყვანა ცოლად და ფასანაურში დასახლდა. იაშას მამამაც ქართველი, წიკლაურის ქალი შეირთო.

გვარის მიუხედავად, იაშა, მართლაც რომ „მონამლული“ ქართველი იყო. ამაყად იტყოდა ხოლმე: ტომით უცხო და გულით ქართველი ვარო.

ჩემი მუშაობის წინააღმდეგი იყო, თან ბავშვების დამტოვებელიც არავინ გვყავდა. დედა ადრე გარდამეცვალა, დედამთილი კი ფასანაურში ცხოვრობდა. „შენ რომ სახლიდან გახვიდე და ბავშვებს რაიმე შეემთხვეს – ხომ უნდა ინანოო...“ მეუბნებოდა და ამით მაჩერებდა. სამსახურს ვეღარც კი ვახსენებდი. უფრო მეტიც: ჩემი დიასახლისობით ამაყობდა კიდეც. ამიტომ



თავს მაქსიმალურად იტვირთავდა, არაფერი რომ არ მოგვკლებოდა, აუცილებელი მაინც. თეატრში მუდამ მუშა მსახიობი იყო, თითქმის ყველა სპექტაკლში მონაწილეობდა. ამავე დროს გახმოვანებებზე მუშაობდა, თარგმნიდა ინგლისურიდან ქართულად. მისი ნათარგმნი: ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ დიდხანს იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ძალიან ნიჭიერი იყო. სახლში როლს არასოდეს ამზადებდა.

იქვე, თეატრში, ერთს რომ ნაიკითხავდა, როლი უკვე ზეპირად იცოდა. ბოლოს კი, სისხლძარღვების შევიწროება ჰქონდა... მეხსიერება ისე დაუქვეითდა, როლის დამახსოვრება კი არა, ხშირად ახლობლებსაც ვეღარ ცნობდა.

მე მისი ყველა როლი მომწონდა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ბახას გამოვყოფდი სპექტაკლიდან „მოკვეთილი“, ძალიან კარგი იყო „მთვარის მოტაცებაში“, კაც ზვამბაიას თამაშობდა.



სპექტაკლიდან  
„რიჩარდ მესამე“  
გრაფი რიჩარდი

კინოროლებიდან განსაკუთრებით სტალინის როლს აფასებდა. ამბობდა: „ჩემთვის დიდი პატივია, სტალინის თამაში რომ მომანდესო.“ როლთან დაკავშირებით იხსენებდა ხოლმე: როდესაც ფილმს ვიღებდით, მოსკოვის ქუჩებში, კიტელში გამოწყობილი გამოვედი, თან ჩიბუხს ვაბოლებდი. უცბად ერთი „ბასიაკი“ რუსი მოვიდა, მუხლებზე დაეცა და მითხრა: „Отец, ну дай три рубля, дома жена бьет...“ ჯიბიდან სამმანეთიანი ამოვილე და მივეციო...“

14 წლის ყოფილა, თბილისში პირველად რომ ჩამოუყვანიათ. ცირკის ბილეთის შესაძენად რიგში დადგა, თურმე ჯიბეში მანეთიანი ედო. როდესაც მისი რიგი მოვიდა, მანეთიანი ბილეთები გათავდა და ორმანეთიანი ბილეთების გაყიდვა დაიწყეს, დალონებული გამობრუნდა უკან. იქვე ვიღაც კაცი მდგარა და: რა იყო, რატომ ხარ დალონებულიო – უკითხავს. მანეთის მეტი არა მაქვს, არადა ბილეთი ორი მანეთი ღირსო. იმ კაცმაც ამოილო და მანეთი მისცა. ისევ რიგში დადგა. ახლა ორიანი გათავდა და სამმანეთიანი ბილეთები დარჩა. ისევ უკან გამოსულა. იმ კაცს მანეთი კიდევ მიუცია და ბოლოს, როგორც იქნა, სამმანეთიანი ბილეთით ცირკში შევიდა. მერე, მთელი ცხოვრება იმ

კაცს ეძებდა. ნეტავ, სადმე შემახვედრა, სიკეთე რაიმეთი მაინც რომ გადავუხადოო.

ძალიან კეთილი იყო. გაჭირვებულის დამხმარე. უზენაეს სასამართლოში სახალხო დამცველად რომ აირჩიეს, სიამოვნებით დათანხმდა. ჩემი მართალი სიტყვით იქნებ ვინმეს გამოვადგეო, ამბობდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1946 წლიდან პარტიის წევრი იყო, ღმერთი სწამდა, ეკლესიაში სიარულსაც არ ერიდებოდა. ყოველ აღდგომას თუ სხვა საეკლესიო დღესასწაულებს იქ ატარებდა. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორესთან მეგობრობდა. ყოველ ახალ წელს, საკუთარი ხელით გაკეთებული წარწერით, საეკლესიო კალენდარს უგზავნიდა უწმინდესი. ეს კალენდრები დღესაც მაქვს შენახული.

ოჯახში ძალიან თბილი და განონასწორებული იყო. ისე გავზარდეთ ორი ვაჟი, არ მახსოვს, მათვის დაეყვირა, დაეტუქსა ან დაესაჯა ისინი. მოსიყვარულე მამა და გადარეული ბაბუა იყო. განსაკუთრებით უფროსი შევილიშვილი ირაკლი უყვარდა. საათობით გვერდით ედგა და ამეცადინებდა. კიდევ კარგი, ჩვენს ტრაგედიას მაინც რომ არ მოესწრო. ირაკლი დღეს აღარა გვყავს, მოგვიკლეს...

# არ მახსოვს, ჩვენთვის დაეყვირა...

სოსო ჭიათულება



უფროსი ვაჟი – სოსო ჭრიპოლსკი  
შვილებთან, გიორგი და ირაკლისთან

სტალინი კი უყვარდა, მაგრამ სახელი ჩემთვის მამას არ დაურქმევია. ჩემმა ნათლიამ, სერგო ზაქარიაძემ დამარქვა.

ბავშვი ბავშვია და მთლად ანგელოზები არც მე და ჩემი ძმა ვყოფილვართ, მიუხედავად ამისა, არ მახსოვს ჩვენთვის დაეყვირა. მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. დღილით კინოსტუდიაში მიდიოდა. შუადღისას სახლში ბრუნდებოდა, ოთხიდან ექვს საათამდე წაიძინებდა და საღამოს შვიდის ნახევრისთვის ისევ თეატრში მიდიოდა

სპექტაკლის სათამაშოდ. ერთ დღე-საც, შუადღისას, კარგად ნასვამი მოვიდა, დაწვა და დაიძინა. შვიდის ნახევარზე თეატრიდან დარკეს, წარმოდგენა უნდა ითამაშოს და არ ჩანს, სად არის, ხომ არ იცითო? გავალვიძე – მთვრალი იყო ისევ. ჩავაცვი და მართლაც რომ ჩავიტანე ქვემოთ. მანქანაში ჩავსვი და თეატრში წავიყვანე. საგრიმიოროში კი შევიყვანე, მაგრამ გრიმს მე ხომ ვერ გავუკეთებდი. „შენ ნუ გეშინია, წადი ახლა და პარტერში დაჯექიო“, – მითხრა. მეც წამოვედი



შვილიშვილებთან გიორგისა და ირაკლისთან ერთად თავის  
60 წლის იუბილეზე ფასანაურის საშუალო სკოლაში.  
მარჯვნივ – გივი ბერიკაშვილი



შვილიშვილის – გიორგი ტრიპოლსკის ოჯახი



**ამ ფოტოზე ტრიპოლსკების  
გვარის გამგრძელებლები არიან:**  
**ბატონი იაშას შვილთაშვილები –  
ირაკლი და ბარბარე**

და პირველ რიგში დავჯექი. „ვისია,  
ვისიაში“ – კახელ გლეხს თამაშობ-  
და. სცენაზე რომ გამოვიდა, მეც  
ვერ შევამჩნიე, მთვრალი რომ იყო.  
წარმოდგენა დამთავრდა, შევედი  
საგრიმოროში და უკვე გამოფხი-  
ზლებული, გრიმს იხსნიდა.

მეგობრებთან ქეიფი და დროს-  
ტარება უყვარდა. რამდენჯერ ღა-  
მის პირველ საათზე მათ სიმღე-  
რას გამოუღვიძებივარ. მამაჩემის  
ახლო მეგობრები იყვნენ: კუკური  
ლაფერაძე, გოგი გელოვანი, ტარი-  
ელ საყვარელიძე, გოგი ტატიშვი-  
ლი. ზღაპრული სიმღერა იცოდნენ.  
ავდგებოდი, გამოვიდოდი, მათთან  
ერთად დავვჯდებოდი-ხოლმე, კარგ  
სიმღერას მოვისმენდი, ახალ ანეკ-  
დოტებს ვისნავლიდი, ერთ ბოთლ  
ღვინოს მეც დავლევდი და მერე მე  
და მამა სტუმრებს ერთად ვაცი-  
ლებდით.

თევზაობა უყვარდა ძალიან.  
ფასანაურში რომ ვისვენებდით,  
თითქმის ყოველ დილას სათევ-  
ზაოდ მივდიოდით. ერთხელ, გა-  
თენებისას, არაგვზე სათევზაოდ  
წავედით. უკვე ხანშიშესული იყო  
და თვალი კარგად აღარ უჭრიდა.  
ანკესზე ჭიები შენ წამომიცვიო –  
მითხრა. წამოვუცვი, ვიდრე ჩემს  
ანკესს მივუბრუნდი, მამამ უკვე  
თევზი ამოიყვანა; კიდევ წამოვუ-  
ცვი, ისევ დამასწრო. მე ანკესზე  
ჭიების წამოცმას ვერ ვასწრებ-  
დი, ის კი თევზის დაჭერას. ბო-  
ლოს, ვუთხარი: აქ, რა, ჭიების წა-  
მოსაცმელად წამომიყვანე-მეთქი?..

ჩემი ბიჭი – ირაკლი განსა-  
კუთრებით უყვარდა. ერთხელ, ჩემი  
მეუღლე სკოლიდან გაწინმატე-  
ბული დაბრუნდა: მასწავლებელი  
გაგიჟებულია, სუფთა წერაში ისე  
ჯდაბნისო. მამაჩემს თავი გადა-  
უქნევია: „აბა, აბა, არადა, რა  
ლამაზად, რა კარგად წერსო“. უყ-  
ვარდა და მის უარყოფითს ვერა-  
ფერს ამჩნევდა.

# როგორ უყვარდათ...

შეხელი ტენიონი



თუ დრო ჰქონდა, სულ იმას ამბობდა, ფასანაურში წავიდეთო. მეც იქ გავიზარდე და სხვათა შორის, მეც იგივე გრძნობა მაქვს ფასანაურის მიმართ. იქ ტრიპოლსკების დიდი სახლი დგას, ალბათ, ახლა 120 წლისაც არის. საკმაოდ შეძლებულები ყოფილან ჩემი წინაპრები, პოლონეთიდან რომ ჩამოვიდნენ და ამხელა სახლი ააშენეს. შემდეგ გააკულაკეს ტრიპოლსკები, პირველი სართული ჩამოართვეს და შიგ სკოლა გახსნეს. მამაჩემი მეორე სართულზე ცხოვრობდა და პირველზე დადიოდა სკოლაში. ბევრი იწვალა მამამ იმ სახლის დასაბრუნებლად. როგორც იქნა, 1965-ში დაუბრუნეს, თუმცა შრომის გაკვეთილებს მერეც იქ ატარებდნენ...

მამა სულ მიზეზს ეძებდა ფასანაურში ჩასასვლელად, ისე უყვარდა იქაურობა. მამა ობლად იზრდებოდა. პაპაჩემი 1924 წელს

მოუკლავთ. ამხელა სახლისა და მამულის პატრონები უღარიბესთა სიაში იყვნენ. კომისია ჩამოსულა სკოლაში. გამოჰყავდათ უღარიბესი ბავშვები და ეკითხებოდნენ, როგორ ცხოვრობთო...

იაშას დაუწყია მოყოლა – ასე გვიჭირს, ასე ვცხოვრობთო... თან ტიროდა, თურმე. მითხრა, მაშინ გავითიშე, გონს რომ მოვედი, ირგვლივ ყველა ტიროდაო. ეტყობა, იქიდანვე ჰქონდა აუდიტორიაზე ზემოქმედების უნარი, არტისტობის ნიჭი.

მამა ბევრ მადლს აკეთებდა, ბევრს ეხმარებოდა, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს იღებდა.

ზოგჯერ პურის ფულიც არ გვქონდა. მახსოვს, ერთხელ დედას ვუთხარი: მიდი, მეზობელს სამი მანეთი ესესხე, პური ვიყიდოთ-მეთქი. გუშინ გამოვართვი, იქნებ დღეს გავძლოთ და ხვალ მამა ხელფასს მოიტანსო.



**ბატონი იაშა და ქალბატონი ნაზიკო  
შვილიშვილთან – სალომესთან**

ასე რომ, ვიცი, რა არის გაჭირვება. მამას სხვა პრივილეგია ჰქონდა – ხალხს უყვარდა. დღესაც კი, ჩემს გვარს რომ გაიგებენ, იაშას შვილი ხარო? – მეკითხებიან. კაცი რამდენი ხანია გარდაიცვალა და ასე ახსოვთ...

ქუჩაში რომ მივდიოდით, ხანდახან მრცხვენოდა, ისე იბრუნებდა ხალხი თავს და გვიყურებდა, ხელის მოკიდება უნდოდათ. მით უმეტეს, ტროლეიბუსში.

ახლა ფასანაურში როგორ უყვარდათ...

მამაჩემის ერთი დაყვირება არ მახსოვს... ზოგჯერ ნაწყენი, ისეთი თვალებით შემოგხედავდა, ჯობდა ეყვირა. გაბრაზებულიც იშვიათად მახსოვს, თუმცა განრისხებულიც მინახავს. ეს მაშინ, როცა არაგვზე

სათევზაოდ წასულები ვინმეს დინამიტით ან ბადით ხელში ვნახავდით, თვითონ ხომ სულ ანკესით თევზაობდა.

მამა მთელი ლამეები „ამერიკის ხმას“ უსმენდა და მერე თეატრში მიჰქონდა ახალი ამბები. ზეპირად იმახსოვრებდა ყველაფერს. ასეთი რამ მოხდა: სერგო ზაქარიაძეს ავინროებდნენ. თეატრიდან გამოუშვეს კიდეც. ერთადერთი კაცი იყო იაშა, ვინც დადიოდა მასთან. ყველა ერიდებოდა, ეშინოდათ.

მერე ისეც მოხდა, რომ ერთერთ პიესაში სერგო ზაქარიაძის გმირს მამაჩემის გმირისთვის უნდა ესროლა და მოეკლა. სპექტაკლზე გამოჰქონდათ რეკვიზიტი – პისტოლეტი, სერგო დაუმიზნებდა და ესროდა...

მამა იხსენებდა: იმის ფეხსაცმელები ახლაც მახსოვს, ვიღაც რომ შემოვიდა კულისებში. მან ნამდვილი იარალი შემოიტანა თურმე და შეუმჩნევლად შეცვალა თეატრის პისტოლეტი. და, აი, სპექტაკლზე სერგო ზაქარიაძემ ნამდვილი ტყვიით დატენილი პისტოლეტიდან ესროლა მამაჩემს. ტყვია მოხვდა პროჟექტორს... ამ დროს იაკობ ტრიპოლსკი ცნობილი მსახიობი არ იყო, სერგო ზაქარიაძის მოშორება უნდოდათ.

მერე სერგო ზაქარიაძემ ჩემი ძმა მონათლა.

მამაჩემი სოცარი მეხსიერების პატრონი იყო. სკოლა ოქროს მედალზე ჰქონდა დამთავრებული; უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის

ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები, ინგლისურის კარგი სპეციალისტი დადგა. მისი მეგობარი იყო მოსე ქარჩავა. მან და მოსე ქარჩავამ თარგმნეს ბერნარდ შოუს „პიგმა-ლიონი“. ეს წიგნი გამოცემულია.


ფენომენური ნიჭი ჰქონდა: ნებისმიერ რამეს გადახედავდა: პიესა იყო თუ პოემა და უკვე ზეპირად იცოდა. დიმიტრი უზნაძემ ექსპერიმენტი ჩატარა მამაზე. წაუკითხეს „გამზრდელის“ პირველი კარი მთლიანად და წარმოიდგინეთ, მაშინვე დაიმახსოვრა.

ძალიან ახლობელი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება გვქონდა მე და მამას. იშვიათად ვიყავი შინ მარტო, სულ მეგობრები მყავდნენ. შემოვიდოდა: აბა, ბიჭებო, დღეს რა ვჭამოთო... განსაკუთრებით ზაფხულში, დედა როცა წასული იყო, ხინკალს გავაკეთებდით. 28-32 წაოჭს ახვევდა მამა.

ბევრი ჭირი მაქვს ნანახი, მაგრამ მაინც ბედნიერი კაცი ვარ. ისეთი ხალხი მოდიოდა ჩვენთან: ვერიკო ანჯაფარიძე კარტს მეთამაშებოდა, არ არსებოდა, 50 კაპიკი მომეგო მისთვის და არ მოეცა. ერთხელ არ ვართმევდი და მითხრა: არა, შვილო, თამაში თამაშიაო...

ჩვენთან სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯაგალაძე, ალექსანდრე გომელაური, მერი დავითაშვილი მოდიოდნენ, ცხოვრება ღამის 11 საათის მერე იწყებოდა... უყვარდათ მამაჩემთან მოსვლა.

ბედის ირონიაა, რომ მამას რა ავადმყოფობაც დაემართა, მეხსი-



ირაკლი და სალომე ტრიპოლსკები

ერების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. მეხსიერებაში ამოვარდნა ჰქონდა, შეიძლება, დღეში ნახევარი საათი... გელაპარაკებოდა და ხედავდი, რომ სხვა კაცი იყო. ვერ იცნობდი. გაივლიდა ხუთი წუთი და ხელს თავზე იტაცებდა: აუ, ეს რა მომივიდაო. ამ ამბავს ძალიან განიცდიდა.

თემურ ბაბლუანმა რამდენჯერმე წაიყვანა „უძინართა მზის“ სიჯებზე, ჯერ გაუხარდა, კიდევ გამიხსენესო, მერე დადარდიანდა. მოვიდოდნენ, წაიყვანდნენ პავილიონში მანქანით, გადაუღებდნენ, დააბრუნებდნენ უკან. მეშვიდედ რომ მოვიდნენ, შინ ვიყავი, მკითხა მამამ, – იცნობ ბაბლუანსო? როგორ არა, ჩემი მეგობარია-მეთქი. უთხარი, წუ მანვალებსო...

# ჩვენი დიდი ოჯახი

ოციათ ტელეცენტრ-ახმესვილი



მე და იაკობს სამაგალითო დაძმობა გვექონდა. სანამ პაპა იაგორი ცოცხალი იყო, მთელი ტრიპოლსკები ფასანაურში, ერთ პატარა სახლში ვცხოვრობდით. საკვირველია, მრავალსულიანი ოჯახი იმ სახლში როგორ ვეტერიდით. თითქოს უცნაური არაფერია, თუკი ვიტყვი, რომ ოჯახში ერთმანეთის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვცხოვრობდით, მაგრამ ეს ურთიერთობა იმდენად მტკიცე ნერგზე იყო აღმოცენებული, რომ მთელი სოფლისთვის თვალშისაცემი იყო.

პაპაჩვენი ერთი შეხედვით, მკაცრი, მაგრამ სინამდვილეში, ლმობიერი და მიმტევებელი კაცი გახლდათ. ეს სიმკაცრე უფრო ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ყურადსალები, მისი გენეტიკური მტკიცე ოჯახური წესებისა და ტრადიციების დაცვის მეაცრი

მოთხოვნით აიხსნებოდა. თავად შრომისმოყვარე, მუყაითი კაცი ბრძანდებოდა და რა გასაკვირია, რომ ჩვენგანაც, ნებისმიერ საკითხში, თუნდაც ყოველდღიური ქცევისა და სწავლის თვალსაზრისით, ამას მოითხოვდა.

ქვეყანაში გასაჭირი იყო და არც ჩვენ გვილხინდა, მაგრამ სხვასთან შედარებით, უკეთ ვცხოვრობდით და ვისთანაც ხელი მიგვიწვდებოდა, ყველას ვეხმარებოდით. ჩვენი შრომით მოპოვებული ლუკმა-პურით გაგვქონდა თავი. საკარმიდამო ნაკვეთს ვამუშავებდით, გვექონდა ხილი და ბოსტნეული, გვყავდა საქონელი და ფრინველი.

პაპა პროფესიით გზის მშენებელი ინჟინერი იყო, სამხედრო ჩინით. მლეთა-ფასანაურის სამხედრო გზაზე რაც კი რამ დამცავი ჯებირია დღემდე მოღწეული, მისი

გაკეთებულია. სამსახურს შემოსავალიც ჯეროვანი ახლდა. ხელმარჯვე კაცმა ძველი სახლის ადგილას ორსართულიანი სახლი ააშენა. პირველ სართულზე ერთი დიდი ოთახი იყო. გრძელი მაგიდა მოიტანა, ზედ დიდი სამოვარი დადგა, რომელზეც თავისი გვარ-სახელი იყო ამოტვიფრული. წესად ჰქონდა დანერგილი, დღის ბოლოს მთელ ოჯახს ერთად უნდა ევახშმა. „ჩვენი ოჯახის სიმტკიცესა და წესრიგს ამ მაგიდის შემკრები ძალა იცავს“, – ამბობდა. სოფელში ბევრი ხელმოკლე ოჯახი პაპაჩვენის შემწეობით ცხოვრობდა, მაგრამ მოგვიანებით, ჩვენ ოჯახს პოლიტიკურმა უმადურობამ დარია ხელი. ეს იმით აიხსნება, რომ მამაჩემი ვლადიმერი, სრულიად ახალგაზრდა, ბიძაჩემთან ერთად კოჯრის მისადგომებთან სამშობლოს დამცველთა რიგებში იბრძოდა. მებრძოლთა ერთი ნაწილი ფასანაურის მისადგომებთან გამაგრდა, რათა რუსის ჯარი აქეთ აღარ შემოეშვათ. დიდ ქვეყანასთან ომმა ფასანაურის თითქმის მთელი ახალგაზრდობა შეინირა, სოფელი ძაბით შეიმოსა. მათი ოჯახები, ვინც ამ ომს ცოცხალი გადაურჩა, რეპრესიებს დაექვემდებარა. მოგვიანებით, მამაჩემი არაგვის გაღმიდან, შეგნებულად თუ გაუთვითცნობიერებლად, ვიღაც პირაკრული ავაზაკის ნასროლმა ტყვიამ თავისსავე ეზოში შეინირა.

პაპა იაგორს შვილის დაკარგვით დიდი იმედი წაერთვა. ამ ტკივილს კიდევ ერთი უკეთურება მოჰყვა. როგორც ჩანს, ბოლშევიკებმა ჩვენს ოჯახს კოჯრის სიმაღლეებთან

ბრძოლაში მონაწილეობა არ აპატიეს, კულაკებად გამოგვაცხადეს, დაგვაწიოკეს, სახლიდან გამოგვასახლეს, პირველ სართულზე სოფლის სკოლა გახსნეს, მეორე სართული გამოკეტეს.

პაპა იაგორი აღარც სამსახურს გააკარეს. მაშინ ძალიან გაგვიჭირდა, იქნებ სხვაზე მეტადაც კი. ჩვენმა ნათესავებმა შეგვიფარეს. როგორც აღმოჩნდა, სანთელ-საკმეველი მართლაც არ კარგავს გზას, ახსოვდათ მეზობლებს პაპა იაგორის ოჯახის სიკეთე და ახლა ისინი გვეხმარებოდნენ, რითიც შეეძლოთ, მაგრამ მთელი სოფლის



ტრიპოლსკების დიდი ოჯახი  
ფასანაურის სახლში



გაოცებას იწვევდა ამ კაცის შემართება და სულისკვეთება, ომისა და რეპრესიებისგან დაქვრივებულ-დაობლებულ ოჯახებს თავისი ხელმარჯვეობით რომ ეხმარებოდა.

დედაჩემი ირინე პაპა იაგორას მუდამ მხარში ედგა. ფასანაურში მკერავი არ ჰყავდათ, დედას კერვა ეხერხებოდა. ღამე ფანჯრებზე მუქ ფარდებს ჩამოაფარებდა და მეზობლებისგან მიღებულ შეკვეთებს ასრულებდა, უკერავდა, ვისაც რა სჭირდებოდა. პაპა იაგორა, ჩვენ, პატარებს, თმენასა და ჭირსა შიგან გამაგრებას გვასწავლიდა. კვლავ წესრიგისა და წესიერებისკენ, პატიოსნებისა და ღვთისმოსაობისკენ მოგვიწდებდა.

როცა მამა მოკლეს, დედა ჩემზე ფეხმძიმედ იყო. ობლად მოვევლინე ამ ქვეყანას და მამის სიკვდილით დამწუხრებულ ოჯახს

იმედად წავადექი. მოგვიანებით, ჩვენი სახლის მეორე სართული დაგვიბრუნეს, მაგრამ მაინც ერთგვარი შიშით ვცხოვრობდით. სანამ ფასანაურში სკოლას ააშენებდნენ, მე და იაშა, საკუთარი სახლის მეორე სართულიდან ჩვენივე სახლის პირველ სართულზე მოწყობილ სკოლაში დავდიოდით.

იაშა ფიზიკურად ძლიერი ყმა-წვილი იყო, დედასა და პაპა-ბებიას მუდამ მხარში ედგა, შრომობდა რაც შეეძლო. ამის მოუხედავად, სკოლაში სანიმუშოდ სწავლობდა. პირველად თოთხმეტი წლის ასაკში, სწავლის პარალელურად, ფოსტაში მუშაობდა და თავისი ხელფასით ოჯახს ეხმარებოდა. ეს გასამრჯელო კი ჩვენთვის ღვთის წყალობა იყო. სად რა იშოვებოდა, მაგრამ თუ სადმე ვინმე ტკბილეულს აჩუქებდა, კანფეტი იყო თუ ნამცხვარი,



იაშა და ოლიკო

პირს არ დააკარებდა, ტკბილეული ჩემს პატარა დას, ოლიკოს უფრო სჭირდებაო. ჩვენს შორის სამი წელი იყო სხვაობა. იმ ასაკში კი სამი წელი ძალიან დიდ სხვაობად ჩანდა. იაშამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა.

მეორე მსოფლიო ომმა იაშას თბილისში მოუსწრო. უნივერსიტეტში, როგორც ოქროს მედალოსანი, უგამოცდოდ ჩარიცხეს. ოჯახში ვიცოდით მისი სიბეჯითის ამბავი, გვესმოდა მისი წარმატებების შესახებ სწავლაში და ეს გვამხნევებდა. მეც კარგად ვსწავლობდი, სკოლა წარჩინებით დავამთავრე, გზა მჭირდებოდა და ქალაქისკენ გამიწია გულმა.

პაპა იაგორა ამაყობდა, სანაქებო შვილიშვილები დავზარდეო. უკვე მოხუცი კაცი, ქალაქში გახიზნულებს, რაც შეეძლო და რითაც შეეძლო, იმით გვეხმარებოდა. ღმერთმა აცხონოს მისი სული. 1944 წელს ოთხმოცდათერთმეტი წლის ასაკში აღესრულა.

რასაკვირველია, როგორც ტრიპოლსკების მთელმა დიდმა მონაგარმა, იაშამაც ძალიან მტკიცნეულად განიცადა პაპა იაგორის გარდაცვალება, ეს დიდშუნებოვანი ადამიანი ხომ ყველა ტრიპოლსკისთვის უდიდესი დანაკლისი იყო – დედაბორი, რომელიც ამ დიდ ოჯახს ერთ მუშტად კრავდა და ამთლიანებდა.

იაშას სტუდენტობის პერიოდში გოგონა შეუყვარდა, ნაზიკო მაისურაძე. ძალიან ლამაზი იყო. მალე იქორწინეს და ორი ვაჟიშვილი, სოსო და ირაკლი შეეძინათ.

მეც ჩემი ბედი მელოდა, არაჩვეულებრივ მამაკაცს, ირაკლი ახმეტელს გავყევი ცოლად და 1949 წელს მშვენიერი ქალიშვილი, მარიკა მოგვცა უფალმა.

ბოლოხანს ფასანაურთან დედაჩვენი, უკეთილშობილესი ქალბატონი ირინე გვაკავშირებდა. მერე ასაკმა თავისი გაიტანა და მისი ლამაზი სულიც დიდი წინაპრების გზას გაჰყვა იმ გრძელ სოფელში. თუმცა, ჩემი ყველაზე დიდ ტკივილი მაინც ჩემი ძმის სიკვდილი იყო.

ესეც კი არის, ცხოვრება მაინც თავისი მყაცრი წესებით გრძელდება და ფიქრი რომ მომეძალება, გულს ამითლა ვიმშვიდებ, ჩემმა ძმამ, იაშამ თავის უსაყვარლეს სამშობლოს – საქართველოს საამაყოშთამომავლობა დაუტოვა. უფალმა გაანათლოს მისი სული.

ჩაინერა რომან ამირეჯიბმა

# განშორება თეატრის არსებია

## მხატვა თეატრის

მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში, სხვა მასალებთან ერთად, ყველა ჩვენგან წასული თუ აქ მყოფი მსახიობის პირადი საქმეა დაცული. ბატონი იაკობის არქივში, ფოტო და სხვა მასალებთან ერთად, ინახება მისივე ხელით ჩამონერილი სცენაზე შესრულებული როლების სია. საერთო რიცხვი 96-ია.

96 ადამიანის სიცოცხლით იცხოვრა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ერთმა ადამიანმა – იაკობ ტრიპოლსკიმ. ეს ადამიანები სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის იყვნენ, წარმომავლობაც სხვადასხვანაირი ჰქონდათ. უმეტესი მათგანის ერთმანეთთან შეხვედრა წარმოსახულ სამყაროშიც კი შეუძლებელი იქნებოდა, განსხვავებული ეპოქის, თუ საცხოვრებელი ადგილის, უფრო მეტად კი გრძნობათა ბუნების გამო. იმიტომ არის საოცრება აქტიორის ხელოვნება, რომ იგი, მთელი თავისი არსებით – სხეულით, გონებით, გრძნობებით, ფსიქიკით ხდება გამტარი და შეუთავსებელთა შემაერთებელი.

96 ადამიანის განცდა, სიხარული, სევდა თუ გასაჭირო ჰქონდა ბატონ იაკობს გამოცდილი, გამოვლილი და სხვებისთვის გაზიარებული.

თითქოს ერთი ადამიანისთვის ეს საკმარისზე მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბატონმა იაკობმა სცენაზე შესრულებული როლებით არ შემოფარგლა მოღვაწეობის ასპარეზი და პირადი ცხოვრება.

საოცარი ენერგიით და სასიცოცხლო ძალით დააჯილდოვა ღმერთმა.

მისი აქტიორული ინდივიდუალობისთვის დამახასიათებელი მკვეთრი და გაშლილი შტრიხების მანერა შეთავსებას ახერხებდა სრულიად განსხვავებულ, ზედმინევნით მორუდუნე საქმიანობასთან: წლების განმავლობაში ბატონი იაკობი კინემატოგრაფიაში გამოსახულებასთან ტექსტის სინქრონული მორგების და გახმოვანების ურთულეს საქმეს ენერდა. ახალგაზრდობაში ინგლისურის მასწავლებელი იყო.

სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა საბჭოს წევრი, გატაცებით იყო ჩართული სამართლის დავის საქმეში; იყო სანიმუშო მეუღლე, მამა, პაპა, ყველასთვის გულისხმიერი, თანამგრძნობი და დამხმარე ნებისმიერ გასაჭირში.

თავის დაზოგვა არაფერში იცოდა. ერთნაირად გულმსურვალე იყო ყველგან და ყველაფერში. მისაყვედურია კიდეც, საყოფაცხოვრებო წვრილმანებში მაინც



სპექტაკლიდან  
„ცოცხალი პორტუგალი“  
დონ ფერნანდო

დაზოგეთ-მეთქი თავი. ეგოისტურად მინდოდა, რომ მისი ენერგია მხოლოდ თეატრს დარჩენოდა, მაგრამ ადამიანის ხასიათია მისი ბედი. მას სხვანაირად არ შეძლო. არასოდეს დამავიწყდება, რამდენ ხანს და როგორ თავდადებით სდია ერთ უსამართლოდ დასჯილ, მისთვის უცხო ყმაწვილის საქმეს და გადაარჩინა კიდეც. და ამას მხოლოდ მოვალეობის გამო არ აკეთებდა.

აფორიაქებული იყო და გატაცებული, ხალისიანი და კეთილი, გულმსურვალება გახლდათ მისი მიმზიდველობის მთავარი მიზეზი. შიში მიპყრობს, როცა ვხედავ, როგორ ქრებიან გულმსურვალენი, როგორ ვექცევით გულგრილობის ვითომ ზრდილობიან, სინამდვილეში კი, მოსაწყენ ერთფეროვნებაში.

მარჯანიშვილის თეატრში ახალი მისული ვიყავი. მაშინ სამხატვრო საბჭოს წევრების მორიგეობა იყო დაწესებული ყოველ წარმოდგენაზე. მე 31 დეკემბერს მომინა. ახალნლის ღამეს თეატრს ყოველთვის უჭირდა მაყურებლის მოზიდვა. იმ საღამოს სულ რამდენიმე ადამიანი იჯდა მაყურებელთა დარბაზში. რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ გადიოდა. ბატონ იაკობს ყოველთვის ტაშით ხვდებოდა მაყურებელი. ამჯერადაც ასე მოხდა.

დაიწყო დიალოგი ქალბატონ დოდო ჭიჭინაძესთან, ბატონი იაკობის პირველივე რეპლიკის შემდეგ მაყურებელთა დარბაზიდან ქალის ხმა გაისმა.

ჯერ ვერ გავიგონე სიტყვები, შემდეგ კი გავარჩიე: „შენ გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“. შემე-შინდა, სპექტაკლის მსვლელობას ხელი არ შეუშალოს-მეთქი და „უწესო“ მაყურებლის ძებნა დავიწყე.


ქალი მარტო იჯდა. საშუალო ასაკისა იყო, დარბაისელი, შესაძლოა, დიასახლისი. ოჯახი უეჭველად ეყოლებოდა, ქმარი, შვილები, წესით, ახლა საახალწლო სუფრის სამზადისში უნდა ყოფილიყო. მას კი, როგორც მომეჩვენა, ამ საქმისთვის მიენებებინა თავი და საშინაოდ ჩაცმული, სამზარეულოს ობშივარმოკიდებული წამოსულიყო თეატრში. ალბათ, ძალიან აწყენინეს შინაურებმა და თეატრს შეაფარა თავი.

არც გაწილდა – სცენაზე საყვარელი მსახიობი იხილა და ვერც გრძნობდა, რომ უწესოდ იქცეოდა. მის შეძახილებში, აღტაცების გარდა, საკუთარი გულისტკივილიც იგრძნობოდა, რაღაცის მიმართ პროტესტიც და თავდავიწყების წადილიც. მისი რეპლიკები იმისთვის არ იყო გამიზნული, რომ ადრესატს გაეგო, ის თავისდაუნებურად და თავისთვის ლაპარაკობდა.

ერთი რამ კი ცხადი იყო და თვალნათლივი: რაღაცით გამწარებული, დარდიანი ადამიანი თავდავიწყებას ლამობდა და ახერხებდა კიდეც საყვარელ მსახიობთან შეხვედრით. იმ საღამოს, 31 დეკემბერს, თავის დაბადების დღეს, ბატონი იაკობი მთელ სპექტაკლს თამაშობდა განუწყვეტელი „შენი



„ქეთო და კოტე“  
1948 წელი



„ქირივინა“  
1954 წელი



„ორი ოკეანის  
საიდუმლო“  
1955 წელი



სპექტაკლიდან

„ღალატი“

სოლეიმან ხანი

ჭირიმეს“ და „შენ გენაცვალეს“ თანხლებით. შესაძლოა, ეს არ იყოს იშვიათი გამონაკლისი. მაშინ მე, იმ წარმოდგენის დამსწრე და თან მორიგე, წინააღმდეგობებით ვიხლიჩებოდი და არ ვიცოდი, რა მეღონა, შემეჩერებინა ის „უნესო“ მაყურებელი, თუ მიმეცა მისთვის თავდავიწყების და განმუხტვის საშუალება. უკანასკნელი ავირჩიე. დღეს, თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის პრობლემურ ვითარებაში ვრნმუნდები, რომ სწორად მოვიქეცი.

ზოგჯერ ლირს, რომ სპექტაკლი ერთი მაყურებლისთვის ჩატარდეს, თუკი ეს სხნაა მისთვის. მაყურებელზე აქტიორის უშუალო ზემოქმედების ძალა, ალბათ, მალე სანატრელი გახდება. აქ ხომ ორმხრივი პირობაა აუცილებელი: მსახიობიც მზად უნდა იყოს და მაყურებელიც. არც ერთი არ უნდა ზოგავდეს თავს. ორივე უნდა იყოს გულუხვი.

ბატონ იაკობს დიდი გულუხვობა ჰქონდა. მის აქტიორულ მანერას ეს თვისება დიდად განსაზღვრავდა. ყოველთვის უკეთ გამოსდიოდა ის როლები თუ ცალკეული ეპიზოდები, სადაც ემოცია და აზრი ვიწრო კალაპოტში არ ექცეოდა და ვნებათა ღელვის გამოსახატად სივრცეს დაიგულებდა, სადაც მის ტემპერამენტს ფართო სარბიელი ეძლეოდა. იგი ხომ რომანტიკოსი იყო.

წარმოდგენის მსვლელობისას, რაც უნდა სპექტაკლი ყოფილიყო და რაც უნდა დიდი ინტერვალები

ჰქონდა, არასოდეს ჩამოჯდებოდა კულისებში დასასვენებლად, არ მოეშვებოდა, ყოველთვის ფეხზე იდგა, მზადყოფნაში იყო.

გადატანილი ინფარქტის შემდეგ, როცა სამუშაოს დაუბრუნდა, პირველი წარმოდგენის წინ ძალიან ვლელავდით. ექიმიც მოვიწვიეთ. ლალი როსებას „პრემიერა“ გადიოდა. ვეხვენებოდით ყველანი, მეც, პარტნიორებიც – თავი დაზიგეთ, ნუ იცეკვებთო. გვეშინოდა. შევატყვეთ, თვითონაც ღელავდა. ექიმი ანტრაქტებში წნევას უზომავდა. არ ჰქონდა წესრიგში. ყველაზე აფორიაქებული ეპიზოდის დროს წარმოდგენის ყველა მონაზილემ კულისებში მოიყარა თავი. დადგა კულმინაციური მომენტიც... და ბატონმა იაკობმა არამცთუ დაზიგეთ თავი, გადაამეტა კიდეც, იხტუნა, იცეკვა. როგორც ყოველთვის, ტაშის გრიალში დაამთავრა თავისი საუკეთესო ეპიზოდი და კულისებში გამოვიდა ბედნიერი და კმაყოფილი. ექიმმა სასწრაფოდ გაუზომა წნევა და მოხდა სასწაული: კოსმონავტივით იყო ფორმაში. ამ ამბავმა რწმენა დაუბრუნა და ჩვენც გვეგონა, რომ ალდგებოდა ყველაფერი... ვაი, რომ არა. მართალია, „პრემიერას“ სულმოუთქმელად ელოდა ხოლმე, ამბობდა კიდეც, ეგ არისო ჩემი წამალი, მაგრამ, საუბედუროდ, შეჩენილი სენი ვერა და ვერ გამოდევნა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი ავადმყოფობა. ეს იყო თავზარდამცემი ცვლილება, თითქოს საგანგებოდ

შეუტრიალდაო ყველაფერი: ენერ-  
გით აღავსე, ყველას პატრონი –  
სხვისი საპატრონო და სუსტი გახ-  
და, ბავშვივით უმწეო. ძნელი და  
გულსაკლავი იყო ამ ცვლილების  
დაჯერება. ჩვენ ხომ განებივრე-  
ბულები ვიყავით ჩვენს თეატრში  
მასზე გაცილებით უფრო მხცო-  
ვანი ადამიანების ახალგაზრდული  
ენერგიის ხილვით.

იქნებ ცვლებოდით, როცა გან-  
ვიციდით? ვინც იცის, ეს სასჯელი  
კი არა, მადლი იყო.

იქნებ მის ავადმყოფობაში  
გაცხადდა სიბრძნე ყრმად ყოფნი-  
სა და ისე მივიდა დასასრულამდე,  
რომ არ დაკარგა დასაწყისი.

გარდაცვალებამდე ოთხიოდე

დღით ადრე მოვიდა თეატრში,  
გვითხრა, უკეთ ვარო. მუშაობა  
უნდოდა. ვუთხარი, ძალიან მჭირ-  
დებით-მეთქი ახალ სპექტაკლში.  
გაუხარდა. მეც გამიხარდა. ბევრ-  
ჯერ, ძალიან ბევრჯერ დამწყდება  
გული. დამაკლდება, როცა ახალი  
პიესის როლების განაწილებისას  
მსახიობთა სიას გადავშლი. მო-  
მენატრება მასთან დალაპარაკება,  
უბრალოდ – დანახვა.

ძვირფასო იაკობ, თქვენ პირ-  
ნათლად შეასრულეთ თქვენი  
ამქვეყნიური ვალი. არასოდეს და-  
გივიწყებთ, ჩვენთან იქნებით, რო-  
გორც გიყვარდათ თქმა, – თქვენ  
„ტომით უცხო, გულით – ქართ-  
ველი“.



თეატრის საცენტრო სამსახური

სცენა სპექტაკლიდან „მოტვარის მოტაცება“. ზანდა იოსელიანი,  
იაკობ ტრიპოლსკი, დოდო ჭიჭინაძე, ბონდო გოგინავა




კინოფილმიდან  
„შეხვედრა  
ნარსულთან“



# მცირე მოგონება ნაცნობ ინტელიგენტი

ჩავთვალისწილი:



ამ ეპიგრაფებიდან კარგად ჩანს, რომ ინტელიგენტური აზროვნება ადამის მოდგმას კატეგორიებად არ ყოფს და მოყვასს, რომელ სოციალურ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, უყურებს როგორც თანასწორს თანასწორთა შორის. პლებეური აზროვნება კი ამის საწინააღმდეგოდ იქცევა: ყოფს, მტრობს, ანადგურებს.

ერთმა გამვლელმა ქუჩაში პოლიტიკურ თემაზე კამათი გამართა. წამსვე გაჩნდნენ თანამოაზრენი. ყველა ამას გაიძახოდა: ინტელიგენცია ერის მტერია. კომუნისტების ხელში კარგი თანამდებობები ეკავათ, მთავრობა მათ ფუფუნებაში აცხოვრებდა, სახელმწიფოს ხარჯით დადიოდნენ უცხოეთში და სხვა.

**შენიშვნა:** კარგი თანამდებობა ეჭირა, მაგალითად, ნიკო მუსხელიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო, მაღალი ხელფასი ჰქონდა და ალბათ, კარგად ცხოვრობდა. მოგზაურობითაც ბევრს მოგზაურობდა და მეტწილად სახელმწიფოს ხარჯზე. ამიტომ ერის მტერი იყო?

**ისინი:** ყველანი რუსეთის იმპერიას ემსახურებოდნენ.

**შენიშვნა:** ფორმალურად თუ მივუდგებით საქმეს, ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის სამსახურში იყო, სახელმწიფო სათათბიროს წევრი გახლდათ. ასევე, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ამიტომ ერის მტრები იყვნენ?

რამდენად სამართლიანია მა-  
ვანთა მანკიერების განზოგადება  
ინტელიგენციაზე?

ნიჭილიზმი ინტელიგენციის მი-  
მართ, უსაფუძვლოა და დიდად  
სამწუხაროც.

განებივრებული ინტელიგენ-  
ცია. რით იყვნენ, ნეტავ, განე-  
ბივრებულნი? ყველა ფიგაროს  
ბედს იზიარებდა: დილით – სტუ-  
დია; შუადღეს – რადიო; სალამოს  
– ტელევიზია; ღამე – სპექტაკლი.  
შედეგად – კაპიკები! ბევრმა ვერ  
გაუძლო შრომის არანორმალურ  
რეჟიმს და ნაადრევად წავიდა  
ამქვეყნიდან. უადგილო არ იქნება,  
სწორედ აյ ჩავწეროთ გალაკტიონ-  
ის სიტყვები:

„ჯვარცმის შემდეგ ის აღსდგე-  
ბა, როგორც წრფელი ქადაგება.

ეს წამება უშედეგოდ არ ჩაივ-  
ლის, არ გაქრება!“

იაკობ ტრიპოლსკი, სახალხო  
არტისტი: რამდენ ენერგიას ხარ-  
ჯავდა არსებობისთვის ბრძოლაში.  
ფენომენური მეხსიერება ჰქონდა.  
ვრცელი ტექსტი ზეპირად გა-  
დაჰქონდა ეკრანზე. მთარგმნელიც  
იყო, რედაქტორიც და მსახიობიც.

ყველა რეჟისორს მასთან  
სურდა თანამშრომლობა: კარგი  
ქართული იცოდა, წარმოსახვის  
ნიჭიც ჰქონდა და დიდი პასუხ-  
ისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს.  
არასოდეს დასცდენია საყვედური.  
კრიტიკული იყო მხოლოდ პოლი-  
ტიკური რეჟიმის მიმართ; ბევრი  
ანეკდოტი იცოდა, კარგი მთხოო-  
ბელი გახლდათ, შესანიშნავად გრ-  
ძნობდა რიტმს.

„ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის,  
მეორე ადამიანის ტოლფასია,  
ხოლო ერთი ადამიანური  
სიტუაცია, მეორე ადამიანური  
სიტუაციის ტოლფასი“

პაზოლინი

„მას გააჩნდა თავადური  
გრძნობა თანასწორობისა  
ყველა სულიერთან“

პასტერნაკი

მსახიობი უყვარს ხალხს. უყ-  
ვარს ხელისუფლებასაც. იაკობ  
ტრიპოლსკი ხომ განსაკუთრებუ-  
ლი სიყვარულით სარგებლობდა.  
ამიტომაც ბევრი მთხოვნელი ჰყავ-  
და. ხან მიღიცაში დაატარებდნენ,  
ხან საბინაო სამმართველოში, ხან  
რაიკომში, ხან სასამართლოში, ხან  
საავადმყოფოში და ხან – სად.

ერთი სიტყვით, გადადებული  
ჰქონდა თავი, სიამოვნებით ეხმა-  
რებოდა ყველას. თუ საქმე კე-  
თილად დამთავრდებოდა, მის  
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა:  
კეთილი ღიმილით უბრნყინავდა  
თვალები.

მას წამდვილად ჰქონდა უფლე-  
ბა, თავის თავზე ეთქვა ის, რაც  
პოეტმა ფრანც ვერფელმა თქვა:

„კარგი საქმე გავაკეთე.  
გიხაროდეს გულო,  
კარგი საქმე გავაკეთე,  
აღარ ვარ უკვე მარტო...“

უურნალი „სინემა“,  
1992 წელი

# თუ რაიმე არ მოსწონდა, თავს დაბტლა ხრიდა



რამდენიმე წლის წინ, კოტე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთან მალხაზ მებურიშვილთან საუბარში დაიბადა იდეა, რომ მოგონებების კრებული მოგვემზადებინა სახალხო არტისტის, იაკობ ჭრიპოლსკის შესახებ. მსახიობებმა და რეჟისორებმა დიდი სიამოვნებით მოგვაწოდეს მასალები და ყველამ, ვინც მოიგონა იაშა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა მისი არაჩვეულებრივი უნარი დახმარებისა, სხვაზე მზრუნველობისა. მის ამ მოქმედებას სულ სხვა მომხიბვლელობა ჰქონდა, ვინაიდან ეს არ იყო უბრალოდ მოვალეობის მოხდა ან რაიმე თამაში ადამიანში ღრმად დაფარული ანგარებისა. არა! იაშა ეხმარებოდა ყველას, ვისაც უჭირდა, ვინც სამართალს ეძებდა. იაშა რომ სახალხო მსაჯულად დაასახელეს, უყოფმანოდ დათანხმდა, ვინაიდან იცოდა, რომ ვიღაცას მისი მხარდაჭერა დასჭირდებოდა.

გულმოდგინედ ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესებს. საშინალად ლელავდა ადამიანის ბედის გამო. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ზოგიერთ პროცესზე დაწვრილებით გვიამბობდა. აინტერესებდა სხვების აზრი, დრამაში მათი მორალური მონაწილეობა.

იაშას დუბლიაუის განყოფილებაში დავუახლოვდი. ერთ ოთახში ვისხედით წლების განმავლობაში. ყველას მასთან სურდა თანამშრომლობა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კარგ დიალოგს მოიფიქრებდნენ. მისი იუმორისტული ნიჭიც გამოუყენებიათ. მაგალითისთვის, ირაკლი კვირიკაძის შესანიშნავი კინონოველა „ქვევრიც“ კმარა, თუმცა, ამ ფილმის სცენარის ავტორი რეზო გაბრიაძეა. ოთარი იოსელიანის „პასტორალის“ დიალოგებზეც იმუშავა. მეგრული ტექსტის რედაქცია მალხაზ მებურიშვილს ევალა.

ოთარ იოსელიანმა იაშა ტრიპოლსკის შენიშვნები გაითვალისწინა და ბოლოს, ფილმის თანაავტორობაც შესთავაზა.

იგი მხატრულ (ორიგინალურ) თუ დუბლირებულ ფილმს ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. საერთოდ, მისთვის არ არსებობდა მეორეხარისხოვანი სამუშაო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი როლი მუნჯი ფილმების აღდგენაში. ტექსტი თითქმის არ არსებობდა.

იაშა დიდხანს აკვირდებოდა პერსონაჟს, ტუჩების მოძრაობას და თანდათან ღიმილი ეფინებოდა მის სახეს. ეს იმის ნიშანი იყო, რომ საჭირო რეპლიკას მიაგნო. ეს იყო ჯოჯოხეთური შრომა.

დახუთული ოთახი, სიბნელე, პაპიროსის ბოლი და ათასჯერ დატრიალებული კადრი. იაშა განსაცვიფრებელად იმახსოვრებდა გრძელ მონოლოგებს და კადრის მოძრაობის სისწრაფით წარმოთქვამდა მათ. და რა მწარეა, ერთ დღეს ვხვდები იაშას მარჯანიშვილის თეატრის ნინ, მაკვირდება და უჭირს, გამიხსენოს...

ძეირფასი იაშა ტრიპოლსკი! მოკრძალებული, მორიდებული ადამიანი. არ მახსოვს, მას ვინმესთვის შენიშვნა მიეცა. თუ რამე არ მოეწონებოდა, თავს დაბლა დახრიდა.

როგორც აღვნიშნე, იაშას ბევრი მთხოვნელი ჰყავდა – ვინ რას სთხოვდა, ვინ – რას. მეც



მარცხნიდან რეზო ებრალიძე, შუაში – რეზო ჩხეიძე, ვახტანგ ნინუა, იაშა ტრიპოლსკი და საშა მახარაძე



შემიწუხებია. ერთხელ ნასვამი ვმართავდი მანქანას. მეგობრებიც, რომლებიც მახლდნენ, ნასვამები იყვნენ. ინსპექციამ გაგვაჩერა და განყოფილებაში წაგვასხა. აյ გაიმართა მოლაპარაკება. ვიღაც თაღლითი ჩაერია ჩვენს საქმეში, თითქოს გვიცნობდა და სურდა ჩვენი დახსნა, მაგრამ ვერ მოვრიგდით. მაშინ დაიტოვეს ჩვენი საბუთები და მეორე დღისთვის დაგვიბარეს. სიამოვნებით დავთანხმდით, ვინაიდან იაშა გვეგულებოდა. დილა-ადრიანად დავადექით თავზე. ეძინა, გავალვიძეთ. ვუთხარი, რაც მოხდა. შეფიქრიანდა, ეტყობოდა, ეძნელებოდა ამ თემაზე ინსპექციაში ხეებნა-მუდარა, მაგრამ წამომყვა. ჯერ მივედით რაიკომში. ისე გაუხარდათ იქ იაშას გამოჩენა, რომ ვიგრძენი, საქმეს კარგი ბოლო ექნებოდა. რაიკომის მდივანმა თავისი წარმომადგენელი გამოგვაყოლა.

ჩვენს დანახვაზე ინსპექტორთა ჯგუფი სახტად დარჩა. უფროსმა დიდი პატივით მიიღო იაშა და საბუთები სასწრაფოდ დაგვიბრუნეს. გავიმარჯვეთ, მაგრამ დიდხანს მქევიდა ეს გამარჯვება. შინისკენ რომ მივდიოდით, იაშამ მაჩვენა თავისი მართვის უფლება და ტალონი, სადაც ერთი შენიშვნა არ იყო აღნიშნული. მითხრა, – რამდენი წელიწადია ვატარებ მანქანას და ერთი დარღვევაც არ მქონია. ისიც კარგად ვიცი, რომ პატარა დარღვევისთვის არაფერს მეტყვიან, მაგრამ არ ვარღვევ და არც არასოდეს დავარღვვო.

ასეთი იყო იაკობ ტრიპოლესკი!  
დაუკინებარია იაშას იუმორი.



სცენა სპეციალური დაქანონტევლი „პრემიერა“,  
ნანი ჩიქვინიძე და იაკობ ტრიპოლსკი

ერთ ზაფხულს იაშა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი სტუმრად იყვნენ მარტვილში – დადგმა წარმოადგინეს. მეორე დღეს, მამაჩემის თხოვნით, რომელსაც უყვარდა მსახიობები, სტუმრები შინ მივიწვიეთ. იმ სუფრის წევრთაგან ხუთი უკვე აღარ არის ჩვენს შორის, იაშა ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, გოგი ტატიშვილი, პავლე ინწკირველი და მამაჩემი.

აი, რა გვიამბო იმ სუფრასთან: „ერთმა მოსკოველმა კინორეჟისორმა სტალინის როლი შემომთავაზა. ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, ვინაიდან სტალინი დიდი ისტორიული ფიგურაა... გადალებები დაიწყეს თუ არა, მეც გამომიძახეს. და აი, დავდივარ გადასალები მოედნის ახლო-მახლო (შესვენების დროს) გენერალსიმუსის ფორმაში გამოწყობილი და ჩიბუს შევექცევი. უცებ საიდანლაც გამოჩნდა ფარაჯიანი კაცი, ჩამივარდა ფეხებში და თითქმის ტრიპოლით მომმართა: „იოსიფ ვისარიონოვიჩ, კაკოე სჩასტიე ჩტო ვიუუ ვას (თან თარგმნის – ბედნიერი ვარ, რომ გხედავო).“

ავლელდი. ერთი რუსი მაინც ვნახე სტალინის გულშემატკივარი-მეთქი. მოვეფერე, წამოვაყენე. უცებ რუსმა ხმა შეიცვალა და ჩურჩულით მითხრა: ტოვარიშჩი სტალინ, ჩემი საძაგელი ცოლი ჩემს ხელფასს იღებს და მე კაპიკს არ მაძლევს. თავი გასკდომაზე მაქვს, წუხანდელი ნასვამი ვარ. ამხანაგო სტალინ, მომეცით სამი


მანეთი, რომ „პახმელიიდან“ გამოვიდე... სიტუაციის ასეთი მკვეთრი შემობრუნებისგან სახტად დავრჩი, მაგრამ იმ რუსს სამი მანეთი მაინც მივეცი“.

ყველა იცინოდა, მამაჩემის გარდა. იაშამ მამაჩემს თავისი ფოტო აჩუქა სტალინის როლში. განიმუხტა სიტუაცია და კვლავ გაჩალდა სადლეგრძელობი.

მას შემდეგ ბევრჯერ გამხსენებია ის სუფრა. ის, ასე ვიტყვი, იდილიური იაკობ ტრიპოლსკის მხურალე გული და პატრიოტიზმი დღეს უფრო სჭირდება საქართველოს...

**ჩაზოგადობა**  
გაზეთი „ობილისი“, 1997 წელი

# სიცემბა მეგობარზე



მის გამოჩენას სცენაზე მხურ-ვალე ტაშით ეგებება მაყურებელი, ქუჩაში მის დანახვაზე ყველას კე-თილი ღიმილი ეფინება სახეზე, გოგოები ერთმანეთს ეჩურჩუ-ლებიან: „შეხედე, ტრიპოლსკი მოდის, ტრიპოლსკი!“ ყველას უყ-ვარს, ყველა პატივს სცენს, დიდია მისი ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე!

ყველაფერი სახელმწიფო უნი-ვერსიტეტიდან დაიწყო. 1939 წელს იქ საკმაოდ სერიოზული ავ-ტორიტეტის მქონე სტუდენტთა თვითმოქმედი თეატრი არსებობდა. თეატრს ხელმძღვანელობდნენ მარჯანიშვილის თეატრის მსახ-იობები, ჯერ გიორგი ლომაია, შემ-დეგ კი – ჩვენი დაუკინებარი პიერ კობახიძე.

სპექტაკლ „ლადო კეცხოველის“ რეპეტიციები მიღიოდა. ერთ დღეს რეჟისორის თანაშემწემ, გიორგი კობაძემ სპექტაკლის დამდგმელ ლომაიას წარუდგინა თავისი კუთ-ხის შვილი, ფასანაურელი ჭაბუ-კი, ამას ჩვენს თეატრში მუშაობა უნდაო. რეჟისორმა ახედ-დახედა, მოეწონა მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა, მისი ძლიერი ხმის სასიამოვნო ტემპრი და რეპეტი-ციაზე მიიწვია. იაშა ტრიპოლსკიმ მიიღო თავისი პირველი როლი – პირველი ტუსალი! როდესაც ციხ-ეში ღადო კეცხოველს კლავენ, თოფის ხმაზე ტუსალები სარკმ-ლებს მიცვივდებიან და ამ დროს გაისმის ხმა – „ამხანაგებო, ღადო მოჰკლეს!“. პრემიერაზე ახალგაზ-რდა მსახიობი აღელდა და მთიუ-

ლურ კილოზე დაჰკივლა: „ლადო მახულეს!“ მაყურებლის რეაქცია გასაგები იყო, ჩვენთვის კი ეს შემთხვევა დიდხანს დარჩა მხიარულების საგნად (ამ სტრიქონების ავტორმაც მაშინ აიდგა ფეხი სცენაზე და გულწრფელად მათბობს და მახარებს ჩვენი 40 წლის წმინდა, შეუბლალავი მეგობრობა).

1942 წლიდან იაშა ტრიპოლსკი მარჯანიშვილის თეატრშია. მისი პირველი რეჟისორი იყო ვერიკო ანჯაფარიძე. დიდი კოტეს თეატრი, მისი დიდებული უფროსი თაობა გულთბილად შეხვდა ნიჭიერ ახალგაზრდას და შემოქმედების ნათელ გზაზე დააყენა. იაშა ყველასთვის სასურველი პარტიორი გახდა. დღეს უკვე ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი, სახელმოხვეჭილი ოსტატი დიდი მონიშებით იგონებს ამაგდარ ადამიანებს, განსაკუთრებით ჩვენს დაუკინწყარ, განუმეორებელ შალვა ლამბაშიძეს!

იაშა ტრიპოლსკის ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული! ჭეშმარიტად აქტიორული გმირობაა!

მარჯანიშვილის თეატრის დიდებულ ანსამბლში ყოველთვის შეხმატებილებულად უდერს მისი განუმეორებელი ხმა, ამდიდრებს და ათბობს მისი ნათელი ტალანტი!

კიდევ ერთი ძვირფასი თვისება მინდა აღვნიშნო. მას მრავალი როლი განუხორციელებებია ურეპეტიონდ და უხსნია თეატრი გასაჭირიდან, მრავალი სპექტაკლი გადაურჩენია. აქ იგი მართლაც ფენომენურია! ვინ არ შეუცვლია

მას, თვით ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე და სხვანი.

იგი მოღვაწეობს ქართულ კინემატოგრაფიაშიც („ქალის ტვირთი“, „მანანა“ და „შეხვედრა წარსულთან“), მიწვეულ იქნა მრავალ ფილმში სტალინის როლის შემსრულებლად და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვა თავი. მან ხუთასზე მეტი ფილმი გაახმოვანა ქართულად, მრავალი ფილმი თავადვე თარგმნა. იაშა ტრიპოლსკი ხშირად მონაწილეობს რადიო და ტელეგადაცემებში.

40 წელი ქართულ სცენაზე! რამდენი უძილო დამე, რა დიდი შრომა, წვა, დაუცხრომელი ძიება, ლტოლვა სრულყოფისაკენ.

ასეთი რანგის ხელოვანისთვის 60 წელი სიბრძნის პერიოდია. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ძალაც შესწევს ქადილისა. ამის სანინდარია მისი გულშიჩამნვდომად, მშვენივრად განსახიერებული ირაკლის როლი ჩვენი თეატრის ახალ სპექტაკლში „პრემიერა“.

იდლეგრძელე ამაგდარო, ღვაწლმოსილო, მუშა ფუტკარივით მოუსვენარო კაცო, კიდევ 40 წელი ტრიუმფით გევლოს ჩვენს სათაყვანებელ სცენაზე.

**ბიობი ჟამიშვილი,  
„ქართული თეატრის დღე“.**  
1980 წელი

# დაუვიზუარი სახე

უწვრილმანეს ნაკვთებამდე ახლობელი სახე მისი, მოციმიმე თვალები, ხიბლიანი ღიმილი, თხრობისას ტუჩებიდან რომ არ სცილდებოდა, აჯადოებდა მსმენელს. მსმენელი კი ურიცხვი ჰყავდა.

თეატრმა ბევრჯერ მოიგონა და კვლავაც მოიგონებს მის ხიბლიან პიროვნებას, დაუვიზუარ როლებს...

აი, სადუბლიაურ გაერთიანება კი დიდ ვალშია მასთან, ვინც უამრავ უცხო გმირს ქართული სახე მისცა, თითქოს ქართული სახეები გადმოდიან ეკრანიდანო, იტყოდით მისი გმირების გახმოვანებით მოხიბლულნი.

ცეცხლი თვალებში, ცეცხლი თხრობაში, ჟესტებში. მეტალი ხმაში, განუმეორებელი ანეკდოტისტი. გაუთავებლად შეეძლო მოეყოლა ნანახ-გაგონილი ეპიზოდები სხვათა და სხვთა ცხოვრებიდან. მონათხრობით შორს გაურბოდა გონებას, თხრობის ტექნიკა ისე გვატყვევებდა.

ხვეწნით ყელს გამოიწევდა, საჩვენებელი თითის ზემოთ შემართვით გვთხოვდა – ერთიც კიდევო და ყვებოდა და გვავიწყდებოდა, სამუშაო დრო დასაზოგი რომ გვქონდა.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა. ჩაიკითხავდა, მიკროფონთან ზურგით დადგებოდა და სინქრონულად, შეუცდომლად ჩაატარებდა ტექსტს – ხასიათით გამართულს, ინტონაციებით დაზუსტებულს.

ერთხელ დუბლიაჟიდან მეუღლეს ურეკავს – ნაზიკო, ობლიგაციის ამა და ამ ნომერმა მოიგო, სადღაც ცხრილს მოვკარი თვალი, აბა, ნახეო. სწორი აღმოჩნდა.

რა სიხარულით გვაუწყა ერთხელ: უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ქართულ წერაში შეიღლს – ტრიპოლსკის ხუთიანი პირველს ეწერა.

ტრიპოლსკისო – გაიმეორა.

გულით, ენითაც, ქცევითაც, სულით, აზრით ქართველი იყო.

თარგმნიდა კიდეც რიგიანად. ტექსტს ხარისხიანად „აწყობდა“. ყველას გვინდოდა, მას „ჩაეწყო“ გასახმოვანებელი ტექსტი.

არ არსებობს ადამიანი, უკან მოიხედოს და არ ამოიხროს. ერთ-ერთი ოხვრათაგანი იაკობ ტრიპოლსკის მოგონებაა.

ეს ოხვრა მზიან-ჩრდილიანია. მზესავით კაცი იყო, ათბობდა ყველას – თავისი სიკეთით და ხასიათით, ორიგინალური ნიჭით.

ადამიანის არსებობის გამართლება სიკეთის ქმნააო – იტყოდა ხოლმე და ამ დევიზით იცხოვრა კიდეც.

## კითხვა ნება

სადუბლიაურ და აღსადგენი ფილმების განყოფილების რეჟისორი



კინოფილმიდან  
„სანამ წვიმა გადაჭიდეს“



# რა დაგვავიწყებს იმ ლამაზ დღეებს...

შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს, რომ ბატონი იაკობი უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახალხო თეატრს, იყო მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი. ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა ბედნიერება, ემუშავა მასთან და მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტის სცენაზე მის მიერ განხორციელებულ ორ სპექტაკლში..

არავის გაჰკვირვებია, როდესაც ბატონმა იაშამ (ასე მივმართავდით მას) თანხმობა განაცხადა ჩვენს თეატრში მუშაობაზე. მეტიც – იგი ძლიერ გაახარა ამ მოწვევამ. არ გაგვავირვებია იმიტომ, რომ მსახიობი თვითონაც ძველი უნივერსიტეტელი გახლდათ, აქ დაამთავრა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, აქ შეასრულა პირველი როლი და სიმბოლურიც კი იყო, რომ უნივერსიტეტის სცენაზე ფეხდადგმულს სწორედ ამ თეატრის ხელმძღვანელობა მიანდეს და ისიც ჩვეული ენერგიით, ტრიპოლ-სკისეული შრომისმოყვარეობით შეუდგა საქმეს.

– მარჯვანიშვილის თეატრის სცენას უნივერსიტეტის არაერთი კურსდამთავრებული ამშვენებდა და ამშვენებს. თუ მივაღწევ იმას, რომ თქვენს შორის თუნდაც ერთი აღმოჩნდება ამ დიდებული ტრადიციის გამგრძელებელი, უბედინერეს ადამიანად ჩავთვლი თავს, – ხშირად უთქვამს ჩვენს ხელმძღვანელს და საამისოდ არც არაფერი დაუშურებია: გვიზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას, გვიამბობდა მარჯვანიშვილელთა სხვადასხვა თაობის მსახიობებსა და რეჟისორებზე, იხსენებდა მრავალ საინტერესო ეპიზოდს. მის ყოველ სიტყვაში იგრძნობდით, რაოდენ დიდი იყო ბატონი იაშას სიყვარული და მოკრძალება შშობლიური თეატრის მიმართ, როგორ ამაყობდა, რომ ამ უდიდესი ტრადიციების მქონე კოლექტივის ღირსეული წევრი იყო. ჩვენ კი სიამოვნებას გვანიჭებდა იმის შეგრძნება, რომ ვიდექით იმ მსახიობის გვერდით, რომელსაც არაერთხელ მოუნიჭებია უდიდესი სიხარული შესრულებული როლებით.

და, აი, ეს კაცი ახლა უფროს მეგობრად, დამრიგებლად მოგვევლინა, მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა თითოეული ჩვენგანის ნებისმიერ ცხოვრებისეულ პრობლემას, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს „სასცენო მოღვაწეობაზე“, ხშირად შემიმჩნევია, მიზანსცენაზე მუშაობის დროს რამე თუ არ მოეწონებოდა, არასოდეს გვაგრძნობინებდა, რომ ის პროფესიონალი, მრავლისმახველი მსახიობი გახლდათ, ჩვენ კი მხოლოდ მოყვარულები.



ცდილობდა და ახერხებდა კიდეც შენიშვნის იმგვარად მოცემას, რომ გული არავის დასწყვეტოდა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ბატონმა იაშამ ჩვენთან ორი პიესა დადგა – მარ ბაიჯიევის „დუელი“ და ფრანგული კომედია „ჩემი მეომარი“. თითქმის დამთავრებული გვქონდა მუშაობა ლევან გოთუას „მეფე ერეკლეს“ მიხედვით შექმნილ სპექტაკლზე, მაგრამ სხვა-დასხვა მიზეზის გამო იგი აღარ წარმოგვიდგენია. მინდა, გავიხსენო ამ სპექტაკლზე მუშაობის ერთი ეპიზოდი: ბევრ მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე „მეფე ერეკლეში“ ქართველი პოეტის, ბესარიონ გაბაშვილის როლს იაკობ ტრიპოლსკი ასრულებდა. ერთ-ხელ, ჩვენს სპექტაკლში ბესიკის

როლის შემსრულებელი ავად გახდა და მის ნაცვლად ბატონმა იაშამ გაირა რეპეტიცია. ვერ აღვიძერთ იმ განცდას, რომელიც იმ დროს მსახიობს დაეუფლა, მის ანთებულ თვალებს, იმ დიდ სიხარულსა და მღელვარებას, რამაც მოიცვა ჩვენი ხელმძღვანელი. თითქოს ისევ იმ ძველ სპექტაკლში თამაშობდა, თითქოს ისევ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგა ვასო გოძიაშვილის, შალვა ლამბაშიძის, გიორგი შავგულიძისა და ქართული სცენის სხვა კორიფეთა გვერდით.

კიდევ ბევრი ლამაზი მოგონება დაგვრჩა თქვენგან, ბატონი იაშა, კიდევ მრავალჯერ გავიხსენებთ თქვენთან გატარებულ ბედნიერ დღეებს.

## ზურაბ ბოჭაძე

# სიკეთით მადლმოსილი

დროის ულმობლობას განსაკუთრებულად გრძნობ, როდესაც კარგავ ახლობელ ადამიანებს. მათ წასვლასთან ერთად ცხოვრების ნაწილი ინთემება წარსულში და გვიტოვებს მხოლოდ ხსოვნას, სიხარულით აღსავსე მოგონებებს, დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

წყალობდა მას – ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ დიდ შემოქმედთა გვერდით, ვინც ლეგენდად შემორჩა ჩვენი თეატრის ისტორიას.

რთულიც იყო და სიხარულის მომგვრელიც მათ გვერდით ცხოვრება. მით უმეტეს, ამ თანავარსკვლავედში როცა მოქებნი შენს ადგილს, როდესაც მათი ამხანაგი ხარ და მათთან ერთად იზიარებ შემოქმედებით სიხარულს, როდესაც შენი მისწრაფებები მათი თანახმიერია. აქ წარმოჩინდა მისი ტალანტი, მისი ელვარე ნიჭი, დიდი მომთხოვნელობა საკუთარი თავის




მედეა ჯაფარიძე, ბერძენი მსახიობი ასპასია პაპატანასიუ, დაკომ ტრიპოლსკი და დოდო ჭიჭინაძე

იაკობ ტრიპოლსკი ჩინებული მსახიობი, ჭკვიანი და სიკეთით მადლმოსილი ადამიანი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფუძემდებელთა და უხუცესთა ბრძყინვალე პლეადის უმცროსი თანამედროვეა. ბედი დიდად

მიმართ, მისი მეცნიერებრივი და ადამიანური პოზიცია. აქ გამოვლინდა მისი ეთიკური და ზნეობრივი ნორმების ხელშეუხებლობა, მისი გულწრფელობა, სიმართლის სიყვარული ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც.



„ტალანტები და თაყვანისმცემლები“  
ნეგინა – სოფიკო ჭიაურელი  
დუღებოვი – იაკობ ტრიპოლსკი



სპექტაკლში  
„ესკადრის დაღუპვა“

დღემდე ნათლად, მკაფიოდ ვიგონებ დიდი ხნის წინ როგორ წარმადგინა მე, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორი, დიდი ვაჟა-ფშაველას შვილთან. ისეთი უშუალო იყო, ისეთი გახარებული, ისე გულწრფელად აღტაცებული, რომ ჩვენ, ორივემ ვიგრძენით ურყევი კავშირი წარსულთან. ჩვენსა და უდიდეს პოეტს შორის ხომ მხოლოდ ერთი თაობა იდგა, ერთი ადამიანური სიცოცხლე! ეს მოკრძალება და მონიჩება თავისი ხალხის, მისი წარსულისა და აწმყოს წინაშე განსაკუთრებულად გამომჟღვნდა, როდესაც მის მშობლიურ ფასანაურს მივუახლოვდით, სადაც მან ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები გაატარა.

მშობლიური მთიულეთის ბუნებამ, ამ მიწამ, ხალხის რაინდულმა სულმა ჩამოაყალიბა მისი ხასიათი და როგორლაც, განსაკუთრებულად გამოარჩია მათგან. ანთებული თვალები, ვაჟეცური, მომხიბვლელი ტემპრის ხმა, აქტიური, მოუსვენარი ბუნება, კეთილგანწყობა, გულისხმიერება, თანადგომა და ამავე დროს, განსაკუთრებული თავაზიანობა, სიფაქიზე, ურთიერთობებში, ყოველგვარი გაორებული თამაშისადმი სიძულვილი (ცოდვა გამხელილი ჯობს და თეატრალური სამყაროსთვის ასეთი თამაში იშვიათობა როდი) მთელი სიცხადით წარმოაჩენს მთელ მის ხასიათს, მის ბუნებას, განსაკუთრებით, ახალგაზრდა და დამწყებ მსახობებთან ურთიერთობისას. მქონდა ბედნიერება, თავად განმეცადა მისი იშვიათი სიკეთისა და გულუხვობის ძალა.

მახსენდება მუშაობა სპექტაკლებზე: „შავთვალა გოგონა“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „მოსამართლე“, როგორი გატაცებით მუშაობდა, როგორი საქმიანი და ყოვლისმომცველი იყო მისი შენიშვნები თუ მიგნებები. მე და იაშა ხშირად ვრჩებოდით რეპეტიციის შემდეგ, ვკამათობდით (როგორი კეთილგანწყობილი მოკამათე იყო!), ზოგიერთ რამეს უარვყოფდით.

მისი შემოქმედებითი აქტივობა სტიმულს ბადებდა და ხშირად, ამგვარ შემოქმედებით პროცესში ახალი გადაწყვეტა იბადებოდა... მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლები, უცხო იყო

„იაკობ ტრიპოლსკი,  
რომ იტყვიან, სცენაზე  
ცხოვრობს, ცხოვრობს  
როლში სულიერადაც და  
ფიზიკურადაც. გარეგნული  
სახიერება სულიერის  
შესატყვისად არის მკაფიოდ  
და მკვეთრად გამოხატული.

იაკობ ტრიპოლსკის  
დულებოვი შემზარავია,  
იმდენად მამხილებლად  
არის წარმოსახული  
ამ დაბეხრეკებული  
თავადის ფარისევლური  
თაყვანისმცემლობა  
ტალანტებისმი, მისი  
ავკაცობით ნაკარნახევი  
ბოროტი ცდა, გასრისოს  
ახალგაზრდა მსახიობი  
ქალი, რაკი იგი ფულით ვერ  
მოისყიდა და ხასად ვერ  
დაისაკუთრა“.

დიმიტრი ჯანელიძე

„ტალანტები და თაყვანისმცემლები“  
დულებოვი – იაკობ ტრიპოლსკი  
ბაკინი – ლადო ცხვარიაშვილი

აქტიორული ამბიციები (ესეც იშვიათი აქტიორული თვისებაა). მას ჯადოქარივით ბევრჯერ უხსნია თეატრი უხერხული მდგომარეობიდან. კარგად მახსოვს, როგორ შევიდა სპექტაკლებში „ყარამან ყანთელაძე“ და „უსახელო ვარსკვლავი“.

იგი ჩინებული პედაგოგი იყო. მთელი მისი პიროვნება ანდამატური ძალით მოქმედებდა ყველაზე. ელეგანტური, ლაზათიანი, ვაჟკაცური, უმაღლ ყველას ყურადღებას იპყრობდა. უყვარდა შრომა, შესანიშნავად თარგმნიდა ინგლისური ენიდან. თავდავიწყებით უყვარდა

## რეზო მირცხულავა, რეჟისორი:

ჩემთვის დიდი პატივია, რომ  
ვსაუბრობ კაცზე, რომელიც  
ჩემთვის იყო მასწავლებელი.  
იაშა საერთოდ ყველასთვის  
პატივცემული კაცი  
იყო. კარგი მოსაუბრე,  
კეთილისმსურველი. თუ  
შეგიყვარებდა, კაცურად  
შეგიყვარებდა და მერე  
იმედიანად იყავი. ის იყო  
მამასავით კაცი, არცისცებში  
გამორჩეული, ბევრი  
ლაპარაკი და ცრაბაზი არ  
უყვარდა. თავის პროფესიას  
ძალიან დიდ პატივს სცემდა.  
ბუნება ჰქონდა არცისცის,  
მომთხოვნებლობა — ვაჟკაცის.



ტიპალტი — სპექტაკლში  
„რომეო და ჯულიეტა“

თავისი თეატრი — უთეატროდ ერთ დღესაც ვერ გაძლებდა. ჩინებული ოჯახი ჰქონდა, ჰყავდა შესანიშნავი შვილები, მომხიბელელი მეუღლე.

იაშა ტრიპოლსკის ყველაფერი უყვარდა, რაც ნამდვილი იყო, რაც სიკეთით იყო მაღლმოსილი, განსაკუთრებით კი უყვარდა თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი.

**ანზო ჯათათალაძე**



„მთვარის მოტაცება“  
კაც ზვამპაიას როლში

**– ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი თამაშით?**

– როგორ გითხრათ... მსახიობი არასოდეს არ არის კმაყოფილი თავისი თამაშით. ჩვენი საზომი მაყურებელია. თუ მაყურებელი კმაყოფილია, ჩვენც კმაყოფილნი ვართ.

**– თქვენს მაყურებელთა შორის ავტორიც იქნებოდა...**

– რა თქმა უნდა. და ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, სწორედ მისი აზრი იყო მთავარი. შევძლებდით თუ არა მწერლისთვის სცენიდან დაგვენახვებინა თავისი გმირები, ადამიანები, რომელებიც თვითონ შექმნა, ამაზე ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ჩვენი წარმატება და წარუმატებლობა.... რადგან არავინ შეიძლება იყოს უკეთესი მსაჯული, ვიდრე ავტორი. ბატონი კონსტანტინე კმაყოფილი დარჩა.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ინტერვიუდან


# „ჰუმანიტარიუმის“ თამადა

## ახალ მონივა

ბატონი იაშა (იაკობ ტრიპოლ-სკი) მირონცხებული თამადა გახდათ. კაცი ლეგენდა, სუპერ-თამადა, მგოსანი. ერთი უცნაური ჩეეგა-თვისება ჰქონდა ცხონებულს. თამადობას ბოლომდე არასოდეს მიიყვანდა. დასასრულამდე ისე „ტექნიკურად აითესებოდა“, აღტაცებას ვერ ვმაღავდით. მერა, ისეთი „გამოცდილ-შებერტყილი“ წინა თაობის მსახიობებიც ვერ ამჩნევდნენ. დაიწყებდა და... „აითესებოდა“, მაგრამ ის დრო – „ათესვამდე“, ამ „უპარდონო“ ინციდენტს თავისუფლად გადასწონდა სასწორის პინაზე.

ერთხელ (მაშინ შედარებით ახალგაზრდა ვიყავი), ბატონი კოტე მახარაძე, ან განსვენებული ტარიელ საყვარელიძე, კუკური ლაფერაძე და კიდევ რამდენიმე მსახიობი – ერთ ცნობილ ქალაქურ რესტორანში „ჩავუჯექით“, ტრიპოლსკი თამადობს.

ხომ ვიციოდით, რა „ზნეც“ სჭირდა და და კოტე მახარაძემ გარდერობში ჩააკეტინა მისი პალტო და ქუდი. ზამთარია. უქუდოდ და უპალტოოდ სად წავა? თან



ბატონმა კოტემ, მეტი სიმშვიდის-თვის, გარდერობის გასაღები თავისი შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

მიდის გრიალი. მეთერთმეტე, თუ მეთორმეტე სადლეგრძელოზე საწყალმა იაშამ მოუმატა და მოუმატა ნაზიკოს სსენებას (ნაზიკო მეუღლე გახლდათ და სულ იმას იმიზეზებდა, ახლა ნაზიკოსთან ნავალო).

არ მოგვეწონა... ვიცით, ეს რასაც მოასწავებს, მაგრამ კოტე მახარაძე ზის ბურჯივით. რა თქმაუნდა, არაფერს იმჩნევს, თვალით გაგვიღიმებს – სად წავა?!?

სასწაულების საუკუნეა ჩვენი ახლანდელი საუკუნე...

ცოტას გავივლიო, ბოდიში მოიხადა იაშამ და... ხომ არ დაიჭირ? კაცი საკუთარი ფეხით უნდა წავიდეს საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გადის 10 წუთი, 15, 20... კაცი არ ჩანს.

ტარიელ საყვარელიძემ წინადადება შემოიტანა: შევანგრიოთ კაცო, კარი, იქნება რა უჭირს ჩვენს თამადასო. ერთმა მართლა არ „გარისკა“? მიაწვა დიდი ამბით ამ კარს ღონივრად. კარი შიგნიდან არ იყო, ბატონო, ჩაკეტილი და ის მსახიობი თავით დაასკდა ჩეხურ უნიტაზს. ეს არაფერი. წამოვაყენეთ. გადარჩა, მაგრამ ჩვენ იაშა გვაინტერესებს.

### გივი ბერივაშვილი:

მარჯანიშვილის თეატრში  
თამაშობდა მეფე ერეკლეს.  
ყველამ ვიცით, ხელში  
ჟამი უჭირავს საწამლავით,  
ბესიკმა იცის, თქმას ვერ  
ასწრებს და მაშინ ესვრის  
და ჩაუმტვრევს იმ ჟამს  
ხელში... მაშინ ბატონი  
იაშა ბელინსკის ქუჩაზე  
ცხოვრობდა. მეც ვერაზე  
ვცხოვრობდი და თეხით  
ჩავდიოდით „მეფე ერეკლეს“  
საყურებლად და პატარა  
ბავშვებიც მოგვყვებოდნენ,  
სულ მეკითხებოდნენ  
— გივიჭან, ახლა დღეს  
რომ ააცდინოს, ხომ  
დავიღუპეთ, მეფე ერეკლე  
მოკვდება. ვამშვიდებდი:  
ნუ გეშინიათ, არ ააცდენს—  
მეთქი, ჩაიმტვრეოდა ჟამი  
და ამოისუნთქვადა მთელი  
დარბაზი.



კოტემ, არიქა, არ გაცივდესო, გამოვცვივდით გარეთ.

დგას ჩვენი თამადა და ტაქსის გაჩერებას ცდილობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ გარდერობში ჩაკეტილი პალტოც კოხტად ეცვა და ქუდიც კოხტად ეხურა. დღემდე არ ვიცით, როგორ მოახერხა, მაგრამ ბატონ კოტეს კი შერჩა ის გასაღები ჯიბეში. იმის შემდეგ „ჰუმანოიდი თამადა“ შევარქვით და ხშირად ვიცინოდით ხოლმე გახსენებაზე.

ჩაინერა  
მურმან მერკვილიშვილმა



ლია ელიავა და  
იაკობ ტრიპოლსკი,  
„ქალის ტვირთი“

# მე მას ვიცნობდი

## ჩრდან ამინაზობი

საოცარი პარადოქსებით არის სავსე ჩვენი ცხოვრება. ხან ისეთ მოულოდნელ უსიამოვნებას გა-დავეყრებით, თავ-ბედს გვაწყევ-ლინებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა საოცნებოსა და მიუწვდო-მელს რეალობად გვიქცევს იღ-ბალი, გულსასიამო მოგონებად რომ აჩნდება სულს. ბატონ იაკობ ტრიპოლსკისთან შეხვედრა მაქვს მსედველობაში. ასე მგონია, ბა-ტონ იაშას, როგორც მას შინაურ გარემოცვაში მიმართავდნენ, გაც-ნობამდეც ვიცნობდი თითქოს. მას ხომ ჩვენი ოჯახის უსაყვარ-ლეს მსახიობად ვთვლიდით ყო-ველთვის.

მანამდე კი იყო – ირაკლი...

წლების მანძილზე ბატონი რეზო თაბუკაშვილის ფილმების გადამდებ ჯგუფში ვმუშაობდი, ასისტენტო-ბას ვუწევდი. ჩემი მისვლიდან ერთი წლის შემდეგ შემოგვემატა კიდევ ერთი წევრი. ეს გახლდათ სოსო ჩხაიძის სარეჟისორო ჯგუ-ფის კურსდამთავრებული, შესან-იშნავი ახალგაზრდა კაცი ირაკლი ტრიპოლსკი, შვილი იაშა ტრიპო-ლსკისა. ირაკლის განევრიანება

გადამდებ ჯგუფში თავად ბატონი რეზოს ინიციატივით მოხდა. ალლო არასოდეს ღალატობდა, მოეწონა კაცი და მოიყვანა.

„ბატონი იაშა ჩემი პედაგოგი იყო ადრეულ წლებში, უცხო ენას მასწავლიდა“, – საოცარი სიამაყ-ითა და თაგმოწონებით იტყოდა ხოლმე ბატონი რეზო თაბუკაშ-ვილი. ეს ორი შესანიშნავი, ზენკე-თილი, ინტელიგენტი მამაკაცი ძალიან ხშირად და პატივისცემით მოიხსენიებდა ერთმანეთს, ისინი ხომ თითქმის თანატოლები იყვნენ. ცალი ხელის თითებიც კმაროდა მათი ასაკობრივი სხვაობის მაჩვენ-ებლად...

ბატონი იაშა, უკვე ცხადია, მისი შვილის, ირაკლის მრიდან გავიცანი.

უფრო კონკრეტულად: იმ დღეს ირაკლი ნაყიდი წამლებით მოვიდა სამსახურში. სანამ ბატონი რეზო მოვა, სახლში ავიტანოთო, მთხო-ვა. გავყევი.

ბატონი იაშა ოთახში შეგვხვდა. მაგიდის მოშორებით დადგმულ სკამთან იდგა და ხელით სკამის საზურგეს ეყრდნობოდა. იღმიებო-და საოცრად ლამაზი და ამაყი ღიმილით, ერთბაშად რომ მოგა-ჯადოებდა კაცს. ირაკლიმ წარ-მადგინა მამასთან. მე სალამიც დავაგვიანე, მგონი... გამარჯობა-თო, თავად განმუხტა მდგომარეო-ბა...

მერელა მივედი ახლოს, ხელი ჩამოვართვი და უკანა ნაბიჯებით წელანდელ ადგილს დავუბრუნდი.

ბატონი იაშას ზურგსუკან წიგ-ნებით სავსე თაროების მწკრივი იდგა. ვიტრინის შუშებზე მსახიობის

უამრავი ფოტო იყო დამაგრებული. ვიტრინის მარჯვენა მხარეზე მიიქცია ჩემი ყურადღება. ფერადი ფოტოებიდან ბატონი იაშას მიერ განსახიერებული იოსებ სტალინის სახე იყურებოდა. ხან მასპინძლის დიდებულ ღიმილს ვუყურებ, ხან ფოტოსურათზე ალბეჭდილ მის გმირს. დიდებული ოსტატობით განასახიერა სტალინის სახე და არა მარტო სტალინის, მსახიობის მიერ განსახიერებული ნებისმიერი გმირი, ცხადია, დადებით გმირებს ვგულისხმობ, მაყურებლის უდიდესი სიმპათიით სარგებლობდა, ხოლო უარყოფითი გმირი, ყოველთვის თანაგრძნობით. შინაგანი იმპულსების ამგვარი გამჟღავნება, სიკეთის მკეთებელი ადამიანისთვის, კერძო შემთხვევაში ბატონი იაშას კეთილშობილი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებაა, რაც მსახიობის მიერ განსახიერებული გმირების ხასიათებში თავისთავად იყონებოდა.

ჩემს წინ კი, ბატონი იაშას სახით, სიკეთე იდგა.

— ბატონო იაკობ, ამ წუთს რომელი კინოროლის თამაშს ინატრებდით? — ვკითხე უნებურად.  
— მეფე ერეკლეს, — მიპასუხა აუღელვებლად, ღიმილით.

ამ დროს ითახში ირაკლი შემოვიდა.

- ისაუბრეთ? — გვკითხა.
- კი, — ვუპასუხე.
- წავედით... — მითხრა და ახლა მამას მიუბრუნდა: — დროებით, სამსახურში მივდივართ!
- საოცარი მეხსიერება ჰქონდა

ბატონ იაშას. შექსპირი უყვარდა და მისი ნებისმიერი ნაწარმოების ნებისმიერ მონაკვეთს თუ მონოლოგს ზეპირად კითხულობდა. და არა მარტო შექსპირის. გენიალური ვაჟა-ფშაველა ბატონი იაკობისთვის ქართული კლასიკური ლიტერატურის ამოსავალი წერტილი იყო.

ან რა არის გასაკვირი, მთიულური დიალექტით უბადლო მკითხველი, თავად ფასანაურელი, მთიელი კაცი, ეთაყვანებოდა თავისი კუთხის დიდებული მგოსნის შემოქმედებას...

რამდენიმე წლის წინ ბატონ იაშას მძიმე ავადმყოფობაშ დარია ხელი.

ნებისმიერ ავადმყოფობას გაუძლებდა ადამიანი, მაგრამ კაცისთვის, ვისი ნათამაშები ყოველი სპექტაკლი სუფრით მთავრდებოდა და ვის ოჯახში გაშლილი ყოველი სუფრა ხალხური პოეზიით ნასაზრდოებ ულამაზეს სპექტაკლს წარმოადგენდა, ჯანმრთელობისგან დაღალატიანება უდიდესი ტრაგედია იყო.

სცენაზე აღარ ასულიყო, სუფრასთან ვეღარ წაეკითხა ვაჟას პოეზია, ამას ვერ აიტანდა დიდი მსახიობი.

ავადმყოფობა კი სწრაფად, თითქმის თვალდათვალ ემძლავრებოდა დიდებულ შემოქმედს.

ბატონ იაშა ტრიპოლსკის ავადმყოფობას, ისევე, როგორც ყველა მისი თაყვანისმცემელი, შორით ნაცნობი თუ ახლობელი, ცხადია, ვერც ბატონი რეზო თაბუკაშვილი შეხვდა გულგრილად.



კადრი კინოფილმიდან  
„ქალის ტვირთი“  
გოგი გეგეჭყორი, მარინა თბილელი  
და იაკობ ტრიპოლსკი

ირაკლის ხშირად გამოჰკითხა-  
ვდა ხოლმე მამის ჯანმრთელობის  
მდგომარეობას.

ერთხელ, როცა მე და ირაკლი  
ბატონ რეზოსთან სახლში ვიმყ-  
ოფებოდით... „ბატონ იაშას სხვა-  
თა სიკეთისთვის გზად სიარულით  
დაუცვეთია ქალამნები, ღმერთი  
უშველისო!..“ – თქვა ბატონმა რე-  
ზომ და სანთლები აანთო.

მახსენდება, ავადმყოფობის ბო-  
ლო ხანებში ბატონი იაშა საავად-  
მყოფოში უნდა დაეწვინათ...

ერთხანს კედელთან მდუმარედ  
იდგა...

მერე მხარმარჯვნივ შეტრიალ-  
და, კედელზე დაკიდებულ ღვთისმ-  
შობლის ხელისგულისოდენა ხატს  
ეამბორა და... წაიყვანეს...

მე მას ვიცნობდი...

# ზნეობრივი სიმაღლის მაგალითი

## თემაზე ბაბლუნი

ბატონი იაშა ტრიპოლსკი ქართული ინტელიგენციის ჯანსაღი ნაწილის სამაგალითო წარმომადგენელი გახლდათ, უაღრესად განათლებულიდა მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი პიროვნება.

ბავშვი ვიყავი, როცა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი „ქალის ტვირთი“ ვნახე, რომელშიც მთავარ გმირს იაშა ტრიპოლსკი თამაშობდა. მის მიმართ ისე განვეწვე, რომ მაშინდელი განცდა წლების მანძილზე გამყვა. ბევრ ფილმში და სპექტაკლში ითამაშა და შეაყვარა თავი მაყურებელს.


როცა კინოსტუდიის დუბლიაჟის დარბაზში პირველად აჩვენეს „ბელურების გადაფრენა“, ბატონი იაშას გვერდით ვიჯექი. ფილმი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როცა მომიტრიალდა, ხელი ჩემსკენ ასწია და გულიანად მითხრა: ყოჩალ!.. შენ ვინ ყოფილხარ!.. ეს იყო პირველი შექება, გრებავთ პრიზი ან ჯილდო, რომელიც როგორც რეჟისორს მერგო წილად.

მაშინ კინოფილმებს მონტაჟის შემდეგ ახმოვანებდნენ, ხშირად ეს პროცესი დიალოგების ტექსტების შეცვლას ითხოვდა.

ბატონი იაშა გახლდათ ბევრი ცნობილი და აღიარებული ფილმის დიალოგების რეალური ავტორი. საყოველთაო აზრით, ის შეუდარებელი იყო ამ საქმეში. ზედმინევნით კარგად ფლობდა ქართულ ლიტერატურულ ენას. ამის თვალითაველი მაგალითი გახლავთ ბერნარდ შოუს და შექსპირის პიესების თარგმანები, რაც ასევე მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

გოდერძი ჩოხელის ბიძა გახლდათ, რომელსაც შვილივით ბატრონობდა, მის მსოფლმხედველობაზე და აზროვნების კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორი სიამაყით მითხრა ერთხელ გოდერძიმ: მე ძია იაშა მყავს!..

მის მდიდარ ბიოგრაფიაში ერთი გასაოცარი ამბავია: თავისი მამის მკვლელის ობლად დარჩენილი შვილი ოჯახში მოიყვანა და თავისი ვაჟების გვერდით შვილივით გაზარდა!.. ასეთი სულგრძელობის გამოვლინება ნებისმიერი კრიტერიუმის ჩარჩოებს ცდება. თან ამას აკეთებს ადამიანი, რომელიც გაზრდილია მთიულეთისათვის დამასასიათებელი ტრადიციებისა და ადათწესების მკაცრ გარემოში.



დარწმუნებული ვარ, მსგავსი ზნე-ობრივი სიმაღლის მაგალითი უშევიათესია.

ცნობილია, რომ ბატონმა იაშამ რთული და ზოგჯერ ეკლიანი ცხოვრების დიდი გზა გაიარა. ომის მძიმე წლებში თეატრში დასის ერთი ნაწილი სერგო ზაქარიაძეს დაუპირისპირდა. ურთიერთობადაიძაბა და სცენაზე ლამის ტრაგიკულ შემთხვევამდე მიიყვანა. ერთ სპექტაკლში, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, სერგო ზაქარიაძე წყალქვეშა ნავის კაპიტნის-როლს თამაშობდა. მისი პერსონაჟი ჯერ იარაღის მუქარით ცდილობს იაშა ტრიპოლსკის განსახიერებული ახალგაზრდა გმირის შეჩერებას, რომელიც არ ემორჩილება და მერე იძულებულია ესროლოს. სპექტაკლში გასროლა ნამდვილი „პარაბელუმის“ პისტოლეტი-

დან ტყვიების გარეშე ხდებოდა და ხმაურით გასროლის იმიტაციას ქმნიდნენ. მოხდა ისე, რომ ერთი სპექტაკლის დროს, ეილაციის ავი განზრახვით, პისტოლეტში ნამდვილი ტყვიები ჩადეს და იაშა ტრიპოლსკი ბეწვზე გადარჩა. ეს ამბავი სერგო ზაქარიაძეს მოუწყვეს.

ამ რეალური ფაქტის მაგალითზე შეიძლება წარმოვიდგინით ის სირთულეებით სავსე დროება, რომელშიც უხდებოდა ბატონ იაშა ტრიპოლსკის შრომა, მოღვაწეობა და ცხოვრება, რომელიც მან უმნიკვლოდ განვლო. შექმნა ძალიან კარგი ქართული ოჯახი, ჰყავდა ღირსეული მეულლე და ჩინებული ვაჟკაცები გაუზარდეს ქვეყანას.

ბატონი იაშა ტრიპოლსკი ჩვენი თაობისათვის ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნება გახლდათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

# GOOD NIGHT, YOUNG LADY!..

## ნიზო ზაკარიაშვილი

Cherries, ripe cherries!

The old woman cried...

და გავქვავდი.... ვეღარ ვაგრძელებ. კარნახი მესმის, რაღაცას მანიშნებენ. ბოლოს ვიღაც ხელს მკიდებს და გვერდზე გავყავარ.

- წავედით სახლში, - მეუბნება მამა, - ეეჲ, ძალიან კი შეგვარცხვინე!..

უცნაური თავსაფრის მოგლეჯას უშედეგოდ ვცდილობ. ხელში უზარმაზარი კალათა მიჭირავს და მინდა მოვისროლო. არც მეტირება, არც მრცხვენია. ოღონდ წამიყვანეთ აქედან! მესმის, როგორ არაკრაკებენ ინგლისურად გრძელლექსებს პრინცესების კაბებში გამოწყობილი ჩემი ბალის უფროსი ჯგუფელები.

- ჩაწერილია, მოემზადეთ! - რა მკაცრი ხმაა, - ბავშვი გაიყვანეთ კადრიდან!

- ეჲ, მოკლედ, პირველსავე ჩაწერაზე ჩაფლავდი ტელევიზიაში, - მეუბნება ბაბუ და გასასვლელისკენ მექაჩება.

რა საშინელი სინათლეებია გარშემო. რა ბრაზიანია ყველა. ჩქარა სახლში! მომაშორეთ აქაურობას.

- ბატონო სერგო! რამ შეგანუხათ?

- ოჲ, იაშა! - და ბაბუ გულში იკრავს კინოში რომ მანანაა, იმის მამას, კაპიტანს. ჩემი ბაბუ, თურმე, იცნობს მანანას მამას!

- მე არა, აი, ჩვენმა გოგომ ლექსი თქვა კონცერტზე... ინგლისურად... - ბაბუმ არ გამცა.

- ინგლისურად? აბა, მეც მითხარი, - გამიღიმა მანანას მამამ და თავზე ხელი გადამისვა. როგორც მანანას, ისე გადამისვა!

- Cherries, ripe cherries! The old woman cried... - სულმოუთქმელად ვთქვი ლექსი ბოლომდე და გამარჯვებულმა ბაბუს გადავხედე.

- Young lady, what is your name?  
- ???? - ახლა სახელი დამავიწყდა.

- ეგ მაინც ხომ გასწავლეს მაგბალში? უპასუხე! - გადაირია ბაბუ.  
- წავიყვან, თორემ ეძინება უკვე, დაემშვიდობე ძია იაშას!


- ღამე მშვიდობის! - ზრდილობიანი ბავშვი კი ვიყავი.

- Good night, young lady! - ხელში ამიყვანა და მაკოცა, როგორც მანანას!

- წავედით!.. გამოგვიარე, იაშა, გამოგვიარე, - მამამ და ბაბუმ ჩამკიდეს ხელები, - იქნებ, ამასაც ასწავლო ინგლისურად ერთი-ორი



კინოფილმ „მანანას“ გადაღებებზე  
ნანული სარაჯიშვილთან



სიტყვა, შინაარსიც რომ ესმოდეს,  
ისე... - დაემშვიდობა ბაბუ.

- თვითონ ისნავლის ყველა-  
ფერს, ბატონო სერგო, ყოჩა-  
ღი გოგოა. ეგრე არ არის, young  
lady? - და ისევ გამიღიმა თბილად,  
ტკბილად, როგორც მანანას.

- ბაბუ, მანანას მამა კაპიტანია  
თუ ინგლისურის მასწავლებელი? -  
ვიკითხე კეთილ კაპიტანთან მომა-  
ვალი მეგობრობის იმედით.  
- კაპიტანიცაა და მასწავლებე-

ლიც, მაგრამ თეატრი მოსწონს და  
იქ ყოფნა ურჩევნია ყველაფერს.  
გინდა, ნავიდეთ და ვნახოთ? - შე-  
მირიგდა ბაბუ.

და ასე, წლიდან წლამდე, ყველა  
შეხვედრისას, ყოველი სპექტაკლის  
შემდეგ:

- Good evening, young lady!  
- Good evening, ძია იაშა, ძალიან  
კარგი იყო! დიდი მადლობა!..  
- მოდი ხოლმე, young lady! არ  
დამივიწყო.



„არ დაიდარდო!“ – სერგო ზაქარიაძე თავადი ლევანის როლში

1971 წლის 13 აპრილს დედამ მე და ჩემი და ლოგინიდან წამოგვყარა, სკოლაში დაგაგვიანდებათო.

რა ხდება? გამოვცვივდით ღამის პერანგებში. ამ დროს მამაჩემი შემოვიდა და ჩუმად გვითხრა: ხმაურის გარეშე, მალე ჩაიცვით და თქვენს ოთახში დასხედითო.

უკან ბებია იდგა, პალტოში. სახუც ნაცრისფერი ჰქონდა, პალტოს-ფრად. ბაბუს ოთახში შეიყვანეს.

- ბავშვები მომინათლეთ ამ აღდგომის კვირას, - ამოიკვნესა ბებიამ.

ეგ იყო და ჩამოვარდა სიჩუმე.

ნელ-ნელა თენდებოდა. მთელი სადარბაზო ხალხით აიგსო. ვიღაცამ ჩაილაპარაკა, კიბე არ ჩაინგრესო. ბინაში შემოსასვლელი კა-

რი ჩამოხსნეს და კიბის უჯრედზე, კედელთან მიაყუდეს.

იმავე კედელთან ძია იაშა იდგა. ხელები სახეზე ჰქონდა აფარებული და ხმამაღლა ქვითინებდა.

მივედი, თავი ასწია, შემომხედა, არაფერიც არ მითხრა და ისევ აიფარა სახეზე ხელები...

რა ძვირფასია მსახიობისთვის, როდესაც სცენიდან გამოდიხარ წელში გამართული და გრძნობ, რომ ახლა დათესე რაღაც, შენ-თვის სასიხარულო და სხვის-თვის მარგებელი.

**სერგო ზაქარიაძე,  
„ჩანაწერები ჩემი ფიქრებისა“**





კადრი კინოფილმიდან  
„ქალის ტვირთი“  
იაკობ ტრიპოლსკი და  
მარინა თბილელი

# ოცდაათი წელი სცენაზე



მსახიობის მოღვაწეობის ოცდაათი წელი საქმაოდ დიდი დროა. ამ რთულ გზაზე იგი მარტო არ მიდის, თან მიჰყვებიან მის სულში მცხოვრები ტიპები, ხასიათები. რაც უფრო ღრმაა და მრავალფეროვანი ამ „თანამგზავრთა“ ბუნება, მით უფრო ძნელია მსახიობისთვის ეს „სასიამოვნო ტვირთი“. ჩვენ ვამბობთ – სასიამოვნო, რადგან ამის გარეშე არ არსებობს შემოქმედება. დავით კლდიაშვილი მისი მოღვაწეობის 30 წლისთავზე ამბობდა: „მე შრომა მძიმე არ მიგრძნია, ეს შრომა კი არა, ეს იყო ტკბილი საუბარი, რასაც ჩემზე ჰქონდა გავლენა, თუ რამეს ვლაპარაკობდი, ვხედავდი, ვწერდი, თურმე მართალი ყოფილა. სულმნათი შოთა თავის ანდერძში ბრძანებს „სიყვარული აღგვამალლებს“. და აი, მე, რომ ჩემი პატარა სიყვარულით მივდოდი

ყველასაკენ, სწორედ ეს პატარა სიყვარული მაჯილდოებს დღეს მე და მიმაფრენს ზეცისკენ და ბეჭინერად მიმაჩნია ჩემი თავი“.

მწერლობისა და ხელოვნების საფუძველთა საფუძველია ადამიანისადმი სიყვარული. ამის გარეშე არაფერი შექმნილა ღირსეული. ოცდაათი წლის მანძილზე ეს სიყვარული ასაზრდოებდა იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებასაც. მას ბევრი უარყოფითი როლი შეუსრულებია, მკაცრადაც უმხილებია ადამიანთა მანკიერი მხარეები, მაგრამ იგი არასოდეს გადაზრდილა სიძულვილში; საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება, თუნდაც კაც ზვამბაია „მთვარის მოტაცებიდან“.

მისი კაც ზვამბაია გრძნობს, რომ ახალი ცხოვრება მოვიდა და ნიადაგი გამოეცალა ფეხებზე. დამთავრდა მისი ალოობა.



სცენა სპექტაკლიდან  
„მოკვეთილი“.  
მზია მახვილაძე  
და იაკობ ტრიპოლსკი



სპექტაკლიდან „ამერიკული ტრაგედია“: არტურ კინსელი – იაკობ ტრიპოლსკი

ცხოვრება მისგან მოითხოვს განახლებას, ახალი ყოფის კვალში ჩადგომას, მაგრამ რა ქნას ზვამბაიმ, როცა იგი სხვა ბუნებისა და რწმენის კაცია. კონფლიქტი გარდაუვალია მათ შორის. გუშინდელი დღით ცხოვრობს იაკობ ტრიპოლსკის გმირი და მას აქვს თავისი ლოგიკა, თავისებური სიმართლე. მსახიობი არც ერთი წუთით არ ივიწყებს ამ მომენტს. იგი დიდი ტაქტით გვიჩვენებს იმ ტკივილს, მისი გმირი რომ განიცდის.

სცენაზე ყველაფერს აქვს მნიშვნელობა: მსახიობის ხმას (რამდენად სასიამოვნოა!), სიარულს (რამდენად ესთეტიურია!), ინტონაციას (რამდენად მდიდარია!), მოძრაობას (რამდენად პლასტიკურია!), ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასაც ნიჭიერი ხელოვანის ცნება იტევს. ვისაც იაკობ ტრიპოლსკის კაც ზვამბაიას სიარულის მანერა უნახავს, უგრძნია მისი მოძრაობის რიტმი, მას არასოდეს დაავიწყდება იგი. ლირსების გრძნობით, ელეგანტური მოძრაობით (სხეული სპარტანულად რომ გაუწვრთნია!) უკვე იქმნება გმირის იმგვარი პორტრეტული ნახაზი, რომელიც ფორმისა და შინაარსის პარმონიულობაზე მიგვანიშნებს. მართლაც, იაკობ ტრიპოლსკიმ აქ მიაღწია შედეგს, რომელიც სცილდება მარჯანიშვილის თეატრის აქტიორული წარმატების მასშტაბს.

კაც ზვამბაია გამონაკლისი როდია იაკობ ტრიპოლსკის არტისტული ბიოგრაფიიდან. რთულსა და მრავალფეროვან როლში გამოიცდება მსახიობის ოსტატობა და ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ეს წარმატებაც.

...იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებით ბიოგრაფიას ბევრი ძლიერი, დასამახსოვრებელი სახე ამშვენებს. ყველა (იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, წარუმატებული თუ წარუმატებელი) ნათლად გამოხატავს მსახიობის ნიჭს, ოსტატობის მრავალსახეობას, განსაკუუთრებით კი ხასიათში წვდომის ძალას. ფორმის გრძნობა, გმირის პორტრეტის შექმნა მისთვის



იაკობ ტრიპოლსკი და გოგი გელოვანი

თვითმიზანი როდია. იგი იბადება ხასიათის ბუნებიდან და ამიტომ არის ასე სრული და გამართლებული.

იაკობ ტრიპოლსკის სცენური ბიოგრაფია მაშინ დაიწყო, როცა ქართულ სცენაზე სცენის დიდოსტატების ნამდვილი გამოფენა იყო. ქართულ თეატრს, ალბათ, არასოდეს ჰყოლია ამდენი ნიჭი-ერი და სახელოვანი მსახიობი. მათ გვერდით ადვილი როდი იყო საკუთარი გზის მონახვა. იაკობ ტრიპოლსკი შეიყვარა უფროსმა თაობამ, შეიყვარეს თანატოლებმა; მან მაღლე მიიქცია ყველას ყურადღება.

გადიოდა წლები. ახალგაზრდა მსახიობი მუშაობდა თავაუღებლივ, ეძებდა მსატვრულ ფერებს,

ქმნიდა, იძენდა და უარყოფდა, იმარჯვებდა და მარცხდებოდა. მისთვის არაფერი იყო უცხო. იქ, სადაც წარმატებაა, არის წარუმატებლობაც. სადაც სიხარულია, არის ტკივილიც და ცხოვრების ეს მრავალფეროვნება იჭრებოდა მის სულშიც, მის სცენურ ბიოგრაფიაშიც. ასე ვაჟყაცდებოდა და იზრდებოდა იგი.

გარდასახვის უნარი, ფორმის სიმკვეთრე და სინათლე კარგად გამოჩნდა მსახიობის სცენური სიჭაბუკის წლებშივე, როცა მან ზურია ხარატელის როლი შეასრულა. ის, რაც შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში გამომუღავნდა, შემდეგ უფრო ჩაღრმავდა, გაიზარდა.



**მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები საშვიდნოებრო მანიფესტაციაზე**

როცა იაკობ ტრიპოლსკის ვიხ-სენებთ, გვაგონდება მისი გმირები სიმონ გოდაბრელიძე („რაიკომის მდივანი“), დათიკო შევარდნაძე („დაჭრილი არნივი“), მაცნე („მე-დეა“), ვიქტორი („მდელვარე დღები“), ფილიპე („დონ კარლოსი“), მაურიციო („ხეები ზეზეულად კვდებიან“), მანუჩარი („მაია წყნეთელი“), ნიკოლოზი („შემოსევა“), არტურ კინსელი („ამერიკული ტრაგედია“), ტიბალტი („რომეო და ჯულიეტა“) და სხვა.

იაკობ ტრიპოლსკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ძლიერი ხასიათები. სწორედ მათში იგრძნობა ნებისყოფის სიმტკიცე, შემართულობა და სიმძაფრე, ემოციური სიმდიდრე და რომანტიკული განწყობა. ასეთი

იყო მისი ბახა და ალუდა („მოკვე-თილი“, „ალუდა ქეთელაური“). მის შესრულებაში გაცოცხლდნენ ვაჟა-ფშაველას გმირები. ბუნების შვილთა პირველქმნილი უშუალობა და გულწრფელობა იგრძნობოდა მსახიობის შესრულებაში და ეს იყო მისი უპირველესი წარმატება.

კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში („ესკადრის დაღუპვა“, „მე ვხედავ მზეს“, „ჩემი ყვავილეთი“, „ვისია, ვისი?“, „შავთვალა გოგონა და სხვა“). თავისი შესამჩნევი ადგილი ეჭირა იაკობ ტრიპოლსკის მიერ განსახიერებულ როლებს. ამასთანავე, როგორც აქ, ასევე სხვა წარმოდგენებში, მსახიობი ყოველთვის ავლენდა პროფესიულ კულტურას, სერიოზულ მიღებას როლისადმი.



იაშა ტრიპოლსკი და გენიალური საოპერო ტენორი ზურაბ ანჯაფარიძე

ეს თვისება მას აკავშირებს სცენის დიდოსტატებთან და სამაგალითოა ახალგაზრდა მსახიობებისთვის.

იაკობ ტრიპოლსკი ქართული თეატრის პოპულარული მსახიობია. მაყურებელს უყვარს იგი და სჯერა მისი ხელოვნებისა. ეს პოპულარობა მარტო თეატრმა როდი შეუქმნა. იგი მონაწილეობს კინოში („მანანა“, „ქეთო და კოტე“, „წყალდიდობა“, „ქალის ტვირთი“, „შეხვედრა წარსულთან“), ტელე და რადიო გადაცემებში, მაგრამ მისი შემოქმედების არსი, მისი ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე და საინტერესო წლები მაინც მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არის დაკავშირებული. ამ თეატრიდან დაიწყო მისი

არსტიტული კარიერა, აյ მიიღო ნამდვილი თეატრალური ნათლობა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდებაც აյ შექმნილმა სახეებმა მოუტანა.


...ამ სამოცდაათი წლის წინათ ილია ჭავჭავაძე წერდა: „მოგილოცავთ რა ამ ორმოცდაათის წლის დღეობას, ვუსურვებ ჩვენი თეატრის მოღვაწეთათვის ცალკე და ჩვენ ყველასთვის საერთოდ, რომ თითოეულს ჩვენგანს გულში ანდერძად ჩაჭდეული ჰქონდეს: ვიმნეოთ და გავძლიერდეთ“.

იაკობ ტრიპოლსკისაც, მის დღეობაზე იგივე ეთემის, რაც ჩვენთა წინაპართ უთქვამთ: მხნე იყავ და გაძლიერდიო.

„საბჭოთა ხელოვნება“,  
1972 წელი

# ხელოვანის ბეღნიერება

იაკობ ცრიპოლსკის  
შემოქმედებითი  
საღამო დუშეთში



ფასანაური... საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. მაღალ მთათა შორის მომწყვდეული... მის განაპირას თეთრი და შავი არაგვი ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით ეჯახებიან, მათი ტალღების დაფუნდი თითქოს ისმის მთიელ წინაპართა გმირობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის თავდადების საინტერესო ამბები...

იგი აქ დაიბადა, აქ ზრდიდა მთიელი დედა მამაც წინაპართა ბრძოლისა და გმირობის ლეგენდებზე. აკი, მთელი ცხოვრება გაჰყვა მთიელ თანამოძმეთა თაყვანისცემა, თავისი კუთხის დიდი სიყვარული.

არც მშობლიური კუთხე რჩება ვალში – სიყვარულითვე პასუხობს, კვალდაკვალ მიჰყვება მის ყოველ ახალ სასახელო ნაბიჯს, ახარებს, აამაყებს მისი ყოველი ახალი წარმატება. სარაიონო კულტურის სახლში ჩატარებული შემოქმედებითი საღამოც ამის ნათელი დადასტურება იყო.

„შენი ყოველი გამოჩენა სცენაზე თუ ეკრანზე, შენი ვაჟკაცური ხმის მოსმენა თითოეულ ჩვენგანს დიდ სიხარულს ჰგვრის.

იცოცხლე, ძვირფასო იაშა, იცოცხლე, მანამ ქუხს ჩვენი არაგვი, მანამ მედიდურად დგანან ცამდის ანვდიდი ჩვენი მთები, ვიდრე სიცოცხლე მოგბეზრებოდეს ჩვენს ბედნიერ სამშობლოში“, – ასე მიმართა ამ საღამოზე ფასანაურელმა პედაგოგმა ქეთევან კასრაძემ თავის სახელოვან თანასოფლელს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს იაკობ ტრიპოლსკის.

დარბაზი სავსე იყო მშობლიური კუთხის ხალხით, სტუმრებით, სავსე იყო დიდი სითბოთი და სიყვარულით... სიხარულის, მადლობის ცრემლი კიაფობდა მსახიობის თვალებზე. ამის მიზეზი კი ბევრი იყო, რამდენი რამ მოიგონეს. თვალწინ გაირბინეს ბავშვობის წლებმა... ფასანაურში, ძველ დროს ოჯახით დასახლდა

მისი პოლონელი პაპა. აქ შეეძინა ვაჟიშვილი ვლადიმერი, რომელ-მაც ცოლად შეირთო გუდამაყრე-ლი წიკლაურის ქალი... სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის დაქვრივდა დედა ირინე, დარჩა ორი მცირენ-ლოვანი შვილი, მათ შეალია მთელი ახალგაზრდობა, მთელი სიცოცხ-ლე, გაზარდა შრომისმოყვარენი, საზოგადოების საუკეთესო ადამი-ანები.

ადრე ჩაება შრომის ფერხულ-ში პატარა იაშა – 13-14 წლიდან სკოლაში სწავლასთან ერთად, ხან სოფლის ფოსტაში მუშაობდა ღამის მორიგედ, ხან მეტეოროლო-გიურ სადგურში – დამკვირვე-ბლად. შრომობდა ფიზიკურადაც...

უცნაური იყო მისი პირველი გამოჩენა სცენაზე. 1941 წელს თბილისს ელვის სისწრაფით მოე-დო ახალი ამბავი – მარჯანიშვილის თეატრში ევაკუაციით ჩამოვიდა მსახიობი, რომელმაც ქართული არ იცის და გერმანულ ენაზე თა-მაშობსო. დაინტერესებული ხალხი თეატრს მიაწყდა.

სცენაზე გამოჩენდა ახალგაზრ-და, ლამაზი, ცეცხლოვანი ჭაბუკი ომახიანი, მჭექარე ხმით, რომელ-საც თავისა დამაჯერებელი მოქ-მედებით, საინტერესოდ და ამა-ღელვებლად მიჰყავდა როლი. სცენაზე ახალბედა მსახიობის ყოველ გამოჩენას მაყურებელი მხურვალე ოვაციით ხვდებოდა... ამ სენსაციურ ამბავს ხელი შეუ-წყო ჯერ მსახიობის უცხო გვარმა, შემდეგ კი თვით როლმა – როკეის „ინჟინერ სერგეევში“ ლეიტენანტ კრიგერის როლი ავტორს გერ-მანულ ენაზე ჰქონდა დაწერილი.

ახალი ამბით დაინტერესდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი დიმიტრი ალექსიძეც. სპექტაკლის შემდეგ მსახიობი მოინახულა და მის გაოცებას საზ-ლვარი არ ჰქონდა – მსახიობი წმინდა ქართულით ლაპარაკობდა.

– სადაური ხართ? – ჰკითხა დაინტერესებულმა რეჟისორმა.

– მთიელი – უბრალოდ, გულ-წრფელად უპასუხა ტრიპოლსკიმ.

– თუ დაამთავრეთ თეატ-რალური ინსტიტუტი?

– დიდი სურვილი მქონდა, მა-გრამ დამინუნეს და მეც პირდაპირ თეატრში მოვედი.

– ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე,

– ჩაილაპარაკა დიმიტრი ალექ-სიძემ, ახალგაზრდას მხარზე ხელი მოხვია და მიულოცა პირველი ნამდვილი შემოქმედებითი გამარ-ჯვება. სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ვერიკო ანჯაფარიძემ ფოიეში, ყველას თანდასწრებით, ალელვებული მსახიობი გადაკოც-ნა და თქვა: „ახლა შეგიძლიათ მიულოცოთ, იგი უკვე ჭეშმარიტი მსახიობია“.

ასე მიიღო პირველი ნათლობა დიდ სცენაზე იაკობ ტრიპოლსკიმ. ამ შეხვედრის შემდეგ კი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატ-რის დასში ჩარიცხეს.

სცენური ხელოვნებისადმი დიდ-მა სიყვარულმა გახადა იგი პროფე-სიონალი მსახიობი. ამ სიყვარულს თავისი წინაპირობაც ჰქონდა – ფასანაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და-სავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე





კალინ კინოფილმიდან  
„ხევისბერი გოჩა“



იაკობ ტრიპოლსკი და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნინო ხომასურიძე

სწავლისას, უნივერსიტეტის დრამის აქტიური წევრი იყო. მის მიერ განსახიერებული როლები ყველას მოწონებას იმსახურებდა. ახალგაზრდა იაკობის აქტიორულ მონაცემებს და რაც მთავარია, მისი გარდასახვის ნიჭა და უნარს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა. მისი რჩევით ჩააბარა მისაღები გამოცდები თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ „შენგან მსახიობი არ გამოვაო“, – უთხრეს და გულდანყვეტილი გამოისტუმრეს. ასე დამთავრდა პირველი ცდა მსახიობად გახდომისა...

აქტიორულმა ნიჭმა, სწრაფვამ თეატრალური ხელოვნებისადმი, მონდომებამ მაინც თავისი

გაიტანა. დღეს იაკობ ტრიპოლსკი საქართველოს სახალხო არტისტი, ხალხის საყვარელი მსახიობია.

იაკობ ტრიპოლსკის მიერ განსახიერებული როლების რიცხვი 200-ზე მეტს აღწევს. თითოეული მათგანი მკვეთრად ინდივიდუალური და ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ყველა შთამბეჭდავია და საკუთარი სიცოცხლე გააჩნია. განა შეიძლება რაიმე მსგავსება მოვუნახოთ აქვსენტი ცაგარელის პიესის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ გმირებს სოსანას, ავეტიკას და პორტენზიოს როლებს (შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“) ან ოსტროვსკის „უმზითვოში“ ვასილ დანილიჩისა და ტიპალტის (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“) როლს. სრულიად სხვადასხვაა

ოთარ ჩხეიძის პიესის „ვისია, ვისი“ გმირი დათა და დასახიჩრებული სემი მიუფექს პიესაში „ხვალინ-დელი დღე ჩვენი იქნება“. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ეს ყოველივე მეტყველებს მსახიობის დიდ შემოქმედებით დიაპაზონზე, მისი გარდასახვის უნარიანობასა და მრავალფეროვან ამპლუაზე.

მაგრამ, იაკობ ტრიპოლსკიმ ყველაზე დიდი წარმატება მაინც მთიელი ვაჟუკაცის ტიპის განსახიერებისას მოიპოვა. ეს გასაკვირიც არ არის, იგი ხომ მთელი სულით მთიელია, დაუვიწყარი სახეები შექმნა მან „მოძღვარში“ – გელა და ონისე. სცენურად განსაკუთრებით სრულყოფილი, რომანტიკულად მომხიბვლელია მისი ბახა ვაჟა-ფშაველას პატრიოტულ დრამაში „მოკვეთილი“.

პრესამ მაღალი შეფასება მისცა იაკობ ტრიპოლსკის ბახას. იაკობ ტრიპოლსკი მთლიანად ჩანსვდა ვაჟა-ფშაველას გმირის რთულ ბუნებას, მთიელმა გაუგო მთიელს, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, ამაღელვებლად გვიჩვენა ბახას სულში დატრიალებული ტრაგედია.

მაყურებელს უყვარს იაკობ ტრიპოლსკი, რომელიც გმირის ხასიათს ბუნებრივად და ზომიერების გრძნობით ძერწავს. აღსანიშნავია, რომ მას საკუთარი ადამიანური თვისებები უხვად გადააქვს სცენაზე და სითბოს და უშუალობას აქსოვს გმირთა სახეებში.

ამ დიდ სიყვარულზე, ამ დიდ ნიჭა და ადამიანურ თვისებებზე ლაპარაკობდნენ საინტერესო შემოქმედებით საღამოზე.

მაყურებელი ტაშით გამოხატავდა დიდ სიხარულს, სიყვარულსა და პატივისცემას იაკობ ტრიპოლ-სკისადმი, რომლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა რამდენიმე ნაწყვეტი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან. მადლობის ტაშს უკრავდა აგრეთვე სტუმრებს, ცნობილ ქართველ მსახიობებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ზემში.

დასასრულ, იაკობ ტრიპოლსკიმ დიდი მადლობა გადაუხადა ფასანაურელებს, შემოქმედებითი საღამოს მოწყობის ინიციატორებს ასეთი გულთბილი და შინაარსიანი შეხვედრისთვის.


„ეს ტაში, ეს მადლობა შენ გეკუთვნის, ჩემო დედა“, – მიმართა მან დარბაზის წინა რიგში მჯდომ, სანდომიანი სახის ჭალარა მოხუცს, რომელიც სიხარულის ცრემლებს ღვრიდა სიყვარელი შვილის სახელის ყოველ ხსენებაზე...

უკან დარჩა სიკეთით და მადლით მოსილი გზა, წინ ისევ დიდი იმედი და სიხარულია, დიდი შემოქმედებითი წვა და ჯაფა. კვლავ ბევრს მოელის მაყურებელი საყვარელი მსახიობისგან, ბევრს მოელის მისი დედა, რომელიც ვაჟუკაცობასა და სიმართლეს, შრომისმოყვარეობასა და კაცთმოყვარეობას უნერგავდა თავის პირმშოს... ბევრს მოელიან მისი მთიელები – 100 როლი რა არის, 300 არაგველის მხარეში გაზრდილმა ჩვენმა იაშამ, სულ ცოტა, 300 როლი მაინც უნდა განასახიეროსო.

## ახმავ სხალია

# ქობულაძის თვარიდა

## ვახტანგ აღმაშე



იაშა ჭრიპოლსკი  
და გოგი კობაიძე

1972 წელს მოსკოვში მივლინებით ვიყავი. ამ დროს ბატონი იაკობ ჭრიპოლსკი „მოსფილმში“ კინოგადაღებაზე იყო მიწვეული სტალინის როლის შესასრულებლად. ორივენი სასტუმრო „მოსკვაში“ ვცხოვრობდით. მამაჩემი გოგი კობაიძე და ბატონი იაშა ფასანაურიდან იყვნენ. ბავშვობა ერთად ჰქონდათ გატარებული და მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ. ეს ფოტო, რომელიც იაშას უკანასკნელი სურათი აღმოჩნდა მეგობრებთან ერთად, მამაჩემის 70 წლის იუბილეზეა გადაღებული.

ისე მოხდა, რომ მე და ძია იაშა თბილისისკენ ერთად გამოვემგზავრეთ მატარებლით. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩვენი ვაგონის კონდიციონერზი არ მუშაობდა. გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ის დღე როგორლაც გადავიტანეთ. მეორე დღით, ვაგონის გამცილებელს შევჩივლეთ, რომელმაც მატარებლის შემადგენლობის უფროსი მოიყვანა.

ფილმის გადაღებებზე ვსაუბრობდით. ფანჯარასთან სტალინის როლში გადაღებული მისი

ფოტოსურათები ეწყო. მატარებლის შემადგენლობის უფროსმა რომ შემოიხედა, ჯერ ძია იაშას შეხედა, მერე ფოტოებს, ისევ ძია იაშას და გაოცდა: „ბატონო იაკობ, თქვენ?.. რით შემიძლია დაგეხმაროთ?..“

ძია იაშამ თბილად შეჰდიმა: „იქნებ ცოტა გაგვაგრილოთ, სხვა არაფერი გვინდა...“

შემადგენლობის უფროსი წამით დაფიქრდა, მერე კუპედან გავიდა და ხუთი წუთიც არ გასულა, ხელში სახანძრო ნაჯახით დაბრუნდა და ვაგონის დერეფნის რამდენიმე ფანჯარა ჩაამსხვრია. „ბატონო იაკობ, მთავარია, თბილისამდე სიგრილით იმგზავროთ, ვაგონს ეშველება“, – მიმართა მან იაშას.

საუზმეზე მივიწვიეთ. სუფრას დახედა. ამასობაში მატარებელი სადგურ „ბელორეჩინსკში“ გაჩერდა. „ერთ წუთს მაღროვეთ...“ – ჩაილაპარაკა და კუპედან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელდამშვენებული დაბრუნდა. იმ დროს ადგილობრივი მოსახლეობა, რკინიგზის ბაქნებზე, ოჯახებიდან გამოტანილი პროდუქტებით ვაჭრობდა.

შემადგენლობის უფროსმა შემოსვლისთანავე კმაყოფილებით შემოგვლიმა, შემოიტანა მოხარული დედალი, მუავეულობა, სახლში გამომცხვარი რუსული ლვეზელი, „უიგულოვსკის“ ცივი ლუდი, ცოტა ხნით თვითონაც შემოგვიერთდა და კუპედან გასვლისას გვითხრა: „ჯერ ეს მცირედი... საქართველომ-დე უნდა მაცალოთ...“

და, აი, საქართველოშიც შემოვედით. მატარებელი სამტრედიის სადგურში გაჩერდა. ამოვიდა ხალხი, კუპესთან რიგი დადგა, შემოპონდათ ღვინო, ხაჭაპური, შემწვარი გოჭი და წინილები..

თურმე ჩვენს უნებლიერ მასპინძელს, სამტრედიის რკინიგზის უფროსთან გზიდან დაურევია – დამხვდით, „სტალინი“ მომყავსო. სადგურში განრიგით გათვალისწინებულზე ცოტა მეტ ხანს გავჩერდით, ჩვენც ვისიამოვნეთ, დამხვდურმა სამტრედიელებმაც და ასე, ქეიფ-ქეიფით გავაგრძელეთ გზა, თუმცა წინ კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა. შემოვედით გორში და იქაც იგივე სურათი დაგვხვდა. გორელებმაც გულთბილად მიგვიღეს.

იმხანად რკინიგზის სადგურში, თვალსაჩინო ადგილას სტალინის დიდი სურათი ეკიდა და იმ წუთას ხალხი ცოცხალ იაშა-სტალინს ეგებებოდა.

მერე საუბრისას ჩვენმა ერთ-ერთმა მასპინძელთაგანმა თქვა: „ბატონო იაკობ, თბილისში კარგ ამბავს ვერ დაგახვედრებენ, ოპერის თეატრი დაიწვა და მასთან ერთად სერგო ქობულაძის ცნობილი ფარდაც...“

ძია იაშას ხმა არ ამოულია, კრიჭა შეეკრა, ერთი კი ჩაილაპარაკა: „ვერ წარმოიდგენთ, არტისტისთვის რა ძნელია, აკვანი რომ დაგეწვება, ეს ხომ ხალხის საუნჯედა ისტორიაა...“

ეს იყო და ეს. თბილისამდე ხმა აღარ ამოულია.

# იაკობ ჭრიპეთლსკის

## ჯანსაღ რიცხვები

ფასანაურთან ლიცლივით  
არაგვი არაგვს ერთვის,  
ერთს ჰქვია დედის ფკივილი,  
მისი თმებივით თეთრი.

მეორე მოჰქუსს ღამისთრად,  
ფინებს მოარღვევს ხვენეშით,  
როგორც ძახილი მამისა  
ექოდ იმსხვრევა ხევში...

პაცარა ეზო გვირილებს  
მოუხატია თეთრად,  
სახლის წინ, დედა ირინე,  
თვალცრემლიანი დედა...

მთის ფერდობს მისდევს  
გზაწვრილი,  
თითქოს ზეცაში ადის...  
გზაზე – მთიელი ყმაწვილი,  
გულში – სევდა და დარღი.

სუსტ მხრებზე მამის აბგა და  
შიგ ობლის თბილი კვერი...  
სწორედ, იმ დილით დამთავრდა  
ტკბილი ბავშვობის დღენი...

მერე სექცემბრის თბილისი...  
და სცუდენცური ხანა...  
რომ გიმლეროდა ძილის წინ  
თეთრი არაგვი ნანას...

მერე, ცა შავად ნალაქი,  
მზეს რომ მოელის ურჩად,  
ჩაბნელებული ქალაქი...  
მარჯანიშვილის ქუჩა...

მაინც რა ძალა ჰქონია,  
ჩვენი თეატრის ფარდებს...  
გაშლი და ასე მგონია,  
გადაიხსნება ცამდე.

კაცურ სიცოცხლეს გიმადლის,  
როგორც ყოველთვის, ახლაც:  
კაც-ზვამბაია, ტიბალტი,  
შენი გელა და ბახა!

ბესიკს, სემსა და ალუდას,  
მალვოლიოს და დათას,  
არა, არასდროს არ უნდა  
ყალბი დიდება სხვათა.

ვინა თქვა, მორჩა, გათავდა!  
კვლავ მიგაქროლებს ლხენით,  
ორმოცდაათი აფრია და...  
ზღვა სიყვარული ჩვენი...

# სცენაზე ჩემი ოცნების ხორცშესხმა მსურდა


პასუხები უურნალ „საბჭოთა  
ხელოვნების“ ანკეტის კითხვებზე

- თეატრის დანიშნულებაა თანამედროვე ცხოვრების წაკითხვა, მისი ხასიათის გახსნა. ყველა ეპოქის თეატრი თანამედროვეობისგან იღებს მასალას. მსახიობს დროის მაჯისცემა მიაქვს მაყურებლამდე.
- ახალ გამომსახველობით საშუალებებთან დაკავშირებით მახსენდება ფრანგული ანდაზა: „რაც უფრო მეტად იცვლება, მით უფრო მეტად რჩება ძველებური“.
- სცენაზე ჩემი ოცნების ხორცშესხმა მსურდა. რასაც ცხოვრებაში ვერ მივალნიე, მივალნიე სცენაზე.
- მიბაძვის გარეშე არ არის მსახიობი. მე ჯერ აკაკი ხორავას ვბაძვდი, შემდეგ – სერგო ზაქარიაძეს, მიყვარს ყველა ჩემი როლი.
- როგორიც იქნება ცხოვრება, ისეთივე იქნება თეატრი, მაგრამ დღეს ეს არ შეინიშნება. კლასიკა არ მიტაცებს. მსურს თანამედროვე გმირთა ხასიათების ასახვა. იგივეს ვუსურვებ ქართულ თეატრს.



მანუჩა –  
იაკობ ტრიპოლსკი  
„მაია წყნეთელი“

# პოლონეთიდან წერილი მოვიდა



1969 წელს პოლონეთში გასტროლებზე იმყოფებოდა ქართველ ხელოვანთა ჯგუფი, რომელთაც სპექტაკლის დასრულების შემდეგ გაეცნო პოლონელი ქალბატონი.

მასთან საუბარში ქართველებმა ამცნეს, რომ საქართველოშიც ჰყავთ პოლონური წარმოშობის გვარის წარმომადგენელი – გამოჩენილი ქართველი მსახიობი იაკობ ტრიპოლსკი.

ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ, თბილისში, კოტე მარჯანიშვილის თეატრის მისამართზე, პოლონეთიდან წერილი მოვიდა ბატონი იაშასთვის გადასაცემად.

ვროცლავიდან პანი ნატალია მოსიევიჩი წერდა ბატონ იაშას, თუ როგორ იწერება მისი გვარის ზუსტი პოლონური ტრანსკრიფცია და ამცნობდა, რომ ესაა ძველი და პოლონეთში უკვე იშვიათი შლიახტიჩის (თავადური) გვარი, რომლის

წარმომავლობა მოდის ტრიპოლინის ადგილმდებარეობიდან. წერილს თანდართული ჰქონდა ამ მშვენიერი ადგილის ფოტო.

პანი ნატალია სთხოვდა ბატონ იაკობს, რომ თუ პოლონეთში მოხვდებოდა და ამ დროისთვის თვითონაც ცოცხალი დახვდებოდა (წერილში იგი თავის ასაკს მიუთიებდა, მაშინ პანი ნატალია 69 წლისა გახლდათ), აუცილებლად სტუმრებოდა მას ვროცლავში.

პანი ნატალია ჰპირდებოდა, რომ ძეველ საგვარეულო ფოტოებს ანახვებდა და მოუყვებოდა ისტორიას გვარის წარმოშობის შესახებ.

ასეთი შეხმიანება პოლონეთიდან წერილის სახით კიდევ ერთხელ განმეორდა. ამჯერად უკვე ბატონი იაშას სახლის მისამართზე, თუმცა იაკობ ტრიპოლსკის თავისი გვარის სამშობლოში – პოლონეთში ჩასვლა აღარ მოუწია...

# Значение и история фамилии - Трипольский

[onomastikon.ru](http://onomastikon.ru)



*Wesołych Świąt*

ଧୋଷମବ୍ରେଜି, ଫ୍ରେଶବ୍ରେଜି

Эта фамилия имеет польское дворянское происхождение и происходит либо из самой Польши, либо из граничащих с ней территорий (Западная Украина, Западная Белоруссия).

Почти все представители этой фамилии относились к польской шляхте.

Фамилия Трипольский числится достаточно малораспространенной.

В известных очень старых материалах значится, что Трипольские являлись знатными персонами в 17-18 веках, имевших существенную привилегию.

У государя хранился специальный реестр привилегированных и благозвучных фамилий, которые давались придворным в случае особого расположения или поощрения. Тем самым, эта старинная дворянская фамилия донесла свое первоначальное неповторимое происхождение и является исключительной.

Написание фамилии латиницей: **TRIPOLZSKIY**.



იაკობ ფრიძელასვი – რამდენ სითბოსა და სიკეთეს იცევს ეს სახელი და გვარი, რამდენი სიხარული მოუტანია მის ნათელ ნიჭეს.

ვინც ერთხელ მაინც შესწორებია მისი ნიჭირების გამობრწყინებას ქართულ სცენაზე, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ხავერდოვანი ხმა და წუთით მაინც შეხვედრია ამ საოცრად მართალ კაცს, არ შეიძლება ტკივილად არ დარჩენოდა მისი გარდაცვალება.

ვუყურებთ ფოტოებს და გვახსენდება მის მიერ შექმნილი სცენური სახეები, ასამდე გაცოცხლებული გმირი, რომლებიც ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან შინაგანი ბუნებით, კოლორიცით, ინტონაციით.

## ბივი თათებიშვილი

ვეფხვის ძლიერი სულისა  
ძარღვში ჩაგდვრია ნაწური  
შუბლი კეთილი მოძმის გაქვს  
და შემართება კაცური.


ეგ შენი ხალასი გული  
ტოლ-მეგობრისთვის გაწვდილი  
ბადაგით საესე კამია  
მაჭრობის თვეში ავსილი.

ფიქრებში აჯანყებული,  
სცენის კავარად გიცანი.  
საიალაღოდ ქცეულა  
ეგ შენი გულის ფიცარი.

1968 წელი



„მანანა“  
1958 წელი



„გოგონა  
კამერიდან №25“  
1972 წელი



„ბრძოლა  
მოსკოვისთვის“  
1985 წელი

# გედის სიმღერასავით

## იჩავლის უბალევა

ერთი ათი კაცი ვართ, ორმოც-  
დათხუთმეტი წელია, ვმეგობრობთ.  
იაშა იმ დღიდან ჩვენს შორის იყო,  
რაც თბილისში საცხოვრებლად  
ჩამოვიდა. ჩვენს წრეში ჩავრიცხ-  
ეთ და ჩვენს ჭირსა და ლხინს ვა-  
ჟაცურად ინაწილებდა. ერთად  
ყოფნის მიზეზს ვეძებდით და  
ტრადიციად ვაქციეთ ერთმანეთის  
დაბადების დღები, იუბილეები  
გადაგვეხადა.

გოგი კობაიძეს სამოცდაათი  
წელი რომ შეუსრულდა, მეგობრე-  
ბი ბინაში ვერვიეთ, სუფრა გავმა-  
ლეთ, მაგრამ იაშა არ იყო ჩვენთან.  
უკვე ავადმყოფობდა და მის გარე-  
შე ქეიფი არ გამოდიოდა...

თარიღული  
სახელი

იაშა ძალიან კარგი იყო სუ-  
ფრაზე. გარდა იმისა, რომ შესან-  
იშნავად მლეროდა, მახვილი  
სიტყვა ჰქონდა. ურთიერთობაში  
ხომ ისეთი თბილი იყო, არავის ახ-

სენდება ვინმესთვის ეწყენინებინა.  
არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე  
ჩვენგანს რაიმე ეთხოვოს და ვინ-  
მესთვის უარი ეთქვა, წაჰყვებოდა,  
საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, გასა-  
კეთებელს გააკეთებდა.

სუფრას კი შემოვუსხედით, მაგ-  
რამ იაშა ჩვენთან რომ არ იყო,  
ავდექი და ტელეფონზე დავრეკე,  
მის მეუღლეს ნაზიკოს ვთხოვე,  
იაშა მოეყვანა. „იაშა ძალიან ავად  
არის, ვერ მოვიყვან“, – მითხრა  
ნაზიკომ. ვუთხარი: ან ჩვენ თვი-  
თონ მოვალთ და წამოვიყვანთ, ან  
ჩვენი შვილებიც აქ არიან, მოვლენ  
და წამოგიყვანენ, გახედავს ხალხს,  
ნახავს ძველ მეგობრებს, გაერთო-  
ბა-მეთქი. უარი გვითხრა.

გავაგრძელეთ სუფრა, მაგრამ  
გვაკლდა იაშა... არ ყოფილა შემთხ-  
ვევა, რომ იაშა ჩვენთან ერთად  
არ ყოფილიყო... იაშა გვაკლდა...

და აი, ამ დროს შემოვიდა მისი ვაჟი ირაკლი, მამა მოვიყვანეო, გვითხრა. შემოვიდა მისი მეუღლე ნაზიკო და შემდეგ თვითონ იაშა. ძალიან გაგვიხარდა მისი მოსვლა. დავსვით სუფრასთან და დაინტერ, აბა აქედან, აბა იქიდან – იაშა, იაშა, იაშა...

მერე ყველამ ვთხოვეთ, რომ ემღერა, სიმღერა ხომ ტკივილს აქარვებს, რაღაც განსაკუთრებული სული ამოდის გულიდან, სიმსუბუქეს გრძნობს ადამიანი...

შეიძლება სმენა არ ჰქონდეს, მაგრამ როცა მღერის, ის მაინც გულით მღერის. იაშამ იმღერა...

ყველანი ფეხზე ავდექით, თავზე წამოვადექით. ამ სიმღერის დროს ფოტო გადავიღეთ. მას შემდეგ არც სურათი გადაუღია და არც უმღერია. ამდენად, ეს ფოტო მისი ბოლო ფოტოსურათია და სიმღერაც მისი ბოლო სიმღერა აღმოჩნდა...

იაშას მას შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია...



1987 წელი. გოგი კობაიძის 70 წელი. ბოლო ფოტო, გადაღებული ალექსანდრე უნაფქოშვილის მიერ. მარცხნიდან მარჯვნივ: მიშა ყანდიაშვილი, კაკო (ირაკლი) უგულავა, ბარდლუნია (შალვა) კობალაძე, გოგი კობაიძე, გულიკო დიდმამიშვილი, ნესტორ ჭილაძე, პოდანა (ისაკა) ხასიტაშვილი. წინა პლანზე – იაშა ტრიპოლსკი...

სცენაზე მის გამოჩენას ტაშით ეგებებოდა მაყურებელი.

ქუჩაში დანახვისას გამვლელს სახეზე კეთილი ღიმილი ეფინებოდა.

ნაცნობ-ამხანაგებისთვის მუდამ სასურველი იყო მასთან შეხვედრა.

დაუკერებელიც კი არის, რომ ხუთასზე შეცი ფილმის ქართულად გახმოვანებაში მონაწილეობდა, მათგან ბევრი თვითონვე თარგმნა. თვლა არ აქვს მის მონაწილეობას რაღიოდადგმებში.

ოთხჭერ ხუთწლიანი ვადით აირჩიეს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულად. ერთხელ სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

და თუ არა თეატრის ფანატიკური ფრთვობა, შეიძლებოდა საერთოდ მართლმსაჯულების მსახური გამხდარიყო. მასში ხომ ერთნაირად იყო შერწყმული უძვირთასესი თვისებები – უცყვარი ალღო, ფართო განსწავლულობა, სიმართლის ერთგულება და გულისმიერება, პირდაპირობა და ალალმართლობა, საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი, როცა რწმუნდებოდა თავისი დასკვნის შეუმცადარობაში.

იაკობ ფრიიპოლსკიმ რამდენიმე განაჩენის გამო წარადგინა თავისი კერძო მოსაზრებაზი. ერთ შემთხვევაში, მისი აზრით, დამნაშავე ზედმეტად მეტად იყო დასკილი. და მართლაც, მას უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პატიმრობის ვადა შეუმცირა. მეორედ სამოქალაქო საქმის გამო არასწორი გადაწყვეტილება გააუქმდებინა.

ერთმა წამალი მომაშველოსო. შეორებ – სამსახურში უნდა წამყვესო... სხვამ კი, ფასანაურელმა, გული მაწუხებს და ცნობილ პროფესორთან მიმიყვანისო...

და ჩვენი იაშაც ყველას შემწეობის ხელს უწვდიდა, არავის აწმილებდა.


საუბრისას უცბად რაღაც გაახსენდებოდა და წამოხცებოდა. თურმე, ნუ იცყვით, მეცნობმშენებლებმა მიწისქვეშა ათეთქებისას თეატრის მეხანიკეს ბინა დაუზიანეს და მიღიოდა სხვადასხვა ინსტანციაში მოთხოვნით... ან ახალი საცხოვრებელი მიეცით, ანდა ბინა შეუკეთეთო...

ენაწყლიანი, ტკბილმოუბარი, ფერადოვანი სიცყვით, ახალი ლექსითაც გვალხენდა, გვახალისებდა...

მუდამ ვგრძნობთ სიცარიელეს, თავისი წასვლით რომ დატოვა და ვერათვრით შევავსებთ.

მუდამ გვაკლია თვალში, საქმეში, სცენაზე.

დაგვშორდა, მაგრამ ის მაინც მუდამ ჩვენთან იქნება, მარად იცოცხელებს ხალხის ხსოვნაში, იმ ხალხისა, ვისაც სცენაზეც და ცხოვრებაშიც სიკეთეს, პატიოსნებას, სიყვარულს, გაჭირვებაში თანადგომას უქადაგებდა და პირადადაც უჩვენებდა.





## ବର୍ଷା ପାତ୍ର ଓ କାଳ ବାହୀନର ବିଜୟ

କାଠମଣ୍ଡିଳରୁ  
-ପାତ୍ରଙ୍କରୁ ଏକ କି

380005, თბილისი-5, სომხეთ 4. ფიქ. 99-69-30

*Exponens et regulae proportionis.*

~~superior status!~~

Еще один из многих важных вопросов  
является законодательство.


enem. Crofton - Redn.; W.L.  
front 30cm under ground.

Jycmowr owoegdom busar

+ room II,  
Lengenre hysteroscopy  
from vaginal - suppository.


~~H.E. 1888.~~





ჯორჯ ბერნარდ შოუ  
**პიგმალიონი**

ინგლისერიდან თარგმანის  
საქობ ტრიკოლოსების და მრავალ ესრჩევაში



იოლანდიელი  
დრამატურგი  
ჭორქ ბერნარდ შოუ  
დაიბადა 1856 წლის  
26 ივნის  
დუბლინში

1876 წელს შოუ ლონდონში მიემგზაურება – მისი მიზნია გახდეს მწერალი და მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, ზედიზედ წერს რამდენიმე რომანს, აგზავნის გამომცემლობები და ისინიც უკან უბრუნებენ. შემდეგში იგი ამტკიცებდა, რომ მისი მწერლობა არ ინამა 60-მდე გამომცემლობაა.

სცენური ნათლობა დრამატურგის შემოქმედებამ 1892 წელს მიიღო, როცა მისი პირველი პესა „ქვრივის სახლები“ დაიდგა, თუმცა ნათლობა უიღბლო გამოდგა. სპექტაკლი მოიხსნა ორი ნაშიოდგენის შემდეგ. მომდევნო ექვს წლის მანძილზე შოუ ქმნის ცხრის მრავალმოქმედებან პიესას.

საქვეყნოდ აღიარებული პიესა „პიგმალიონი“ 1923 წელს დაიდგა და კომპოზიტორების შთაგონების წყაროც გახდა – შეიქმნა ასევე საყოველთაოდ ცხობილი მიუზიკი „ჩემი მშვენიერი ლეიდი“.

1926 წელს ჯორჯ ბერნარდ შოუს ენიჭება ნობელის პრემია „იდეალიზმისა და ჰუმანიზმით გამორჩეული შემოქმედებისათვის, ცეცხლოვანი სატირისთვის, რომელიც ხშირად ერწყმის არაჩვეულებრივ პოეტურ მშვენიერებას“.

ღრმად მოხუცებული ამ ქვეყანას 1950 წელს განეშორა.

ყოველგვარი პრემიების პრინციპული მონინალმდეგე დრამატურგი დაფილდოების ცერემონიაზე არ გამოცხადდა და სანობელო ლექცია არ წაუკითხავს.





სპექტაკლ  
„პიგმალიონის“  
მშვენება იყო  
შეუდარებელი  
ძედეა ჯაფარიძე  
ელიზა დულიტლის  
როლში

საქართველოში ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ რამდენჯერმე დაიღვა. პირველად  
წარმოადგინეს კოცე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომლის მუზეუმშიც  
1955 წელს განხორციელებული სპექტაკლის პროგრამა ინახება.

თარგმანი იაკობ ფრიპოლსკისა და მოსე ქარჩავას ეკუთვნოდათ.  
წარმოადგენის რეჟისორი იყო ლილი იოსელიანი, მხატვარი – ელენე ახვლედიანი



სპექტაკლში მონაწილეობდნენ:

შედეა ჯაფარიძე  
(ელიზა დულიცლი),

სერგო ზაქარიაძე  
(პროფესორი ჭიგნისი),

ავთანდილ ომიაძე  
(პოლკოვნიკი პიკერინგი),

აკაკი კვანტალიანი  
(ალფრედ დულიცლი),

ვერიკო ანჯაფარიძე  
(მისის ჭიგნისი),

ნოდარ მგალობლიშვილი  
(ფრედ ჭილი),

იაკობ ფრიპოლსკი  
(ნეპომუკი)

და სხვები.



## კომედია ხუთ მოქმედებად

### მოქმედება პირველი

ლონდონი. ღამის 11 საათი და 15 წუთია. თავსხმაა. ავტომანქანების საყვირი აყრუებს იქაურობას. გამვლელ-გამომვლელები თავშესაფარებლად გარბიან კოვენტის ბაღის ბაზრისა და წმიდა პავლეს ეკლესისაკენ, რომლის ტალანში ხალხს თავი მოუყრია. მათ შორისაა ვილაცა ლედი ქალიშვილით, რომელსაც საღამური სამოსი აცვია.

წვიმას ყველა შეუწუხებია, გარდა ერთი კაცისა, რომელსაც დანარჩენთათვის ზურგი შეუქცევია და წიგნაჟში გულმოდგინედ რაღაცას ინიშნავს. ეკლესის საათი 15 წუთს რეკავს.

**ქალიშვილი** — (დგას შუა სვეტებს შორის, მარცხენა სვეტის ახლოს) გავითომშე, პირდაპირ გავითომშე. ნეტავი ფრედი სად დაიკარგა ამდენ ხანს? ოცი წუთია წავიდა.

**დედა** — (ქალიშვილის მარჯვნივ) არც ისე დიდი ხანი გასულა, მაგრამ აქამდე მაინც უნდა ეშვოვა მანქანა.

**მაყურებელი** — (ლედის მარჯვნივ) ახლა, ქალბატონო, ხალხი თეატრებიდან ბრუნდება, ასე რომ, თორმეტის ნახევრამდე ტაქს ვერ იშვივის? ყველა დაკავებული იქნება.

**დედა** — კი, მაგრამ უტაქსოდ რა ვქნათ? თორმეტის ნახევრამდე აქ რა გაგვაჩერებს? ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება!

**მაყურებელი** — კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ, ქალბატონო?

**ქალიშვილი** — ფრედი მოუხერხებელია, თორემ მანქანის შოვნა თეატრთანაც შეიძლება.

**დედა** — თუ ვერ იშვივა, რა ქნას საწყალმა ბიჭმა?

**ქალიშვილი** — სხვებმა ხომ იშვივეს?

(ოციოდე წლის ბიჭი შემოვარდება საუთპამპტონის ქუჩიდან. საღამური ტანისამოსი დასველებია. ზედ მიჰკვრია შარვლის ტოტები. დედა-შვილს შორის დგება და ხურავს ქოლგას, რომელსაც წყალი წურნურით ჩამოსდის).

**ქალიშვილი** — იშვივე ტაქსი?

**ფრედი** — თუ გინდა ჯვარს ეცვი, არ არის.

**დედა** — ფრედი, ფრედი, მოგენდომებინა, იშვივიდი.

**ქალიშვილი** — ეს რა უბედურება! როგორ გგონია, ჩვენ წავალთ ტაქსის მოსაყვანად?

**ფრედი** — აკი გითხარით, ყველა დაკავებულია-მეთქი. ისე უცებ



სცენა სპექტაკლიდან „პიგმალიონი“  
მედეა კაფარიძე – ელიზა დუღიტლი  
სერგო ზაქარიაძე – პროფესორი ჰიგინსი

გაწვიმდა, რომ არავინ მოელოდა, ამიტომაც ყველა ტაქსას ეცა. რა მექნა? ჩირინგ კროსამდე გავვარდი, მერე თითქმის ლუდგეიტის ცირკამდე მივედი და ყველა დაკავებული იყო.

**დედა** — ტრაფალგარის მოედანზე იყავი?

**ფრედი** — არც ტრაფალგარის მოედანზე იყო.

**ქალიშვილი** — რატომ ტყუი, იყავი?

**ფრედი** — როგორ არა, ჩირინგ კროსის სადგურამდეც კი მივედი. პოდა, ამ თავსხმაში ჰამერსმითში ხომ არ გავიდოდი?

**ქალიშვილი** — არა, არა, არ გიძებნია.

**დედა** — რა უსუსური ხარ, ფრედ? წადი ისევ და, იცოდე, უტაქსოდ არ დაბრუნდე.

**ფრედი** — ტყუილად ამოვიწუწები.

**ქალიშვილი** — მაშ, ჩვენ რას გვიპირებ? თხელ კაბებში მთელი ლამე ამ სიცივეში უნდა გავატაროთ? შე ეგოისტო ლორო...

**ფრედი** — კარგი, მივდივარ, მივდივარ.

(ხსნის ქოლგას და გაეშურება სანაპიროსაკენ. გასვლისას დაეჯახება ყვავილების გამყიდველ გოგონას, რომელიც თავის შესაფარებლად შემოდის. გოგონას კალათი ხელიდან უვარდება. ამ დროს იელვებს და გაისმის მეხის გამაყრუებელი ხმა).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — ერთი ამას დამიხედეთ! თვალები არ გაქვს, ფრედი? რომ დადიხარ, წინ იყურე.

**ფრედი** — ბოდიში. (გარბის)

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (დაცვივნულ ყვავილებს აქრეფს და კალათაში აწყობს). კიდევ იტყვის, თავი მაბიაო. ორი კონა ია გამიჭყლიტა და ტალახში ამომიზილა. (ლედის მარჯვნივ სვეტთან ჩამოჯდება და ყვავილებს აწყობს. ვერ ვიტყვით, რომ მიმზიდველია. 18 ან 20 წლის თუ იქნება, მეტი კი არა. ახურავს შავი ჩალის ქუდი, რომლისთვისაც, როგორც ეტყობა, უცხო არაა ლონდონის მტვერი და ჭვარტლი, ალბათ, ჯაგრისი არც კი გაჰკარებია. მისი თმის არაბუნებრივი თაგვისფერი თავის დაბანვის საჭიროებაზე მიუთითებს. იაფფასიანი, ნელში გამოყვანილი შავი პალტო ძლივს სწვდება მუხლებამდე. პალტოს ქვეშ ყავისფერი კაბა მოუჩანს ტილოს წინსაფრით. ფეხსაცმელი დიდი ხანია გადასაყრელია. როგორც ჩანს, რაც შეუძლია იცავს სისუფთავეს, მაგრამ ამ ბანოვანებთან შედარებით ჭუჭყიანი გეჩვენებათ. სახის ნაკვთები მათზე უარესი როდი აქვს, მაგრამ მოუვლელია. ეტყობა, კბილის ექიმის ხელიც აკლია).

**დედა** — ერთი ეს მითხარით, საიდან იცით, რომ ჩემს ვაჟს ფრედი ჰქვია?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — ოო, ეგ რა! თქვენი შვილია? დიდი ბედენა გაგიზრდია რაღა, საწყალ ქალს ყვავილები გამაყრევინა და ჰაიდა, მოუსვა, თითქოს საფასურს გადახდა არ უნდოდეს, ანდა გროშებს, აი, თქვენ ჩამითვლიდეთ მის მაგივრად.

(სამწუხაროდ, მისი მეტყველების მანერის გადმოცემას თავი უნდა მივანებოთ, სულ ერთია. ლონდონის მცხოვრებთა გარდა მას ვერავინ გაიგებს).

**ქალიშვილი** — არ გასულელდე, დედა, და არ გადაიხადო, ახლა ეგღა გვაკლია.

**დედა** — მოიცა, კლარა! ხურდა გაქვს?

**ქალიშვილი** — 6 პენიანზე ნაკლები არა მაქვს.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — ხურდას მოგცემთ, კეთილო ქალბატონო.

**დედა** — (კლარას) მომეცი (კლარა ყოყმანით აწვდის ფულს). აი, შენი ყვავილების საფასური.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მადლობელი გახლავართ, ლედი.

**ქალიშვილი** — ხურდა? თითო კონა ია ერთ პენიზე მეტი არა ღირს.

**დედა** — ენა გააჩერე, კლარა! (ყვავილების გამყიდველ გოგონას) ხურდა საჭირო არ არის.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მადლობელი გახლავართ, ლედი.

**დედა** — აბა, ახლა მითხარი, საიდან იცი იმ ახალგაზრდა ჯენტლმენის სახელი?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მე რა ვიცი იმისი სახელი?

**დედა** — სახელით არ მიმართე? რას მატყუებ?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (აღშფოთებით) ვის რად უნდა თქვენი მოტყუება? სულერთი არ არის, ფრედის დავუძახებდი თუ ჩარლის? თქვენც ასე არ შვრებით? ზრდილობის გულისათვის უცხო კაცს სახელით არ მიმართავთ?

**ქალიშვილი** — ტყუილად წყალში გადაყარე 6 პენი, დედა, ჯობდა ფრედისთვის მიგეცა. (გაბრაზებული სვეტისაკენ იხევს. საღამურ ტანსაცმელსა და საზაფხულო პალტოში გამოწყობილი, მიმზიდველი გარეგნობის, შუახნის სამხედრო კაცი შემოვარდება ტალანში და ხურავს ქოლგას, რომელსაც წურწურით ჩამოსდის წყალი).

**ჯენტლმენი** — ფუ!

**დედა** — (ჯენტლმენს) ოჰ, სერ! გადალებას არ აპირებს?

**ჯენტლმენი** — პირი არ უჩანს, ის კი არა, ორი წუთის ნინ უფრო წამოუშინა. (ყვავილების გამყიდველ გოგონას გვერდით სვეტის ძირზე ფეხს ჩამოდგამს და შარვლის ტოტებს ჩამოუშვებს).

**დედა** — ღმერთო ჩემო! (ამოიოხებულს და თავის ქალიშვილთან მივა).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (ცდილობს ისარგებლოს სამხედრო კაცის მეზობლობით და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს) დარდი ნუ გაქვს, „კაპტანო“, თუ მართლა მაგრა დასცხო, მალე გადაიღებს, იყიდეთ, ყუაილები, იყიდეთ საწყალ გოგონასაგან.

**ჯენტლმენი** — სამწუხაროდ, ხურდა არა მაქვს.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მე მაქვს ხურდები, კაპტანო.

**ჯენტლმენი** — სოვერენის? ამაზე წვრილი ფული არა მაქვს.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მერე რა, იყიდეთ ყუაილები, კაპ-ტანო, იყიდეთ. ნახევარ კრონიანს დაგიხურდავებთ. აი, 2 პენად წაიღეთ.

**ჯენტლმენი** — რას გადამეკიდეთ, ქალიშვილო (ისინჯავს ჯიბეებს), თუმცა, თუმცა, მოიცა, ერთ-ნახევარი პენი მქონია, თუ გაწყობს, აიღე. (მიღის მეორე სვეტისაკენ).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (შეწუხდება მაგრამ გადაწყვიტა, რომ სულ არარაობას ერთ-ნახევარი პენი სჯობია) მადლობელი გახლავართ, სერ, მადლობელი.

**მაყურებელი** — (ყვავილების გამყიდველ გოგოს) შენ, ცოტა არ იყოს, ფრთხილად იყავი: ფული რომ გამოართვი, ყვავილი მიეცი, თორემ უკან რომ კაცი დგას, შენს ყოველ სიტყვას იწერს. (ხალხი მოუბრუნდება კაცს, რომელიც რაღაცას ინიშნავს).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (შეშინებული წამოვარდება) ვითომ რა მოხდა, თუ ჯენტლმენს დაველაპარაკე? მე ასეთ ადგილებში ყუაილების გაყიდვის უფლება დიახაც რომ მაქვს. (ისტერიულად). მე წესიერი გოგო ვარ, მიშველეთ, დამეხმარეთ. იმის მეტი რა ვუთხარი, რომ ყუაილი იყიდე-მეთქი. (საერთო არეულობა, უმრავლესობა ყვავილების გამყიდველ გოგონას უთანაგრძნობს, ზოგიერთები ამშვიდებენ: „ნუ ყვირი“, „შენთან ვის რა უნდა“, „შენთან ვის რა საქმე აქვს“, „კარგი, აურზაური ნუ ატეხე“, „თავი შეიკავე“, „დამშვიდი“ და ასე შემდეგ. ფიცხი მაყურებლები კი უხეშად მიმართავენ: — „ხმა ჩაიკმინდე, შენ ვის რაში სჭირდები?“ მოშორებით მდგომნი კი, რომელთაც ვერ გაიგეს რა მოხდა, მოცვივდებიან და კითხულობენ: „რა მოხდა?“, „რა იყო?“, „რა ჩაიდინა ამ გოგომ?“, „სად არის ის კაცი?“, „რომელი?“, ისა?“, „სვეტთან რომ დგას?“, „ფული ამოაცალეს იმ ჯენტლმენს?“ და ასე შემდეგ).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (რის ვაივაგლახით მივა ჯენტლმენთან და გულამოსკვნით ტირის) ოჰ, სერ. უთხარი ასეთ რამეს ნუ მაბრალებენ. ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს ეს ჩემთვის? თქვენთან დალაპარაკებისათვის ცუდ სახელს მომაკერებენ და ქუჩაში გამაგდებენ. ისინი...

**კაცი წიგნაკით** — (გვერდით ამოუდგება ყვავილების გამყიდველს. ირგვლივ შემოეხვევიან) რაო, რაო? რაო? რაო? შენ ვინ რას გერჩის, ბრიყვო? ან მე ვინა გგონივარ?

**მაყურებელი** — ყველაფერი გასაგებია. ჯენტლმენია, აბა, ფეხსაცმელებს დახედეთ. (უხსნის წიგნაკიან კაცს) გოგოს, აი, ის... რა ჰქვია... მაბეზღარა ეგონეთ, სერ.

**კაცი წიგნაკით** — რაო? მაბეზღარა რა არის?

**მაყურებელი** — რა არის? აბა, როგორ გითხრათ, მაბეზღარა, მაბეზღარაა, მეტს რას ეძახიან? ჰო, მართლა, ჯაშუში... ჯაშუში.. ჯაშუში...

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (ისევ ისტერიულად) ღმერთმანი, ეგსიტყვა არ მითქვამს.



სცენა სპექტაკლიდან „პიგმალიონი“



**კაცი წიგნაკით** — (მბრძანებლურად, მაგრამ გულკეთილად) კარგი, გაჩუმდი, გაჩუმდი. პოლიციელს რა მიგავს?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (ჯერ კიდევ დაუწყნარებელი) მაშ, რატომ იწერდი ჩემს სიტყვებს? საიდან ვიცი, მართალი ჩაიწერე თუ არა? აბა, მიჩვენე, რა ჩაიწერე.

**კაცი წიგნაკით** — (ამოიღებს წიგნაკს და ცხვირთან მიუტანს ყვავილების გამყიდველ გოგოს. ცნობისმოყვარე ხალხი ისე გადმოაწვება, რომ მასზე სუსტი კაცი ვერც კი გაუძლებდა, გათელავდნენ).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — რა არის ეგ? ჩვენებურად არა წერია. ვერაფერი გავიგე.

**კაცი წიგნაკით** — მე გაგაგებინებ. (კითხულობს. ზუსტად აჯავრებს გოგონას გამოთქმას: „დარდი ნუ გაქვთ, „კაპტანო“, იყიდეთ, იყიდეთ ყუა აილები საწყალ გოგონასაგან“).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (კიდევ უფრო შეურაცხყოფილი) მაშ, იმიტომ ჩაიწერეთ ჩემი სიტყვები, რომ მე მას „კაპტანი“ დავუძახე? ცუდი განზრახვით ხომ არ მითქვამს? (ჯენტლმენს) ოჟ, სერ! უთხარით ერთი სიტყვის გულისათვის შარში ნუ გამხვევს. თქვენ...

**ჯენტლმენი** — ბრალს გდებენ? ვინა გდებს ბრალს?! (წიგნაკიან კაცს) მართლაცდა, სერ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რა თქვენი საქმეა, დამიცვათ გოგოების შემოსევისაგან, თუ მე ეს თქვენთვის არ მითხოვია. ყოველ შემთხვევაში ამ გოგონას ცუდი არაფერი ჩაუდენია. — ამდენი ხალხია მოწმე.

**ხალხი** — (გამოთქვამს აღშფოთებას პოლიციური ჯაშუშობის წინააღმდეგ. „წყეულიმც იყავით“, „სხვის საქმეში რას ეჩრებით?“, „თქვენ თავს მოუსარეთ?“, „დანინაურება მოუნდა“, „ხალხის ნალაპარაკებს იწერს“, „ამ გოგონას სიტყვაც არ უთქვამს მისთვის“, „თუნდაც ეთქვა, მერე რა მოხდა?“, „კარგი საქმეა სწორედ, გოგოს თავი ისე ვერსად შეუფარებია, რომ არ შეურაცხყონ“. და ასე შემდეგ. გულშემატკივრები დააბრუნებენ ყვავილების გამყიდველ გოგონას და დასვამენ თავის ადგილზე, სვეტ-თან, გოგონა ცდილობს დამშვიდდეს).

**მაყურებელი** — რა თქმა უნდა, ჯაშუში არ არის. ერთი ახირებული კაცია, ესაა და ეს, დამერწმუნეთ. აბა, ფეხსაცმელს დახედეთ.

**კაცი წიგნაკით** — (მხიარულად მიუბრუნდება მაყურებელს) რა მაგის პასუხია და როგორ არიან თქვენები სელსში?

**მაყურებელი** — ვინ გითხრათ, რომ ჩემები სელსში ცხოვრობენ?

**კაცი წიგნაკით** — ნუ გეშინიათ, არავის უთქვამს. (ყვავილების გამყიდველ გოგოს) იმ სიშორიდან აქ რამ მოგიყვანა? შენ ხომ ლისონ გროვში ხარ დაბადებული?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (შეშინებული) მერე რა დავაშავე ლი-სონ გროვიდან რომ ჩამოვედი. იქ საღორეზე უარეს ბინაში ვცხოვრობდი, კვირაში 4 შილინგი და 6 პენი უნდა მეხადა.

(ტირის) በ-ው-ት-ቁ-ት-ው-ት-ው.

**კაცი წიგნაკით** — ሪሳድაც გენებოს, ዓይ იცხოვრე, መღონდ ტირილი შეწყ-  
ვიტე.

**ჯენტლმენი** — (ყვავილების გამყიდველ გოგოს) კარგი, ნუ ტირი, გეყ-  
ოფა, ხელს አር გახლებს, ሪሳድაც გინდა, ዓይ იცხოვრე.

**გამქირდავი მაყურებელი** — (ჩადგება წიგნაკიან კაცსა და ჯენტლმენს  
შორის) მაგალითად, პარკ ლეინში. მართლა, მე თქვენთან კამათი მინდა  
საცხოვრებელი ბინის საკითხზე.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (თავს ჩარგავს კალთაში და ბუტბუ-  
ტებს სასონარკვეთილი) მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

**გამქირდავი მაყურებელი** — (ყურადღებას არ აქცევს გოგოს) ዓქნება  
ისიც იცოდე მე საიდანა ვარ?

**კაცი წიგნაკით** — (სწრაფად) ჰოქსტონიდან. (გაისმის ხარხარი. ხალხი  
უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს წიგნაკიან კაცს).

**გამქირდავი მაყურებელი** — (გაოცებული) თქვენ ვინა ყოფილხართ!  
სწორედ რომ ჰოქსტონიდან ვარ. მართლაც ყველაფერი გცოდნიათ.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (ჯერ კიდევ აღელვებული) არავი-  
თარი უფლება არა აქვს, ჩემს საქმეში ჩაერიოს, არავითარი.

**მაყურებელი** — (გოგოს) რა თქმა უნდა, არა აქვს. პასუხი მოსთხოვე,  
ასე არ მოეშვა. (წიგნაკიან კაცს) ერთი ეს მითხარით, რა უფლება გაქვთ,  
ყველაფერი იცოდეთ იმ ადამიანებზე, რომელთაც თქვენთან არაფერი  
ჰქონიათ საერთო და არც უნდათ, იქონიონ?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — რაც უნდა, ისა თქვას, მასთან მაინც  
არაფერი საერთო არ მინდა.

**მაყურებელი** — ალბათ, იმიტომ გვეპყრობით ასე, რომ არაფრად გვ-  
აგდებთ. ასე არ უნდა იქცეოდეთ, არა.

**გამქირდავი მაყურებელი** — მართალი ბრძანებაა. თუ მაინცდამაინც  
მარჩიელობა დაიწყეთ, მაშინ ამ ჯენტლმენსაც უთხარით, საიდანაა ჩამო-  
სული.

**კაცი წიგნაკით** — ჩელტენ ჰამიდან, ჰაროუდან, დაბოლოს, ინდოეთი-  
დან.

**ჯენტლმენი** — სრული სიმართლეა. (სიცილ-ხარხარი, წიგნაკიანი კა-  
ცისადმი უფრო და უფრო მეტი განეწყობა სიმპათიურად. გაისმის შეძახ-  
ილები: „მან ყველაფერი იცის?“ „პირდაპირ მოუჭრა“, „იმ წარმოსადევ გ-  
ჯენტლმენს ზუსტად უთხრა, საიდანაა ჩამოსული“, „საოცარია“ და ასე  
შემდეგ). ნება მომეცით შეგეკითხოთ, სერ. თავს იმით ირჩენთ, რომ ამ  
ნომრით გამოდიხართ მიუზიკ-ჰოლში?

**კაცი წიგნაკით** — არა, მაგრამ, მიფიქრია კი. በდესმე შეიძლება მართ-  
ლა გავაკეთო.

(წვიმამ გადაიღო, ხალხი თანდათან იშლება).

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (შეურაცხყოფილი იმით, რომ ხალხი

სიმპათიურად განეწყო წიგნაკიანი კაცისადმი). ის ჯენტლმენურად რომ იქცეოდეს, საბრალო გოგოს არ შეურაცხყოფდა, არა.

**ქალიშვილი** — (მოთმინებიდან გამოსული უხეშად გაემართება ჯენტლმენისაკენ. ეს უკანასკნელი თავაზიანად უთმობს ადგილს) მინამ ხომ არ ჩაყლაპა ფრედი? ამ სიცივეში, თუ კიდევ ცოტა ხანს დავრჩი, ფილტვების ანთება არ ამცდება.

**კაცი წიგნაკით** — (ჩაინიშნავს ამ ქალიშვილის გამოთქმას და თავის თვის ჩაილაპარაკებს: „ნამდვილად ერლსკორტიდანაა“).

**ქალიშვილი** — (აღმფოთებით) კეთილი ინებეთ და თქვენი უხეში შენიშვნები თქვენთვის შემოინახეთ.

**კაცი წიგნაკით** — რაო? რაიმე ხომ არ მითქვამს ხმამალლა? უნებურად მომსვლია, მაგრამ... დედათქვენი კი უეჭველად ეპსომიდანაა.

**დედა** — (ჩადგება ქალიშვილსა და წიგნაკიან კაცს შორის) პირდაპირ საოცარია, მე ბავშვობა სწორედ ეპსომის ახლოს, ლარჯლედის პარკში გავატარე.

**კაცი წიგნაკით** — (უცნაურად გახარებული) ხა, ხა, ხა, ეს რა ბგერები გავიგონე, ბოდიში. (ქალიშვილს) თქვენ ტაქსი გნებავთ, არა?

**ქალიშვილი** — როგორ მიბედავთ ლაპარაკს?

**დედა** — დამშვიდდი, კლარა, დამშვიდდი. (ქალიშვილი უქმაყოფილოდ აიჩეჩს მხრებს და ამპარტავნულად განზე გადგება) დიდი მადლობელი ვიქენებით, სერ, ტაქსის თუ გვიშოვით. (წიგნაკიანი კაცი ამოიღებს სასტენს და დაუსტვენს) ოჰ, გმადლობთ. (მივა ქალიშვილთან. წიგნაკიანი კაცი გამაყრულად უსტვენს).

**გამქირდავი მაყურებელი** — ესეც თქვენ! ხომ გითხარით, გადაცმული ჯაშუშია-მეთქი.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (ისევ შეურაცხყოფილი) მას უფლება არა აქვს, სახელი გამიტეხოს, არა. მე ისევე მჭირდება კარგი სახელი, როგორც რომელიმე ლედის.

**კაცი წიგნაკით** — არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა, მაგრამ უკვე ორი წუთია, რაც წიგნიმა გადაიღო.

**მაყურებელი** — მართლა გადაულია. რომ გვასმენინებთ ამ თქვენ სულელურ ლაპარაკს, აქამდე ვერ თქვით?

(გაემართა სტრენდისაკენ)

**გამქირდავი მაყურებელი** — ახლა მეც შემიძლია გითხრათ თქვენ საიდანა ხართ. ჰანველის საგიურეთიდანა ხართ გამოქცეული. ჰოდა, გირჩევნიათ, ისევ იქ დაბრუნდეთ.

**კაცი წიგნაკით** — (უმწეოდ) ჰანველის საგიურეთიდან?

**გამქირდავი მაყურებელი** — (ცდილობს, რაც შეუძლია გარკვეულად და მოხდენილად გამოთქვას) მადლობელი გახლავართ, მასწავლებელო! ხა, ხა, ხა, ნახვამდის. (დამცინავად მიიღებს ხელს ქუდზე, თითქოს ესალმებაო და გადის).

**ყვავილების გამყიდველი გოგო — ტყუილად აშინებს ხალხს, ნეტავი, ერთი მაგასაც ვინმე დაუფრთხობდეს ანგელოზებს.**

**დედა —** უკვე გამოიდარა. კლარა, ავტობუსის გაჩერებამდე ფეხით მივიდეთ. წავიდეთ, წავიდეთ. (კაბის ბოლოს აიკრეფს და გაეშურება სტრენდისაკენ).

**ქალიშვილი — ტაქსი?** (დედამისს არ ესმის) ღმერთო ჩემო, რა უბე-დურებაა! (გაბრაზებული მიჰყვება დედას, ხალხი ნელ-ნელა იშლება. რჩებიან მხოლოდ წიგნაკიანი კაცი, ჯენტლმენი და ყვავილების გამყიდველი გოგონა, რომელსაც წესრიგში მოჰყავს თავისი კალათა და ისევ უკმაყოფილოდ ბუტბუტებს).

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** ეხ, შე საბრალო გოგონავ! ისედაც რა ცხოვრება გაქვს და კიდევ შენ შეურაცხყოფენ.

**ჯენტლმენი —** (უბრუნდება თავის ადგილს, წიგნაკიანი კაცის მარცხნივ) ნება მომეცით გკითხოთ, როგორ ახერხებთ ყოველივე ამას?

**კაცი წიგნაკით —** სრულიად უბრალოდ, ფონეტიკის საქმეა. ფონეტიკა ბგერების შემსწავლელი მეცნიერებაა. ესაა ჩემი პროფესია და ჩემი მოწოდება. ბედნიერია ის კაცი, რომლის ცხოვრების წყაროც მისი საყვარელი საგანია. თქვენ, ალბათ, ირლანდიელს — იორკშირელისაგან არჩევთ, მე კი ექვსი მილის სიზუსტით შემიძლია გამოვიცნო, ვინ სადაურია. ლონდონში კი ორი მილის სიზუსტითაც ვარჩევ. ზოგჯერ იმასაც ვარკვევ, რომელი ქუჩის მცხოვრებია.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** რცხვენოდეს მაინც ამ ლაჩარს.

**ჯენტლმენი —** მერე, ეს საქმაო შემოსავალს იძლევა საცხოვრებლად?

**კაცი წიგნაკით —** როგორა არა, ჩინებულ შემოსავალს იძლევა. ჩვენი საუკუნე გადიდეკაცებულ მდაბიოთა საუკუნეა, ზოგიერთი ქალაქ კენტში იწყებს მოღვაწეობას 80 გირვანქა წლიური შემოსავლით და კარიერას პარკ ლეინში ამთავრებს 100 ათასით. მათ უკვე ქალაქ კენტის ხენებაც აღარ უნდათ, მაგრამ სალაპარაკოდ პირს დააღებენ თუ არა, მაშინვე მუღავნდება, რომ პროვინციელები არიან.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** მაგას ურჩევნია, თავისთვის ეგდოს, სხვის საქმეებში ნუ ეჩრება და მეც თავი დამანებოს.

**კაცი წიგნაკით —** (გაშმაგებული) ქალო, ან შეწყვიტე ეგ აუტანელი ბუზლუნი, ანდა წადი და რომელიმე სხვა ეკლესიას შეეფარე.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (გაუბედავად, მაგრამ გამომწვევად) მე ისეთივე უფლება მაქვს აქ ყოფნისა, როგორც თქვენ.

**კაცი წიგნაკით —** ქალს, რომელიც ასე ლაპარაკობს და ასეთ საშინელ ბგერებს უშვებს, საერთოდ არა აქვს ცხოვრების უფლება. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ადამიანური არსება ხარ, ადამიანური სული გიდგას და ლვთი-საგან მეტყველების უნარი გაქვს მონიჭებული, რომ შენი მშობლიური ენა შექსპირის, მილტონისა და ბიბლიის ენაა. ჰოდა, ასე საცოდავად ნუ ზიხარ მანდ და ნუ კრუსუნებ.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (ღონემიხდილია, სახეზე ეხატება გაოცება და მუდარა, მაგრამ თვის ანევას ვერ ბედავს).

ვაი-უ-ოი-უ-უ-უ-უ--.

**კაცი წიგნაკით —** (სასწრაფოდ ამოილებს ჯიბიდან წიგნაკს) ღმერთო ჩემო, ეს რა ბერებია! (ინერს. შემდეგ კითხულობს და ზუსტად აჯავრებს გოგონას).

ვაი,-უ-ოი-უ-უ-უ-უ.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (ეს მიპაძვა ისე იმოქმედებს, რომ ძალაუნებურად ეცინება) უჟ-შენი...

**კაცი წიგნაკით —** დააკვირდით ამ არსებას თავისი ქუჩური ინგლისურით, რომელიც მთელი სიცოცხლე ცხოვრების ფსკერზე მიაჯაჭვავს მას. აი, რა, სერ, მომეცით 3 თვე და ამ გოგონას ისე გარდავქმნი, რომ ელჩის მისალებ დარბაზბაზეც კი ჰერცოგის ასულად მიიღონ, გნებავთ, ხელზე მოსამსახურე გოგოდ გარდავქმნი, გნებავთ, გამყიდველად. მათ ხომ უკეთესი ინგლისური ესაჭიროებათ.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** ეგ რა თქვით?

**კაცი წიგნაკით —** ქალიშვილო, შენ შენი გაუნათლებლობით შეურაცხყოფ ამ სვეტების კეთილშობილურ არქიტექტურას, შეურაცხყოფას აყენებ ინგლისურ ენასაც და ეს მაშინ, როცა მე შემიძლია თუნდაც შებას დედოფლად გადაგაქციო. (ჯენტლმენს) რაო, არა გჯერათ?

**ჯენტლმენი —** რა თქმა უნდა, მჯერა, მე თვითონ ინდურ დიალექტებს ვსწავლობ და...

**კაცი წიგნაკით —** (მოუთმენლად) მართლა? იქნება იცნობთ სამეტყველო სანსკრიტის ავტორს, პოლკოვნიკ პიკერინგს?

**ჯენტლმენი —** პოლკოვნიკი პიკერინგი მე გახლავართ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

**კაცი წიგნაკით —** თქვენს წინაშეა „ჰიგინსის უნივერსალური ანბანის“ ავტორი ჰენრი ჰიგინსი.

**ჰიგინგი —** (აღტაცებული) ინდოეთიდან თქვენ სანახავად ჩამოვედი.

**ჰიგინსი —** მე კი ინდოეთში თქვენს შესახვედრად მოვეშურებოდი.

**პიკერინგი —** სად ცხოვრობთ?

**ჰიგინსი —** უიმპოლის ქუჩის 27-ა-ში, ხვალვე მობრძანდით ჩემთან.

**პიკერინგი —** მე კარლსტონში დავბინავდი. ახლავე წამობრძანდით ჩემთან, ვიკახშმოთ კიდეც და ვისაუბროთ.

**ჰიგინსი —** ასე აჯობებს.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (პიკერინგს, ჩავლის დროს) იყიდეთ ყუაილი, კეთილო ჯენტლმენი, იყიდეთ, ბინის ქირა ვერაფრით გადამიხდია.

**პიკერინგი —** ძალიან ვწერებარ, მაგრამ ხურდა არა მაქვს.

**ჰიგინსი —** (გოგონას მათხოვრობით აღშეფოთებული). მატყუარა, შენ არა თქვი, ნახევარკრონიანს დავახურდავებო?

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (სასოწარკვეთილი ნამოვარდება) გულის მაგივრად ლურსმნები გქონიათ! (კალათას ჰიგინსის ფეხებთან დააგდებს) აი, მთელი კალათა ყუაილები 6 პენიდ წაიღეთ.

(ეკლესიის ზარი თორმეტის ნახევარს რეკავს).

**ჰიგინსი —** (ამ ზარის ხმაში ჰიგინსს მოესმის ლეთაებრივი ხმა, რომელიც თითქოსდა საბრალო გოგონას მიმართ გამოჩენილი სიმკაცრისათვის საყვედურობს). თვითონ ზეცა მკარნახობს: (მოიხდის ქუდს, გოგონას მუჭით ჩაუყრის ფულს კალთაში და მერე პიკერინგს გაედევნება)

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (დაიხრება და აიღებს ნახევარკრონიანს). ი-ი-ი-ი-ი-ი. (აიღებს ორ ფლორინს) ო-ო-ო-ო-ო-ო (აიღებს რამდენიმე გროშს) ე-ე-ე-ე-ე-ე (აიღებს ნახევარ სოვერენს) უ-უ-უ-უ-უ-უ-

**ფრედი —** (ჩამოხტება ტაქსიდან) როგორც იქნა, ვიშოვე. გამარჯობა. სად წავიდნენ ის ქალბატონები, აქ რომ იცდიდნენ?

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** როგორც კი წვიმამ გადაიღო, ავტობუსის გაჩერებისაკენ წავიდნენ.

**ფრედი —** ახლა, ამ ტაქსის რა ვუყო? აი, სეირი.

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** (ამაყად) დარდი ნუ გაქვს, ახალგაზრდავ, მე წავალ ტაქსით სახლში (მედიდურად გაემართება ტაქსისაკენ, მძლოლი მოუკეტავს მანქანის კარს. გოგო მიხვდება, თუ რატომ არ ენდობა მძლოლი და მთელ მუჭა ფულს უჩვენებს). აი, ტაქსის ფულის გადახდა არაფერია ჩემთვის, ჩარლი (მძლოლს გაეღიმება და გაუღებს მანქანის კარს).

**ყვავილების გამყიდველი გოგო —** აქ? კალათი?

**მძლოლი —** აქ მოიტა, ორი ზედმეტი პენი კალათისათვის უნდა გადაიხადო.

**ელიზა —** მხოლოდ ისე, რომ კალათი არავინ დაინახოს (ჩააგდებს კალათს მანქანაში და ჯდება. მანქანის ფანჯრიდან აგრძელებს ფრედის-თან საუბარს). მშვიდობით, ფრედი!

**ფრედი —** (ზუსტად მოიხდის ქუდს) მშვიდობით.

**მძლოლი —** საით?

**ელიზა —** ბუკინგამის სასახლეში.

**მძლოლი —** ბუკინგამის სასახლეში?

**ელიზა —** რაო, არ იცი? მწვანე პარკანაა. იქ, სადაც მეფე ცხოვრობს. მშვიდობით, ფრედი. ნუ მაყურებინებ შენ საცოდაობას, წადი, მშვიდობით.

**ფრედი —** მშვიდობით (მიდის).

**მძლოლი —** მაშ, ბუკინგამის სასახლეში? კი, მაგრამ რა საქმე გაქვს ბუკინგამის სასახლეში?

**ელიზა —** არაფერი. არ მინდოდა, იმ ახალგაზრდას გაეგო, სად ვცხოვრობ. ახლა სახლში წამიყვანე.

**მძლოლი —** სად?

**ელიზა —** ანუელ კორტი, დრიური ლეინი, ნავთის წერტის პირდაპირ.



სცენა სპექტაკლიდან „პიგმალიონი“  
ვერიკო ანჯაფარიძე – მისის პიგინსი  
მედეა ჯაფარიძე – ელიზა დულიტლი



**მძღოლი** — ოი, აი, ეს უკვე მართალსა ჰგავს (მანქანა მიდის) მოდი, ჩვენც მივდიოთ მანქანას ანუელ კორტის შესასვლელამდე. მანქანა ჩერდება ვიწრო თაღთან, რომელიც ორ დუქანს შორისაა მოქცეული. ერთ-ერთი ნავთის წერტია. ელიზა თავისი კალათით გადმოვა მანქანიდან.

**ელიზა** — რამდენი გინდა?

**მძღოლი** — (უჩვენებს ტაქსომეტრს) კითხვა არ იცი? შილინგი.

**ელიზა** — რა ამბავია ორი წუთში შილინგი?

**მძღოლი** — ორი წუთია თუ ათი, სულერთია.

**ელიზა** — აიღე, მაგრამ ვიცი, რომ მატყუებ.

**მძღოლი** — რა? პირველად ზიხარ ტაქსში?

**ელიზა** — (ამაყად) ასჯერ ვმჯდარვარ თუ ათასჯერ.

**მძღოლი** — (დაცინვით) კარგი, კარგი შენთვის შეინახე ეგ შილინგიც, ძვირფასო. თქვენები მომიკითხე, კარგად იყავი (მიდის).

**ელიზა** — (დამცირებული) უსირცხვილო (აიღებს კალათს და მიაქვს ბინაში, რომელიც ნარმოადგენს ერთ პატარა ოთახს. მის სველ კედლებზე ჩამოძებნილია გახუნებული შპალერი. ფანჯრის ჩამტვრეული მინის მაგივრად ქალალდი გაუკრავს. კედელზეა ვილაცა უბრალო მსახიობის სურათი და უურნალიდან ამოხეული ქალის კაბის ნიმუშები. ფანჯარასთან კიდია ჩიტის გალია. ჩიტი დიდი ხანია მკვდარია, გალია, ალბათ, მის მოსაგონებლად კიდია. მარტო ეს ფუფუნების საგნები მოჩანს. სხვა ყველაფერი სიღარიბეზე მეტყველებს. დანჯლრეული სანოლი, რომელზედაც ყრია ყოველგვარი კონკები, რასაც კი გათბობა შეუძლია.

გაქექილი ჩემოდანი, რომელზედაც აწყვია თეფში, სურა და პატარა სარკე. მოჩანს სკამი, მაგიდა და სამზარეულოს ზოგიერთი ნივთიც. ამერიკული მაღვიძიარა დგას ბუხრის თავზე, რომელშიაც ცეცხლი დიდი ხანია არ დანთებულა. ოთახი ლამპით ნათდება. ქირა: კვირაში ოთხი შილინგი.

აი, ელიზაც შემოდის. საშინლად დაქანცულია, მაგრამ იმდენად ალელვებულია, რომ ვერ იძინებს. ჩამოჯდება. ითვლის თავის სიმდიდრეს და ფიქრობს, რა გააკეთოს ამ ფულით. ლამპაში ნავთი ილევა და ქრება. ელიზას სიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ შეუძლია ერთი პენის სინათლეც დახარჯოს და არ დაინანოს, თუმცა არც მომჭირნეობის გრძნობას კარგავს. ხოლო შეუძლია ზედმეტი პენი არ დახარჯოს სინათლისათვის, სიბნელეში ჩაწვეს ლოგინში და იქ იოცნებოს... ამგვარად, მოიხსინს შალს, გაიხდის კაბას და ამ თავის მორთულობას საბნის სამაგიერო კონკებს უმატებს. ფეხსაცმელს გაიხდის და ჩაწვება).

**პირველი მოქმედების დასასრული**  
**ფარდა**

## მოქმედება მეორე

მეორე დღე. დილის 11 საათი. ჰიგინსის ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. ოთახი მეორე სართულზეა. ფანჯრები ქუჩის მხარეს გადის. ეს ოთახი თავის დროზე სასტუმრო ოთახად იყო განკუთვნილი. უკანა კედლის შუა ორმაგი კარია. ოთახში შემსვლელი მარჯვენა კუთხეში ხე-დავს ერთმანეთთან სწორი კუთხით მიდგმულ ორ კარტოთეკას. იმავე კუთხეში დგას საწერი მაგიდა, რომელზედაც დადგმულია ფონოგრაფი და ლარინგოსკოპი, პატარ-პატარა ორლანის მილები საბერველით, შუშის მილები მოცახცახე ალისათვის, სანთურათი, რომელიც კედელთან შეერთებულია რეზინის მილით. სხვადასხვა კამერტონები, ბუნებრივი სიდიდის ადამიანის თავის ჭრილი, რომელშიაც მოჩანს ორგანოები. იქვეა ყუთი ცვილის ლილვებით ფონოგრაფიისათვის.

იმავე მხარეს ოთახის სიღრმეში ღუმელია, იქვე, კარის ახლოს, დგას რბილი სავარძელი და ნახშირის ყუთი. ღუმლის თავზე დევს საათი. ღუმელსა და ფონოგრაფიის მაგიდას შორის პატარა მაგიდაა გაზეთები-სათვის.

მთავარი შესასვლელი კარის მარჯვნივ ვხედავთ უჯრებიან კარადას, მასზეა ტელეფონი და სამისამართო ნიგნი, თითქმის მთელი კედლის გასწრივ დგას საკონცერტო როიალი, რომლის კლავიატურა კარისაკენ ზურგითაა მიმართული. როიალთან მოთავსებულია კლავიატურის სიგრძის სკამი. როიალზეა ვაზა ხილითა და ტკბილეულობით, რის უმრავ-ლესობასასაც შოკოლადი შეადგენს. გარდა სავარძლისა, როიალის სკამისა და ფონოგრაფიის მაგიდასთან მდგარი ორი სკამისა, ღუმლის ახლოს ვამჩნევთ ერთ სათადარიგო სკამსაც.

კედელზეა უმთავრესად პირინეზის გრავიურები და მეცოტინტოს პორტრეტები, სურათები არ ჩანს.

პიკერინგი უზის მაგიდას, აწყობს ბარათებს და დებს კამერტონს, რომელიც ეს-ესაა უხმარია. მის ახლოს დგას ჰიგინსიდა ხურავს გამოღებულ უჯრებს. დილის სინათლეზე იგი ცოცხალ, ჩაფსკვნილ, ორმოციოდე წლის მამაკაცად მოჩანს. აცვია თავისი პროფესიული შავი სერთუკი, გახამებული თეთრი საყელოთი და შავი აბრეშუმის ჰალსტუხით. ესაა ენერგიული მეცნიერის ტიპი, რომელიც ფანატიკურად ინტერესდება ყველაფრით, რაც შეიძლება მეცნიერული შესწავლის საგნად იქცეს, მაგრამ უყურადღებოა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გრძნობების მიმართაც. თავისი აღნაგობისა და ხნოვანების მიუხედავად, ის ჩამოჰვავს ცელქ ბავშვს, რომელიც დიდის ამბით ეხმაურება ყოველგვარ მოვლენას და რომელსაც ესაჭიროება მუდმივი ზედამხედველობა, რომ რაიმე მისდა უნებურად არ გააფუჭოს. მისი გულკეთილი ბუზღუნი, როდესაც კარგ გუნებაზეა, გადადის სასტიკ მრისხანებაში, როცა რაიმე

მისი სურვილის წინააღმდეგ კეთდება. მაგრამ მაინც იმდენად გულწრფელია და შორსაა პოროტებისაგან, რომ მაშინაც კი, როცა აშკარად ტყუის, არ შეიძლება მის მიმართ სიმპათიურად არ განეწყოთ.

**ჰიგინსი** — (ხურავს უკანასკნელ უჯრას) კეთილი, მგონი, ამით მოვრჩით.

**პიკერინგი** — პირდაპირ საოცარია, უნდა გითხრათ, რომ ნახევარიც ვერ დავიმახსოვრე.

**ჰიგინსი** — იქნება, ზოგიერთის ხელმეორედ მოსმენა გენებოთ?

**პიკერინგი** — (ნამოდგება, მიდის ღუმელთან და დგება ცეცხლთან ზურგშექცევით) არა, გმადლობთ. სხვა დროს იყოს, ახლა ძალიან დავიღალე.

**ჰიგინსი** — (გამოჰყვება მას და მარცხენა მხრიდან ამოუდგება) ბგერების მოსმენით დაიღალეთ?

**პიკერინგი** — დიახ, დიდ დაძაბულობას მოითხოვს. წარმოიდგინეთ, ვამაყობდი კიდეც, რომ 24 ხმოვნის წარმოთქმა შემეძლო, მაგრამ თქვენმა 130-მა პირდაპირ ბოლო მომილო. მათ უმრავლესობას შორის მცირეოდენ განსხვავებასაც ვერ ვამჩნევ.

**ჰიგინსი** — (სიცილით მიდის როიალთან და ჭამს ტკბილეულს) ო, ეს პრაქტიკის საქმეა, პირველად, რა თქმა უნდა, ვერ შეამჩნევთ განსხვავებას, მაგრამ განმეორებით მოისმენთ თუ არა, დარწმუნდებით, რომ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ანსა და ბანს შორის.

(შემოიხედავს ჰიგინსის დიასახლისი, ქალბატონი პირსი) რა მოხდა?

**ქ-ნი პირსი** — (გაუბედავად ყოყმანით) ვიღაცა ახალგაზრდა ქალს თქვენი ნახვა სურს!

**ჰიგინსი** — ახალგაზრდა ქალს? რა უნდა?

**ქ-ნი პირსი** — არ ვიცი, სერ! ასე თქვა: როცა გაიგებს რისთვისა ვარ მოსული, გაუხარდებაო. მდაბიო ქალია, სერ, მეტად მდაბიო. გავაბრუნებდი, მაგრამ გავიფიქრე, იქნება პროფესორს უნდა თავის მანქანაში ალაპარაკოს-მეთქი. მგონი, კარგად მოვიქეცი, მაგრამ, ხანდახან მეტად უცნაური ხალხი დადის და... მაპატიეთ, სერ, მე...

**ჰიგინსი** — კეთილი, კეთილი, ქ-ნო პირს, საინტერესო გამოთქმა აქვს?

**ქ-ნი პირსი** — ოჲ, რაღაც საშინელი, სერ, ნამდვილად საშინელი. მაკვირვებს, რა საინტერესოა ასეთი გამოთქმები?

**ჰიგინსი** — (პიკერინგს) შემოვუშვათ? ქალბატონო პირს, შემოუშვით. (სხრაფად მიდის სამუშაო მაგიდასთან და აიღებს ლილვაკს ფონოგრაფისათვის).

**ქ-ნი პირსი** — (ნახევრად დარწმუნებული უცხო ქალიშვილის შემოზების საჭიროებაში) კეთილი, თქვენი ნებაა, სერ. (ძირს ჩადის).

**ჰიგინსი** — პირდაპირ მისწრებაა. ფირის დამზადებას გაჩვენებთ. დავსვამ და მის ნალაპარაკევს ბელის ასოებით ჩავიწერ, შემდეგ —

ლათინურად, ბოლოს კი — ფონოგრაფიულად, ასე რომ, როდესაც მოგინდებათ, შეგიძლიათ, რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ მოუსმინოთ მის ხმას, თანაც ჩანაწერი მოიშველიოთ.

**ქ-ნი პირსი** — (ბრუნდება) აი, ის ახალგაზრდა ქალი, სერ.

(რთახში მედიდურად შემოდის ყვავილების გამყიდველი გოგონა. ქუდზე უკეთია ფარშავანგის სამი ბუმბული: მწვანე, ცისფერი და წითელი. ახლა მისი წინსაფარი შედარებით სუფთაა. წელში გამოყვანილი პალტო ცოტა დაუგრძელებია. ამ სავალალო არსების აღგზნებულობა თავისი უმანკო ამაოებითა და თვითკმაყოფილებით ააღელვებს პიკერინგს, რომელიც ქ-ნი პირსის თანდასწრებით წელში სწორდება. რაც შეეხება ჰიგინსს, ერთადერთი განსხვავება, რასაც იგი ხედავს მამაკაცსა და ქალს შორის ისაა, რომ, როცა უმნიშვნელო რამეზე გაბრაზებული არ არის, ქალებს ისევე ელოლიავება, როგორც ბავშვი ძიძას, რომელმაც მას რაიმე უნდა გამოსტყუოს).

**ჰიგინსი** — (ერთბაშად იცნობს გოგონას და ბავშვურად გამოთქვამს იმედის გაცრუებით გამოწვეულ სინანულს).

ეს ხომ ის გოგოა, რომელსაც წუხელ ვესაუბრე, უსარგებლოა ჩემთვის, ლისონგროული გამოთქმები სულ ჩანერილი მაქვს, ამისათვის ლილვაკს არ გავაფუჭებ. (გოგოს) წადი. საჭირო არა ხარ.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — ნუ ჩქარობთ, ჯერ ხომ არ იცით, რისთვის ვარ მოსული? (ქ-ნ პირს, რომელიც კარებთან უცდის შემდგომ მითითებებს) ტაქსით რომ მოვედი, უთხარით?

**ქ-ნი პირსი** — ნუ სულელობ, გოგო. ისეთ ჯენტლმენს, როგორიც მის-ტერ ჰიგინსია, რაში აინტერესებს რითი მოხვედით?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — რაში და ჩვენ ვამაყობთ. გავიგე, რომ ის გაკვეთილებს იძლევა. თვითონა თქვა. ჰოდა, მე ქათინაურებისათვის კი არ მოვსულვარ. თუ ჩემი ფული აქ არ ფულობს, სხვაგან წავალ.

**ჰიგინსი** — რისთვის არ ფულობს?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — რისთვისა და თქვენთვისა, გაიგეთ? მე გაკვეთილების მისალებად მოვსულვარ, საფასურს გადავიხდი-თქო. რისი გეშინიათ?

**ჰიგინსი** — (გაშეშებული) რაო? (ძლივს მოითქვამს სულს) შენის აზრით, რის თქმას ელი ჩემგან?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — თუ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ, სკამის შემოთავაზებას. ხომ გითხარით, საქმეზე მოვედი-მეთქი-თქო.

**ჰიგინსი** — ჰიგინგ, ეს საფრთხობელა დავსვათ თუ ფანჯრიდან გადავაგდოთ?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (შეშინებული გაიქცევა როიალისაკენ და კედლის კიდეს მიეკვრება) ა-ო-უ-უ-უ-უ.

(შეურაცხყოფილი, საბრალო ხმით) რატომ მეძახით საფრთხობელას. მე ხომ საფასურს ისევე გაძლევთ, როგორც ყველა ლედი? (გაოცებული

ჯენტლმენები ოთახის მეორე კუთხიდან მდუმარედ შეცქერიან გოგოს).

**პიკერინგი** — (დაყვავებით) კი, მაგრამ, მაინც რა გნებავთ?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — მე მინდა საყუაილე მაღაზიაში ვი-მუშაო, როგორც ლედიმ, და ტოტენჰამ კორტ როუდზე აღარ ვიწანწალო ყუაილებით ხელში. ჩემი ლაპარაკი არ მოსწონთ და არ მიღებენ. აი, ამან კი თქვა, შემიძლია გასწავლოვო-ო. ჰოდა, მოვედი, ქირასაც ვიხდი, — წყალობას კი არ ვთხოულობ. ეს კი ისე მეპყრობა, თითქოს მისი ფეხის მტვერი ვიყო.

**ქ-ნი პირსი** — რატომ ხარ ასეთი სულელი და გაუნათლებელი, რომ გგონია, შეძლებ, მისტერ ჰიგინსს შესაფერი გასამრჯელო გადაუხადო?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — რატომაც არა! მეც ისევე ვიცი, რა ლირს გაკვეთილი, როგორც თქვენ. ჰოდა, გადავიხდი კიდეც.

**ჰიგინსი** — რამდენს?

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — (გახარებული მიუახლოვდება ჰიგინსს) აი, ეს სხვა საქმეა. ვიცოდი, რომ ხელიდან არ გაუშვებდით შემთხვევას იმ ფულის ნაწილი მაინც დაგებრუნებინათ, რომელიც გუშინ მომეცით. (შინაურულად) ცოტა გადაყლაპული იყავით, არა?

**ჰიგინსი** — (მბრძანებლურად) დაჯექით!

**ქ-ნი პირსი** — დაჯექი, გოგო, გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან.

**ყვავილების გამყიდველი გოგო** — ა-ო-უ-უ-უ-უ (დგება აფშიოთებული, გაშმაგებული).

**პიკერინგი** — (დაყვავებით) დაბრძანდით (ის დგამს სკამს მასა და ჰიგინსს შორის).

**ელიზა** — (დარცხვენით) თუ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო... (ჯდება. პიკერინგი ღუმელს უბრუნდება)

**ჰიგინსი** — თქვენი სახელი?

**ელიზა** — ელიზა დულიტლ.

**ჰიგინსი** — (კითხულობს პათოსით) ელიზა, ელისაბედი, ბესი და ბეტსი ბუდის საძებნელად გაეშურნენ ტყეში.

**პიკერინგი** — ნახეს რა ბუდე და ოთხი კვერცხი მასში.

**ჰიგინსი** — სამი იქ დატოვეს, თითო წამოიღეს სახლში.

(თავიანთ ხუმრობაზე თვითონვე ეცინებათ)

**ელიზა** — ნუ სულელობთ.

**ქ-ნი პირსი** — ასე უნდა მიმართო ჯენტლმენს?

**ელიზა** — თვითონ რატომ არ მეღაპარაკება ადამიანურად?

**ჰიგინსი** — საქმეს დავუბრუნდეთ. გაკვეთილში რას მომცემ?

**ელიზა** — ოჲ. მე ვიცი, რა ლირს გაკვეთილი. ერთი ჩემი მეგობარი ლედი 18 პენის უხდის საათში ნამდვილ ფრანგ ჯენტლმენს, ფრანგული ენის გაკვეთილში და თქვენ ნუთუ ისეთი უსინდისო იქნებით, რომ იგ-ივე საფასური მომთხოვოთ ჩემი მშობლიური ენის სწავლებაში? შილინგს მოგცემთ, აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

**ჰიგინსი** — (ბოლთას სცემს, ჯიბეში გასაღებსა და ხურდა ფულს აჩხა-  
რუნებს) იცით, რა, პიკერინგ, თუ ამ შილინგს შევხედავთ არა როგორც  
უბრალო შილინგს, არამედ, როგორც ამ გოგონას შემოსავლის განსაზ-  
ღვრულ პროცენტს, დავინახავთ, რომ ეს იგივე იქნება, რაც მილიონერი-  
საგან 60 ან 70 გინეას მიღება.

**პიკერინგი** — როგორ?

**ჰიგინსი** — აი, იანგარიშე. მილიონერი დღეში 150 გირვანქა სტერ-  
ლინგს მაინც იღებს, ეს გოგო კი დღეში ნახევარ კრონს შოულობს.

**ელიზა** — (შეშფოთებული) ვინ გითხრათ? მე მხოლოდ...

**ჰიგინსი** — (განაგრძობს) ეს გოგონა გაკვეთილში მთავაზობს თავისი  
დღიური შემოსავლის 2/5-ს. მილიონერის შემოსავლის 2/5 კი დღეში 60  
გირვანქა სტერლინგია. ღმერთმანი, უდიდესი საფასურია. ასეთი ფასი  
ჩემთვის არასოდეს მოუციათ.

**ელიზა** — (წამოდგება შეშინებული) 60 გირვანქა სტერლინგი? რას  
ამბობთ, რასა? მე როდის ვთქვი, 60 გირვანქა სტერლინგს მოგცემთ-  
მეთქი? საიდან ვიშოვი ამდენს?

**ჰიგინსი** — ენა გააჩერე!

**ელიზა** — (ტირილით) საიდან ვიშოვო 60 გირვანქა სტერლინგი?

**ქ-ნი პირსი** — ნუ სტირი, სულელო. იჯექი მანდ. შენს ფულს არავინ  
ეხება.

**ჰიგინსი** — შეგეხებიან იატაკის საწმენდი ჯოხით, თუ ახლავე ტირილს  
არ შეწყვეტ. დაჯექი.

**ელიზა** — (დაემორჩილება) ა-ო-უ-უ-უ-უ. რას მიჯავრდებით? ვიღაცას  
მამაჩემი ეგონებით.

**ჰიგინსი** — თუ მონაფედ აგიყვანე, იცოდე, ორ მამაზე უარესი ვიქნები  
შენთვის. აჲა, გამომართვი (აძლევს აპრეშუმის ცხვირსახოცს).

**ელიზა** — რისთვის?

**ჰიგინსი** — თვალების მოსაწმენდად. სახის ყველა იმ ნაწილის მოსაწ-  
მენდად, რომელიც სველი აღმოგაჩნდება. დაიმახსოვრე: ეს შენი ცხვირ-  
სახოცია, ეს კი შენი სახელო და, თუ მაღაზიის გამყიდველი გოგო გინდა  
გახდე, ერთის საქმეს მეორეს ნუ აკეთებინებ.

(გაშმაგებული ელიზა უმწეოდ შესცეკერის მას).

**ქ-ნი პირსი** — მისტერ ჰიგინს, ამასთან ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს:  
ამაოდ ირჯებით, სულერთია, მაინც არ იჯერებს (ცხვირსახოცს გამო-  
ართმევს).

**ელიზა** — (ცხვირსახოცს გამოსტაცებს) მოიტა, მოიტა, ეს ცხვირსახ-  
ოცი მე მომცა, შენ კი არა.

**ჰიგინგი** — (სიცილით) მართალს ამბობს! ქალბატონო პირს, ახლა  
ეგ ცხვირსახოცი მის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს.

**ქ-ნი პირსი** — (ძდგომარეობას შეურიგებელი) კარგი, კარგი, ჰქონდეს.

**ჰიგინგი** — ჰიგინს, ამ ამბავმა ძალზე დამაინტერესა. გახსოვთ, რა

თქვით ელჩის მისაღებად გამართულ წვეულებასთან დაკავშირებით? თქვენს სიტყვას თუ შეასრულებთ, ჩვენი დროის უდიდეს პედაგოგად მიგიჩნევთ. დავნაძლევდეთ, თუ თქვენ მოიგებთ, მე დავფარავ ექსპერი-მენტისათვის განეულ ხარჯებს და გაკვეთილების საფასურსაც მე გა-დავიცდი.

**ელიზა** — კეთილი ბრძანებულხართ, გმადლობთ, კაპტანო.

**ჰიგინსი** — (შესცერის ელიზას) ეს გოგო იმდენად მდაბიო და ჭუჭყია-ნია, რომ მართლა ლირს მისი აყვანი.

**ელიზა** — (საშინლად აღშფოთებული) აა-ოო-უ-უ-უ-ო-ო!!! მე ჭუჭყი-ანი არა ვარ, არა, წამოსვლის წინ ხელ-პირი დავიბანე, დავიბანე.

**ჰიკერინგი** — მჯერა, რომ ამ გოგონას გულს ქათინაურებით უთუოდ მოინადირებთ.

**ქ-ნი ჰირსი** — (შეშფოთებული) ოჲ, ნუ იტყვით ამას, სერ: გოგოს გუ-ლის მონადირებას ბევრი არაფერი უნდა. ამისათვის უამრავი საშუალება არსებობს. მისტერ ჰიგინსზე უკეთესი ოსტატი კი ამ საქმეში არავი-ნაა. თუმცა, ხანდახან შეიძლება ამის გაკეთება არც კი უნდოდეს. იმედი მაქვს, სერ, რომ არ წააქეზებთ მას, რაიმე სისულელე ჩაიდინოს.

**ჰიგინსი** — (რაც უფრო გაუჯდება თავში ჰიკერინგის აზრი, მით უფრო ალიგ ზნება) რა არის ცხოვრება, თუ არა შთაგონებულ სისულელეთა წყება? ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ პოუ-ლობს მათი განხორციელების საშუალებას. თუ შესაძლებლობა მოგეცა, ხელიდან არ უნდა გაუშვა: ყოველდღე როდი მოგეცემა იგი. ამ შავტუხა ქუჩის მანანალას მე ჰერცოგის ასულად გადავაქცევ, გადაწყვეტილი ამბავია.

**ელიზა** — (თავის დახასიათებით მეტად განაწყენებული) ა-ოო-ეე-უუ-ვა!

**ჰიგინსი** — (გატაცებული) დიახ, გადაწყვეტილია. ექვს თვეში, — არა, უფრო ადრეც, სამ თვეში, — თუ ამ გოგონას კარგი ყურები და მოქნილი ენა გააჩინია. სწავლებას დღესვე შევუდგებით. თუმცა, რაღა დღესვე, ახლავე, ამ წუთას. ქალბატონო ჰირს, ახლავე წაიყვანე და გაასუფთავე. თუ ისე არ მოსცილდეს ჭუჭყი, ფხვნილით გახეხე. სამზარეულოში ცეცხ-ლი გინთია?

**ქ-ნი ჰირსი** — (აღშფოთებული) მინთია, მაგრამ...

**ჰიგინსი** — (ყვირილით) ტანსაცმელი გახადე და დაწვი. უიტლეის ან ვინმე სხვას დაურეკე, ახალი ტანისამოსი მოუტანონ. მათ მოსვლამდე კი ქალალდში გაახვიე.

**ელიზა** — თქვენ ჯენტლმენი არა ყოფილხართ, ამის თქმას როგორ კადრულობთ, არა, არა ყოფილხართ. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი და კარგად ვიცი, რანი ხართ თქვენა და თქვენისთანები, ვიცი, ვიცი.

**ჰიგინსი** — გოგო, ჩვენ რაში გვესაჭიროება შენი ლისინგროული სათნოება? ჰერცოგის ასულის მიხრა-მოხრა უნდა ისწავლო. წაიყვანე, ქალბატონო ჰირს, თუ არ დაგემორჩილოს, ერთი მაგრად მიტყიბე.

**ელიზა** — (ნამოვარდება და ჩადგება პიკერინგსა და ქ-ნ პირსს შორის, მფარველობას ეძებს მათთან) პოლიციას დავუძახებ, პოლიციას.

**ქ-ნი პირსი** — კი, მაგრამ სად უნდა დავაბინაო, არ ვიცი.

**ჰიგინსი** — სანაგვე ყუთში.

**ელიზა** — ა-ა-ა-ე-ე-ე-უ-უ-უ.

**პიკერინგი** — კარგი, ჰიგინს, კარგი ასე ცუდად ნუ ეპყრობით.

**ქ-ნი პირსი** — (გაბედულად) დიახ, უფრო გონივრულად მოექეცით, მისტერ ჰიგინს! ასე ყველას შეურაცხყოფა არ იქნება, არა (გაკიცხული ჰიგინსი მოლებება. ქარიშხალს გაოცების სიო შეცვლის).

**ჰიგინსი** — (პროფესიული მოხდენილობით იცვლის ტონს) მე განა ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო პირს? პიკერინგ ძვირფასო, ფიქრადაც არასოდეს მქონია ვინმეს შეურაცხყოფა. ახლა კი ჩემი ერთადერთი განზრახვაა, კარგად მოვეპყრათ ამ საბრალო გოგონას. დავეხმაროთ მას, ცხოვრების ახალი პირობების შესაგუებლად მოემზადოს. თუ თავიდანვე ასე მკაფიოდ ვერ გამოვთქვი ეს აზრი, მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინოდა, თქვენი და მისი გრძნობები არ შემე-ლახა.

**ელიზა** — (ამ სიტყვებით გამხნევებული, ფეხაკრეფით უბრუნდება თავის სკამს).

**ქ-ნი პირსი** — რაო? ასეთი ამბავი ოდესმე გამენიათ, სერ?

**პიკერინგი** — (გულიანად იცინის) არასოდეს, ქ-ნი პირს, არასოდეს.

**ჰიგინსი** — (მშვიდად) რა მოხდა?

**ქ-ნი პირსი** — საქმე ისაა, სერ, რომ არ შეიძლება ისევე უბრალოდ აიყვანოთ უცხო გოგონა, როგორც კენჭს იღებენ ზღვის ნაპირიდან.

**ჰიგინსი** — რატომ?

**ქ-ნი პირსი** — რატომ და მის შესახებ არაფერი იცით. არ იცით, ვინ არიან მისი მშობლები, იქნება გათხოვილიცაა.

**ელიზა** — კიდევ რა!

**ჰიგინსი** — კარგად მოგიჭრა: კიდევ რაო. აბა, რა უგავს გათხოვილს? განა არ იცი, რომ მისი კლასის ქალიშვილები გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ ორმოცდაათი წლის ბებრუცუნას ემსგავსებიან.

**ელიზა** — მე ვის ვუნდივარ?

**ჰიგინსი** — (ერთპამად გადავა დაპალ მშვენიერ ტონზე, რომელიც ენამზეობის ნიმუშადაა მიჩნეული) ღმერთმანი, ელიზა, ჰერცოგის ასულად გაქცევ თუ არა, იმდენს მოაჯადოებ, რომ ქუჩები შენი თაყვანისმ-ცემლების ცხედრებით მოიფინება.

**ქ-ნი პირსი** — სისულელეს ამბობთ, სერ, ასე ნუ ელაპარაკებით, ნუ.

**ელიზა** — (გაბედულად წამოდგება) მივდივარ. გიუია, სულელია. მე სულელი მასნავლებელი არ მინდა.

**ჰიგინსი** — (განაწყენებული იმით, რომ ელიზა გულგრილად მოეკიდა მის დახვეწილ მეტყველებას) მართლა? გიუი ვარ? კეთილი და პატიოსანი.

ქალბატონო პირს, საჭირო აღარ არის ამისათვის ახალი ტანსაცმლის შეკვეთა, წაიყვანე და გააგდე.

**ელიზა** — ო, ო, თქვენ უფლება არა გაქვთ, ხელი შემახოთ.

**ქ-ნი პირსი** — ხომ ხედავ, თავხედობას რა მოსდევს (კარისაკენ მიუთითებს) აი, აქედან გადი.

**ელიზა** — (თითქმის აცრემლებული) რად მინდოდა თქვენი ტანსაც-მელი? მანც არ ავიღებდი. (გადააგდებს ცხვირსახოცს) მე ვიყიდი ჩემთვის ტანსაცმელს.

**ჰიგინსი** — (მოხერხებულად დაიჭერს ცხვირსახოცს და კარისაკენ მიმავალ ელიზას გზას გადაუღობავს) სულელი და უმადური ხარ. მე მინდოდა, წუმპიდან ამომეყვანე, ლამაზად გამომეწყვე და ნამდვილ ლედიდ მექციე, ამით მიხდი.

**ქ-ნი პირსი** — კმარა, მისტერ ჰიგინს, ამის ნებას აღარ მოგცემთ. სულელი ის კი არაა, თქვენა ხართ. (გოგოს) მშობლებთან წადი, გოგო, — და უთხარი ცოტყა უფრო გაგიფრთხილდნენ.

**ელიზა** — მშობლები აღარა მყავს. ასე მითხრეს, საკმაოდ მოზრდილი ხარ იმისათვის, რომ ლუკმა-პური იშვილო და გამომაგდეს.

**ქ-ნი პირსი** — სად ცხოვრობს დედაშენი?

**ელიზა** — დედა არა მყავს. ის ქალი კი, რომელმაც გამომაგდო, ჩემი მეექვსე დედინაცვალია. უიმათოდ ვცხოვრობ და, ცუდი არაფერი იფიქროთ, წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

**ჰიგინსი** — კეთილი და პატიოსანი. ხედავთ, რა ტყუილად ატეხეთ აურზაური? ეს გოგო არავის ეკუთვნის და არც არავის სჭირდება, ჩემ გარდა (მივა ქ-ნ პირსთან და შემპარავად ეუბნება). რა იქნება, იშვილოთ, ქალბატონო პირს? მგონი, ურიგო არ იქნება, ქალიშვილი იყოლიოთ! ახლა მეტი აურზაური არ ატეხოთ, ჩაიყვანეთ ძირს და...

**ქ-ნი პირსი** — მერე? რა ვუყოთ? ფული ვაძლიოთ? გონს მოდით, სერ.

**ჰიგინსი** — თუ საჭირო იქნება, მიციოთ კიდეც და დავთარში შეიტანეთ. (მოუთმენლად) თუმცა, რაში დასჭირდება ფული? საჭმელი ექნება და ტანსაცმელი. ფული რომ მისცე, დალევს და ეგ იქნება.

**ელიზა** — (მიუბრუნდება ჰიგინსს) სულელი ხართ, სულელი. სიცრუეა. ჯერ არავის უნახავს, რომ სასმელი დამელიოს (პიკერინგს). ოჳ, სერ, თქვენ ჯენტლმენი ხართ, უთხარით, ასეთ რამეებს ნუ ლაპარაკობს ჩემზე.

**ჰიკერინგი** — (დამრიგებლური ტონით) ჰიგინს, რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ გოგონასაც გააჩნია თავისი გრძნობები.

**ჰიგინსი** — (ახედ-დახედავს ელიზას) არა მგონია, რაიმე გრძნობა გააჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი გრძნობა არ გააჩნია, რომ ჩვენს შენუხებად ღირდეს (მხიარულად). გაქვს კი რაიმე გრძნობა, ელიზა?

**ელიზა** — თქვენ რომ გაქვთ, ისეთივე გვაქვს მეც გრძნობები.

**ჰიგინსი** — (ჰიკერინგს ჩაფიქრებულ) ჰედავ, რა ძნელია?

**ჰიკერინგი** — რა არის ძნელი?

**ჰიგინსი** — რა და, გრამატიკულად რომ აალაპარაკო, გამოთქმის გა-  
მოსწორება შედარებით ადვილია.

**ელიზა** — არ მინდა გრამატიკის ლაპარაკი. მე მხოლოდ ისე მინდა  
ვილაპარაკო, როგორც ყვაილების მაღაზიაში მოვაჭრე ლედიმ.

**ქ-ნი პირსი** — მისტერ ჰიგინს, დაუფიქრდით, რას აკეთებთ. გამაგები-  
ნეთ რა პირობით იქნება გოგო აქ? მიეცემა თუ არა ჯამაგირი, რა უნდა  
ვუყოთ მას, როცა სწავლებას დაამთავრებთ? ყველაფერი ეს წინასწარ  
არ უნდა იცოდეთ?

**ჰიგინსი** — (მოუთმენლად) წუმპეში რომ დავტოვოთ, მაშინ რა მოუვა?  
რატომ ამაზე არაფერს ამბობთ, ქალბატონი პირს?

**ქ-ნი პირსი** — ეს მისი საკუთარი საქმეა და არა — თქვენი, მისტერ  
ჰიგინს.

**ჰიგინსი** — სწავლას რომ მოვრჩებით, ისევ წუმპეში გადავისვრით და  
მერე რას გააკეთებს, ისევ მისი საკუთარი საქმე იქნება. ეს არის და ეს.

**ელიზა** — გრძნობები სრულებით არა გქონიათ გულში, არა. მარტო  
საკუთარ თავზე ზრუნავს. (წამოდგება და მტკიცედ წარმოთქვამს) მეყო,  
რაც აქ დრო დავკარგე, მივდივარ. (გაემართება კარისაკენ) უნდა გრცხ-  
ვენოდეთ, უსირცხვილო.

**ჰიგინსი** — (ვაზიდან აიღებს შოკოლადს. თვალები ეშმაკურად აუციმ-  
ციმდება) მიირთვი შოკოლადი, ელიზა.

**ელიზა** — (ვეღარ გაუძლებს ცოუნებას და შეჩერდება) საიდან ვიცი,  
რა არის მასში? გამიგია, რომ ბევრი გოგო მოუნამლავთ თქვენისთანებს  
(ჰიგინსი ამოიღებს დანას, შუაზე გაჭრის შოკოლადს, ნახევარს თვითონ  
ჩაიდებს პირში, ხოლო მეორე ნახევარს ელიზას შესთავაზებს).

**ჰიგინსი** — აი, ელიზა, რომ არ დაეჭვდე, ნახევარს მე შევჭამ, ნახ-  
ევარი შენ შეჭამე. (ელიზა გააღებს პირს, ჰიგინსი შოკოლადის ნახევარს  
ჩაუდებს) ყუთობით, კასრობით გექნება ყოველდღე. სულ შოკოლადი  
ჭამე, თუ გინდა. რას იტყვი?

**ელიზა** — (როგორც იქნა, გადაყლაპა შოკოლადი, რომელმაც კინაღამ  
დაახრჩო) არაფრისათვის არ შევჭამდი, მაგრამ რა მექნა. პირიდან რომ  
გადმომეგდო, უზრდელობა იქნებოდა.

**ჰიგინსი** — მომისმინე, ელიზა. მგონი, ასე თქვი, ტაქსით მოვედიო,  
არა?

**ელიზა** — მერე რა, რომ მოვედი? მეც ისევე უფლება მაქვს, დავიქირაო  
ტაქსი, როგორც ვინმე სხვას.

**ჰიგინსი** — გაქვს, ელიზა, გაქვს. მომავალში რამდენიც გინდა იმდენი  
ტაქსი გეყოლება. ტაქსით შეგეძლება ყოველდღე გაიარო, გამოიარო,  
ქალაქს შემოუარო, აბა, იფიქრე.

**ქ-ნი პირსი** — მისტერ ჰიგინს. რისთვის გინდათ აცთუნოთ? მან ხომ  
მომავალზე უნდა იფიქროს?

**ჰიგინსი** — მის ასაკში? სისულელეა. მომავალზე ფიქრი მაშინაც ეყოფა,

როდესაც გაიგებს, რომ მომავალი არა აქვს. დამიჯერე, ელიზა. აი, ამ ლედის მიბაძე: მუდამ იფიქრე სხვის მომავალზე, შენს მომავალზე კი — არასოდეს, იფიქრე შოკოლადზე, ტაქსებზე, ოქროზე, მარგალიტებზე.

**ელიზა** — არა. მე არც ოქრო მინდა და არც მარგალიტები. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი (ჯდება და ცდილობს თავი ღირსეულად დაიჭიროს).

**ჰიგინსი** — ჰოდა, ქალბატონი პირსის ზედამხედველობის ქვეშ ასეთივე დარჩებით, შემდეგ ვინმე გვარდის ულვაშებიან ოფიცერზე გაგათხოვებთ: მარკიზის შვილზე, რომელსაც მამამისი შენი შერთვისათვის ჯერ მემკვიდრეობას წართმევს, მაგრამ, როცა დაინახავს შენს სილამაზესა და სათნობას, მოლბება და...

**ჰიკერინგი** — მაპატიეთ, ჰიგინს, მაგრამ არ შემიძლია არ ჩავერიო. ქალბატონი პირსი მართალია. თუ ეს გოგონა პედაგოგიური ექსპერიმენტისათვის ექვსი თვე თქვენს ხელში დარჩება, მან გარკვეულად უნდა იცოდეს რას აკეთებს.

**ჰიგინსი** — საიდნა უნდა იცოდეს? მას არაფრის გაგების უნარი არა აქვს. და მერე, რომელიმე ჩვენგანს ესმის, თვითონ რას აკეთებს? რომ გვესმოდეს რას ვაკეთებთ, მაშინ განა გავაკეთებდით?

**ჰიკერინგი** — მოსწრებულად კი თქვით, ჰიგინს, მაგრამ აქ ეგ რა მოსატანია? (ელიზას) ქალბატონო დულიტლ.

**ელიზა** — (თავზარდაცემული) აა-აა-ოო-ოო, უუ-უუ!

**ჰიგინსი** — ესეც თქვენ! ამის მეტს მისგან ვერაფერს გაიგონებთ. აა-აა-ოო-ოო-უუ! ახსნა-განმარტებას რა აზრი აქვს: შეაყარე კედელს ცერცვი! სამხედრო კაცი ხართ და ეგ არ უნდა იცოდეთ? ბრძანება და მისი ჯანი. ელიზა, შენ აქ 6 თვე უნდა იცხოვორ და ისნავლო ყვავილების მაღაზიაში მოვაჭრე ლედივით ლამაზი ლაპარაკი. თუ ჭკვიანად იქნები და გაგვიგონებ, საუკეთესო საწოლ ოთახს მიგიჩენთ და საჭმელიც ყელამდე გექნება, ფული კი — რამდენიც გინდა: მოგინდება, შოკოლადები იყიდე, მოგინდება, ტაქსით ისეირნე. მაგრამ, თუ იჭირვეულებ და იზარმაცებ, ხოჭოებით გავსებულ საკუჭნაოში დაგაძინებთ და დღე ისე არ გავა, რომ ქალბატონმა პირსმა იატაკის საწმენდი ჯოხით არ მიგტყიბოს. ექვსი თვის ბოლოს მშვენივრად ჩაგაცმევთ და ეტლით გაემგზავრები ბუკინგამის სასახლეში. თუ მეფე დაეჭვდება, შენ ლედი ხარ თუ არა, პოლიცია დაგაპატიმრებს, ტაუერში წაგათრევს და ყვავილების გამყიდველი სხვა თავხედი გოგოების ჭკუის სასწავლებლად თავს მოგევეთს. თუ ლედიდ მიგიღებენ და არავის ეჭვი არ ალექსრება, შვიდ შილინგსა და 6 პენის გაჩუქებენ, რათა რომელიმე მაღაზიაში ყვავილების გამყიდველად მოეწყო. თუ ამ სიკეთეზე უარს იტყვი, შენ ყველაზე უმაღური და სულელი გოგო იქნები ქვეყანაზე და შენს დანახვაზე ანგელოზები ცრემლებს დალვრიან. (ჰიკერინგს) ახლა კმაყოფილი ხართ, ჰიკერინგ? (ქ-ნ პირსს) ამაზე გარკვევით და გასაგებად როგორ ავუსსნა, ქალბატონო პირს?

**ქ-ნი პირსი** — (მშვიდად) მგონი, ამას ის აჯობებდა, რომ აქედან გავიყვანო და ცალკე ველაპარაკო. თუმცა ჩემი მფარველობის ქვეშ აყვანას არ ვაპირებ და არც ის მინდა, ამ საქმეში თქვენ დაგთანხმდეთ. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ამ გოგონას მიმართ ცუდი განზრახვა არ გიდევთ გულში, მაგრამ, როცა ვინმეს გამოთქმით დაინტერესდებით, როგორც წესი, თქვენი თავიც გავიწყდებათ და ცდის პირიც. მომყევი, ელიზა.

**ჰიგინსი** — ეს კი კარგია! გმადლობთ, ქალბატონო პირს. ახლავე აბაზანში შეაგდე.

**ელიზა** — (დაეჭვებული ზანტად დგება) თქვენ დიდი უხეში ვინმე ხართ, უხეში! თუ მე არ მინდა, არც დავიცდი. ჩემი გატყეპის ნებას არავის მივცემ. ბუკინგამის სასახლეში წაყვანა არავისთვის მითხოვნია, პოლიციასთან საქმე არასოდეს მქონია. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი...

**ქ-ნი პირსი** — სიტყვას ნუ უბრუნებ, გოგო, შენ ვერ გაიგე, რას გეუბნებიან, მომყევი (კარს უღებს ელიზას და ელოდება).

**ელიზა** — (მიმავალი) დიახ, მე სიმართლე ვთქვი: მეფესთან ფეხის მიმდგმელი არა ვარ, თავიც რომ მომჭრან. რომ მცოდნოდა, რა დღეში ჩავვარდებოდი, არც აქ მოვიდოდი. მე მუდამ წესიერი გოგო ვიყავი. ამას მე კი არ ავკიდებივარ, თვითონ ამეკიდა. მისგან მე არაფრით არა ვარ დავალებული. თავზეც არავის არ დავისვამ, მეც ისეთივე გრძნობები გამაჩინია, როგორც ყველა სხვას... (ქ-ნი პირსი ხურავს კარს, ელიზას ბუზღუნი უკვე არ ისმის. ელიზა აპყავთ მესამე სართულზე, ის გაოცებულია: ეგონა საკუჭნაოში ჩაიყვანდნენ. ქ-ნი პირსი გააღებს კარს და შედიან მშვენიერ საწოლ ოთახში).

**ქ-ნი პირსი** — აი, შენი საწოლი ოთახი.

**ელიზა** — ოო,-ო-ო, აქ ვერ დავიძინებ, მისუს! ეს ზედმეტად კარგია ჩემისთანასთვის. აქ ვერაფრის ხელის ხლებას ვერ გავბედავ. ხომ იცით, რომ მე ჯერ კიდევ არა ვარ ჰერცოგის ასული, მისუს!

**ქ-ნი პირსი** — შენ ისევე უნდა დასუფთავდე, როგორც ეს ოთახი და მაშინ აქ დაწოლის არ მოერიდება. მერე „მისუს“ რა სიტყვა? მის პირსი დამიძახე (ფართოდ გააღებს სააბაზანო ოთახის კარს).

**ელიზა** — ეს რა არის? ამაში რეცხავთ? უცნაური ქვაბია, ღმერთმანი.

**ქ-ნი პირსი** — ეს ქვაბი არაა. ამაში ვბანაობთ, ელიზა, და შენც ამაში უნდა გაპანაოთ.

**ელიზა** — რაო? თქვენ გინდათ, აქ ჩავიდე და დავსველდე? არა, არ შემიძლია. ეს რომ გავაკეთო, ღმერთმანი, მოვკვდები. ერთი ჩემი მეზობლის ქალი ყოველ შაბათ ღამეს ბანაობდა და მოკვდა.

**ქ-ნი პირსი** — მისტერ ჰიგინსს ქვემოთ მამაკაცთა აბაზანა აქვს და ყოველდღე ცივ წყალში ბანაობს.

**ელიზა** — ოო! რეინისგან ყოფილა გაკეთებული.

**ქ-ნი პირსი** — თუ გინდა, მასთან და პოლკოვნიკთან ერთად დაჯდე და ისწავლო, შენც ისევე უნდა იბანაო. თუ ამას არ გააკეთებ, შენს სუნს

ვერ გაუძლებენ. წყალი როგორც გესიამოვნება, ისე დააყენე. აქ ორი ონკანია. ერთი ცივი წყლისათვის, ერთი თბილისათვის.

**ელიზა** — (ტირილით) არ შემიძლია, ვერ გავბედავ, ეს ხომ ბუნებრივი არ არის. რომ ვიბანაო, მოვკვდები. ჩემს დღეში არ მიპანავია. თქვენ კი ამბობთ, კარგიაო.

**ქ-ნი პირსი** — კარგი, მაშ, არ გინდა სუფთა იყო, ჯანსაღი და მიმზიდველი, როგორც ლედი? იცი, შიგნიდან ისე ვერ გამშვენიერდები, თუ გარედან ჭუჭყიანი იქნები.

**ელიზა** — ო-ო-ო-ო-ო!

**ქ-ნი პირსი** — ახლა ტირილი შეწყვიტე, შედი შენს ოთახში და ყველაფერი გაიხადე. მერე ამაში გაეხვივ. (ჩამოსაკიდიდან ჩამოხსნის მოსასხამს და გაუწვდის) და აქ მოდი. ამასობაში, აპაზანას გაგიმზადე.

**ელიზა** — (აცრემლებული) არ შემიძლია. ვერ გავაკეთებ. ნაჩვევი არა ვარ, ყველაფერი ერთად არასოდეს არ გამიხდია, ამის გაკეთება სწორი არ არის, წესიერი არ არის...

**ქ-ნი პირსი** — რას სულელობ, ბავშვო! დაძინების წინ ტანისამოსს არ იხდი?

**ელიზა** — (გაოცებული) არა. რატომ უნდა გავიხადო? რომ გავიხადო, მოვკვდები, ქვედატანს კი, რა თქმა უნდა, ვიზდი.

**ქ-ნი პირსი** — შენ ისე ამბობ, თითქოს იმ საცვლებში გეძინოს, რომელიც დღისით გაცვია?

**ელიზა** — აბა, რაში უნდა დავიძინო?

**ქ-ნი პირსი** — ამას აწი არასოდეს გააკეთებ, სანამ აქ იცხოვრებ. საღამურ პერანგს მოგცემ და იმაში დაიძინებ.

**ელიზა** — როგორ? თბილი საცვლების მაგივრად ცივი ჩავიცვა და მთელი ნახევარი ლამე ვიძაგძაგო? თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ, ჩემი მოკვლა.

**ქ-ნი პირსი** — მინდა, ჭუჭყიანი გოგონადან ისეთ მიმზიდველ სუფთა ქალიშვილად გადაგაქციო, რომ შეგეძლოს იმ ჯენტლმენების გვერდით დაჯდე კაბინეტში. ერთი ის მითხარი, დამიჯერებ და გააკეთებ იმას, რასაც გეუბნები, თუ უნდა გაგაგდოთ და ისევ შენს ყვავილების კალათს დაუბრუნდე?

**ელიზა** — თქვენ არ იცით, სიცივე რა ძნელია ჩემთვის. თქვენ არ იცით, სიცივის როგორ მეშინია, როგორ.

**ქ-ნი პირსი** — შენი ლოგინი ცივი არ იქნება. ბოთლებში თბილ წყალს ჩაასხამ და საწოლში ჩაიდგამ. (უბიძგებს საწოლი ოთახისაკენ) მიდი და გაიხადე.

**ელიზა** — ო, რომ მცოდნოდა რა საშინელებაა სისუფთავე, არასოდეს არ მოვიდოდი, თურმე არა მცოდნია, რა კარგად ვცხოვრობდი.

(ქ-ნი პირსი გაიკეთებს თეთრი რეზინის ხელთათმანებს, გაავსებს აპაზანას ნელთბილი წყლით, რომელსაც აპანოს თერმომეტრით სინჯავს,

ჩაყრის შიგ ერთ მუქა სააბაზანო მარილს და ცოტაოდენ მდოგვს. მერე აიღებს უცნაური მოყვანილობის სახეს ჯაგრისს და მაგრად გასაპნავს სურნელოვანი საპნით.

ელიზა გამოდის ხალათით, რომელიც მაგრად შემოუხვევია ტანზე; საბრალო და საშინელი შესახედავია).

ქ-ნი პირსი — შემოდი, ესეც გაიხადე.

ელიზა — ო, ო. არ შემიძლია, ქალბატონო პირს. მართლა არ შემიძლია, ამგვარი რამე ჩემს დღეში არ გამიკეთებია.

ქ-ნი პირსი — ნუ სულელობ ერთი. მიდი, ჩადი აბაზანაში და მითხარი საკმაოდ თბილია თუ არა?

ელიზა — ოო-ოო, უუ-უუ, ცხელია, ცხელი!

ქ-ნი პირსი — (ერთბაშად მოაძრობს ხალათს და ზურგით დააწვენს) დაწექი, დაწექი, არაფერი მოგივა (ხეხავს ჯაგრისით. ელიზა ტირის გულგამგმირავად).

(ამასობაში, პოლკოვნიკი ელიზას შესახებ თავის აზრებს გამოთქვამს ჰიგინსთან. ჰიკერინგი შორდება ღუმელს, ზურგშექცევით ჯდება სკამზე და ხელებს მის ზურგზე დააწყობს).

პიკერინგი — მაპატიეთ პირდაპირობისათვის, ჰიგინს, ქალების საკითხში პატიოსანი კაცი ხართ?

ჰიგინსი — (ბუზღუნით) განა ოდესმე შეგხვედრიათ ისეთი კაცი, რომელიც ქალების საკითხში პატიოსანი იყოს?

პიკერინგი — როგორ არა, ძალიან ხშირად.

ჰიგინსი — (როიალზე ხელებით დაეყრდნობა მბრძანებლურად) მე კი არ შემხვედრია. გამოცდილებიდან ვიცი, რომ ქალი, დავიმეგობრებ თუ არა, მაშინვე დაინყებს ეჭვიანობას, ჭირვეულობას, სცენების გამართვას და ათასგვარი აყალმაყალის ატეხვას. და მეც, ქალებთან მეგობრობას გავაპამ თუ არა, ეგოისტად და მტარვალად ვიქცევი ხოლმე. ქალებისაგან მოდის ყოველგვარი არევ-დარევა. თუ ქალს თქვენს ცხოვრებაში შეჭრის უფლებას მისცემთ, დაინახავთ, რომ ის სხვა მხრით გექაჩებათ და თქვენ სხვა მხრით ექაჩებით.

პიკერინგი — მაგალითად, რაში?

ჰიგინსი — (ერთ ადგილას ვერ ჩერდება, სცილდება როიალს) ღმერთ-მა უნიყის რამდენ რამები! ჩემი აზრით, ქალს უნდა, თავისი ცხოვრებით იცხოვროს, კაცს კიდევ თავისით და ყოველი მათგანი ცდილობს მეორე წაიყვანოს მცდარი გზით. ერთი ჩერდილოეთისაკენ ეზიდება, მეორე კი სამხრეთისაკენ და საბოლოოდ ორივე აღმოსავლეთისაკენ მიდის, თუმცა, აღმოსავლეთის ქარი ერთსაც ეჯავრება და მეორესაც (ჩამოჯდება კლავიატურის წინ გრძელ სკამზე). ამიტომაც, აი, ამდენი ხანია უცოლო ვარ და ალბათ, სულ ასე დავრჩებით...

პიკერინგი — (მივა ჰიგინსთან და სერიოზული ტონით ეუბნება) ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ, ჰიგინს! ხომ იცით, რაზე გელაპარაკებით?

თუ ამ საქმეში გავერევი, პასუხისმგებელი ვიქნები გოგოს წინაშე. იმედი მაქვს, რომ მდგომარეობას ბოროტად არ გამოიყენებთ.

**ჰიგინსი** — რა? ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თითსაც არ მივაკარებ. (წამოდგება) ხომ იცით, ის ჩემი მონაფე იქნება, ჰოდა, სწავლება ნაყოფს არ გამოიღებს, თუ მონაფე შებძალულ იქნა. ვინ მოთვლის, ამერიკელი მილიონერების რამდენი ქალიშვილისათვის მისნავლებია წესიერი ინგლისური ლაპარაკი და ისინი ხომ ულამაზესი ქალები არიან მთელ მსოფლიოში. უკვე ნაცადი და გამოწროთობილი ვარ: როცა ვასწავლი, თითქოს ჩემ წინ ქალი კი არა, ხის კუნძი იდოს და მეც თითქოსდა მორი ვიყო. აი, ხომ ხედავ...

(ქ-ნი პირსი შემოაღებს კარს. ხელში ელიზას შლაპა უჭირავს. პიკერინგი უკან დაიხევს და ღუმელთან მდგარ სავარძელში ჩაჯდება).

**ჰიგინსი** — (მოუთმენლად) როგორაა საქმე, ქალბატონო პირს? კარგად მიდის?

**ქ-ნი პირსი** — (კარებთან მდგარი) თუ არ შეგაწუხებთ, ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ, მისტერ ჰიგინს.

**ჰიგინსი** — თქვით, რას მებოდიშებით. შემობრძანდით (ქალბატონი პირსი წამოინევს წინ). ამას ნუ დასწვავთ, ქალბატონო პირს: შევინახოთ როგორც იშვიათობა (გამოართმევს შლაპას).

**ქ-ნი პირსი** — ოღონდ ცოტა ფრთხილად იყავით, სერ, მართალია, დავპირდი, არ დავწვავ-მეთქი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, ცოტა ხნით მაინც გამეჩერებინა ანთებულ ღუმელთან.

**ჰიგინსი** — (სწრაფად გააგდებს ხელიდან) ოჸ, გმადლობთ, ქალბატონო პირს. რა უნდა გეთქვათ?

**პიკერინგი** — მე ხომ არ გიშლით?

**ქ-ნი პირსი** — სრულიადაც არა, სერ. მისტერ ჰიგინს, მე მინდა გთხოვოთ, რომ იმ გოგონასთან დაფიქრებულად და წესიერად ილაპარაკოთ, უშვერი სიტყვები არ იხმაროთ.

**ჰიგინსი** — (მკაცრად) ამას თქმა რად უნდა? მე საერთოდ დაფიქრებულად და წესიერად ვლაპარაკობ. მაინც, რატომ ამბობთ ამას?

**ქ-ნი პირსი** — (აუღელვებული) არა, სერ, როცა რაიმეს ვერ იპოვნით — ანდა აღელვებული ხართ, ლაპარაკში არავითარ სიფრთხილეს არ იჩენთ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, შევეჩივი, მაგრამ იმ გოგონას თანდასწრებით კი მართლა არ უნდა შეიგინოთ.

**ჰიგინსი** — (აღშფოთებული) მე ვიგინები? (უფრო ხაზგასმით) მე არა-სოდეს ვიგინები. გინება ჭირივით მეჯავრება. რა ოხრობას ეძახით თქვენ გინებას?

**ქ-ნი პირსი** — (შთამაგონებლურად) სწორედ ამ „ოხრობას“ ვეძახი! დიახ, სერ, თქვენ ძალზე ბევრს იგინებით, ხოლო „სად ეშმაკში“, „ვინ ეშმაკში“, „რა ეშმაკმა“, ხომ არის და არის, ამას გარდა...

**ჰიგინსი** — ქალბატონო პირს! რა სიტყვები ამოგდით პირიდან?

**ქ-ნი პირსი** — (აგრძელებს ლაპარაკს) არსებობს ერთი სიტყვა, რომ-ლის ხმარებას როგორმე უნდა გადაეჩვიოთ. გოგომაც იხმარა ის სიტყვა, როცა ჩვენი ჯამთასი დაინახა. ის სიტყვაც იმავე ასოთი იწყება, რითაც ბრონეული. მას აკვნიდანვე ასეთი ლაპარაკი ესმის და ეპატიება, მაგრამ თქვენთვის კი მიუტევებელია. იმ გოგოსთან მაინც ნუ ამბობთ...

**ჰიგინსი** — (ამაყად) დავიფიცებ, რომ ეგ სიტყვა, ალბათ, არასოდეს წარმომითქვამს, ქალბატონო პირს, — (ქ-ნი პირსი გამომცდელი თვალე-ბით უყურებს მას. მისტერ ჰიგინსი მიუკერძოებელი მოსამართლის სახ-ეს იღებს, რათა დაფაროს, რომ ამ საქმეში, ცოტა არ იყოს, ტყუის).

**ქ-ნი პირსი** — აი, ამ დილით სამჯერ იხმარეთ ის სიტყვა, როცა ახსენეთ ბატონი, ბალი და ბუნება.

**ჰიგინსი** — ოჸ, ეგ სიტყვა? ეგ უბრალო ალიტერაციაა, ქალბატონო პირს, რაც პოეტისათვის მეტად ბუნებრივია.

**ქ-ნი პირსი** — კეთილი სერ. რაც გნებავთ, ის შეარქვით, მაგრამ იმ გოგონასთან მაინც ნუ იტყვით.

**ჰიგინსი** — კეთილი, კეთილი. სულ ეს გინდოდათ?

**ქ-ნი პირსი** — არა, სერ. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ჩაც-მულობასა და სიკოხტავეს.

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, მართალი ბრძანებაა. ეს მეტად მნიშ-ვნელოვანი საქმეა.

**ქ-ნი პირსი** — მინდა, კოხტად ეცვას და თავისი ნივთებიც კოხტად დაალაგოს. არ მიყარ-მოყაროს.

**ჰიგინსი** — (დინჯად მიდის ქ-ნ პირსთან) მართალი ბრძანდებით. მე თვითონ მინდოდა ამ საკითხისათვის თქვენი ყურადღება მიმექცია. (მიდის პიკერინგთან, რომელიც ყურადღებით უსმენს საუბარს) სწორედ ამ წვრილმანებს აქვს დიდი მნიშვნელობა, პიკერინგ. კაპიკობით მილ-იონი გროვდებაო, რომ ამბობენ, ეს ისევე მიუდგება ადამიანის ჩვევის ჩამოყალიბებას, როგორც ფულს. (ლუმლის წინ, ხალიჩაზე ჩამოჯდება და უძლეველი ადამიანის პოზას მიიღებს).

**ქ-ნი პირსი** — დიახ, სერ, კიდევ ერთი რამე უნდა გთხოვოთ. საუზმეზე ხალათით ნუ ჩამოდიხართ, ან ყოველ შემთხვევაში, მას ხელსახლცის მაგივრად მაინც ნუ იხმართ. ყველა კერძს ერთი და იმავე თეფშიდან ნუ სჭამთ და მერე, კერძიან ქვაბ-ქოთანს პირდაპირ სუფთა სუფრაზე ნუ დებთ. ამის გაეთება იმ გოგოსათვის, დამიჯერეთ, კარგი მაგალითი არ იქნება. ხომ გახსოვთ, ამ კვირას თევზის ძვალი რომ დაგადგათ ყელზე და კინალამ დაიხრჩვით.

**ჰიგინსი** — (ხალიჩიდან წამოვარდება და ისევ როიალთან მივა) ასე შეიძლება დაბნეულობის დროს მართლა მომდიოდეს, მაგრამ ყოველთვის ასე კი არ ვიქცევი. (გაბრაზებული) მართლა, ჩემს ხალათს ძალიან ასდის ბენზინის სუნი.

**ქ-ნი პირსი** — მართლაც რომ ასდის, მისტერ ჰიგინს, და თუ თითებს იმაზე შეიხოცავთ...

**ჰიგინსი** — (ყვირილით) კარგი, კარგი, ამიერიდან თითებს ქოჩორზე შევიხოცავ.

**ქ-ნი პირსი** — ხომ არ გეწყინათ, მისტერ ჰიგინს?

**ჰიგინსი** — (ნაწყენი იმით, რომ დაეჭვდნენ, თითქოსდა არ შეუძლია დარიგების ატანა) სრულიადაც არა, სრულიადაც არა. თქვენ სავსებით მართალი ხართ, ქალბატონო პირს. გოგონასთან ფრთხილად მოვიქცევი, მორჩით?

**ქ-ნი პირსი** — არა, სერ. შემიძლია წავუღო იაპონური კაბა, რომელიც თქვენ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეთ? თავის ძველ კონკებს ვეღარ ჩავაცმევ.

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, რაც გინდათ, ყველაფერი წაიღეთ. გინდათ კიდევ რამე?

**ქ-ნი პირსი** — არა, სერ, გმადლობთ (გადის).

**ჰიგინსი** — იცით, ჰიკერინგ, ამ ქალს რაღაცა უცნაური შეხედულება აქვს ჩემზე. აი, მე ხომ მორცხვი და თავმდაბალი კაცი ვარ. თითქოს დღემდე თავი მოზრდილად არ მიგრძნია — ამ მხრივ სხვებს არა ვგავარ. ამ ქალს კი დესპოტი, მტარვალი და თავნება ვგონივარ. არ ვიცი, ეს რითი ავხსნა!

**ქ-ნი პირსი** — (ბრუნდება) სეირი ახლა იწყება, სერ, ვიღაც მენაგვე ალფრედ დულიტლია მოსული და თქვენი ნახვა სურს. ჩემი ქალიშვილი ჰყავსო, გაიძახის.

**ჰიკერინგი** — ფუი! ნახე!

**ჰიგინსი** — შემოუშვი ის არამზადა.

**ქ-ნი პირსი** — როგორც გნებავთ, სერ (გადის).

**ჰიკერინგი** — ჰიგინს, იქნება ის არამზადა არ არის!

**ჰიგინსი** — სისულელეა. რა თქმა უნდა, არამზადა იქნება.

**ჰიკერინგი** — არ ვიცი, ვინ იქნება, მაგრამ ეტყობა, უჩხუბრად ვერ გადავრჩებით.

**ჰიგინსი** — (დაჯერებული) არა, არა. მგონი, ჩეუბამდე არ მივა საქმე, და თუ მართლა მიდგა ჩხუბზე საქმე, არაფერი გამოუვა. ჩემგან უფრო ელოდეს უსიამოვნებას, ვიდრე მე მისგან. ისე კი, შეიძლება რაიმე საინტერესო გავიგოთ?

**ჰიკერინგი** — გოგოს შესახებ?

**ჰიგინსი** — არა, არა. მე მისი მეტყველება მაინტერესებს.

**ჰიკერინგი** — ა, ა?

**ქ-ნი პირსი** — (კართან) დულიტლი, სერ (შემოუშვებს ოთახში და თვითონ გავა).

(ალფრედ დულიტლი ხნიერი, მაგრამ ჯან-ლონით სავსე კაცია, აცვია სპეცტანსაცმელი. შლაპას წინა ნაწილი მოჭრილი აქვს, ხოლო უკანა

ნაწილი უფარავს კისერსა და მხრებს. გამოკვეთილი, საინტერესო სახის ნაკვთები გააჩნია. ეტყობა, თავისუფალია როგორც შიშის, ისე სინდი-სისაგან. აქვს შესამჩნევი მკვეთრი ხმა, რაც გრძნობებისათვის თავისუ-ფლების მიცემის შედეგია. ახლაც ისე გამოიყურება, თითქოს მისი თავ-მოყვარეობა შეულახავთ და რაღაცა მტკიცებადა წაწყვეტილება მიუღია).

**დულიტლი** — (კართან დგას და ვერ გაურჩევია, რომელია მისი მსხვე-რპლი) პრაფესორი ჰიგინსი რომელი ხართ?

**ჰიგინსი** — მე გახლავართ. დილა მშვიდობისა. დაბრძანდით.

**დულიტლი** — მშვიდობისა, უფროსო, (გაჭიმული დაჯდება) სერიო-ზულ საქმეზე ვარ მოსული, უფროსო.

**ჰიგინსი** — (პიკერინგს) ვფიქრობ, ანსლიუშია გაზრდილი. დედა კი უელსელი უნდა ჰყავდეს.

(დულიტლი გაოცებული პირს დააღებს. ჰიგინსი განაგრძობს) რა გნე-ბავთ, დულიტლ?

**დულიტლი** — (მუქარით) ჩემი ქალიშვილი. აი, რა მინდა, გესმით?

**ჰიგინსი** — რასაკვირველია, უნდა გინდოდეთ, აბა, სხვას რად უნდა თქვენი ქალიშვილი? მოხარული ვარ, რომ ოჯახის სიყვარული ჯერ კიდევ შეგრჩენიათ. მაღლაა, ახლავე წაიყვანეთ.

**დულიტლი** — (შეშინებული უკან იხევს) რაო?

**ჰიგინსი** — წაიყვანეთ, აბა, როგორ გინდათ, მე გირჩინოთ?

**დულიტლი** — (პროტესტით) დაიცათ, დაიცათ, ყური მიგდეთ, უფრო-სო. ეს რა სინდისია? მჯაბნით? ქალიშვილი ჩემია. თქვენ კი წამოგიყვა-ნიათ და როგორ? აქ მე არაფერ შუაში ვარ?

**ჰიგინსი** — თქვენი ქალიშვილი თავხედურად შემოიჭრა ჩემს სახლში და მთხოვა, მესნავლებინა წესიერი ინგლისური, რადგანაც უიმისოდ მაღა-ზიაში ყვავილების გამყიდველად არ იღებენ. აი, ეს ჯენტლმენი და ჩემი მნე ქალი ამ ამბის დამსწრენი არიან, (შეტევით) ჰიგინსი პოდა, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა და ცილისწამება? ქალიშვილი განგებ გამოგზავნეთ?

**დულიტლი** — არა, რას ამბობთ, უფროსო?..

**ჰიგინსი** — არა, ალბათ, განგებ გამოგზავნეთ, თორემ საიდან იცოდით, რომ აქ იყო?

**დულიტლი** — ასეთ კაცად ნუ მიმიღებთ, უფროსო.

**ჰიგინსი** — შენ პოლიცია მიგიღებს, პოლიცია. შეთქმულება მოაწყვეთ ფულის დასაცინცლად? ახლავე დავურეკავ პოლიციას (მტკიცე გადაწყ-ვეტილებით მიდის ტელეფონთან და გადაშლის სამისამართო წიგნს).

**დულიტლი** — აბა, ერთი გროში მითხოვია შენთვის? ეს კაცი აქ არ იყო? ფულზე კრინტი დამიძრავს?

**ჰიგინსი** — (დააგდებს სამისამართო წიგნს, გაემართება დულიტლი-საკენ და უცქერის გამომცდელი თვალებით). აბა, რისთვის მოხვედით?

**დულიტლი** — რისთვის მოვიდოდი? კაცი არა ხართ, უფროსო?

**ჰიგინსი** — (განიარაღებული) ალფრედ, არ მოგიგზავნია?

**დულიტლი** — ღმერთმანი, უფროსო, არ მომიგზავნია. გინდათ, ხატზე დავიფიცებ, რომ ორი თვეა ჩემი გოგოსათვის თვალიც არ მომიკრავს.

**ჰიგინსი** — მაშ, საიდან იცოდი, რომ აქ იყო?

**დულიტლი** — (უფრო მელანქოლიურად და უფრო მუსიკალურად) იცით, რა გითხრათ, უფროსო! ორიოდე სიტყვის უფლება მომეცით და ყველაფერს გეტყვით. მე მინდა გითხრათ, მე მსურს გითხრათ, მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ...

**ჰიგინსი** — პიკერინგ, ამ კაცს ორატორობის ბუნებრივი ნიჭი აქვს. შეამჩნიე მის ველურ მეტყველებაში თავისებური რიტმი: „მე მინდა გითხრათ“, „მე მსურს გითხრათ“, „მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ“? ეს არის უელსელებისათვის დამახასიათებელი სენტიმენტალური რიტორიკა. მისი მატყუარობა და უსინდისობაც უელსიდან მომდინარეობს.

**პიკერინგი** — რას ამბობთ, ჰიგინს! მეც იქაური ვარ. (დულიტლს) თუ არ მოგიგზავნიათ, მაშ, აბა, საიდან გაიგეთ, რომ თქვენი ქალიშვილი აქ იყო?

**დულიტლი** — საქმე ასე იყო, უფროსო, თქვენთან რომ წამოვიდა გოგო ტაქსით, მეზობლის ბიჭუნა გამოიყოლა. ბიჭს იმედი ჰქონდა, უკანაც ტაქსით დაბრუნდებოდა, ამიტომაც თქვენს სახლთან ტრიალებდა. როცა ჩემმა გოგომ გაიგო, რომ აქ ტოვებდით, ის ბიჭუნა სახლში გააგზავნა თავისი ბარგი-ბარხანის მოსატანად. ჰოდა, იმ ბიჭს ლონგ-აკრისა და ენდელის ქუჩის კუთხეში შევხვდი.

**ჰიგინსი** — ლუდხანასთან, არა?

**დულიტლი** — დიახ, უფროსო, ღარიბების კლუბი ლუდხანაა. ეგ რა დასაძრახია!

**პიკერინგი** — ათქმევინეთ ბოლომდე, ჰიგინს.

**დულიტლი** — ჰოდა, ბიჭმა მიამბო, რაც მოხდა. ახლა თქვენ გეკითხებით, რა გრძნობები უნდა აღმძვროდა მე და რა იყო ჩემი, როგორც მამის მოვალეობა? „წადი, მომიტანე მისი ბარგი-ბარხანა“, — ბიჭს ვეუბნები.

**პიკერინგი** — თვითონ რატომ არ წამოიღეთ?

**დულიტლი** — დიასახლისი არ მენდობოდა, ერთი იმნაირი ქალია, უფროსო! არც ბიჭი მენდო, სანამ ერთი პენსი არ მივეცი. ო, ის გოჭი, ისა! აი, მოვათრიე კიდეც ბარგი-ბარხანა. მინდოდა, სიკეთე მექნა. ეს იყო და ეს.

**ჰიგინსი** — რა ნივთებია?

**დულიტლი** — მუსიკალური ინსტრუმენტი, უფროსო. რამდენიმე სურათი, რალაცა სამკაულები და ჩიტის გალია. ტანისამოსი არ მინდაო, ასე დაებარებინა. რა უნდა მეფიქრა, უფროსო? მე თქვენ გეკითხებით, როგორც მამა, რა უნდა მეფიქრა?

**ჰიგინსი** — მაშ, თქვენ იმიტომ მოხვედით, რომ სიკვდილზე უარესი განსაცდელისაგან გეხსნათ თქვენი ქალიშვილი?

**დულიტლი** — (გაუხარდა, რომ ასე კარგად გაუგეს), აი, სწორედ ასეა, უფროსო, ამისათვის მოვედი.

**პიკერინგი** — კი, მაგრამ, თუ წაყვანა გინდოდათ, ბარგს რაღას მოათრევდით?

**დულიტლი** — კრინტი დამიძრავს იმის წაყვანაზე, კრინტი დამიძრავს?

**ჰიგინსი** — (გადაწყვეტილებით) დაუყოვნებლივ წაიყვანეთ (მიდის ღუმელთან და ზარს რეკავს).

**დულიტლი** — (დგება) როგორ გეკადრებათ, უფროსო? მე განა ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემს ქალიშვილს ხელი შევუშალო, როცა მისი, ასე ვთქვათ, მისი კარიერის გზა იხსნება, როგორც თქვენ იტყოდით და... (ქალბატონი პირსი აღებს კარს და განკარგულებას ელოდება).

**ჰიგინსი** — ქალბატონი პირს, ელიზას მამა, მის წასაყვანად მოვიდა. გაატანე (ჰიგინსი ბრუნდება როიალთან ისეთი კაცის სახით, რომელმაც თავისი საქმე მოათავა).

**დულიტლი** — არა, აქ რაღაცა გაუგებრობაა, ყური დამიგდეთ უფროსო.

**ქ-ნი პირსი** — ვერ წაიყვანს, მისტერ ჰიგინს, აბა, როგორ წაიყვანს? თქვენ ხომ მითხარით, მისი ტანსაცმელი დაწვიო?

**დულიტლი** — ჰოდა, მეც მანდა ვარ! შიშველს ქუჩაში მაიმუნივით ხომ არ წავიყვან? მე თქვენ გეკითხებით.

**ჰიგინსი** — ხომ მოითხოვეთ ქალიშვილი, ჰოდა წაიყვანეთ, თუ ტანსაცმელი არა აქვს, უყიდეთ.

**დულიტლი** — (სასოწარკვეთილი) სად არის ის ტანსაცმელი, რომლითაც მოვიდა? მე დავწვი ისინი თუ თქვენმა დედაკაცმა?

**ქ-ნი პირსი** — თუ გნებავთ იცოდეთ, მე აქ დიასახლისი ვარ. კაცი მყავს გაგზავნილი თქვენი ქალიშვილის ტანსაცმელისათვის. აი, მოიტანენ და წაიყვანეთ, მანამდე კი, იქ, სამზარეულოში დაიცადეთ. მომყევით. (დულიტლი შეწუხებული მიდის კარებამდე, შემდეგ მობრუნდება და მიდის ჰიგინსთან).

**დულიტლი** — მომისმინე, უფროსო, მე და თქვენ გამოცდილი ხალხი ვართ, ხომ?

**ჰიგინსი** — ოჲ, გამოცდილი ხალხი? თქვენ ჯობია წაბრძანდეთ, ქალბატონი პირს.

**ქ-ნი პირსი** — მეც ასე ვფიქრობ, სერ. (მიდის ამაყად).

**პიკერინგი** — სიტყვა თქვენ გეკუთვნით, მისტერ დულიტლ.

**დულიტლი** — (პიკერინგს) გმადლობთ, უფროსო. (ჰიგინსს, რომელიც როიალის წინ გრძელ სკამზე ჩამოჯდება, რათა ცოტა მოშორებით იყოს თავისი სტუმრისაგან, ვინაიდან დულიტლს მისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სუნი ასდის). აი, რა! მე თქვენ ძალიან მომენტონეთ, უფროსო. ჰოდა, თუ თქვენ გინდათ ჩემი ქალიშვილი, მეც არ აგიხირდებით და მაინცდამაინც არ დავიჯინებ – წავიყვან-მეთქი, მოვილაპარაკებთ და მოვრიგდებით. ისე რომ შეხედო, როგორც გოგოს, ელიზა მშვენიერი ქალიშვილია, ხოლო როგორც შვილი, მე პირდაპირი

ლაპარაკი მიყვარს, რჩენად არ ღირს. მაგრამ მე მამა ვარ და მამის უფლებები გამაჩინია. ჰოდა, თქვენ უკანასკნელი ადამიანი იქნებით დედამიწის ზურგზე, თუ მეტყვით, შვილი ტყუილუბრალოდ დამითმეო. მე ვხედავ, რომ თქვენც პირდაპირი ლაპარაკი გიყვართ, უფროსო. თქვენთვის 5 გირვანქა სტერლინგი არაფერია და ჩემთვისაც ელიზა არაფერია.

(დაუბრუნდება თავის სკამს და გაჭიმული ჩამოჯდება).

**პიკერინგი** — თქვენ უნდა იცოდეთ, დულიტლ, რომ მისტერ ჰიგინსს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კეთილშობილური განზრახვა ამოძრავებს.

**დულიტლი** — რა თქმა უნდა, უფროსო, წმინდა გრძნობები, რომ არ მამოძრავებდეს, 50 გირვანქა სტერლინგს მოვთხოვდი.

**ჰიგინსი** — (ამბოხებული) რაო, თქვენს ქალიშვილს 50 გირვანქა სტერლინგად გაყიდდით?

**დულიტლი** — გაყიდვა არა, მაგრამ ისეთი სანდომიანი პიროვნებისათვის, თქვენ რომ ბრძანებულხართ, რას არ გავაკეთებ. დამერწმუნეთ, მართალს ვამბობ.

**პიკერინგი** — კაცო, ნუთუ თქვენ მორალის ნატამალი არ გაგაჩინიათ?

**დულიტლი** — (აუდელვებლად) მორალი სარფიანი საქმე არ გახლავთ. თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით, ჩემებრ ლარიბი რომ იყოთ. რა არის ამაში დასაძრახი? თუ ელიზა ისარგებლებს ამ საქმიდან, მე რატომ არ უნდა ვისარგებლო?

**ჰიგინსი** — (შეშფოთებული) არ ვიცი, რა ვქნა. პიკერინგ, მორალის თვალსაზრისით ამ ჯენტლემენისათვის თუნდაც ერთი გირვანქა სტერლინგის მიცემა აშკარა დანაშაულია, და მაინც, მე ვხედავ ერთგვარ ტლანქ სიმართლეს მის მოთხოვნაში.

**დულიტლი** — სწორედ რომ ასეა, უფროსო, მეც ამას ვამბობ, რაც უნდა იყოს, მამის გული მაქვს.

**პიკერინგი** — მესმის თქვენი, მაგრამ მართლა ძნელია ასეთ რამეზე დათანხმება.

**დულიტლი** — ასე ნუ ამბობთ, უფროსო, ასე ნუ უყურებთ ამ საქმეს. მითხარით, ვინა ვარ მე, ორივე უფროსო, მე გეკითხებით, ვინა ვარ მე? მე ერთი ულირსი ლარიბ-ლატაკი ვარ. აი, ვინა ვარ მე. და მერე, იცით, ეს რას ნიშნავს კაცისათვის? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კაცს განუწყვეტლივ აქვს უთანხმოება ბურუუზიულ მორალთან. სადმე რამე საშოვარი თუ გამოჩნდება და ჩემი წილისათვის ხელს გავიშვერ, სულ ერთსა და იმავე პასუხს მაძლევენ: „შენ არ გერგება, შენ არ გეკუთვნის“ და ეს მაშინ, როცა მეც ისეთივე მოთხოვნილება გამაჩინია, როგორიც, თუნდაც ყველაზე ღირსეულ ქვრივ ქალს, რომელმაც ერთი და იმავე ქმრის სიკვდილისათვის ერთ კვირაში ექვსი სხვადასხვა საზოგადოებისაგან მაინც მიიღო დახმარება. მე არც ერთ ღირსეულ მამაკაცზე ნაკლები არ მჭირდება, პირიქით, მეტი მჭირდება, მეტი. მასზე ნაკლებს არა ვჭამ და სმით კი მეტსა ვსვამ. მე ერთგვარი გართობაც მინდა, მეც მოაზროვნე

ადამიანი ვარ. მეც მინდა გამხიარულება, სიმღერა და მუსიკა, როცა ცუდ გუნებზე ვარ. მეც ხომ იმდენს მახდევინებენ, რამდენსაც ლირსეულ ადამიანს? მაშ, რას წარმოადგენს ბურუუაზიული მორალი? იგი სიტყვის მასალაა იმისათვის, რომ მე არაფერი მომცენ. ამიტომაც მე გთხოვთ თქვენ, ორივე უფროსო, ამ ონს მე ნუ გამიკეთებთ. მე თქვენ გულახდილად გელაპარაკებით. მე ხომ არ ვამბობ, ლირსეული ვარ-მეთქი. მე ულირსი ვარ და ულირსი ვიქნები. მე მომწონს ეს. აი, სიმართლე თუ გინდათ. ჰოდა, ნუთუ თქვენ ისარგებლებთ ადამიანის სისუსტით და არ გადაუხდით ქალიშვილის ფასს, რომლისათვის წვითა და დაგვით უჭმევია, ჩაუცმევია და იმ სიდიდე გაუზრდია, რომ თქვენც კი დაუინტერესებიხართ, ორივე ჯენტლმენო? 5 გირვანქა სტერლინგი დიდი ფასია? აბა, თვითონვე განსაჯეთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

**პიგინსი** — (ადგება და პიკერინგთან მივა) პიკერინგ, ეს კაცი რომ ერთი სამი თვე ავიყვანოთ, ან მინისტრის სავარძელში ჩაჯდება, ან უელსის მოძღვრის კათედრას დაიჭერს.

**პიკერინგი** — ამაზე რას იტყვი, დულიტლ?

**დულიტლი** — არა, გმადლობთ, უფროსო, უიმისოდაც თავს კარგად ვგრძნობ. მე გამიგონია, ვინ არიან ეს მოძღვრები და პრემიერ-მინისტრები. მე ხომ მოაზროვნე ადამიანი ვარ — პოლიტიკით, რელიგიითა და სოციალური რეფორმებით ისევე ვერთობი, როგორც სხვა გასართობებით და, უნდა გითხრათ, რომ იგი, რა მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ მას, ნამდვილი ძალური ცხოვრებაა და მეტი არაფერი. ულირსი სილარიბეა ჩემი პროფესია. სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობა ერთმანეთს რომ შევადაროთ, იცით, რა... ჰო... გემო ერთადერთი სილარიბემა, ჩემი აზრით.

**პიგინსი** — ჩემი აზრით, უნდა მივცეთ მას ხუთი გირვანქა სტერლინგი.

**პიკერინგი** — მივცეთ, მაგრამ ტყუილუბრალოდ მიახარჯავს.

**დულიტლი** — არა, უფროსო, ცუდად არ მოვიხმარ, ნუ გეშინიათ. ხელს არ მოვუჭერ, ცოტ-ცოტათი არ დაეხარჯავ და არ გავზარმაცდები, ორშაბათამდე სულ მივთლანგავ და სამუშაოზე ისე წავალ, თითქოს არას-დროს არ მქონია. გეფიცებით, ღატაკების სიაში არ ჩავენერები, ცოტას ვისიამოვნებთ მე და ჩემი მისუსი, სხვებს სარგებლობას მოვუტანთ და თქვენც კმაყოფილი იქნებით, რომ თქვენი ფული ტყუილად არ გადაყრილა. ჩემზე უკეთ ვერც თქვენ დახარჯავთ იმ ფულს.

**პიგინსი** — (ამოიღებს ჯიბიდან საბანკო ქვითორებს და დადგება დულიტლსა და როიალს შორის) ამაზე უარს ვერ ეტყვი, მოდი 10 გირვანქა მივცეთ (მენაგვეს ორ ქვითარს გაუწვდის).

**დულიტლი** — არა, უფროსო, არ მინდა, ჩემს დედაკაცს ამდენის დახარჯვა დაენანება, მეც შეიძლება დამენანოს, 10 გირვანქა დიდი თანხაა. ამდენი თანხა ადამიანს მომჭირნეს გახდის და მაშინ, ჰე, მშვიდობით ბედნიერებავ. მე იმდენი მომეცით, რამდენიც გითხარით: არც მეტი და არც ნაკლები.

**პიკერინგი** — რატომ არ დაქორწინდები იმ შენ „მისუსზე“? მე ასეთი ამორალური ცხოვრება არ მომწონს.

**დულიტლი** — ეს ჩემს დედაკაცს უთხარით, უფროსო. იმას უთხარით! მე მინდა, მანუხებს ეს ამბავი. მაგრამ მასთან ვერაფერი გავაწყვე. ძალიან კარგად ვექცევი. პატივსა ვცემ, საჩუქრები მიმაქვს; კაბებიც კი ვუყიდე, მაგრამ მაინც არაფრად მაგდებს, რადგანაც კანონიერი ქმარი არა ვარ. განა ეს ამბავი თვითონაც არ იცის? აბა, მოდით და აიძულეთ, იქორწინოს ჩემზე. იცით, რას გირჩევთ, უფროსო? შეირთეთ ელიზა, სანამ ახალგაზრდაა და სანამ უკეთესი ცხოვრება არ უნახავს. თუ ამას არ გააკეთებთ, შემდეგში ინანებთ და, თუ გააკეთებთ, შემდეგში ელიზა ინანებს. ჰოდა, ჯობია ელიზამ ინანოს, ვიდრე თქვენ, რადგანაც თქვენ მამაკაცი ხართ, ელიზა კი დედაკაცი. დედაკაცის გულს კი ეშმაკიც ვერ გაუგებს.

**პიგინსი** — პიკერინგ, ამ კაცის ლაპარაკს კიდევ ცოტა ხანს რომ და-ვუგდოთ ყური, ყოველგვარ რწმენას დავკარგავთ. (დულიტლს) 5 გირვანქა ითხოვეთ, არა?

**დულიტლი** — დიახ, უფროსო.

**პიგინსი** — მაშ, 10-ს არ აიღებთ?

**დულიტლი** — ახლა არა, სხვა დროს იყოს, უფროსო.

**პიგინსი** — (აძლევს 5 გირვანქის ქვითარს) აი, ინებეთ.

**დულიტლი** — გმადლობთ, უფროსო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

(გაეშურება კარისაკენ. ცდილობს ჩქარა გავიდეს, რათა წაიღოს თავისი ნადავლი. კარს რომ გააღებს, შეეფეთება სუფთად და გემოვნებით ჩაც-მულ იაპონელ ლედის, რომელსაც პატარ-პატარა უასმინის თეთრი ყვავილებით მოხატული ბამბის უბრალო ცისფერი კიმონო აცვია, ქ-ნი პირსიც მასთანაა. დულიტლი თავაზიანად უთმობს გზას)

ბოდიში, ქალბატონო.

**ელიზა** — რაო! შვილს ვეღარა ცნობ?

**დულიტლი** —

**პიგინსი** —

**პიკერინგი** —

— (წამოიძახებენ ერთხმად) ერთი ამას შეხეთ! ელიზაა! რა არის ეს?! საოცარია, ღმერთმანი.

**ელიზა** — სულელურად არ გამოვიყურები?

**პიგინსი** — სულელურად?

**ქ-ნი პირსი** — (კარებთან) მისტერ პიგინს, აბა, ისეთი რამე არ უთხრათ, რომ გოგომ თავის თავზე დიდი წარმოდგენა იქონიოს.

**პიგინსი** — (თანხმობით) სავსებით მართალი ხართ, ქალბატონო პირს. (ელიზას) ეშმაკმა იცის, რანაირი გამოხედვა გაქვთ.

**ქ-ნი პირსი** — რას ამბობთ, სერ!

**პიგინსი** — (ასწორებს თავის ნათქვამს) მე მინდოდა მეთქვა, რომ სულელური გამოხედვა გაქვთ.

**ელიზა** — ამ ტანსაცმელს ჩემი შლიაპა მოუხდება (აიღებს შლაპას. დაიხურავს და ამაყად გაივლის ოთახში ღუმლამდე).

**ჰიგინსი** — ახალი მოდა არ არის, თუ! მე კი მეგონა არ მოუხდებოდა.

**დულიტლი** — (მამობრივი სიამაყით) საოცარია, უფროსო, რას ვი-ფიქრებდი, რომ გახეხვის შემდეგ ასეთი ლამაზი გამოჩნდებოდა! ჩემი მასახელებელია.

**ელიზა** — უნდა გითხრათ, რომ აქ გასუფთავება ადვილია. თბილი და ცივი წყალი ონკანებიდან, რამდენიც გინდა არის, რბილი პირსახოციცაა, პირსახოცის ჩამოსაკიდი ისეთი ცხელია, რომ თითებს დაგწვავს. რბილი ჯაგრისებიც გასახეხად არის, ხის ჯამიც გავსებულია საპნის ქაფით, რომელსაც ფურისულას სუნი ასდის. ახლა კი ვიცი, რატომ არიან ლედები ასეთი სუფთა, ბანაობა მათვის სიამოვნებაა. ნეტავი, მათაც იცოდნენ, რა კარგია ეს ჩემისთანებისათვის.

**ჰიგინსი** — მოხარული ვარ, რომ ჩემი აპაზანა მოგეწონათ.

**ელიზა** — სულაც არ მომწონებია. ესე იგი, ზოგი რამ არ მომწონებია. რაც გინდათ, ის იფიქრეთ, მაინც ვიტყვი. აგერ ქალბატონი პირსია მოწმე.

**ჰიგინსი** — რა მოხდა, ქალბატონო პირს?

**ქ-ნი პირსი** — (მშვიდად) არაფერი, სერ. თქმადაც არ ღირს.

**ელიზა** — კინაღამ გავტეხე. არ ვიცოდი, საით გამეხედა, მერე მივედი და პირსახოცი ჩამოვაფარე.

**ჰიგინსი** — რაზე?

**ქ-ნი პირსი** — სარკეზე, სერ.

**ჰიგინსი** — დულიტლ, ძალიან მკაცრად გაგიზრდია შენი ქალიშვილი.

**დულიტლი** — მე? სულაც არ გამიზრდია. თუ იმას არ ჩამითვლით, რომ ხანდახან მიმიტყებია, მე ნურაფერს მაბრალებთ, უფროსო. მიჩვეული არ არის, მაგრამ ეგეც არაფერი, მალე მიეჩვევა და თქვენზე თავისუფლად მოიქცევა.

**ელიზა** — არა, მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი. მე თავისუფლად არ მოვიქცევი.

**ჰიგინსი** — ელიზა, თუ კიდევ გაიმეორებ, „წესიერი გოგო ვარო“, მა-მაშენი სახლში წაგიყვანს.

**ელიზა** — არაფერსაც არ წამიყვანს. თქვენ არ იცნობთ მამაჩემს, ის ჩემს წასაყვანად კი არა, იმიტომ მოვიდა, რომ ფულები დაგცინცლოთ და ერთი კარგა გამოილებოს.

**დულიტლი** — კარგი ერთი, გაჩუმდი. მაშ, რა ჯანდაბად მინდა ფული, თუ არ დავლიე, აბა, ეკლესიას შევწირო? ჩემი აზრით... (ელიზა ენას გამოუყოფს მამამისს. დულიტლი ისე გაცეცხლდება, რომ პიკერინგი საჭიროდ ჩათვლის მათ შორის ჩადგეს) ასე ნუ მელაპარაკები და ამ ჯენტლმენებსაც ასე ნუ ეჭიკჭიკები, თორემ ისე აგამლერებს, რომ თავიც დაგავიწყდეს. ცოტა ფრთხილად იყავი.

**ჰიგინსი** — იქნება წასვლის წინ რაიმე დარიგება გინდათ მისცეთ, დულიტლ? იქნება დალოცვა გინდათ.

**დულიტლი** — არა, უფროსო. მე ისეთი ბრიყვი როდი ვარ, ჩემ შვილებს ყველაფერი გადმოვულავო, რაც ვიცი. უამისოდაც ძლივს მიჯერებენ. თუ ელიზას გონიერი განვითარება გინდათ, უფროსო, მათრახს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ჯერჯერობით, ჯენტლმენებო (მიბრუნდება წასასვლელად)

**ჰიგინსი** — (მბრძანებლურად) შეჩერდით, ხშირად უნდა იაროთ თქვენი ქალიშვილის სანახავად, ეს თქვენი მამობრივი მოვალეობაა. ჩემი ძმა მღვდელია და მას შეუძლია წარმართოს თქვენი საუბარი.

**დულიტლი** — (ორჭოფულად) რა თქმა უნდა, უფროსო, ვივლი. ამ კვირას კი ვერ მოვალ. ცოტა მოშორებით მაქვს სამუშაო, შემდეგში კი, იმედი იქონიეთ, უსათუოდ მოვალ. ნახვამდის, ჯენტლმენებო, ნახვამდის, ქალბატონი. (მოიხდის შლაპას ქალბატონი პირსის ცხვირნინ. ქნი პირსი უგულებელყოფს მის მისალმებას და გადის. დულიტლი თვალს ჩაუკრავს ჰიგინსს, იმ აზრით, თითქოსდა შენც ხშირად იტანჯები მისი ცუდი ხასიათისაგანო და გაჰყვება ქნ პირსს).

**ელიზა** — ნუ გჯერათ ამ ბებერი მატყუარასი. მას ურჩევნია, ქოფაკი ძალლები წაუსიოთ, ვიდრე მღვდელს ელაპარაკოს. ახლა ფეხს დიდხანს აღარ მოსდგამს.

**ჰიგინსი** — არც მინდა, რომ მოვიდეს. ელიზა, თქვენ გინდათ?

**ელიზა** — არც მე მინდა. მე საერთოდ არ მინდა მისი ნახვა, არ მინდა. ჩემი შემარცხევენელია. თავის ხელობაზე მუშაობის ნაცვლად ნაგავში იქექება.

**ჰიკერინგი** — რა ხელობა აქვს, ელიზა?

**ელიზა** — ეჩიჩინება ხალხს და მათი ჯიბეებიდან თავის ჯიბეში გადმოაქვს ფული. ისე კი მინის მთხრელია. ხანდახან თავის ხელობაზეც მუშაობს და ბევრ ფულს აკეთებს. როგორ, თქვენ ქალბატონ დულიტლს მეტად აღარ დამიძახებთ?

**ჰიკერინგი** — მაპატიეთ, ქალბატონო დულიტლ, სახელი წამომცდა, თორემ, როგორ არ დაგიძახებთ.

**ელიზა** — არა, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ისე, კარგად უღერდა. ურიგო არ იქნებოდა ახლა ტაქსით გამესეირნა ტოტენჰემ-კორტ-როუდის კუთხემდე. ჩამოვსულიყავი იქ და მძლოლისათვის მეთქვა, დამიცადე-მეთქი. შურით დავხოცავდი გოგოებს, არც კი დაველაპარაკებოდი.

**ჰიკერინგი** — ჯობია დაიცადო, სანამ ახალ ტანსაცმელს მოიტანენ.

**ჰიგინსი** — ესეც არ იყოს, შენი ყოფილი მეგობრების წინ ცხვირაწეული არ უნდა იყო, ამას ჩვენ სწობიზმად მივიჩნევთ.

**ელიზა** — მე იმათ ახლა ჩემს მეგობრებს აღარ ვეძახი. როცა რამეს იშვიათნენ, სასაცილოდ მიგდებდნენ, ახლა მეც მინდა, სამაგიერო გადავუხადო, მაგრამ, თუ მართლა კარგ კაბებს მომიტანენ, დავიცდი. მე მინდა

კარგი კაბები, ქალბატონი პირსი ამბობს, რომ თქვენ გინდათ მიყიდოთ ლამის ტანსაცმელი, განსხვავებული იმისაგან, რაც დღისით მაცვია. ტყულად ფულს რატომ ხარჯავთ? ამას ის არა ჯობია, ისეთი რამე მიყიდოთ, რაშიაც ხალხს დავენახვები? გარდა ამისა, ზამთრის ცივ ლამეებში, თბილ საცვლებს ცივი საცვლებით არ შევიცვლი.

**ქ-ნი პირსი — (დაბრუნდება)** წამოდი, ელიზა. ტანისამოსი მოიტანეს, უნდა გაისინჯო.

**ელიზა — ა-ო-უ-უ-უ...** (გარბის)

**ქ-ნი პირსი — (მისდევს)** ცოტა ნელა იარე, გოგო (კარს მოიხურავს).

**ჰიგინსი —** პიკერინგ, ჩვენ ძნელი საქმე ვიკისრეთ.

**ჰიგინგი — (თანხმობით)** მართლაც, რომ ძნელი საქმეა, ჰიგინს (შეიძლება მკითხველს აინტერესებდეს, რა სახის გაკვეთილები ჩაუტარა ჰიგინსმა ელიზას. აი, მაგალითად, პირველი გაკვეთილი. წარმოიდგინეთ ელიზა ახალ ტანსაცმელში, აფორიაქებული უცნაური საუზმით, სადილითა და ვახშმით, რასაც მიჩვეული არ არის, ზის ჰიგინსთან და პოლკოვნიკთან კაბინეტში და თავს ისე გრძნობს, როგორც მომსვლელი ავადმყოფი ექიმის წინაშე. ჰიგინსი ერთ ადგილას ვერ ჩერდება და ამით უფრო არღვევს ელიზას ისედაც დარღვეულ სიმშვიდეს. მაგრამ, რაკი ელიზა პატივისცემით ეპყრობა თავის მეგობარ პოლკოვნიკს, არ გარბის უკან დრური ლეიინში).

**ჰიგინსი —** თქვით ანბანი.

**ელიზა —** მე ვიცი ანბანი. თქვენ მთლად უცოდინარი გგონივართ? ბავშვი კი არა ვარ, ასე რომ მასნავლით.

**ჰიგინსი —** თქვით ანბანი.

**ჰიგინგი —** თქვით, ქალბატონი დულიტლ. ახლავე გაიგებთ, რისთვისაა ეგ საჭირო. გააკეთეთ, რასაც გეუბნებათ. მიეცით ნება, როგორც უნდა, ისე გასნავლოთ.

**ელიზა —** ახლა ეგღა მაკლია, დამაწყებინოთ ეჰიი, ბიჰიი, სიჰი, დიჰი.

**ჰიგინსი — (დაჭრილი ლომივით ლრიალებს)** შეჩერდით, ყური დაუგდეთ, ჰიკერინგ. ასეთ პირველ დაწყებით განათლებას აძლევენ ჩვენში. ეს უბე-დური ცხოველი 9 წელი ჩამწყვდეული იყო სკოლაში და ჩვენი ხარჯით ასწავლიდნენ, რომ კარგად ელაპარაკა შექსპირისა და მილტონის ენაზე და ამის მეტი კი ვერაფერი ისწავლა: ეჰიი, ბიჰიი, სიჰი (ელიზას). თქვი: ეი, ბი, სი, დი.

**ელიზა — (აცრემლებული)** მე ხომ ვთქვი: ეჰიი, ბიჰიი, სიჰი, დიჰი.

**ჰიგინსი —** შეჩერდი. აბა, თქვი: ე კაპ ოფ თიო. (A cup of tea.)

**ელიზა —** ეკაპოტი.

**ჰიგინსი —** წინ წამოიღე ენა, ვიდრე შეეხებოდეს ქვემო წინა კბილებს. ახლა თქვი „კაპ“.

**ელიზა —** კ-კ-კ — არ შემიძლია. კკ-კაპ.

**ჰიგინგი —** მშვენიერია, ქალბატონი დულიტლ.

**პიგინსი** — ღმერთმანი, მალე კი მოახერხა, პიკერინგ, მისგან ნამდვილად ჰერცოგის ასულს გამოვიყვანთ. აბა, ახლა სცადეთ თქვათ ტიი, იცოდეთ არა თქვათ ტჰიი. იცოდეთ, თუ ოდესმე გითქვამთ ეჰიი, ბეჰიი, სიჰიი, დიჰიი, თმაში წაგავლებთ ხელს და თრევით სამჯერ შემოგატარებთ ოთახს.

**ელიზა** — (ტირილით) მე არავითარ განსხვავებას არ ვგრძნობ, გარდა იმისა, რომ როცა თქვენ ამბობთ, ცოტა უფრო ტკბილად უდერს.

**პიგინსი** — მერე, თუ ამ განსხვავებას ხედავთ, რა ჯანდაბა გატირებთ? პიკერინგ, შოკოლადი მიეცით.

**პიკერინგი** — ნუ ტირით, ნუ ტირით, ქალბატონო დულიტლ. კარგად ითვისებთ. ეს გაკვეთილები თქვენთვის სასარგებლოა. მე მგონია, ისე ისწავლით, რომ თმით სათრევი არ გახდებით.

**პიგინსი** — წადით ქალბატონ პირსთან და უამბეთ. თვითონაც იფიქრეთ, ივარჯიშეთ. ენას წარამარა გარეთ ნუ ყოფთ. მეორე გაკვეთილი ხუთის ნახევარზე გექნება დღესვე, წადით.

**ელიზა** — (ქვითინით გავარდება ოთახიდან. აი, ასე მიდის საბრალო ელიზას ცხოვრება თვეების მანძილზე, ვიდრე მას ისევ შევხვდებოდეთ ლონდონის ერთ-ერთ მაღალ საზოგადოებაში).

**მეორე მოქმედების დასასრული  
ფარდა**

## მოქმედება მესამე

ქ-ნ ჰიგინსს მიღების დღე აქვს. ჯერ არავინ მისულა. მისი სასტუმრო ოთახი ჩელსის სანაპიროს მხრიდანაა. ფანჯრები მდინარისაკენ გადის. ოთახების ჭერი ამ ტიპის ძველი სახლების ჭერზე უფრო დაბალია. ფანჯრები ღიაა. მოჩანს აივანი, სადაც ანუკია ქოთნები ყვავილებით. პირით ფანჯრებისაკენ თუ დადგებით, ღუმელი ხელმარცხნივ იქნება, კარი კი ფანჯრების ახლოს, ხელმარჯვნივ.

ქ-ნი ჰიგინსი მორისისა და ბარნ ჯონის ყაიდაზეა აღზრდილი. მისი ოთახი, რომელიც სულაც არა ჰგავს ჰიგინსის ოთახს, ავეჯეულობით, პატარ-პატარა მაგიდებითა და სხვა უსარგებლო ნივთებით გადატვირთული არ არის, ოთახის შუაგულში დიდი ტახტია, რომელიც თავის ხალიჩით, შპალერით, მორისის ჩითის ფარდებითა და მოქარგული ბალიშებით შეადგენს ოთახის ერთადერთ მორთულობას, რომლის უსარგებლო ნივთებით დაფარვა, ცოტა არ იყოს, დასანანი იქნებოდა. კედელზე მოჩანს ზეთის საღებავებით შესრულებული რამდენიმე სურათი, რომლებიც გამოფენილი იყო გროსსვენორის გალერეაში 30 წლის წინათ (ბარნ ჯონისა და უისლერის სკოლა). ვხედავთ სესილ ლოუსონის ერთადერთ პეიზაჟს, რომელიც რუბენსის მასშტაბითაა შესრულებული. კედელზეა ქ-ნი ჰიგინსის იმდროინდელი პორტრეტი, როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და იცვამდა როსეტის მშვენიერ კოსტიუმს, რაც შემდგომი დროის ბრივმა მიმბაცველებმა XIII საუკუნის 70-იან წლების პოპულარული უგემოვნო ესთეტიზმით შეცვალეს.

კარის პირდაპირ კუთხეში, სადა, მაგრამ ძვირფას საწერ მაგიდას უზის და ნერს ქ-ნი ჰიგინსი, სამოც ნელს გადაცილებული ქალი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მოდური ჩაცმისათვის თავი დაუნებებია. ერთი ხელი ზარის ღილაკზე უდევს. მაგიდასა და უახლოეს ფანჯარას შორის, ოთახის სიღრმეში, ჩიპენდალის სავარძელია მოთავსებული. ოთახის მეორე მხარეს, ცოტა უფრო წინ, დგას ელისაბედის დროინდელი ინიგო ჯონის გემოვნების ტლანქი კუთხვილიანი სავარძელი. იმავე მხარეზე ვხედავთ მოქარგულშალითიან როიალს. ღუმელსა და ფანჯარას შორის კუთხეში დგას მორისის ჩითგადაფარებული დივანი.

საღამოს ექვსი საათია დაწყებული. ერთბაშად იღება კარი და შემოდის ჰიგინსი შლაპით.

**ქ-ნი ჰიგინსი — (შემკრთალი) ჰენრი! (საყვედურით) დღეს აქ რა გინდა? ხომ იცი, რომ ჩემი მიღების დღეა? აკი, დამპირდი, არ მოვალო.**

**ჰიგინსი — (დედის საკოცნელად დაიხრება. ქ-ნი ჰიგინსი შლაპას მოხდის და მიაწვდის) ას, დალახვროს ეშმაკმა (შლაპას მაგიდაზე დააგდებს).**

**ქ-ნი ჰერიტაჟი — ახლავე წადი.**

**ჰერიტაჟი —** (კოცნის) ვიცი, დედა, ვიცი, მაგრამ განგებ მოვედი.

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** სერიოზულად გეუბნები, ჰერიტი, შენი დარჩენა არ იქნება. ჩემს მეგობრებს შეურაცხყოფას აყენებ და მიფრთხობ. საკმარისია, ერთხელ მოგვრან თვალი, რომ ფეხი ამოიკვეთონ.

**ჰერიტაჟი —** სისულელეა. მე მაღალი საზოგადოების ლაპარაკს ჩვეული არა ვარ, მაგრამ ეს ვის რაში ედარდება, არ ვიცი (ტახტზე ჩამოჯდება).

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** მაღალი საზოგადოების ლაპარაკი! შენებური საზოგადოების ლაპარაკი როგორილა? ძვირფასო, ჯობია წახვიდე.

**ჰერიტაჟი —** ვერ წავალ, დედა, საქმე მაქვს, ფონეტიკასთან დაკავშირებული საქმე.

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** სულერთია, უნდა წახვიდე. იმ შენს ხმოვნებს თავი მიანც ვერ გავართვი, თუმცა ძალიან კი მიხარია, როცა სტენოგრაფიულ ჩანაწერებთან ერთად ღია ბარათს ვიღებ შენგან, მაგრამ იმათ ისე მაინც ვერ ვიგებ, თუ ჩვეულებრივი ასოებით დაწერილ სტრიქონებრივ თარგ-მანს არ შევაშველებ, რასაც მასთან ერთად მიგზავნი-ხოლმე.

**ჰერიტაჟი —** კი, მაგრამ იმ საქმეს, რომელზედაც ახლა მოვედი, ფონეტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

**ქ-ნი ჰერიტაჟი — აკი თქვი, აქვსო?**

**ჰერიტაჟი —** მე აქ ერთი გოგო მოვიყვანე.

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** გოგო მოიყვანე თუ გოგოს სიყვარულმა მოგიყვანა?

**ჰერიტაჟი —** სრულიადაც არა, აქ სიყვარული არაფერ შუაშია.

**ქ-ნი ჰერიტაჟი — სამწუხაროა.**

**ჰერიტაჟი — რატომ?**

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** ჯერ არ მახსოვს ოდესმე ისეთი ქალი შეგეყვარებინა, რომ ორმოცდახუთს არ ყოფილიყო გადაცილებული. ნეტავი როდის მიხვდები, რომ ლამაზები ახალგაზრდებშიაც არიან?

**ჰერიტაჟი —** ახალგაზრდა ქალების ლოლიაობის თავი სადა მაქვს? ჩემი იდეალი ზუსტად შენისთანა ქალია. ახალგაზრდებს ვერასოდეს შევიყვარებ. ამ აზრს უკვე შევეჩვიე და ხომ გაგიგონია: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. (წამოვარდება და გაივლ-გამოივლის. ჯიბე-ში გასაღებებსა და ხურდა ფულს აჩხრიალებს) მერედა, ახალგაზრდა ქალები თავქარიანები არიან.

**ქ-ნი ჰერიტაჟი —** ჰერიტი, თუ გიყვარდე, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე.

**ჰერიტაჟი — რა, ცოლი შევირთო?**

**ქ-ნი ჰერიტაჟი — არა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღე და წინ და უკან წუდადიხარ.**

**ჰერიტაჟი —** (დაემორჩილება და განაწყენებული ჩამოჯდება).

**ქ-ნი ჰერიტაჟი — აი, ეს მომწონს, კარგი ბიჭი ხარ. ახლა მიამბე, ვინაა ის გოგო?**

**ჰიგინსი** — დღეს გესტუმრება.

**ქ-ნი ჰიგინსი** — მე რომ არ დამიპატიუია?

**ჰიგინსი** — შენ, რა თქმა უნდა, არ დაგიპატიუია, მე დავპატიუე. შენ რომ იცოდე ვინაა, არასოდეს დაპატიუებდი.

**ქ-ნი ჰიგინსი** — მართლა? რატომ?

**ჰიგინსი** — იცი რა, უბრალო ყვავილების გამყიდველი გოგოა. ქუჩიდან ავიყვანე.

**ქ-ნი ჰიგინსი** — მერედა რაღა ჩემი მიღების დღეს დაპატიუე.

**ჰიგინსი** — (წამოდგება და დედასთან დასაშოშმინებლად მივა) საშიში არაფერია. წესიერი ლაპარაკი უკვე ვასწავლე. დავარიგე, როგორ მოიქცეს. ლაპარაკში სულ ორ საკითხს შეეხება: იყითხავს, ვინ როგორ ბრძანდება და როგორი ამინდია. სხვა საკითხებში არ ჩაერევა. ასე რომ, დარდი ნუ გექნება, საშიში არაფერია.

**ქ-ნი ჰიგინსი** — საშიში არაფერია! ჩვენს ჯანმრთელობაზე ილაპარაკებს?! ჩვენს შინაგან ორგანოებზე? იქნება ჩვენს გარეგნობაზეც ილაპარაკებს? ეს რა სისულელე ჩაგიდენია, ჰენრი?

**ჰიგინსი** — (მოუთმებლად) კი, მაგრამ რაიმეზე ხომ უნდა ილაპარაკოს (თავს შეიკავებს და ჯდება) ნუ აფორიაქდი, თავს წესიერად დაიჭერს, პიკერინგიც ამ საქმის მონაწილეა. მასთან დანაძლევებული ვარ, რომ ეს გოგონა ექვს თვეში ჰერცოგის ასულს დაგამსგავსო, რამდენიმე თვეა მეცადინეობა დავიწყე. საოცარი სისწრაფით ითვისებს ყველაფერს. სანაძლეოს უსათუოდ მოვიგებ. მახვილი ყურის პატრონია. ჩვენი ბურუუების ქალიშვილებზე უკეთ სწავლობს, ვინაიდან მას სრულიად ახალი ენის შესწავლა უხდება. ინგლისურად ისევე კარგად ლაპარაკობს, როგორც შენ ფრანგულად.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ასე თუა, ყოველ შემთხვევაში კარგია.

**ჰიგინსი** — კარგიცაა და კიდეც არაა კარგი.

**ქ-ნი ჰიგინსი** — რათა?

**ჰიგინსი** — აი, რა! გამოთქმები გავუსწორე, მაგრამ საქმე მარტო ის როდია, როგორ გამოთქვამს. საქმე ისაა, რას გამოთქვამს. ამიტომაც...

(მათ საუბარს აწყვეტინებს მოსამსახურე ქალი, რომელიც სტუმრების მოსკლას აუწყებს).

**მოსამსახურე ქალი** — მისის ეინსფორდ ჰილი, მის ეინსფორდ ჰილი. (გადის)

**ჰიგინსი** — ოჰ, ღმერთო ჩემო (წამოდგება, სასწრაფოდ აიღებს შლაპას მაგიდიდან და კარისაკენ გაემართება, მაგრამ, ვიდრე იქამდე მიაღწევდეს, დედა სტუმრებს აცნობს. მისის ეინსფორდ ჰილი და მის ეინსფორდ ჰილი ის დედა და ქალიშვილია, რომელიც წვიმის დროს კოვენტ გარდენში შეეფარნენ. დედა კარგად აღზრდილი დინჯი ქალია, როგორც ჩანს, დარიბია და ეს ანუხებს კიდეც. ქალიშვილს ეტყობა, რომ ადვილად უშინაურდება ამა თუ იმ საზოგადოებას. თავს ძალად იმხიარულებს — სიღარიბეს არ იმჩნევს).

**მისის ეინსფორდ ჰილი —** (ქ-ნ ჰიგინსს) საღამო მშვიდობისა. (ხელს ართმევს).

**ქ-ნი ჰიგინსი —** ჩემი ვაჟიშვილი, ჰენრი.

**მისის ჰილი —** თქვენი სახელგანთქმული ვაჟიშვილი? როგორ მენატრებოდა თქვენთან შეხვედრა, პროფესორო ჰიგინს.

**ჰიგინსი —** (პირქუმად, მისის ეინსფორდ ჰილისკენ ფეხსაც არ გადადგამს) მოხარული ვარ. (როიალისკენ დაიხევს და უხეშად ესალმება).

**მის ჰილი —** (შინაურულად მივა ჰიგინსთან) საღამო მშვიდობისა.

**ჰიგინსი —** (გაოცებით შესცერის) სადღაც მინახავხართ, წარმოდგენაც არა მაქვს სად, მაგრამ თქვენი ხმა უთუოდ გამიგონია. (მოწყილად) თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჯობია დაბრძანდეთ.

**ქ-ნი ჰიგინსი —** უნდა ვალიაროთ, რომ ჩემმა სახელგანთქმულმა ვაჟიშვილმა არ იცის საზოგადოებაში როგორ მოიქცეს და გთხოვთ, თქვენც არ მიაქციოთ ყურადღება.

**მის ჰილი —** (მხიარულად) ჩემთვის სულერთია. (ჩამოჯდება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

**მისის ჰილი —** (განაწყენებული) ჩემთვის კი არაა სულერთი.

(ტახტზე დაჯდება თავის ქალიშვილსა და ქ-ნ ჰიგინსს შორის, რომელმაც საწერ მაგიდას მოაშორა სკამი).

**ჰიგინსი —** უხეშად ხომ არ მოგექცით? უნებურად მომივიდა (ზურგ-შექცეული დაჯდება შუა ფანჯარასთან და გაპყურებს მდინარესა და ბატერსის პარკის ყვავილნარს ტემზას გაღმა, რომელიც ისე მოჩანს, თითქოს ყინულით დაფარული უდაბნო იყოს. მოსამსახურე ქალი შემოდის და აცნობებს პოლკოვნიკი პიკერინგის მოსვლას).

**მოსამსახურე ქალი —** პოლკოვნიკი პიკერინგი (გადის).

**პიკერინგი —** საღამო მშვიდობისა, ქალბატონო ჰიგინს.

**ქ-ნი ჰიგინსი —** მოხარული ვარ, რომ მობრძანდით. გაიცანით, მისის ჰილი, მის ჰილი (თავს უკრავენ ერთიმეორეს. პოლკოვნიკი დაიდგამს ჩიპენდალის სკამს, მისის ჰილსა და ჰიგინსის წინ და დაჯდება).

**პიკერინგი —** გითხრათ ჰენრიმ რისთვის მოვედით?

**ჰიგინსი —** (მხოლოდ თავს მოაბრუნებს) ვინ გაცალა? დასწყევლოს ლმერთმა, სიტყვა გაგვაწყვეტინეს.

**ქ-ნი ჰიგინსი —** მართლა და მართლა, გეყოფა, ჰენრი, გეყოფა (მისის ნახევრად წამომდგარი).

**მისის ჰილი —** ჩვენ ხომ არ გიშლით?

**ქ-ნი ჰიგინსი —** (ადგება და ისევ დასვამს ადგილზე) არა, არა, რას ბრძანებთ? ჰიგინსი, დროზე მოხვედით. ერთ ჩვენს მეგობარს უნდა შეგახვედროთ.

**ჰიგინსი —** (მობრუნდება დაიმედებული) ლმერთმანი, ასე იყო. ჩვენ ორი-სამი კაცი მაინც გვინდოდა. ნეტავი, თქვენ გარდა კიდევ ვინმე მოვიდოდეს. (შემოვა მოსამსახურე ქალი და ფრედის მოსვლას ამცნობს).

**მოსამსახურე ქალი** — მისტერ ჰილი.

**ჰილი** — (ხმამაღლა, მოთმინებადაკარგული) ღმერთო ჩემო, კიდევ ამათი ოჯახიდან.

**ფრედი** — (ხელს ართმევს ქ-ნ ჰილისს) გაუ!

**ქ-ნი ჰილი** — ძალიან კარგია, რომ მობრძანდით. (აცნობს) პოლკო-ვნიკი ჰიკერინგი.

**ფრედი** — (თავს უქნევს) გაუ!

**ქ-ნი ჰილი** — მგონი, არც ჩემს ვაჟს იცნობთ? პროფესორი ჰილისი.

**ფრედი** — (მივა ჰილისთან) გაუ! (ჰილისი ისე უყურებს, თითქოს ფრე-დი ჯიბგირი იყოს)

**ჰილი** — დავითიცებ, რომ სადღაც უსათუოდ მინახავხართ. ნეტავი სად?

**ფრედი** — მე კი — არა მგონია.

**ჰილი** — (მშვიდად) თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს სად? დაბრძან-დით.

(ხელს ართმევს ფრედის და თითქმის ძალად დასვამს ტახტზე პირით ფანჯრისაკენ და თვითონ მხრიდან შემოუვლის).

**ჰილი** — აჲა, შევიკრიბენით, მაგრამ (მისის ჰილის მარცხნივ და-ჯდება ტახტზე) ელიზას მოსვლამდე რა ჯანდაბაზე ვილაპარაკოთ?

**ქ-ნი ჰილი** — ჰენრი, სამეფო სამეცნიერო საზოგადოების სული და გული შენა ხარ, მაგრამ რა მოგივიდა, რომ ჩვეულებრივ საზოგადოებას სრულებით ვერ იტან?

**ჰილი** — მართლა? ვწუხვარ, თუ ასეა. (სახე გაუბრწყინდება) თუმ-ცა, მართალი ხარ, მართალი, ასეთი ვარ, ასეთი. (როხროხით) ხა, ხა, ხა.

**მის ჰილი** — (რომელიც ჰილისს შესცეკრის, როგორც სასურველ საქმ-როს) ეგ მომწონს, არც მე მიყვარს ცერემონიებით ლაპარაკი. ნეტავი ადამიანები გულწრფელები იყვნენ და იმას ამბობდნენ, რასაც ფიქრობენ.

**ჰილი** — (მოიღუშება) ღმერთმა დაგვიფაროს.

**მისის ჰილი** — (ყური მოჰკრა თავისი ქალიშვილის უკანასკნელ სიტყვებს) რატომ?

**ჰილი** — რაზედაც ისინი ფიქრობენ, კარგი ნაფიქრალიაო, — საკ-მაოდ ცუდი ნაფიქრალია. ღმერთმა უწყის, რომ, თუ მათი ნაფიქრალი ახდა, ყველაფერი აირ-დაირევა. როგორა გგონიათ, კარგი იქნება, რომ მე ახლა საჯაროდ გამოვთქვა, რასაც ვფიქრობ?

**მისის ჰილი** — ასეთ ცუდს რას ფიქრობთ?

**ჰილი** — ცუდი? ვინ ეშმაკმა თქვა ცუდიო? ცუდი კი არა, მე მგონია კარგ რამეს ვფიქრობ.

**მისის ჰილი** — (სერიოზულად) მჯერა, რომ გულში ისე არა ფიქრობთ, მისტერ ჰილის.

**ჰილი** — აი, მომისმინეთ. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ველურები ვართ, და მაინც მივაჩნივართ ცივილიზებულ და კულტურულ ხალხად,

რომელსაც ესმის პოეზია, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება და ასე შემდეგ. მაგრამ, მითხარით, რამდენ ჩვენთაგანს გაეგება თუნდაც მხოლოდ ამ სიტყვების მნიშვნელობა? (მის ჰილს) რა გესმით თქვენ პოეზიის? (მისის ჰილს) თქვენ მეცნიერების რა გესმით? (მიუთითებს ფრედიზე) ან ამან რა იცის ხელოვნებისა, ან მეცნიერებისა, ან სხვა რაიმესი, ანდა, როგორა გვინიათ, რა ჯანდაბა მესმის მე ფილოსოფიისა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ანდა საზოგადოებაში თავის დაჭერისა.

**მოსამსახურე ქალი** — (კარს შემოაღებს) მის დულიტლი. (გადის)

**ჰიგინსი** — (სწრაფად დგება და მიდის ქ-ნ ჰიგინსთან) მოვიდა, დედა. (ფეხისწვერზე შედგება და თვალებით ანიშნებს რომელია დედამისი, რათა ელიზა მიხვდეს, ვინაა მისი მასპინძელი. ელიზა მშვენივრადაა მორთული. ერთბაშად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი სილამაზით მოხიბლულები ფეხზე დგებიან. ჰიგინსის ნიშნების თანახმად, ნასწავლი მოხდენილობით მივა ქ-ნ ჰიგინსთან).

**ელიზა** — (პედანტურად იცავს გამოთქმის წესებს. ლაპარაკობს ლამაზად და მუსიკალურად) სალამო მშვიდობისა, ქალბატონო ჰიგინს! („ჰ-ს წარმოთქმის დროს ცოტა შეიბორძიკებს, მაგრამ საბოლოოდ კარგად გამოთქვამს) ბატონმა ჰიგინსმა დამრთო თქვენთან მოსვლის ნება.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (გულწრფელად) კარგი უქნია. ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა.

**ჰიკერინგი** — სალამო მშვიდობისა, ქალბატონო დულიტლ.

**ელიზა** — (ხელს ართმევს) ეს თქვენა ბრძანდებით, პოლკოვნიკო ჰიკერინგ?

**მის ჰილი** — სადღაც შემხვედრიხართ, ქალბატონო დულიტლ, თქვენს თვალებს ვცნობ.

**ელიზა** — სალამო მშვიდობისა. (ჰიკერინგის გვერდზე მოხდენილად ჯდება).

**მისის ჰილი** — (აცნობს) ჩემი ქალიშვილი კლარა.

**ელიზა** — სალამო მშვიდობისა.

**კლარა** — (თითქოს უნებურად) სალამო მშვიდობისა. (დაჯდება ტახტზე ელიზას გვერდით და მას გამწყრალი თვალებით შესცეკრის).

**ფრედი** — (გადმოვა მათ მხარეზე) მე კი ნამდვილად მქონდა პატივი მენახეთ.

**მისის ჰილი** — (აცნობს) ჩემი ვაჟიშვილი ფრედი.

**ელიზა** — სალამო მშვიდობისა (ფრედი თავს დაუკრავს და თავგზააბ-ნეული ჩაჯდება ელისაბედისძროინდელ სავარძელში).

**ჰიგინსი** — (ერთბაშად) სწორედ ასეა, გამახსენდა, გამახსენდა. (ყველა მას შეაჩერდა) კოვენტ გარდენში. რა დაწყევლილი მეხსიერება მაქვს?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი! (ჰიგინსი მაგიდის კიდეზე აპირებს ჩამოჯდომას) საწერ მაგიდაზე ნუ ჯდები, გატეხავ.

**ჰიგინსი** — (გულმოსული) ბოდიში. (მიდის დივანისაკენ. ფეხს

წამოჰკრავს მაშებსა და მათ დასადგამს. ბუზღუნითა და წყევლით განა-გრძობს გზას და თავისი ამ უბედური მგ ზავრობის დასასრულს ისე მა-გრად დაეშვება დივანზე, რომ კინალამ ჩაამტვრევს. ქ-ნი ჰიგინსი შეხე-დავს შვილს, მაგრამ თავს შეიკავებს და არაფერს ეტყვის. ამას მოსდევს ხანგრძლივი და მძიმე დუმილი).

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ბოლოს და ბოლოს დაარღვევს სიჩუმეს) როგორ გონიათ, გაწვიმდება?

**ელიზა** — ბრიტანეთის კუნძულების დასავლეთიდან ცვალებადი მოღ-რუბლულობა, როგორც ეტყვობა, აღმოსავლეთისაკენ მძიმე-მძიმედ მიე-მართება. ბარომეტრი არ მიუთითებს ამინდის შესამჩნევ მოსალოდნელ ცვლილებებზე.

**ფრედი** — ხა, ხა, ხა, რა სასაცილოა.

**ელიზა** — რა გამოვთქვი ცუდად, ახალგაზრდავ?

**ფრედი** — გასაყეყეჩებელია.

**მისის ჰილი** — იმედი მაქვს არ აცივდება, ისეა ინფლუენცია მოდებული. ყოველ გაზაფხულზე უთუოდ ემართება ინფლუენცია მთელ ჩვენს ოჯახს.

**ელიზა** — (მოწყენილი) როგორც ამბობენ, ბიცოლაჩემიც ინფლუენ-ცით მომკვდარა.

**მისის ჰილი** — (ენას მრავალმნიშვნელოვნად აწკლაპუნებს).

**ელიზა** — (იმავე ტრაგიკული ტრინით) მაგრამ, მე მგონია, რომ ინფლუ-ენცია მხოლოდ ბებრუცუნებს უგრეხს კისერს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (შემკრთალი) კისერს უგრეხს?

**ელიზა** — დ-დიახ! თქვენ ღმერთმა დაგითაროთ. იცით, ბიცოლაჩემი რო-გორ მოკლა ინფლუენციამ? ერთი წლით ადრე დიფთერიტი მოიხადა. ჩემი საკუთარი თვალებითა ვნახე. სულ გალურჯებული იყო, ყველას ეგონა მკვდარია, მაგრამ მამაჩემმა იმდენი სპირტი ასვა და ასვა კოვზით, რომ საწყალი ქალი ერთპაშად მოვიდა გონს და კოვზს კინალამ პირი მოაჭამა.

**მისის ჰილი** — (შემკრთალი) ღმერთო ჩემო.

**ელიზა** — (აზვიადებს ამბავს) აბა, თვითონა თქვით, როგორ უნდა მორეოდა ისეთ ღონიერ ქალს გრიპი? ანდა სად წავიდა მისი ახალი ჩალის ქუდი, რომელიც ჩემთვის უნდა მოეცა? ანაპნეს და იცით რა გითხრათ? იმის ასაწაპნავად გააცხებინეს სული.

**მისის ჰილი** — სულის გაცხებინება რას ნიშნავს?

**ჰიგინსი** — (სწრაფად) ეს ახალი გამოთქმაა. სულის გაცხებინება ნიშ-ნავს მოკვლას.

**მისის ჰილი** — (ელიზას, შეშინებული) დარწმუნებული ხართ, რომ ბი-ცოლათქვენი მოკლეს?

**ელიზა** — როგორ არა, ისეთ ხალხთან ცხოვრობდა, რომ ქუდისათვის კი არა, ქუდის ქინძისთავისათვისაც კი მოკლავდნენ.

**მისის ჰილი** — არც მამაშენი მოქცეულა კარგად. იმდენი სპირტი რომ ასვა და ასვა, იმასაც ხომ შეეძლო მოეკლა?

**ელიზა** — არა, სპირტი დედის რძე იყო ბიცოლაჩემისათვის. ესეც არ იყოს, მამაჩემს იმდენი სპირტი ჩაუსხამს ყანყრატოში, რომ იცის მისი ყადრი.

**მისი ჰილი** — რაო? თვრება?

**ელიზა** — თვრება რომელია, ყოველთვის გამოლეშილია.

**მისის ჰილი** — რა საშინელება იქნება ეს თქვენთვის?

**ელიზა** — სრულიადაც არა. ჩემს დღეში არ მინახავს, რომ მამაჩემისათვის სპირტს ეწყენინებინოს. მერე ყოველთვის ხომ არ სვამდა? (მხო-არულად) ქეიფის დროს თვრებოდა, დროგამოშვებით. ცოტა ნასვამი თუ იყო, უფრო მშვიდი და მოსიყვარულე ხდებოდა. თუ არ მუშაობდა, დედა 4 პენსს მისცემდა და ეტყოდა: ნადი ახლა და მანამდე არ მოხვიდე, სანამ იმდენს არ დალევ, რომ მხიარული და მოსიყვარულე გახდეო. ბევრია ისეთი ქალები, რომლებიც იმისათვის ათრობენ ქმრებს, რომ მათთან ცხოვრება შეიძლებოდეს (თავისუფლად) იცით, ეს ასე რატომ ხდება? თუ კაცს სინდისის ნატამალი მაინც გააჩნია, სიფხიზლეში გააჩნია და ის ხდის უგუნებოდ, ჰოდა, როგორც კი თვრება, სინდისი ქრება და კაციც ბედნიერდება. (ფრედის, რომელიც სიცილს ვერ იკავებს) რაო, რას იკრიჭები?

**ფრედი** — თქვენ მშვენივრად ხმარობთ ახალ გამოთქმებს.

**ელიზა** — თუ კარგად ვხმარობ, მაშ რაღას იკრიჭები? (ჰიგინსს) განაისეთი რამე ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ჩაერევა) სრულიადაც არა, ქალბატონო დულიტლ.

**ელიზა** — ესეც კარგია. (გულახდილად) უნდა გითხრათ, რომ...

**ჰიგინსი** — (ადგება და საათს დახედავს) ო-ჰო.

**ელიზა** — (შეხედავს ჰიგინსს, მიხვდება რას ანიშნებენ და დგება) დიახ, მე უნდა წავიდე (ყველანი დგებიან, ფრედი მიდის კარისაკენ). მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა. ნახვამდის. (ხელს ართმევს ქ-ნ ჰიგინსს).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ნახვამდის.

**ელიზა** — ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ.

**პიკერინგი** — ნახვამდის, ქალბატონო დულიტლ (ხელს ართმევენ ერთ-მანეთს).

**ელიზა** — (თავს უკრავს დანარჩენებს) ნახვამდის, ნახვამდის!

**ფრედი** — (კარს უდებს) პარკისაკენ მიდიხართ, ქალბატონო დულიტლ? თუ ასეა...

**ელიზა** — (ამბობს დახვენილი დიქციით) ფეხით? არა. ფეხით? ბებია გიცხონდეს! (სენსაცია) ტაქსით მივდივარ. (გადის, პიკერინგი ამოიოხრებს და დაჯდება. ფრედი აივანზე გადის, რომ ელიზას ერთხელ კიდევ შეავლოს თვალი).

**მისის ჰილი** — (ჯერ კიდევ ელდანაცემი) ვერა, მე ვერ შევეჩვევი ამ ახალ გამოთქმებს.

**კლარა** — (უკმაყოფილოდ ჩაეშვება ელისაბედისდროინდელ სავარძლები) ოპ, ეს არაფერია, დედი, არაფერი. ნუ გაიოცებ, თორემ, თუ დაინახავენ, რომ ასეთი ძველი ყაიდისა ხარ, ხალხი იფიქრებს, თითქოს არსად დავდიოდეთ და არაფერი გვენახოს.

**მისის ჰილი** — მე არა მრცხვენია ვალიარო, რომ ძველი ყაიდისა ვარ. მაგრამ იმედი მაქვს, შენ არ იხმარ ამ გამოთქმებს. მე შევეჩვიე შენგან ისეთი სიტყვების გაგონებას, როგორიცაა: „გარენარი“, „ჭუჭყიანი“, „მხეცური“, თუმცა ლედისათვის ესენიც შეუფერებელ სიტყვებად მიმაჩნია. ეგ უკანასკნელი გამოთქმა კი მეტისმეტია. თქვენ როგორ ფიქრობთ, პოლკოვნიკო პიკერინგ?

**პიკერინგი** — ნუ მეკითხებით. რამდენიმე წელი დავყავი ინდოეთში და ისე გამოცვლილა აქაური მეტყველება, რომ ხშირად ვერ გამირკვევია წესიერ საზოგადოებაში ვარ თუ მეზღვაურების კაიუტაში.

**კლარა** — ეს ჩვევის საქმეა. სწორი და არასწორი მეტყველებაში არ არსებობს. ასეთ სიტყვებს განვებ არავინ იგონებს, მაგრამ ისინი მაინც მიმზიდველნი არიან, რადგანაც ხანდახან მეტად გონებამახვილურად და ხაზგასმით გამოხატავენ ზოგიერთ რამეს, რომელშიაც თავისთავად არაფერია გონებამახვილური. ეს ახალი გამოთქმა, ჩემი აზრით, მშვენიერიცაა და მიამიტურიც.

**მისის ჰილი** — (დგება) კარგი, გეყოფა ამაზე ლაპარაკი. დროა წავიდეთ (პიკერინგი და ჰიგინსი დგებიან).

**კლარა** — (დგება) დროა, დრო. თორემ ამ საღამოს კიდევ სამ ადგილას უნდა შევიაროთ. ნახვამდის, ქალბატონო ჰიგინს. ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ, ნახვამდის, პროფესორო ჰიგინს.

**ჰიგინსი** — (მოღუშული მივამასთან და მიაცილებს კარებამდე) ნახვამდის. სამგანვე იხმარეთ ეს ახალი გამოთქმა. არ დაგავიწყდეთ. გაბედულად იხმარეთ.

**კლარა** — (სახეგაბადრული) ვეცდები, ნახვამდის, ნამდვილი სისულე-ლეა ეს ვიქტორიანული წესიერება.

**ჰიგინსი** — (აქეზებს) წყეული სისულელეა.

**კლარა** — ბებია უცხონდეს.

**მისის ჰილი** — (შეშფოთებული) კლარა!

**კლარა** — ხა, ხა, ხა. (გადის იმის შეგნებით სახეგაღიმებული, რომ სავსებით თანამედროვე გოგოა. კიბეზე სიცილ-კისკისით ჩადის).

**ფრედი** — (ზეცას) შენ გემუდარები... (განყვეტს სიტყვას და მივა ქ-ნ ჰიგინსთან) ნახვამდის.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ხელს ართმევს) ნახვამდის. გინდათ ისევ შეხვდეთ ქალბატონ დულიტლს?

**ფრედი** — (მოუთმენლად) მინდა, ძალიან მინდა.

**ქ-ნი ჰიგინსი** — მერე, ხომ იცით ჩემი მიღების დღეები?

**ფრედი** — ვიცი, დიდად გმადლობთ. ნახვამდის. (გადის)

**მისის ჰილი** — (პიკერინგს) ვერა, ვერა, იმ სიტყვას მე ვერ შევეჩვევი.

**პიკერინგი** — არცაა საჭირო, ვინ გაძალებთ, გინდათ თუ არა, იხმარეთო? უიმისოდაც იოლად გახვალთ.

**მისის ჰილი** — მხოლოდ საქმე ისაა, რომ კლარა ძალიან მიჯავრდება, რატომ ახალ-ახალ გამოთქმებს არ ხმარობო. ნახვამდის.

**პიკერინგი** — ნახვამდის.

**მისის ჰილი** — (ქ-ნ ჰიგინს) არ გაგიკვირდეთ კლარასაგან. (მისის ჰილის გადასვლა ჩურჩულზე მიახვედრებს პიკერინგს, რომ მათი საუბარი მის მოსასმენად არაა განკუთვნილი. ფეხაკრეფით მივა ჰიგინსთან, რომელიც ფანჯარასთან დგას) ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ. იშვიათად თუ დავდივართ სადმე. საბრალო გოგო! არც კი იცის, როგორ მოიქცეს საზოგადოებაში. (ქ-ნი ჰიგინსი როცა დაინახავს აცრემლებულ მისის ჰილს, თანაგრძნობით მოჰკიდებს ხელს და წაიყვანს კარებისაკენ) ბიჭი კი კარგი მყავს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჩინებული ყმაწვილია. ყოველთვის გამახარებს მისი ნახვა.

**მისის ჰილი** — ნახვამდის, ძვირფასო, ნახვამდის. (გადის)

**ჰიგინსი** — (მოუთმენლად) როგორაა საქმე? შეიძლება ელიზას კარგ საზოგადოებაში გარევა თუ არა? (ხელს ჰკიდებს დედას და მიჰყავს ტახტი-საკენ, სადაც ქალბატონი ჰიგინსი ელიზას ადგილზე ჯდება, ჰიგინსი მის მარცხნივ; პიკერინგი კი ქალბატონნი ჰიგინსის მარჯვნივ დაჯდება სკამზე).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ოჟ, რამ გამოგასულელა, ბიჭო. რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ელიზა თერძისა და შენი ხელოვნების გამარჯვებაა, მაგრამ ერთი წუთითაც თუ წარმოგიდგენია, რომ ყოველ წინადადებაში არ ამჟღავნებს თავის თავს, მაშინ გაუგიუებიხარ და ეგ არის.

**პიკერინგი** — მაგრამ, თქვენი აზრით, ზოგი რამის გაკეთება ხომ შეიძლება? თუნდაც მისი მეტყველებიდან უშვერი გამოთქმების მოცილების თვალსაზრისით.

**ქ-ნი ჰიგინსი** — სანამ ჰენრის ხელშია, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

**ჰიგინსი** — (ნაწყენი) რა, მე ენა არ მივარგა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — არ გივარგა, ჩემო კარგო. შენი ენა მარტო მეზღვაურებისათვის არის გამოსადეგი. მაგრამ ელიზას საზოგადოებაში გამოსაყვანად კი, რა მოგახსენო.

**ჰიგინსი** — (ღრმად შეურაცხყოფილი) უნდა გითხრათ, რომ...

**პიკერინგი** — (ანყვეტინებს) აი, რა, ჰიგინს, დროა, საკუთარ თავს იცნობდეთ. იმისთანა სიტყვები, რომელსაც შენ ხმარობ, მართალი გითხრა, ოცი წლის წინათ ჰაიდ პარკში მე და შენ მოხალისებს რომ ვათვალიერებდით, მას შემდეგ არა მსმენია.

**ჰიგინსი** — (გულმოსული) თქვენ ისე ამბობთ, თითქოს, თუ ყოველთვის ეპისკოპოსივით არ ვილაპარაკებ, დამნაშავე ვიყო.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ხელს შეახებს და ამშვიდებს ჰენრის) პოლკოვნიკო პიკერინგ, ვერ მეტყვით, დანამდვილებით რა კეთდება უიმპოლის ქურაზე?

**პიკერინგი** — (გახარებული, თითქოსდა ამ კითხვას საუბრის თემა შეეცვალოს) მე იქ ჰენრისთან ჩამოვედი, ინდურ დიალექტებზე ვმუშაობთ, პოდა, უფრო მოხერხებულად მიგვაჩინია....

**ქ-ნი ჰიგინსი** — ეგ არ მაინტერესებს, ეგ ყველაფერი ვიცი, კარგად მოგინვეიათ საქმე; მაგრამ ერთი ეს მითხარით: ის გოგო სად ცხოვრობს?

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, ჩვენთან. აბა, სად უნდა იცხოვროს?

**ქ-ნი ჰიგინსი** — რა პირობით? ხელზე მოსამსახურეა თუ ვინ არის, რა არის?

**პიკერინგი** — (მშვიდად) მგონი, მივხვდი, რისი თქმაც გნებავთ, ქალბატონო ჰიგინს!

**ჰიგინსი** — წყეული ვიყო, რამე თუ მესმოდეს. ეს რამდენიმე თვეა, რაც იმ გოგონასთან ვმუშაობ, რომ ისეთი გამეხადა, როგორიც ახლაა. ესეც არ იყოს, ელიზა ჩემთვისაც სასარგებლოა. იცის, სად აწყვია ჩემი ნივთები და მაგონებს ხოლმე, როდის რა გავაკეთო.

**ქ-ნი ჰიგინსი** — შენი მნე-ქალი როგორ შეეწყო?

**ჰიგინსი** — ქალბატონი პირსი? ძალიან გახარებულია, რომ ბევრი საქმე მოაკლდა. ელიზას მოსვლამდე, მას უნდა მოენახა ჩემი ნივთები და მოეგონებინა, როდის რა გამეკეთებინა. მაგრამ ბოლო დროს ელიზას შესახებ რაღაცა აიჩემა და სულ ჩამჩიჩებს: „არ ფიქრობთ, ბატონო“, „არ ფიქრობთ“, ხომ ასეა, პიკერინგ?

**პიკერინგი** — სწორედ რომ ასეა. აჩემებული აქვს, თქვენ არა ფიქრობთ, ბატონოო, და ყოველ საუბარს, რომელიც ელიზას ეხება, ამით ამთავრებს.

**ჰიგინსი** — თითქოსდა მე ოდესმე შემწყვიტოს ფიქრი როგორც ელიზაზე, ისე მის წყეულ ხმოვნებსა და თანხმოვნებზე. ის კი არა, დავიღალე როგორც მათზე ფიქრით, ასევე ელიზას ტუჩების, კბილებისა და ენის ყურებითაც, სული რომ არც კი ვახსენოთ, რაც ამათში ყველაზე უმნიშვნელოა.

**ქ-ნი ჰიგინსი** — თქვენ ორივენი მართლაც რომ ნამდვილი ბავშვები ხართ. ცოცხალ დედოფალას ეთამაშებით.

**ჰიგინსი** — ვეთამაშებით? თამაში კი არა, დედა, ამაზე მძიმე შრომა არასოდეს გამინევია, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა საშინლად საინტერესოა, აიყვანო ადამიანური არსება და სრულიად განსხვავებულ არსებად იმით გარდაქმნა, რომ შეუქმნა ახალი სალაპარაკო ენა, ურომლისობაც ლრმა უფსკრულს ქმნის და აშორებს როგორც კლასს კლასისაგან, ისე სულს სულისაგან.

**პიკერინგი** — (სკამს ქ-ნ ჰიგინსთან მისწევს და მისკენვე გადაიხრება) დიახ, მეტად საინტერესოა. ქ-ნი ჰიგინს, დამიჯერეთ, რომ ელიზას ძალიან სერიოზულად მოვკიდეთ ხელი. არა მარტო ყოველ კვირას,

არამედ თითქმის ყოველ დღეს რაიმე ცვლილება მოაქვს. (უფრო ახლო მინევს) ჰოდა, ვიწერთ ყოველ სიახლეს. უამრავი ფირი ჩავწერეთ და ფოტოსურათი გადავიღეთ.

**ჰიგინსი** — (მეორე ყურში ჩასძახებს) ღმერთმანი, ასეთი ცდისათვის, რომელიც მთელ დროს მართმევს, ხელი არასდროს მომიკიდია, მთელ ჩვენს ცხოვრებას ელიზა ავსებს, არა, პიკერინგ?

**პიკერინგი** — სულ ელიზაზე ვლაპარაკობთ.

**ჰიგინსი** — ელიზას ვასწავლით.

**პიკერინგი** — ელიზას ვაცმევთ.

**ქ-ნი ჰიგინსი** — რაო?

**ჰიგინსი** — ვიგონებთ ახალ ელიზას.

ლაპარაკობენ ერთად

**პიკერინგი** —

**ჰიგინსი** —

ისეთი არაჩვეულებრივად მახვილი ყური აქვს.. დამიჯერეთ, ჩემო დვირფასო, ქალბატონო ჰიგინს, რომ ეს გოგო...

**ჰიგინსი** — როგორც თუთიყუშს. მე ვავარჯიშე ის...

**პიკერინგი** — პირდაპირ გენია. მშვენივრად უკრავს როიალზე.

**ჰიგინსი** — ყოველგვარი ადამიანური ბგერების გამოთქმაში, რაც გვხვდება...

**პიკერინგი** — გვყავდა კლასიკური მუსიკის კონცერტზე და მიუზიკ...

**ჰიგინსი** — კონტინენტის დიალექტებში, აფრიკულ დიალექტებში...

**პიკერინგი** — ჰოლში... იმისთვის ორივე ერთნაირად... ადვილია: რასაც ყურს მოჰკრავს ან მოისმენს...

**ჰიგინსი** — ჰოტენტოტის კილოკავებში, რომელთა გაგებას მე წლობით მოვუნდი...

**პიკერინგი** — და, სახლში რომ მოვა, ყველაფერს უკრავს, ბეთჰოვენი...

**ჰიგინსი** — ისე სწრაფად აითვისა, რომ გეგონებოდათ მთელი...

**პიკერინგი** — იქნება ეს თუ ბახი, ლეპარი თუ ლიონელ მონკტონი: თუმცა...

**ჰიგინსი** — თავისი სიცოცხლე სულ ამ კილოზე ლაპარაკობდაო.

**პიკერინგი** — ამ ექვს თვემდე როიალისთვის თითიც არ დაუკარებია.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ყურებს დაიცავს, რადგან ჰიგინსი და პიკერინგი საჭირდად ლრიალებენ) ო-ო-ო-ო! (გაჩუმდებიან)

**პიკერინგი** — ბოდიში, ქალბატონო (სინანულით სკამს უკან გასწევს).

**ჰიგინსი** — ბოდიში, პიკერინგი რომ ყვირილს გააპამს, კაცს არ მოუსმენს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — გაჩუმდი, ჰენრი. პოლკოვნიკო პიკერინგ, რატომ არ გესმით, რომ, როცა ელიზა უიმპოლის ქუჩაზე მოვიდა, თან რაღაცაც მოჰყვა?

**პიკერინგი** — მამამისი, მაგრამ ჰენრიმ მალე გაისტუმრა.

**ქ-ნი ჰიგინსი** — აჯობებდა, დედამისს გადაეწყვიტა ეს საქმე, მაგრამ, რაკი მან ვერ გადაწყვიტა, მისი გადაჭრა ვინმე სხვამ უნდა იკისროს.

**პიკერინგი** — რა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ძალაუნებურად, ერთი სიტყვით გასცემს თავის თავს, რომ აღზრდილია მორისის იდეებზე) ესაა პრობლემა.

**პიკერინგი** — მიგიხვდით, მიგიხვდით, პრობლემაა, როგორ ვაქციოთ ლედიდ.

**ჰიგინსი** — ეს პრობლემა მე უკვე გადავჭერი, ნახევრად გადავჭერი.

**ქ-ნი ჰიგინსი** — რა სულელები ხართ ორივენი? რატომ ვერ ხვდებით? ესაა პრობლემა, თუ რა გზას დაადგეს შემდეგში ელიზა?

**ჰიგინსი** — ამაში მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენთან მოპოვებული უპირატესობებით გზა ხსნილი აქვს, საითაც უნდა, იქით წავიდეს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — აბა, რა უპირატესობა გააჩნია იმ საბრალო ქალს, რომელიც ეს-ეს არის აქ იყო! თუ ლედიდ ისე იქცა, რომ ლედის შემოსავალი არ ექნება, ლედის მიხრა-მოხრა და ჩვევები, ცხადია, ხელს შეუშლის თავისი ოფლით მოიპოვოს პური არსებობისა. ესაა უპირატესობა?

**პიკერინგი** — (დამნაშავესავით, თითქოს პატივებას ითხოვსო) არა, არა, უპატრონოდ არ დავტოვებთ, ქალბატონო ჰიგინს (წასასვლელად დგება).

**ჰიგინსი** — (ისიც დგება) ვუშოვით რაიმე მსუბუქ სამუშაოს.

**პიკერინგი** — ელიზა საკმაოდ ბედნიერია. თქვენ მასზე ნუ სწუხხართ. ნახვამდის (ისე ართმევს ხელს, თითქოსდა შეშინებულ ბავშვს ამშვიდებსო და კარისაკენ გაემართება).

**ჰიგინსი** — მართლაც რომ ასეა. ამაზე დარდს ახლა აზრი არა აქვს. ყველაფერი მოგვარდება. ნახვამდის, დედა (აკოცებს და პიკერინგს გაჰყვება).

**პიკერინგი** — (შემობრუნდება საბოლოო ნუგეშისცემისათვის) ათასი შესაძლებლობაა. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ნახვამდის.

**ჰიგინსი** — (კარებში გამავალ პიკერინგს) მოდი, წავიყვანოთ ერლს კორტში, შექსპირის გამოფენაზე.

**პიკერინგი** — კარგი, კარგი. წავიყვანოთ, მშვენიერ შენიშვნებს გააკეთებს.

**ჰიგინსი** — შინ რომ დავბრუნდებით, ყველას გამოაჯავრებს.

**პიკერინგი** — ჩინებული აზრია (სიცილით ჩადიონ).

**ქ-ნი ჰიგინსი** — (შეშფოთებული დგება და უბრუნდება თავის სამუშაოს საწერ მაგიდაზე, წესრიგში მოჰყავს მიყრილ-მოყრილი ქაღალდები, უჯრიდან იღებს ერთ ფურცელ ქაღალდს და გადაწყვეტს აუცილებლად წეროს, მაგრამ არ გამოსდის, მესამედ თავს მიანებებს. დააგდებს საწერკალამს. დატოვებს მაგიდას და გულმოსული წარმოთქვამს).

ოხ, მამაკაცებო! მამაკაცებო! მამაკაცებო!!!

ცხადია, ელიზა ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ჰერცოგის ასულად.

ჰიგინსს ჯერ კიდევ არ მოუგია სანაძლეო. თუმცა ჯერ კიდევ არ გასულა ექვსი თვეც. თავის დროზე იგი გარდაიქმნება ჰერცოგის ასულად, იმაში გასარკვევად, თუ როგორ მიაღწია ამას ელიზამ, წარმოიდგინეთ ლონ-დონის საელჩოს შენობა იმავე ზაფხულში, შებინდებისას. ქუჩის მხრიდან დარბაზის კარებზე, სტუმრების მიღების ნიშნად გაუკრავთ ხალიჩა და ფარდა. ბევრ სტუმარს ელიან. რამდენიმე კაცი ჩამწერივებულა, რათა უყუროს სტუმრების მოსვლას.

როულს როისის მდიდრული ეტლი ჩერდება. საღამურ ტანსაცმელში ჩაცმული, მედლებითა და ორდენებით მორთული პიკერინგი ჩამოხტება და ჩამოიყვანს ელიზას, რომელსაც მარგალიტებითა და სხვადასხვა სამკულით მორთული საოპერო მოსასხამი აცვია, ხელში მარათ უჭირავს. პიგინსი მათ მოსდევს. ეტლი წავა. კიბით ადიან სახლში. გამოჩენისთან-ავე უდებენ კარს.

სახლში შესვლისას, აღმოჩნდებიან ფართო დარბაზში, საიდანაც სადა-  
რბაზო კიბე ადის. მარცხნივ – მამაკაცთა გარდერობია, სადაც ტოვებენ  
შლაპებსა და პალტოებს. მარჯვნივ მოჩანს ქალთა გარდერობის კარი.  
აქ შესული პალტოიანი ქალები, კაბებით გამოდიან. პიკერინგი რაღაცას  
ჩასჩურჩულებს ელიზას და კარისაკენ მიუთითებს. ელიზა შედის. პიკე-  
რინგი და ჰიგინსი იხდიან პალტოებს და ნომრებს ილებენ.

ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც პიგინსსა და პიკერინგისაკენ ზურგ-შექცეული დგას, პალტოს იხდის. აიღებს ნომერს და მობრუნდება. სერი-ოზულ ყმაწვილკაცს ჰგავს, გრძელი ულვაშები და ბაკენბარდები აქვს. ხშირი კულულები შუბლზე ჩამოშლია. მოკლედ შეჭრილი თმა ზეთის-გან უბრნებინავს. კოხტად აცვია. გულზე იაფფასიანი ორდენები ჰყიდია. ეტყობა, უცხოელია. ულვაშებიან უნგრელ დაქირავებულ ჯარისკაცს ჩამოჰგავს. თუმცა გრძელი ულვაშები პირქუშ შესახედაობას აძლევს, მაგრამ მაინც კეთილი და ჭკვიანი კაცის მთაბეჭდილებას ტრვებს.

იკნობს ჰიგიენისა და ფართოდ ხელებგაშლილი მხიარულად იგიენისა.

**ულვაშა** — მაესტრო, მაესტრო (შემოქმედვა ჰიგინსს და ორივე ლოფაზე კოკნის) ვერ მიკანით?

**ତେବେଳିନ୍ଦ୍ରି — ପ୍ରଥମା, ପରିଷମାକୁ ଶାରତ?**

**ულვაშა** — თქვენი მოწაფე. თქვენი პირველი მოწაფე. თქვენი საუკეთესო და უნიჭიერესი მოწაფე. მე პატარა ნეპომუკი ვარ, თქვენი მომხიბვლელი ბიჭუნა. თქვენი სახელი მთელ ევროპას მოვდე. თქვენ მასწავლეთ ფონეტიკა. შეუძლებელია, არ გახსოვდეთ.

**ჰიგინსი — რატომ არ გაიპარსები?**

**ულვაშა** — მე არ გამაჩინია თქვენსავით კარგი გარეგნობა, თქვენი შუბლი, თქვენი ნიკაპი. როცა გავიპარსავ, კაცი არ მაქცევს ყურადღებას, ახლა კი კინობილი ვარ, როგორკენ „წვერის ბანი დიკი“.

**ჰეროინისი — მერე, რას აკეთებ ამ კარგ საზოგადოებაში?**

**ნეპომუკი** — თარჯიმანი ვარ. ოცდათორმეტი ენაზე ვლაპარაკობ.

ყოველ საერთაშორისო შეხვედრას ვესწრები. თქვენ კილოკავების დიდი სპეციალისტი ბრძანდებით: საკმარისია, კაცმა პირი დააღოს, რომ შეუც-დომლად თქვათ, ლონდონის რომელი ნაწილიდანაა. მე კი იმასვე ვა-კეთებ ევროპის მასშტაბით (ლაქია ჩამოდის საზეიმო კიბით და მიდის ნეპომუქთან).

**ლაქია** — მაღლა გთხოვენ. მისმა ბრწყინვალებამ, ჩემმა ქალბატონმა, ვერ გაიგო, რას ეუბნება ბერძენი ჯენტლმენი.

**ნეპომუკი** — გმადლობთ... დიახ... ახლავე მოვალ.

(ლაქია მიდის და ხალხში გაერევა).

**ნეპომუკი** — (ჰიგინს) ბერძენი დიპლომატი თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა ინგლისურის არაფერი გაეგებოდეს. ვერ მომატყუებს, კლერკ-ენუელელი მესათის შვილია. ინგლისურად მშვენივრად ლაპარაკობს, მაგრამ ერთი სიტყვის წარმოთქმასაც ვერ ბედავს, რადგანაც მაშინვე გამომულავნდება, რომ ინგლისელია. მე მას ვებმარები როგორც თარ-ჯიმანი, მაგრამ სამაგიეროდ ტყავს ვაძრობ. მე ყველას ვაძრობ ტყავს. ხა, ხა, ხა. (აირბენს კიბეს).

**პიკერინგი** — ეს კაცი მართლა ექსპერტია? ნუთუ შეუცდომლად გამოიცნობს ელიზას?

**ჰიგინსი** — ვნახოთ. თუ მართლა გამოიცნო, ნიძლავი წავაგე.

(ელიზა გარდერობიდან გამოვა და მათ შეუერთდება)

**პიკერინგი** — კარგი, წავიდეთ, ელიზა. მზადა ხართ?

**ელიზა** — ღელავთ, პოლკოვნიკო?

**პიკერინგი** — საშინლად. ასევე ვლელავდით, როცა პირველად გავდიო-დ ბრძოლის ველზე. პირველად ყველაფერი აშინებს ადამიანს.

**ელიზა** — ჩემთვის კი ეს პირველი შემთხვევა არ არის. ვინ მოთვლის რამდენჯერ მიშენებია ოცნების ციხე-კოშკები ანუელ კორტის წუმბეში მთვლემარეს. ახლაც სიზმარში ვარ. პირობა მომეცით, რომ პროფესორი ჰიგინსი არ გამომაფხიზლებს, თორემ ყველაფერი გადამავიწყდება და ისევე ავლაპარაკდები, როგორც დრიური ლეინში ყოფნის დროს.

**პიკერინგი** — კრინტი არ დაძრათ, ჰიგინს. (ელიზას) ახლა მზადა ხართ?

**ელიზა** — დიახ.

**პიკერინგი** — წავიდეთ.

(ადიან კიბეზე, ჰიგინსი უკან მიჰყვება. პიკერინგი რაღაცას უჩურჩუ-ლებს ლაქიას, რომელიც კიბის პირველ ბაქანზე დგას).

**პირველ ბაქანზე მდგომი** — ქალბატონი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

**მეორე ბაქანზე მდგომი** — ქალბატონი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

(კიბის ბოლოში ელჩი და მისი მეუღლე, რომლისათვისაც ნეპომუკს ხელი გაუყრია, სტუმრებს ღებულობენ).

**დიასახლისი** — (ართმევს ხელს ელიზას) გამარჯობა!

**მასპინძელი** — (ესალმება ყველას) გამარჯობა, გამარჯობა, პიკერინგ.

**ელიზა** — (გრაციოზული სერიოზულობით, რაც ხიბლავს დიასახლისს) გამარჯობა.

(შედის სასტუმრო ოთახში)

**დიასახლისი** — თქვენი შვილობილი ხომ არ არის, პოლკოვნიკო პიკერინგ? გადარევს ყველას.

**პიკერინგი** — მადლობელი ვარ მისი მოპატიუებისათვის (გაივლის).

**დიასახლისი** — (ნეპომუკეს) გაიგე, ვინ არის!

**ნეპომუკი** — (თავს დაუკრავს) მესმის, თქვენო ბრწყინვალებავ (ხალხი გაერევა).

**მასპინძელი** — გამარჯობა, პიგინს! აქ თქვენ ერთი მეტოქე გყავთ. თავი თქვენს მონაფედ გაგვაცნო. მართლა ნიჭიერია?

**პიგინი** — ოც დღეში ერთი ენის შესწავლა შეუძლია. ათობით ფლობს ენებს, რაც მისი სისულელის უტყუარი მაჩვენებელია. როგორც ფონეტიკოსი კი დიდი არაფერია.

**დიასახლისი** — გამარჯობა, პიგინს!

**პიგინი** — გამარჯობა. გაწუხებთ, მაგრამ რას იზამთ. ჩემის მხრიდან პატიებას ვითხოვ (ჩაივლის).

(სასტუმრო დარბაზში და მეზობელ ოთახში სტუმრების გახურებული მიღებაა. ელიზა შთანთქმული თავისი მძიმე გამოცდით, ისე გაივლის მაღალ საზოგადოებაში, როგორც მთვარეული გაივლიდა უდაბნოში. ყველა ჩუმდება და მიაჩერდება მას, მის მშვენიერ ტანსაცმელს, სამკაულებსა და მეტად მიმზიდველ პიროვნებას. უკანა რიგში მდგომი ახალგაზრდები მის დასანახად სკამებზე შედგებიან. დიასახლისი და მასპინძელი შემოდიან კიბის მხრიდან და სტუმრებში შეერევიან. ჩაფიქრებული და მოღუშული პიგინსი მათ შეუერთდება.)

**დიასახლისი** — აჲ, აი, პროფესორი პიგინისიც. ის გვეტყვის. პროფესორი, გვიამბეთ ყველაფერი, რაც იცით ამ საოცარი ახალგაზრდა ლედის შესახებ.

**პიგინი** — (გაკვირვებული) რომელი საოცარი ლედის შესახებ?

**დიასახლისი** — თქვენ მშვენივრად იცით, რომელზედაც ვლაპარაკობთ. ასე ამბობენ, მას შემდეგ, რაც ხალხი სკამებზე დგებოდა ქალბატონი ლანტრის დასანახავად, ამისთანა სილამაზე მთელ ლონდონში არ გამოჩენილაო.

(ნეპომუკი, რომელსაც ახალი ამბები მოაქვს, ჯგუფს უერთდება)

**დიასახლისი** — აჲ, მადლობა ღმერთს, ნეპომუკ, რომ გამოჩნდი. რა გაიგეთ ლედი დულიტლის შესახებ?

**ნეპომუკი** — გავიგე, ყველაფერი გავიგე, უცხოელია.

**დიასახლისი** — უცხოელი? შეუძლებელია?

**ნეპომუკი** — სრულიადაც არა. მე არ მოვტყუვდები. შეუძლებელია მისი გვარი დულიტლი იყოს.

**პიგინი** — რატომ?

**ნეპომუკი** — იმიტომ, რომ დულიტლი ინგლისური გვარია. ეს კი ინგლისელი არ არის.

**დიასახლისი** — ეგ სისულელეა! ჩინებული ინგლისური ენით ლაპარაკობს.

**ნეპომუკი** — მშვენივრად ლაპარაკობს. ჰოდა, გინახავთ რომელიმე ინგლისელი ქალი, რომელიც ისე ლაპარაკობდეს ინგლისურად, როგორც საჭიროა? მხოლოდ უცხოელები, რომლებისთვისაც ინგლისური უსწავლებიათ, ლაპარაკობენ ამ ენაზე კარგად.

**დიასახლისი** — მართლაც რომ ასეა. შემეშინდა, როცა გავიგონე როგორ თქვა: „გამარჯობა“. სკოლაში გვყავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც სწორედ ასე ლაპარაკობდა და მისი ისე მეშინოდა, როგორც სიკვდილის, მაგრამ თუ ინგლისელი არ არის, მაშ სადაურია?

**ნეპომუკი** — უნგრელი.

**ყველანი** — უნგრელი?

**ნეპომუკი** — უნგრელი. ისიც მეფური შთამომავლობისა. მეც უნგრელი ვარ და მეც მეფური შთამომავლობისა ვარ.

**ჰიგინსი** — უნგრულად ელაპარაკეთ?

**ნეპომუკი** — ველაპარაკე. მაგრამ ჭკვიანურად მოიქცა. ასე მითხრა: „გეთაყვა, მელაპარაკეთ ინგლისურად. მე ფრანგული არ მესმისო“. ფრანგული! თავს ისე აჩვენებს, თითქოს ფრანგულსა და უნგრულს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდეს. ეს კი შეუძლებელია. ერთიც იცის და მეორეც.

**ჰიგინსი** — როგორ შეიტყვეთ, რომ მეფური შთამომავლობისაა?

**ნეპომუკი** — ინსტინქტით, მაესტრო, ინსტინქტით. მხოლოდ მადიარულ რასას აქვს მომადლებული ასეთი ღვთაებრივი იერი, ასეთი ცოცხალი თვალები. ელიზა უფლისწულია.

**მასპინძელი** — თქვენ რას იტყვით, პროფესორო?

**ჰიგინსი** — ჩემი აზრით, ლონდონის წუმპედან ამოყვანილი უბრალო გოგონაა, რომელსაც კარგი ოსტატის ხელში წესიერი ლაპარაკი უსწავლია. დრიური ლეინიდან უნდა იყოს.

**ნეპომუკი** — ხა, ხა, ხა! ოჳ, მაესტრო, მაესტრო. კილოკავებით ისე ხართ გაგიუჟებული, რომ ლონდონის წუმპე მთელი ქვეყნიერება გგონიათ.

**ჰიგინსი** — რას იტყვის თქვენი ბრწყინვალება?

**დიასახლისი** — მე, რა თქმა უნდა, ვეთანხმები ნეპომუკს. ელიზა ყოველ შემთხვევაში სეფექალი მაინცაა.

**მასპინძელი** — შეიძლება მხოლოდ მამის მხრიდან, მაგრამ, მაინც უსათუოდ მეფური შთამომავლობისაა.

**ჰიგინსი** — მე კი, მტკიცედ ვადგავარ ჩემს აზრს.

**მასპინძელი** — ოჳ, თქვენ ჯინიანი ხართ, ჯინიანი.

(მათი წრე იშლება, ჰიგინსი მარტო რჩება. მასთან მიდის ჰიკერინგი)

**ჰიკერინგი** — ელიზა სადაა? მასზე თვალი უნდა გვეჭიროს.

(ელიზა უერთდება მათ).

**ელიზა** — წავიდეთ აქედან. მეტი ალარ შემიძლია. ყველა მე მომჩერ-ებია. ერთმა მოხუცმა ლედიმ მითხრა: ზუსტად ისევე ლაპარაკობთ, რო-გორც დედოფალი ვიქტორიაო. ვწუხვარ, თუ ნიძლავი წაგაგებინეთ. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ამ ხალხს მაინც ვერაფრით დავემსგავსე.

**პიკერინგი** — ჩემო ძვირფასო, კი არ წააგე, ათმაგად მოიგე, ათმაგად.

**ჰიგინსი** — მოდი წავიდეთ, ამ სულელებთან საუბარი საშინლად მომბეზრდა.

**პიკერინგი** — მართალს ამბობთ, ელიზა დაღლილია, მეც მშია. წავი-დეთ და ვივახშმოთ სადმე.

**მესამე მოქმედების დასასრული  
ფარდა**

## მოქმედება მიმოხილვაზე

ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. შუალამეა. ოთახში არავინაა. ღუმელზე მდგარი საათი თორმეტს რეკავს. ცეცხლი არ ანთია, ზაფხულის ღამეა. კიბეზე გაისმის ჰიგინსისა და პიკერინგის ფეხის ხმა.

**ჰიგინსი — (ჩასძახებს პიკერინგს)** იცით რა, პიკ, კარი ჩაკეტეთ. ამაღამ სახლიდან გამსვლელი არა ვარ.

**პიკერინგი —** კეთილი. შეუძლია ქალბატონ პირსს დაიძინოს? ხომ არაფერი გვინდა?

**ელიზა —** (გააღებს კარს და კიბის ბაქანზე გამოჩნდება მთელი თავისი სილამაზითა და მორთულობით, რომელშიაც ეს-ეს არის მოიგონი ნიძლავი ჰიგინსის სასარგებლოდ. ღუმელთან მივა, აანთებს ელექტრონათურებს. დალლილია. მისი შავი თვალები და თმა ქმნის კონტრასტს მის ფერმურთალ სახესთან. ტრაგიკული გამომეტყველება აქვს. მოიხსნის მოსასხამს, მარაოსა და ხელთათმანებს როიალზე დადებს. მდუმარე და თავჩაქინდრული ჩამოჯდება გრძელ სკამზე. შემოდის ჰიგინსი, საღამურ სამოსშია. ახურავს ცილინდრი, ხელში ხალათი უჭირავს, რომელიც ახლა ჩამოუხსნია. გაიხდის პალტოს, მოიხდის ცილინდრს და საგაზით მაგიდაზე დაყრის. ასევე გაიხდის და დააგდებს ფრაკსაც. ჩაიცვამს ხალათს და დალლილი მძიმედ ჩაეშვება ღუმელის ახლოს მდგარ საგარძელში. შემოდის მასავით ჩაცმული პიკერინგი. ისიც იხდის პალტოსა და ცილინდრს და უნდა დააყაროს ჰიგინსის პალტოსა და ცილინდრს, მაგრამ შეყოყმანდება).

**პიკერინგი —** იცით, რა, ქალბატონი პირსი დილით ერთ აყალმაყალს აგვიტებს, თუ ტანსაცმელს მისაღებ ოთახში დაყრილს დაინახავს.

**ჰიგინსი —** მაშ, დარბაზში შეიტანეთ და დივანზე დაყარეთ. დილით ქალბატონი პირსი ნახავს და წესრიგში მოიყვანს. იფიქრებს, მთვრალები მოსულან.

**პიკერინგი —** ცოტა დალეულები მართლაცა ვართ. წერილები ხომ არ მოსულა?

**ჰიგინსი —** არ მინახავს (პიკერინგი პალტოებსა და ქუდებს აიღებს და ძირს ჩააქვს. ნახევრად მთვლემარე ჰიგინსი ღილინებს მელოდიას ოპერიდან „ლა ფანსიულ დელ გოლდენ უესტ“. უცებ შეჩერდება და ნამოიძახებს: „ნეტავი სად ჯანდაბამია ჩემი ფოსტლები?“ ელიზა პირქუშად შეხედავს ჰიგინსს, ნამოდგება და გადის. ჰიგინსი ამთქნარებს და განაგრძობს ღილინს. პიკერინგი ბრუნდება წერილებით ხელში).

**პიკერინგი —** მხოლოდ რეკლამებია და სასიყვარულო ბარათი, რომელიც თქვენთვის ვიღაცა ბანოვანს გამოუგზავნია (რეკლამებს შეყრის ღუმელში და ზურგით მიაწვება მას).

**ჰიგინსი** — (სინჯავს სასიყვარულო ბარათს) მევახშისგანაა (შეაგდებს ღუმელში).

(ელიზა ბრუნდება. ხელში უჭირავს ქუსლებჩაჭყლეტილი ფოსტლები, რომლებსაც ჰიგინსის წინ ხალიჩაზე დადებს და თავის ადგილზე უხმოდ დაჯდება).

**ჰიგინსი** — (კვლავ ამთქნარებს) ოხ! ღმერთო ჩემო, რა სალამო იყო! რა ხალხი! რა ყბედობა! (ფეხს ასწევს, რომ გახსნას ფეხსაცმლის ზონარი, როცა თვალს მოჰკრავს ფოსტლებს, ზონრის გახსნას თავს მიანებებს და ფოსტლებს ისე დააშტერდება, თითქოს ისინი იქ თავისით გაჩნდნენო) აა, ფოსტლები აქა ყოფილა?

**ჰიკერინგი** — (აზმორებს) ცოტა არ იყოს, დავილალე: სეირნობაო, წვეულებაო, მიღებაო, მეტისმეტი რეტის-რეტი. მაგრამ ნიძლავი კი მოიგეთ, ჰიგინს. ელიზამ თავისი მოვალეობა შეასრულა და მერე როგორ?

**ჰიგინსი** — (აღ ზნებული) მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მორჩა. (ელიზა უსიამოვნოდ შეიშმუშნება, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს: ისევ შეიკავებს თავს და წინანდებურად გაქვავებული ზის).

**ჰიკერინგი** — მიღებაზე ღელავდით? მე ძალიან ვღელავდი. ელიზას კი არაფერი ეტყობოდა.

**ჰიგინსი** — ოჯ, ის არ ღელავდა. ვიცოდი, ასეც მოხდებოდა. მე კი ამ უკანასკნელი თვეების შრომამ გადამდალა. სანამ საქმე ფონეტიკას ეხებოდა, მაინტერესებდა იგი. მაგრამ შემდეგ კი საშინლად ვიქანცებოდა. ნიძლავი რომ არ მქონოდა დადებული, ორი თვით ადრე მივანებებდი თავს. მართალი გითხრათ, მეტად უაზრო და სულელურ საქმეს მოვკიდეთ ხელი.

**ჰიკერინგი** — რას ამბობთ! გული საშინლად მიცემდა, მიღების დროს მძიმე წუთებიც იყო.

**ჰიგინსი** — მართალია, ასე იყო მხოლოდ პირველი სამი წუთი. მერე კი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩვენ ვიგებდით, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც გალიაში მონებივრე დათვი. სადილი უარესი იყო: მთელი საათი იჯდე, ილუკმებოდე და მოდის მიმდევარი სულელი ქალის გარდა, არავინ გყავდეს თანამოსაუბრე! იცით რა, პიკერინგ, ამიერიდან ასეთ სისულე-ლეს აღარ ჩავიდენ, მეყო! ჰერცოგის ხელოვნურ ასულთა მომრავლებაზე ხელი ამილია. პირდაპირ გავწამდი.

**ჰიკერინგი** — ეს იმიტომ გემართებათ, რომ მაღალ საზოგადოებაში თავისუფლად თავდაჭერის გამოცდილება გაკლიათ. მე კი ხანდახან მიყვარს იქ მოხვედრა. თითქოსდა ვახალგაზრდავდები, ყოველ შემთხვევაში ეს დიდი წარმატება იყო, უდიდესი წარმატება. ელიზას ისე კარგად ეჭირა თავი, რომ ერთი-ორჯერ შემეშინდა კიდეც. იცით რა, ნამდვილმა ჰერცოგის ასულებმა თავის დაჭერა არ იციან. იმ ბრიყვებს ჰერცოგიათ, რომ მათ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ეს ჩვევა თანდაყოლილი აქვს. ამიტომაც გაურბიან სწავლას. მაგრამ, როდესაც

რაიმე ჩინებულად კეთდება, შეუძლებელია მასში პროფესიულობა არ ჩანდეს.

**ჰიგინსი** — ასეა და სწორედ ეგ მაგიჭებს. ბრიყვებს თავიანთი სიბრიყვისა არაფერი გაეგებათ. (დგება) მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი მორჩია. ახლა შემიძლია ძილს მივცე თავი და ხვალინდელ დღეს შიშით არ უცქირო (ელიზა ილუსტრაცია).

**პიკერინგი** — ჯობია დავიძინო. ეს, მართლაც რომ, დიდი მოვლენა იყო. თქვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ. ძილი ნებისა. (გადის)

**ჰიგინსი** — (მიჰყვება) ძილი ნებისა (კარებთან მისული თავს ოდნავ მოაბრუნებს), ელიზა, სინათლე ჩააქრეთ და ქალბატონ პირსს უთხარით დილისთვის ყავას ნუ მომიმზადებს. ჩაის დავლევ. (გადის)

(ელიზადგებადა და სინათლის ჩააქრობად ღუმლის კენმიდის. ცდილობს, გულგრილობა გამოიჩინოს და თავი შეიკავოს, მაგრამ ღუმელთან მისულს ისეთი განწყობილება ეუფლება, რომ საცაა იყვირებს. ჰიგინსის სავარელში ჩაჯდება და მის ზურგს მძიმედ მიეყრდნობა. ბოლოს ვეღარ მოითმენს და გამძვინვარებული იატაკზე ვარდება).

**ჰიგინსი** — (გარედან, შეშფოთებული) სად ეშმაკებშია ჩემი ფოსტლები? (გამოჩნდება კარებში).

**ელიზა** — (ზამოავლებს ფოსტლებს ხელს და რაც ძალა და ლონე აქვს ერთი-მეორეზე ესვრის ჰიგინს) აჲა, თქვენი ფოსტლები! აჲა. წაილეთ თქვენი ფოსტლები! ერთი ბედნიერი დღე არ გენახოთ მაგ ფოსტლებში.

**ჰიგინსი** — (გაოცებული) რა ეშმაკი... (მიდის ელიზასთან) მოგივიდა, ადექი. (ზამოავლენებს) რა მოგივიდა?

**ელიზა** — (სუნთქვაშეკრული) მე კი არა, თქვენ მოგივიდათ. ხომ მოგაგებინეთ ნიძლავი. დაქმაყოფილდით? ახლა საჭირო აღარა ვარ?

**ჰიგინსი** — შენ მომაგებინე ნიძლავი? შენ? შე საბრალო ჭიავ! ნიძლავი თვითონ მე მოვიგე. რატომ მესროლე ფოსტლები?

**ელიზა** — მინდოდა, ცხვირი გამეჭეჭყა თქვენთვის. რომ მოგკლათ, არ დამენანებით, ეგოისტო პირუტყვო. რატომ არ დამტოვეთ იქ, საიდანაც ამომიყვანეთ — იქ, ნუმპეში. ახლა ღმერთს მადლობას სწირავთ, რომ ყველაფერი მორჩა და შეგიძლიათ ისევ ნუმპეში გადამისროლოთ.

**ჰიგინსი** — (გულცივი გაოცებით შესცეკრის მას) თურმე, ნუ იტყვით, ამ არსებასაც შესძლებია აღელვება.

**ელიზა** — (სიშმაგისაგან გულსაკლავად იკივლებს და ინსტინქტურად ფრჩილებით ჩააფრინდება ჰიგინსს სახეში).

**ჰიგინსი** — (ხელებს დაუჭერს) ოჲ, ესლა გაკლდა. ბრჭყალები შორს, კატავ. როგორ მიბედავ ამას? დაჯექი და ხმა გაიკმინდე (უხეშად ჩააგდებს სავარელში).

**ელიზა** — (ჰიგინსის ღონით ძლეული) რა მომივა? რა მომივა?

**ჰიგინსი** — რა ჯანდაბა ვიცი, რა მოგივათ? რა ჩემი საქმეა, რა მოგივათ?

**ელიზა** — თქვენთვის სულერთია, რა მომივა. მე ვიცი, რომ თქვენთვის სულერთია. გინდა მოვკვდე, გინდა დავრჩე, თქვენთვის სულერთია. მე არაფერს წარმოვადგენ თქვენთვის. ფოსტლები აი, ესენი უფრო გილირთ, ვიდრე მე.

**პიგინსი** — (ლრიალით) ეს ფოსტლები!

**ელიზა** — (მწარე მორჩილებით) დიახ, ფოსტლები, მაგრამ ამას თქვენთვის ახლა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

(დუმილი. სასონარკვეთილი ელიზა თავს ჩაჰეჭინდრავს. პიგინსი რა-ლაცა უხერხულობას გრძნობს).

**პიგინსი** — (გულზიადად) რამ გამოიწვია ყველაფერი ეს? ერთი ეს მითხარით, რითი ხართ უკმაყოფილო? აქ ცუდად გექცეოდნენ?

**ელიზა** — არა.

**პიგინსი** — ვინ მოგექცათ ცუდად? პოლკოვნიკი პიკერინგი? ქალბა-ტონი პირსი? რომელიმე მსახური?

**ელიზა** — არა.

**პიგინსი** — მგონი, ვერც იმას იტყვით, რომ მე გექცეოდით ცუდად?

**ელიზა** — ვერ ვიტყვი.

**პიგინსი** — მოხარული ვარ. (ტონს შეიცვლის) იქნება დღეს დაიღა-ლეთ? ერთ ჭიქა შამპანურს არ დალევთ? (კარებისაკენ მიდის)

**ელიზა** — არა (აგონდება კარგი ჩვევები) გმადლობთ.

**პიგინსი** — (ისევ კარგ გუნებაზე დგება) ამ ბოლო დროს რალაცა გე-მართებათ, ალბათ, მიღებაზე ღელავდით. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ახლა ხომ ყველაფერმა ჩაიარა. (ალერსიანად ადებს ხელს მხარზე, ელიზა ისევ განრისხდება) ახლა სადარდელი აღარაფერი გაქვთ.

**ელიზა** — აღარაფერი. თქვენ მართლა აღარაფერი გაქვთ სადარდე-ლი. (უცებ წამოდგება, დატოვებს პიგინსს და მიდის როიალის გრძელი სკამისაკენ, რომელზედაც ჯდება და თავს კალთაში ჩარგავს) ოჟ, ღმერ-თო ჩემო! ნეტავი მომკლა.

**პიგინსი** — (გულწრფელად გაოცებული შესცექრის მას) რათა? ღვთის გულისათვის, მითხარით, რატომ? (ჩაფიქრებული მიდის ელიზასთან) მომისმინეთ, ელიზა, მთელი თქვენი აღელვება სუბიექტური მიზეზები-თა გამოწვეული.

**ელიზა** — ეს მე არ მესმის, არ გამეგება.

**პიგინსი** — თქვენ მიზეზი არა გაქვთ, ცუდ გუნებაზე იყოთ, თქვენთან ვის რა უნდა? ვინ რას გიშავებთ? თქვენ ჭკვიანი გოგონა ხართ. ახლა წახვალთ და დაიძინებთ. ცოტა იტირეთ, მერე ილოცეთ და გულზედაც მოგეშვებათ.

**ელიზა** — უკვე მოვისმინე თქვენი ლოცვა: „მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მორჩა“.

**პიგინსი** — (მოუთმენლად) მერმე, თქვენ არა ხართ ღმერთის მადლო-ბელი, რომ ყველაფერი მორჩა? ახლა თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ, რაც გინდათ, ის გააკეთოთ.

**ელიზა** — (სასოწარკვეთილი) რისთვის გამოვდგები ახლა? რისთვის? სად ნავიდე? რა გავაკეთო? რა მომივა?

**ჰიგინსი** — (თითქოს მიხვდა, რაშია საქმე, მაგრამ მასზე გავლენა მაინც არ მოახდინა) ოჭ, ამაზე წუხეართ? (ჯიბეში ხელს ჩაინყობს და ჩვეულებისამებრ მიდი-მოდის. ხურდა ფულსა და გასაღებს ისე აჩხარუნებს, თითქოსდა სურს ვინმე გაიკითხოს) თქვენს ადგილას რომ ვიყო, ამაზე სულაც არ ვიდარდებდი. ასე მეგონა, არ გაგიჭირდებოდათ სადმე სამუშაოზე მოწყობა, მერე არც იმაზე მიფიქრია, რომ ნასვლას აპირებდით. (ელიზა გაოცებული შეხედავს. ჰიგინსი ელიზას არც კი უყურებს. როიალზე შენიშნავს ხილის ვაზას და გადაწყვეტს ვაშლი შეჭამოს) იცით, რა, შეგიძლიათ გათხოვდეთ. (ვაშლს მადიანად მოკერჩს და ახრამუნებს) მომისმინეთ, ელიზა, ყოველ მამაკაცს როდი გადაუწყვეტია უცოლოდ დარჩენა, როგორც მე და პოლკოვნიკს. მამაკაცთა აშკარა უმრავლესობა ცოლს ირთავს, საბრალონი! თქვენ ულამაზო არ გეთქმით, პირიქით, ხანდახან მეტად სასიამოვნო შესახედავიც ხართ, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ახლა კი არა, რადგანაც ტირილმა ეშმაკივით დაგჯლანათ. მაგრამ, როცა არაფერი გაწუხებთ და კარგ ხასიათზე ხართ, მე ვიტყოდი, მიმზიდველიც ხართ და ეს სწორებ იმათვის, ვინც ცოლს ირთავს. წადით ახლა, დაწექით, კარგად გამოიძინეთ და დაისვენეთ. მერე, ადექით, სარკეში ჩაიხედეთ და ნახავთ, რომ ამ ცუდი განწყობილების ნატამალიც არ დაგრჩებათ.

(ელიზა კვლავ უსიტყვოლ შეხედავს მას და ადგილიდან არ იძვრის. მის მზერას ჰიგინსი არც კი ამჩნევს და ისე შექცევა ვაშლს, თითქოსდა ტკბილი ოცნების ბურუსში დაცურავდეს).

**ჰიგინსი** — (თითქოს გენიალური აზრი მოუვიდაო) ვინ იცის, იქნება დედაჩემმა გამოგინახოს შესაფერი საქმრო.

**ელიზა** — ტოტენჰემ კორტ როუდში ჩვენ უკეთესად ვიყავით.

**ჰიგინსი** — (თითქოს გამოფხიზლდაო) ამით რისი თქმა გნებავთ?

**ელიზა** — მე ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ საკუთარ თავს კი არა. ახლა ლედიდ რომ მაქციეთ, სხვა არაფრის გაყიდვა არ შემიძლია, გარდა საკუთარი თავისა. რატომ არ დამტოვეთ იქ, საიდანაც ამიყვანეთ?

**ჰიგინსი** — (ვაშლის გულს გაბრაზებული შეაგდებს ღუმელში) ნუ სულელობთ, ელიზა. ადამიანთა ურთიერთობას იმით ნუ შეურაცხყოფთ, რომ მას ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა მიაწეროთ. თუ ბიჭი არ მოგეწონებათ, კეთილი ინებეთ და ნუ გაჰყვებით.

**ელიზა** — აბა, სხვა რა გავაკეთო?

**ჰიგინსი** — საქმის მეტი რა არის. რას იტყვით, მაგალითად, იმაზე, ერთ დროს რომ საყვავილე მაღაზიაში გამყიდველად აპირებდით მოწყობას? პიკერინგს შეუძლია რომელიმე მაღაზიაში მოგაწყოთ, ფული ბლომად აქვს. (სიცილით) იმ ტანსაცმელსაც გიყიდით, დღეს რომ გეცვათ. ჰოდა, ყველაფერი ეს ქირით აღებულ სამკაულებთან ერთად, ორას გირვანქა სტერლინგს მაინც შეადგენს. აბა, დაფიქრდით, ექვსი თვის წინათ თქვენ

ვერც კი იოცნებებდით, საკუთარი საყვავილე მაღაზია გქონოდათ. ახლა კი, რა გადარდებთ? თქვენი საქმე ჩინებულად წავა. წავალ, დავიძინებ, თორემ საშინლად მეძინება. ჰო, მართლა, აქ რაღაცაზე ჩამოვედი, მაგრამ დამავიწყდა რაზე?

**ელიზა** — ფოსტლები გინდოდათ.

**ჰიგინსი** — მართალი ხართ. აკი, მომაყარეთ კიდეც (ფაჩუჩებს იღებს და წასვლას აპირებს, მაგრამ ელიზა წამოდგება და ეუბნება)

**ელიზა** — სერ, ვიდრე წახვიდოდეთ...

**ჰიგინსი** — (იმით გაოცებულს, რომ ელიზამ „სერ“ დაუძახა, ფაჩუჩები ხელიდან უვარდება) რა გნებავთ?

**ელიზა** — ჩემი ტანსაცმელი მე მეკუთვნის თუ პიკერინგს?

**ჰიგინსი** — (ისე მობრუნდება ოთახში, თითქოსდა ელიზას შეკითხვა ყოფილიყოს მათ შორის უთანხმოების კულმინაციური წერტილი) პიკერინგს რა ჯანდაბად უნდა?

**ელიზა** — იქნება იმ ახალი გოგონასათვის გამოგადგეთ, რომელსაც ჩემს მერე აიყვანთ საექსპერიმენტოდ?

**ჰიგინსი** — (შერცხვენილი და წაწყენი) ჩვენ ასეთ ხალხად მიგაჩნივართ?

**ელიზა** — მე ამაზე სიტყვის გაგონებაც არა მსურს. მარტო ის გამაგებინეთ, რაიმე მეკუთვნის თუ არა? ჩემი ტანსაცმელი ხომ დაწვით?

**ჰიგინსი** — მერე ეგ რა შუაშია? ამ შუალამისას ამაზე რა გადარდებთ?

**ელიზა** — უნდა ვიცოდე, რისი წალება შემიძლია. არ მინდა ქურდობა დამაბრალოთ.

**ჰიგინსი** — (ლრმად შეურაცხყოფილი) ქურდობა? ეგ არ უნდა გეთქვათ, ელიზა. უგრძნობი ყოფილხართ.

**ელიზა** — ვწუხვარ, თუ ასეა. მაგრამ მე ხომ ერთი გაუნათლებელი გოგონა ვარ და ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს სიფრთხილე მმართებს. შეუძლებელია რაიმე გრძნობა არსებობდეს თქვენისთანებსა და ჩემისთანებს შორის. კეთილ ინებეთ და მითხარით, რა მეკუთვნის და რა არა.

**ჰიგინსი** — (მოღუშული) თუ გინდათ, ყველაფერი წაიღეთ, რაც სახლშია, გარდა ამ საკმაულებისა. ესენი ქირითა აღესული (ქუსლზე შემობრუნდება და უაღრესად შეურაცხყოფილი წასვლას აპირებს).

**ელიზა** — (ჰიგინსის აღშფოთებით გახარებული ცდილობს კიდევ უფრო გაახელოს იგი) ცოტა ხანს კიდევ შეიცადეთ. (მოიხსნის სამკაულებს) წაიღეთ, თქვენს ოთახში დააწყვეთ, რომ გული საგულეს გქონდეთ და დაკარგვის არ შეგეშინდეთ.

**ჰიგინსი** — (გახელებული) მოიტა! (ელიზა ხელში ჩაუდებს სამკაულებს) ესენი რომ ოქრომჭედლის არ იყოს, ყველას მაგ უმაღურ ხახაში ჩაგრიდი. (ანგარიშმიუცემლად ჯიბეში ჩაიყრის. ძენკვის ბოლოები ჩამოეკიდება).

**ელიზა** — (ბეჭედს მოიხსნის) ეს ოქრომჭედლის ბეჭედი არ არის. იგი თქვენ ბრაიტონში მიყიდეთ, აჰა, მიიღეთ. აღარ მჭირდება (აღელვებული ჰიგინსი ბეჭედს ღუმელში შეაგდებს და ელიზას ისე შეუბლვერს, რომ ეს უკანასკნელი სახეზე ხელს აიფარებს, შეშინებული როიალს ამოეფარება და წამოიძახებს). არ დამარტყყათ!

**ჰიგინსი** — დაგარტყყათ? საზიზღარო არსებავ, როგორ ბედავთ ამის თქმას? მე კი არა, თქვენ დამარტყით, თქვენ და პირდაპირ გულში დამჭერით.

**ელიზა** — (ფარული სიხარულით ათრთოლებული) მოხარული ვარ, თუ ცოტათი მაინც ვიძიე შური.

**ჰიგინსი** — (ღირსეულად ლაპარაკობს პროფესიულად დახვეწილი სტილით) დღეს თქვენ გუნება გამიფუჭეთ. ასეთი რამე არასოდეს მომსვლია. ახლა მეტს არაფერს გეტყვით, წავალ და დავიძინებ.

**ელიზა** — (აგდებულად) გირჩევნიათ, წერილი დაუტოვოთ ქალბატონ პირსა, რომ ყავა მოგიმზადოთ, თორემ მე ვეღარ გავაფრთხილებ.

**ჰიგინსი** — (ოფიციალური ტონით) წყეულიმც იყოს ქალბატონი პირსი, წყეულიმც იყოს ყავა, წყეულიმც იყავით თქვენ და წყეულიმც ვიყო მე იმ შეცდომისათვის, რომ ასე ანგარიშმიუცემლად შევალიე ჩემი დიდი ხნის შრომით მოპოვებული ცოდნა, მზრუნველობა და პატივისცემა წუმპედან ამოთრეულ მაწანწალას.

(ისე გადის, რომ აშკარად უსვამს ხაზს თავის ღირსებას, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას კარის მოჯახუნებით აფუჭებს. ელიზა ბეჭდის მოსანახად ბუხრის წინ ჩაიჩიქებს, იპოვის ბეჭედს და ერთხანს ფიქრობს რა უყოს. მერე ხილის ვაზაზე დააგდებს და ისე გაცოფებული ავა ზევით, თითქოსდა უნდოდეს, რომ ვინმე შუაზე გაგლიჯოს. ელიზას ოჯახის ავეჯეულობას შემატებია დიდი ტანსაცმლის კარადა და ძვირფასი სატუალეტო მაგიდა. ელიზა შემოდის. აანთებს სინათლეს, მიდის ტანისამოსის კარადასთან, გააღებს, გამოიღებს სამგზავრო კაბას, შლაპას, წყვილ ფეხსაცმელს და საწოლზე დაყრის. გაიხდის საღამურ კაბასა და ფეხსაცმელს. ტანისამოსის კარადიდან გამოიღებს საკიდარს, ფრთხილად გაუყრის საღამურ კაბაში და დაკიდებს კარადაში, რომელსაც ჯახუნით მიხურავს. ჩაიცვამს სამგზავრო ფეხსაცმელსა და სამგზავრო კაბას, დაიხურავს სამგზავრო შლაპას, სატუალეტო მაგიდიდან აიღებს მაჯის საათს და გაიკეთებს. იცვამს ხელთათმანებს, აიღებს ჩანთას და ვიდრე მაჯაზე გადაიკიდებს, სინჯავს არის თუ არა შიგ საფულე, გაემართება კარისაკენ. მის ყოველ მოძრაობაში ჩანს რაღაცა მძიმე გადაწყვეტილება.

უკანასკნელად ჩაიხედავს სარკეში. უცებ ენას გამოუყოფს თავის თავს, ჩააქრობს სინათლეს და გადის.

ამასობაში გარეთ, ქუჩაში სიყვარულით გულანთებული ფრედი ეინს-ფორდ ჰილი იცემირება მესამე სართულისაკენ, სადაც ერთი ფანჯარაა განათებული. სინათლე ქრება).

**ფრედი** — ძილი ნებისა, ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო...  
(ელიზა კარს მაგრად მოიჯახუნებს და გარეთ გამოვა).

**ელიზა** — აქ რას აკეთებთ?

**ფრედი** — არაფერს. ღამეების უმეტესობას აქ ვატარებ. ეს ერთად-ერთი ადგილია, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. ნუ დამცინით, ქალ-ბატონო დულიტლ.

**ელიზა** — ქალბატონ დულიტლს ნუ მედახით, გესმით? უბრალოდ ელიზა დამიძახეთ. (წაიბორძიკებს და ფრედის მხარზე წაავლებს ხელს) ფრედი, არ იფიქროთ, რომ მე ქუჩის მანანნალა ვიყო.

**ფრედი** — ოჰ, არა, არა, ძვირფასო. ეს რამ გაფიქრებინათ. თქვენ ხომ უსაყვარლესი, უძირფასესი...

(ფრედი კარგავს თავშეკავების უნარს და ელიზას ჰკოცნის და ჰკოცნის. ალერს დანატრებული ელიზა წინააღმდეგობას არ უწევს. ეხვევიან ერთმანეთს. გამოჩნდება ხანში შესული პოლიციელი).

**პოლიციელი** — (შეშფოთებული) აბა, აბა, აბა...

(ელიზა და ფერდი ერთმანეთს სწრაფად შორდებიან).

**ფრედი** — ბოდიში, პოლიციელო, ჩვენ ეს-ეს არის დავინიშნეთ.

(გარბიან. პოლიციელი თავს აკანტურებს. ფიქრობს თავის ძეელ სიყვარულზე და ადამიანური იმედების ამაოებაზე, შემდეგ მოპირდაპირე მიმართულებით წავა პროფესიული ნელი ნაბიჯებით.

სიყვარულის ფრთხები ელიზასა და ფრედის კავენდიშის მოედნამდე მიიყვანს. იქ შედგებიან იმის ფიქრით, თუ საით წავიდნენ).

**ელიზა** — (სუნთქვაშეკრული) იმ პოლიციელმა ისე შემაშინა, რომ კინა-ლა გული გამისკდა. მაგრამ თქვენ მართლა საკადრისი პასუხი გაეცით.

**ფრედი** — გზას ხომ არ აგაცდინეთ? სად მიბრძანდებოდით?

**ელიზა** — მდინარისაკენ.

**ფრედი** — რისთვის?

**ელიზა** — თავის დასახრჩობად.

**ფრედი** — (შეშინებული) ელიზა, ძვირფასო, რათა? რისთვის? რა მოხდა?

**ელიზა** — ნუ მეკითხებით, ანი იმაზე ლაპარაკიც არა ღირს. ახლა ქვეყნიერებაზე ჩემსა და შენს გარდა არავინაა, ხომ ასეა?

**ფრედი** — არც ერთი სულიერი.

(ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ახლა თავზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა პოლიციელი წამოადგებათ).

**მეორე პოლიციელი** — რაო? თქვენ ორნი ხართ ქვეყანაზე? რა არის ეს? სადა გგონიათ თქვენი თავი? ახლავე, ახლავე მოუსვით აქედან.

**ფრედი** — კარგი, სერ. მოვუსვამთ, მოვუსვამთ. (გარბიან. ახლა პანოვერის მოედანთან შეჩერდებიან).

**ფრედი** — არ მეგონა, თუ პოლიციელები ასე საშინლად მორცხვები არიან.

**ელიზა** — მათი მოვალეობა ისაა, რომ ქუჩიდან გოგონებს ერეკებიან.

**ფრედი** — სადმე უნდა წავიდეთ. მთელი ღამე ქუჩაში ხომ ვერ ვიხეტიალებთ?!

**ელიზა** — რატომაც არა. რა აჯობებდა იმას, რომ ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე იხეტიალოს.

**ფრედი** — ოჳ, ძვირფასო. (ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს. ვერც კი შეამჩნევენ როგორ მიუახლოვდება მათ ტაქსი და გაჩერდება).

**მძლოლი** — ხომ არსად გინდათ წასვლა, თქვენ და ლედის, სერ?

**ელიზა** — ოჳ, ფრედი, ტაქსი! პირდაპირ მისწრებაა.

**ფრედი** — მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, ფული რომ არა მაქვს?

**ელიზა** — მე მაქვს. პოლკოვნიკის აზრით, კაცი სახლიდან ისე არ უნდა გავიდეს, რომ ათი გირვანქა სტერლინგი მაინც არ ედოს ჯიბეში. მომისმინეთ. მთელი ღამე ვისეირნოთ, დილით კი ქალბატონ ჰიგინსთან მივალ და ვკითხავ! რა ვქნა? ტაქსში პოლიცია ხელს ვერ გვახლებს.

**ფრედი** — კეთილი, აგრე იყოს (მძლოლს) უიმბლედონ ქომონისაკენ.

**მეოთხე მოქმედების დასასრული  
ფარდა**

## მოქადაგა მეზოთ

ქ-ნი ჰიგინსის სასტუმრო ოთახი. ის ახლაც საწერ მაგიდას უზის. შემოდის მოსამსახურე ქალი.

**მოსამსახურე ქალი** — (კარებში) მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი ჰიკერინგი ძირს არიან, ქალბატონო!

ქ-ნი ჰიგინსი — უთხარი ამოვიდნენ!

**მოსამსახურე ქალი** — ტელეფონით რეკავენ, ქალბატონო, მგონი, პოლიციას ურეკავენ.

ქ-ნი ჰიგინსი — რაო?

**მოსამსახურე ქალი** — (შემოვა ოთახში და ხმას დაუდაბლებს) ქალბატონო, მისტერ ჰიგინსი ძალზე აღელვებულია და გადავწყვიტე, თქვენთვის მეთქვა.

ქ-ნი ჰიგინსი — ის უფრო გამაოცებდა, რომ გეთქვა, მისტერ ჰიგინსი აღელვებული არ არისო. როგორც კი პოლიციაში დარეკავენ, უთხარი ამოვიდნენ. რაღაცა დაკარგა მგონი.

**მოსამსახურე ქალი** — მესმის, ქალბატონო. (მიდის)

ქ-ნი ჰიგინსი — ჯერ მაღლა ადი და ქალბატონ დულიტლს უთხარი, რომ მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი აქ არიან და სანამ არ დაგიძახებ, არ ჩამოხვიდე-თქო.

**მოსამსახურე ქალი** — მესმის, ქალბატონო.

(ჰიგინსი შემოვარდება, როგორც მოსამსახურე ქალმა თქვა, ძალზე აღელვებულია).

ჰიგინსი — მომისმინეთ, დედა, აქ რაღაცა გაუგებრობაა!

ქ-ნი ჰიგინსი — დიახ, ძვირფასო. დილა მშვიდობისა. (ჰიგინსი გამოერკვევა და აკოცებს დედას. მოსამსახურე ქალი გადის) რა მოხდა?

ჰიგინსი — ელიზამ აიწყვიტა.

ქ-ნი ჰიგინსი — (მშვიდად განაგრძობს წერას) ალბათ, შეაშინე!

ჰიგინსი — შევაშინე! სისულელეა! წუხელ, ჩვეულებრივ, დავტოვეთ, რათა სინათლე ჩაექრო, ეს იყო და ეს! ჰოდა, იმის მაგივრად, რომ დაეძინა, ტანისამოსი გამოუცვლია და წასულა, ლოგინი არც კი გაუშლია. ჯერ კიდევ დილის შვიდი საათი არ ყოფილა, ტაქსით რომ მოსულა თავისი ნივთებისათვის. ჰოდა, იმ სულელს, ქალბატონ პირსა, ყველაფერი მიუცია და ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს. ახლა რა ვქნა?

ქ-ნი ჰიგინსი — რა ქნა და თავი დაანებე, ჰენრი. მას სრული უფლება ჰქონდა, თუ მოესურვებოდა, წასულიყო.

ჰიგინსი — (აღელვებული ოთახში გაივლ-გამოივლის) კვალს ვერსად წავანყდი. არ ვიცი, სად ვეძიო. მე... (შემოდის ჰიკერინგი, ქ-ნი ჰიგინსი დადებს საწერკალამს და საწერი მაგიდიდან შემობრუნდება).

**პიკერინგი** — (ხელს ართმევს) დილა მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს. ჰენრიმ გიამბოთ? (ტახტზე ჩამოჯდება).

**ჰიგინსი** — პოლიციის იმ ვირმა ინსპექტორმა რა თქვა? ჯილდოს არ შეჰპირდი?

**ქ-ნი ჰიგინსი** — (აღშფოთებული წამოვარდება) რაო, რაო, რა თქვი? ელიზას პოლიცია დაადევნე?

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა. აბა, პოლიცია რისთვისაა? სხვა რა უნდა გვეჩნა? (ჩაჯდება ელიზაბედისძროინდელ სავარძელში).

**პიკერინგი** — ინსპექტორი საქმეს აყოვნებს. ეჭვი ეპარება ჩვენს კეთილგანზრახვაში.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ძალიან კარგად მოქცეულა. აბა, რა უფლება გაქვთ ნახვიდეთ პოლიციაში და აღრიცხვაზე აყვანოთ გოგონა, თითქოსდა იგი ქურდი იყოს, ანდა დაკარგული ქოლგა? ხომ ასეა? (ღრმად აღელვებული ისევ დაჯდება).

**ჰიგინსი** — მაგრამ მოძებნა რომ გვინდა?

**პიკერინგი** — იცით რა, ქალბატონო ჰიგინს, ჩვენ მას ასე ვერ დავანებებთ თავს და აბა, სხვა რა ვილონოთ?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ორივეს ბავშვის ჭკუა გაქვთ, ბავშვის ჭკუა. აბა... (შემოდის მოსამსახურე ქალი და საუბარი წყდება).

**მოსამსახურე ქალი** — ერთ ჯენტლმენს ძალიან უნდა თქვენი ნახვა. უიმპოლის ქუჩიდან აქ მოუსწავლებიათ.

**ჰიგინსი** — თავი დამანებეთ. არავის ნახვის თავი არა მაქვს. ვინაა?

**მოსამსახურე ქალი** — მისტერ დულიტლი, სერ.

**პიკერინგი** — დულიტლი! მენაგვეა?

**მოსამსახურე ქალი** — მენაგვე? რას ამბობთ, სერ? ჯენტლმენია.

**ჰიგინსი** — (წამოხტება აღელვებული) ლმერთმანი, პიკ, ალბათ, ელიზას რომელიმე ნათესავია, რომლის შესახებაც, როგორც ეტყობა, ჩვენ არაფერი ვიცით. ელიზა, ალბათ, მასთანაა წასული (მოსამსახურე ქალს) შემოუშვით. ჩქარა შემოუშვით.

**მოსამსახურე ქალი** — ახლავე, სერ. (გადის)

**ჰიგინსი** — (მოუთმენლად მიდის დედასთან) ელიზას ჯენტლმენი ნათესავი მოსულა. რაიმე ამბავს გავიგებთ (ჩაჯდება ჩიპენდალის სავარძელში).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ელიზას ნათესავებს იცნობთ?

**პიკერინგი** — მხოლოდ მამამისს, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ.

**მოსამსახურე ქალი** — (გამოაცხადებს) მისტერ დულიტლი.

(შემოდის დულიტლი. ისე შესანიშნავადაა ჩაცმული, თითქოს საქორნინოდ მიდიოდეს. — ვინ იცის, იქნება მართლაც მიდის. — ფრაკის ღილაკში ყვავილი გაურჩვია. თვალისმომტრელი აბრეშუმის შლაპა ახურავს. ლაქის ფეხსაცმელი საერთო შთაბეჭდილებას აგვირგვინებს. როგორც ეტყობა, ისეა გატაცებული იმ საქმით, რისთვისაც მოვიდა, რომ

ქ-ნ ჰიგინსს ვერც კი ამჩნევს. პირდაპირ მიიჭრება ჰიგინსთან და საყვე-დურებით ავსებს).

**დულიტლი** — (უთითებს თავის პიროვნებაზე) აი, ნახეთ! ხედავთ? ეს სულ თქვენი წყალობაა.

**ჰიგინსი** — რა არის ჩემი „წყალობა“?

**დულიტლი** — ეს ყველაფერი. აი, შეხედეთ. მე თქვენ გთხოვთ, შეხე-დეთ ამ შლიაპას, ამ ფრაკს შეხედეთ.

**პიკერინგი** — თქვენთვის ტანსაცმელს ელიზა ყიდულობდა?

**დულიტლი** — ელიზა? არა! რატომ უნდა ეყიდა ჩემი ტანსაცმელი ელი-ზას?

**ქ-ნი ჰიგინსი** — დილა მშვიდობისა, მისტერ დულიტლ. დაბრძანდით, გთხოვთ.

**დულიტლი** — (როგორც კი მიხვდება, რომ დიასახლისი ვერ შეამჩნია, უკან დაიხევს) ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო. (მასთან მიღის, ხელს ართ-მევს) გმადლობთ. (ჯდება ტახტზე პიკერინგის მარჯვნივ) იმ ამბავმა ისე ამიშალა ნერვები, რომ სულ დაბნეული ვარ.

**ჰიგინსი** — რა ჯანდაბა მოგივიდათ?

**დულიტლი** — უბრალო რამე რომ დამმართოდა, არაფერია, კაცს ყვე-ლაფერი მოუვა და, როგორც თქვენ იტყოდით, იმაში ღმერთის ხელი იქნებოდა გარეული, მაგრამ ასე არ მომხდარა. ყველაფერი ეს თქვენ გამიკეთეთ. დიახ, თქვენ, ენრი იგინს.

**ჰიგინსი** — რა, ელიზა იპოვე?

**დულიტლი** — რაო, დაკარგეთ?

**ჰიგინსი** — დიახ.

**დულიტლი** — გაბედნიერებულხართ. მე არ მიპოვნია, მაგრამ, დარწ-მუნებული იყავით, თვითონ მიპოვის, როცა გაიგებს რა მომივიდა თქვენი წყალობით.

**ქ-ნი ჰიგინსი** — მითხარით, ასეთი რა გაგიკეთათ ჩემმა ვაჟმა, მისტერ დულიტლ?

**დულიტლი** — რა გამიკეთა? ბედნიერება წამართვა, დამაქცია, შემკრა და ბურუუაზიული მორალის ბრჭყალებში ჩამაგდო.

**ჰიგინსი** — (შეშფოთებული წამოდგება და დულიტლს თავზე დაადგე-ბა) ბოდავთ, გამოლეშილხართ და არ იცით რას როშავთ, გიუ ხართ. მე თქვენ 5 გირვანქა სტერლინგი მოგეცით, მერე ორჯერ გესაუბრეთ და თითოეული საათის საუბარი ნახევარი კრონი მაინც დამიჯდა. მას მერე თვალითაც არ მინახავხართ.

**დულიტლი** — რა? მთვრალი ვარ მე? გიუი ვარ? თქვენ მეუბნებით ამას? მითხარით: მისწერეთ თუ არა წერილი ერთ გულბილზ ამერიკელ ბებერს, რომელიც 5 მილიონს ხარჯავდა იმისათვის, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაეარსებინა მორალური რეფორმის საზოგადოება და რომელმაც გთხო-ვათ მისთვის ერთი საერთაშორისო ენა შეგედგინათ?

**ჰიგინსი** — რაო? აა, ეზრა უანაფელერს? ის ხომ გარდაიცვალა. (დამშვიდებული ჯდება)

**დულიტლი** — დიახ, ის მოკვდა და მე კი დამღუპა. მითხარით: მის-წერეთ თუ არა მას წერილი და აცნობეთ თუ არა, რომ თანამედროვე ინ-გლისში, თქვენი აზრით, ყველაზე ორიგინალური მორალისტია უბრალო მენაგვე, ალფრედ დულიტლი?

**ჰიგინსი** — კი. შენთან ჰირველი შეხვედრის შემდეგ, მახსოვს, მართლა ჩავიდინე ეს სისულელე, ხუმრობით მივწერე.

**დულიტლი** — კარგი დაგემართათ, კარგი ხუმრობა! მე კი იმ ხუმრობამ ბოლო მომიღო და... იმ ბებერს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამერიკელები ჩვენ არა გვგვანან; რომ ისინი ცნობენ და პატივისცემით ეკიდებიან ყოველი ადამიანის ლირსებას, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. მის ანდერძში, ენრი იგინს, თქვენი სულელური ხუმრობის წყალობით წერია, რომ ყველის ტრესტ „მუცლის მეგობრის“ შემოსავლიდან მეც მივიღო წლიურად 3 000 დოლარი, იმ ჰირობით, რომ წავიკითხო ლექციები, უანფელერის მორალური რეფორმის მსოფლიო ლიგაში, როცა კი მოითხოვენ, ექვს ლექციამდე წელიწადში.

**ჰიგინსი** — ეშმაკსაც წაულია იმის თავი! (სახე გაუბრწყინდება) უყურეთ, რა კარგი მოფიქრებაა.

**დულიტლი** — ლექციის წაკითხვას რა უნდა? მე იმათ ისეთ ლექციას წავუკითხავ, რომ სიგრძე სიგანედ ექცევთ და მე კი თმის ლერიც არ შემიტოვდება. მე ის მადარდებს, ჯენტლმენი რომ გავხდი. ვინა სთხოვა ჯენტლმენად მაქციერ? ერთი ბედნიერი, თავისუფალი კაცი ვიყავი. როცა ფული მომინდებოდა, ვისაც ხელს დავადებდი, ყველა მაძლევდა ისევე, როგორც თქვენ, ენრი იგინს. ახლა კი დავიღუპე. ხელფეხეკრული ვარ და ყველა მე მაღებს ხელს, ფული მომეციო. უწინ, როცა ლატაკი ვიყავი, ნაგავთან ერთად საბავშვო ეტლი მინახეს, სამართალში მიმცეს, ვექილი დამჭირდა. რის ვაივაგლახით მიმიღო ვექილმა, მაგრამ სცადა, რაც შეიძლება ჩქარა მოვეცილებინე. ახლა ვექილები მილოცავენ „თქვენი საქმე კარგად მიდისომ“. „თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი საქმე მიდის კარგად“ — მე ვეუბნები. უწინ, როცა არაფერს ვიხდიდი, ექიმები საავადმყოფოდან ისე დასუსტებულს გამომაგდებდნენ, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ახლა კი აღმოაჩინეს, რომ მე ავადმყოფი კაცი ვარ და ისე ვერ ვიცოცხლებ, თუ დღეში ორჯერ არ გამსინჯეს. სახლში თითის განძრევის ნებას არ მაძლევენ. ჩემს მაგივრად სხვა აკეთებს ყველაფერს. ჯერ კიდევ შარშან ქვეყანაზე ორი-სამი ნათესავის გარდა კაცისშვილი არ მებადა და ისინიც ჩემთან შეხვედრას გაურბოდნენ. ახლა კი 50 ცალი აღმომაჩნდა და არც ერთს თავისი ჯამაგირი ერთ კვირასაც არა ჰყოფნის. ახლა მე ჩემთვის კი არა, სხვებისათვის ვცხოვობ. ესეც თქვენი ბურუჟუაზიული მორალი! თქვენა სთქვით ელიზა დავკარგეთო! დარდი ნუ გაქვთ, ნიძლავს დავდებ, თუ ახლა ჩემი სახლის ზღურბლზე არ იდგება.

ჰოდა, სანამ მამამისი საპატიო ბურუუა გახდებოდა, ყვავილების გაყიდვითაც კარგად ირჩენდა თავს. ახლა თქვენც მომთხოვთ ფულებს, მისტერ იგინს: ნამდვილი ინგლისურის ნაცვლად ბურუუების ენა ხომ უნდა მასწავლოთ? ახლა თქვენც დაიჭერთ თქვენს ადგილს. ამისათვისაა ყველაფერი ეს მოგონილი.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჩემი ძვირფასო მისტერ დულიტლ, თუ თქვენ მართლა არ გინდათ იმ თანხის მიღება, ვის რა უფლება აქვს დაგაძალოთ, ჩვენი მოთხოვნა უთუოდ მიიღეთო? შეგიძლიათ უარი უთხრათ, ხომ ასეა, პოლკოვნიკო პიკერინგ?

**პიკერინგი** — მეც ასე მგონია.

**დულიტლი** — (უფრო რბილი ტონით ლაპარაკობს, რადგანაც ქალთა სქესის წარმომადგენელს ელაპარაკება) ტრაგედიაც ამაშია, ქალბატონო. უარის თქმა ადვილია, მაგრამ გამბედაობა არა მყოფნის. აბა, რომელ ჩვენგანს ყოფნის? ჩვენ ყველანი დაშინებულები ვართ, დაშინებულები, ქალბატონო, აი, რა ვართ ჩვენ. ამ საქმეზე რომ უარი ვთქვა, სამუშაო სახლის მეტი, აბა, რა მეღის სიბერეში? ახლახან, თუნდაც იმისათვის, რომ მენაგვის ადგილი არ დამტკარგა, კინალამ თმის შეღებვა დამტკირდა. რომელიმე ღირსეული ლატაკი რომ ვიყო და ცოტა რამე შემონახული მქონდეს, შემეძლო უარი მეთქვა. მაგრამ მაშინ მხოლოდ იმისათვის თუ ვიზამდი ამას, რომ ღირსეული ლარიბი მიღიონერზე უარესად არა ცხოვრობს. თუმცა მათ არც კი იციან თავიანთი ბედნიერების ფასი. მე კი, როგორც ერთ-ერთ უღირს ლარიბს, სხვა არაფერი მაშორებს ლარიბ-ლატაკის კონკებისაგან, გარდა ამ წყეული სამი ათასისა, რომელიც ბურუუებს შორის, ამ გარენრებს შორის მაჭერინებს ადგილს. უკაცრავად ვარ თქვენთან, ქალბატონო, ასეთი ლაპარაკისათვის, მაგრამ, ჩემსავით აღელვებული რომ იყოთ, თქვენც ასევე ილაპარაკებდით. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“, რომ იტყვიან, ისეა სწორედ: ყველა გზა გადაჭრილია: — ან სამუშაო სახლში უნდა ამოგხდეთ სული, ან ბურუუების ხროვაში მოგეღილოთ ბოლო. დაშინებული — აი, რა ვარ მე, ქალბატონო, გატეხილი, გაყიდული. სხვა ბედნიერი ხალხი გაიტანს ჩემს ნაგავს და მე მომთხოვს ფულს გადასაკრავად, — და მე უნდა ვუცქირო მათ და მშურდეს იმათი ბედი. აი, სადამდე მიმიყვანა თქვენმა ვაჟიშვილმა, სადამდე (აღელვებულია).

**ქ-ნი ჰიგინსი** — კეთილი. მოხარული ვარ, რომ თქვენ არ აპირებთ რაიმე სისულელის ჩადენას, მისტერ დულიტლ. ეს წყვეტს ელიზას მომავლის საკითხს. ახლა მისი რჩენა თქვენ თამაბად შეგიძლიათ.

**დულიტლი** — (მელანქოლური მორჩილებით) როგორ არა, ქალბატონო, ახლა მე სულ ყველას რჩენა შემიძლია ამ 3 000 წლიური შემოსავლით.

**ჰიგინსი** — (წამოხტება) სისულელეა! მან რატომ უნდა არჩინოს ელიზა? აკი ელიზა მას არ ეკუთვნის: ხუთ დოლარად არ მომყიდა? დულიტლი პატიოსანი კაცი ხარ თუ გაიძვერა?

**დულიტლი** — ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც, ჰენრი! როგორც ყოველი ჩვენგანი, ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც.

**ჰიგინსი** — ჰოდა, მომისმინეთ: თქვენს ქალიშვილში ხომ ფული აიღეთ, ახლა მისი წაყვანის უფლება არა გაქვთ.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი? ნუ სულელობ! თუ იმის გაგება გინდა, სად არის ელიზა, გეტყვი — ზევითაა.

**ჰიგინსი** — (გახარებული) ზევითაა!!! მაშ, ახლავე ჩამოვიყვან. (გაემართება კარისაკენ).

**ქ-ნი ჰიგინსი** — (წამოდგება და გაჰყენება მას) დამშვიდდი ჰენრი, ნუ მიდიხარ, დაჯექი.

**ჰიგინსი** — მე...

**ქ-ნი ჰიგინსი** — დაჯექი, ძვირფასო, და მომისმინე.

**ჰიგინსი** — ოპ, ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ძალიან კარგი! (ტახტზე ჯდება და ფანჯრისაკენ იბრუნებს პირს) რატომ არ გვითხარით ეს ნახევარი საათით ადრე?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ელიზა დილით მოვიდა ჩემთან და მიამბო რა უხეშად მოჰქევიხართ ორივენი.

**ჰიგინსი** — (ისევ წამოხტება) რაო?

**ჰიკერინგი** — (ისიც წამოდგება) ძვირფასო ქალბატონო ჰიგინს, მოუჭორავს. როგორ თუ უხეშად მოვექეცით? ერთი სიტყვაც არ გვითქვამს მისთვის. ერთმანეთს ძალიზე ტკბილად დავშორდით. (მიუბრუნდება ჰიგინსს) ჰიგინს, ჩემი დაძინების შემდეგ ხომ არ აწყენინეთ რაიმე?

**ჰიგინსი** — პირიქით, თვითონ მაწყენინა, ფოსტლები მესროლა სახეში. რაღაც გადარეულივით იქცეოდა. არავითარი მიზეზი არ მიმიცია, შემოვბრუნდი თუ არა, აიღო და ფოსტლები მთხლიშა სახეში — და მერე რა არა თქვა, რომ იცოდეთ?

**ჰიკერინგი** — (გაოცებული) რათა? რა დაგვიშავებია მისთვის?

**ქ-ნი ჰიგინსი** — მე მშვენივრად ვიცი, რაც დაუშავეთ. მგონი, ეგ გოგონა ბუნებით ძალიან სათნო და მგრძნობიარეა, ხომ ასეა, მისტერ დულიტლ?

**დულიტლი** — მეტად ნაზი გულის პატრონია, ქალბატონო, სულ მე მგავს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — სწორედ რომ ასეა. ძალიან შეგეჩვიათ ორივეს. შენს მიმართ მეტისმეტად ბევრ მზრუნველობას იჩენდა, ჰენრი! თქვენ, ალბათ, არც კი გაქვთ წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს გონებრივი მუშაობა მისი კლასის გოგონასათვის. როგორც გავიგე, როცა მან უდიდესი გამოცდა ჩააბარა ბრნჟინვალედ, ყოველგვარი შეცდომის გარეშე და სახლში დაბრუნდით, მისთვის არც ერთ თქვენგანს ხმა არ გაუცია, გააბით საუბარი ერთმანეთში და გიხაროდათ, რომ ყველაფერი მორჩა. იმასაც კი ამბობდით: ყველაფერმა ამან საშინლად მოგვაბეზრა თავი და დაგვლალაო. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ მან ფოსტლები სახეში გთხლიშათ. მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ფოსტლებს კი არა, მაშებს გესროდით, მაშებს.

**ჰიგინსი** — ჩვენ იმის მეტი არაფერი გვითქვამს, რომ დალლილები ვიყავით და ძილი გვინდოდა. ხომ ასეა, პიკ?

**პიკერინგი** — (მხრებს იჩეჩს) ეგ იყო და ეგ.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ირონიულად) დარწმუნებული ხართ?

**პიკერინგი** — სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

**ქ-ნი ჰიგინსი** — თქვენ მადლობაც არ გადაუხადეთ მას, არ მოეფერეთ, არ შეაქეთ, ისიც არ უთხარით, რა მშვენიერი იყავიო.

**ჰიგინსი** — (მოუთმენლად) ჩვენ რაზე უნდა გვეთქვა, როცა მან ყველაფერი ეს ჩვენზე უკეთ იცოდა. თუ ამის თქმა გნებავთ, რომ მასთან ქადაგად არ დავცემულვართ, ეს მართალია.

**პიკერინგი** — (სინდისის ქენჯნით) ალბათ, მართლა ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. ძალიანაა გაბრაზებული?

**ქ-ნი ჰიგინსი** — (ისევ დაუბრუნდება თავის ადგილს საწერ მაგიდასთან) იმედი მრჩება, რომ ელიზა უკვე აღარ დაუბრუნდება უიმპოლის ქუჩას. მისტერ დულიტლს შესაძლებლობა აქვს, შეუნარჩუნოს თავის ქალიშვილს ის საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც თქვენ ძალად მოახვიეთ თავზე. მაგრამ ელიზამ თქვენთან მეგობრულ ვითარებაში შეხვედრის სურვილი გამოთქვა ერთმანეთის დანაშაულის მოსატევებლად.

**ჰიგინსი** — მართლა, ღმერთო! ჩემო! მართლა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი, თუ შემპირდები, რომ თავდაჭერილად იქნები, ჩამოვაყვანინებ, არადა, სახლში წადი, ისედაც დიდი დრო დამაკარგვინე.

**ჰიგინსი** — კეთილი, თანახმა ვარ, თანახმა. პიკ, თქვენც თავდაჭერილად იყავით. მთელი ჩვენი საკვირაო მიხრა-მოხრა უნდა გამოვიყენოთ იმ არსებასთან, რომელიც ჩვენვე ამოვიყვანეთ წუმპიდან (გულმოსული ჩაეშვება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

**დულიტლი** — (შეგონებით) აბა, ახლა ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება. ჰენრი იგინს, გაუწიეთ ანგარიში ჩვენს, როგორც ბურუჟის გრძნობებს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი, დაპირება არ დაივინყოთ (ხელს დააჭერს ზარის ღილაკს საწერ მაგიდაზე). მისტერ დულიტლ, თუ არ შეწუხდებით, ერთი წუთით გაბრძანდით აივანზე. არ მინდა, ელიზამ მანამდე გაიგოს თქვენი ამბავი, ვიდრე ამ ჯენტლმენთან საუბარს მორჩებოდეს. რას იტყვით, მისტერ?

**დულიტლი** — როგორც გენებოთ, ქალბატონო. მე ყოველგვარ დახმარებას აღმოვუჩენ ჰენრის, ოღონდ ჩემი ქალიშვილი აღარ დამიბრუნდეს. (აივანზე გავა).

(შემოდის მოსამსახურე ქალი, პიკერინგი დულიტლის ადგილზე ჯდება).

**ქ-ნი ჰიგინსი** — გეთაყვა, თხოვეთ ქალბატონ დულიტლს, ჩამოდით-თქმ.

**მოსამსახურე ქალი** — ახლავე, ქალბატონ (გადის).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი, იცოდე, თავი შეიკავე.

**ჰიგინსი** — მე ძალიან მშვიდად ვარ.

**პიკერინგი** — რაც შეუძლია, ცდილობს, ქალბატონო ჰიგინს (დუ-მილი). ჰიგინსი თავს უკან გადაიგდებს, ფეხებს გამართავს და სტვენას მოჰყვება).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი, ძვირფასო, ულამაზოდ ზიხარ.

**ჰიგინსი** — (გასწორდება) რაში მინდა ლამაზად ჯდომა. დედა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — ისე გითხარი, შვილო, შენთან ლაპარაკი მინდოდა.

**ჰიგინსი** — მერე!

**ქ-ნი ჰიგინსი** — მერე და ერთსა და იმავე დროს სტვენასა და ლაპარაკს ვერ შეძლებ. ამიტომაც გითხარი.

(ჰიგინსი ამოიოხრებს. დუმილი ჩამონვება).

**ჰიგინსი** — (წამოვარდება) სად ეშმაკშია ის გოგო? მთელი დღე ხომ არ უნდა ველოდოთ?

(შემოდის მხიარული, თავდაჯერებული ელიზა, ასე გეგონებათ თავისუფლად თავდაჭერის დიდი ხნის გამოცდილება აქვსო. მოაქვს პატარა სამუშაო კალათა. მეტად შინაურულადაა. პიკერინგი ისე დაიბნევა, რომ ფეხზე ადგომასაც ვერ ახერხებს).

**ელიზა** — დილა მშვიდობისა, პროფესორო ჰიგინს. როგორ გიკითხოთ?

**ჰიგინსი** — (გაოცებული) მე... მე... (ლაპარაკს ვერ ახერხებს).

**ელიზა** — რა თქმა უნდა, კარგად იქნებით. თქვენ არასოდეს ხართ ცუდად. მოხარული ვარ, რომ კიდევ გხედავთ, პოლკოვნიკო პიკერინგ. (პოლკოვნიკი სწრაფად დგება, ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს) ძალიან აცივდა ამ დილით, არა? (ელიზა დაჯდება, პიკერინგი მარჯვნივ დაუჯდება).

**ჰიგინსი** — ამ ოინებს ჩემთან მოეშვით. მე გასწავლეთ იგი და იმით ვერ გამაკვირვებთ. ადექით და სახლში წამოდით, სისულელეს თავი დაანებეთ.

(ელიზა ხელსაქმეს ამოილებს კალათიდან და მოჰყვება კემსვას, ჰიგინსის გაბრაზებას აინუნშიაც არ აგდებს).

**ქ-ნი ჰიგინსი** — მართლაც რომ მშვენიერ სიტყვებს ხმარობ, ჰენრი, ვერც ერთი ქალი ვერ იტყვის უარს ასეთ მიპატიუებაზე.

**ჰიგინსი** — შენ თავი დაანებე, დედა, თვითონ ილაპარაკოს და ახლავე გამოჩნდება, გააჩნია თუ არა თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე არ ჩამიდია მის თავში. თუნდაც ერთი სიტყვა თუ იცის, რომელიც მე არ მისწავლებია მისთვის. მე შევქმნი ეს არსება კოვენტ გარდენის ფეხქვეშ გათელილი კომბოსტონსაგან და ახლა ჩემ წინაშე წამდვილი ლედის გათამაშებას ცდილობს.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (მშვიდად) თუნდაც ასე იყოს, ძვირფასო, მაგრამ, რას დგახარ, არ დაჯდები?

(გაბრაზებული ჰიგინსი ჯდება).

**ელიზა** — (მიმართავს პიკერინგს და თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჰიგინსს, თან ხელსაქმის კეთებას განაგრძობს). ერთი ეს მითხარით, პოლკოვნიკო პიკერინგ, ექსპერიმენტი საბოლოოდ მორჩა თუ არა?

**პიკერინგი** — ოჰ, ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ მას ექსპერიმენტს არ უნდა ეძახდეთ. ამის მოსმენა, მართალი გითხრათ, არ მსიამოვნებს.

**ელიზა** — არც მე ვარ გათელილი კომბოსტო...

**პიკერინგი** — (შეგულიანებული) რა თქმა უნდა, არა ხართ.

**ელიზა** — (განაგრძობს მშვიდად) მაგრამ იმდენად დავალებული ვარ თქვენგან, რომ ნამდვილად უბედური ვიქნები, თუ დამივიწყებთ.

**პიკერინგი** — მადლობელი ვარ თქვენი, ამას რომ ამბობთ, ქალბატონო დულიტლ.

**ელიზა** — იმიტომ კი არ მითქვამს ეს, რომ ჩემი ტანისამოსი თქვენი შეძენილია. თქვენ ფულის საკითხში სხვებთანაც გულუხვი ბრძანდებით. მაგრამ მე ნამდვილად თქვენგან ვისნავლე კარგი ჩევევები, რომელიც უბრალო ქალს ლელიდ აქცევს. მათი შეთვისება ჩემთვის მეტად ძნელი იყო, როცა ნიმუშად თვალწინ პროფესორი ჰიგინსი მედგა. მეც ხომ მასავით ვიყავი აღზრდილი, მეც არ შემეძლო თავის დაჭერა და თვით უმნიშვნელო აღელვების დროსაც უშვერ სიტყვებს ვხმარობდი. მე ვერასოდეს გავიგებდი, რომ ჯენტლმენები ასე არ იქცევიან, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ჩვენთან, პოლკოვნიკო პიკერინგ.

**ჰიგინსი** — რაო?

**პიკერინგი** — ოჰ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. გულით არ ამბობს. რა ქნას, ასე გამოიყდის.

**ელიზა** — ოჰ, მეც არ ვამბობდი გულით, როცა ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ ასეა თუ ისე, ხომ ვაკეთებდი ამას და საქმეც სწორედ ესაა.

**პიკერინგი** — ეს კი ასეა, მაგრამ მაინც ჰიგინსმა გასწავლათ ლაპარაკი, მე ამას ვერ გავაკეთებდი.

**ელიზა** — (აგდებულად) რა თქმა უნდა, ეს მისი პროფესიაა.

**ჰიგინსი** — დაგლახვროთ ეშმაქმა.

**ელიზა** — (განაგრძობს) ეს იგივეა, კაცს რომ მოდური ცეკვები ასწავლო, მეტი არაფერი. იცით, როდის დაინტ ჩემი ნამდვილი სწავლება?

**პიკერინგი** — როდის?

**ელიზა** — (ცოტა ხნით შეაჩერებს ხელსაქმეს) სწორედ იმ დროს, უიმპოლის ქუჩაზე პირველად რომ მოვედი და თქვენ „ქალბატონი დულიტლი“ დამიძახეთ. პირველად მაშინ გაიღვიძა ჩემში თავმოყვარეობამ. (კემსვას მორჩება) მახსოვს აგრეთვე მრავალი სხვა წვრილმანიც, რომლებსაც თქვენ ვერც კი ამჩნევდით, რადგანაც ისინი ბუნებრივი იყო თქვენთვის; ყოველ შემოსვლაზე ფეხზე რომ მიდგებოდით, შლაპას რომ მიხდიდით, კარს რომ მიღებდით.

**პიკერინგი** — ოჰ, ეგ რა სალაპარაკოა.

**ელიზა** — თითქოს ასეა, მაგრამ ის წვრილმანები ამჟღავნებდნენ, რომ თქვენ ისე მეპყრობოდით, თითქოსდა მე უბრალო მრეცხავ ქალზე უკეთესი ვყოფილიყავი. თუმცა, რა თქმა უნდა, ასევე მოექცეოდით მრეცხავ ქალსაც, თუ ვინიცობაა, ის — შემთხვევით სასტუმრო ოთახში

შემოვიდოდა. ჩემი თანდასწრებით ფეხსაცმელი არასოდეს გაგიხდიათ.

**პიკერინგი** — ეს რა სალაპარაკოა. ჰიგინსი ფეხსაცმელს ყველგან იხდის.

**ელიზა** — ვიცი. ამისათვის როდი ვსაყვედურობ. ის ხომ ყველგან ერთნაირად იქცევა? მაგრამ თქვენ რომ ამას არ აკეთებდით, სწორედ ეგ ქმნიდა ჩემთვის დიდ განსხვავებას. იცით, რა! მართლა, გარდა ყველაფერი იმისა, რისი შესწავლაც შეუძლია ადამიანს, — კარგად ჩაცმა, წესიერად ლაპარაკი და ასე შეძეებ, ლედისა და ყვავილის გამყიდველ გოგონას შორის განსხვავებას ქმნის არა ის, თუ როგორ იქცევა რომელიმე მათგანი, არამედ ის, თუ როგორ ექცევიან მას. პროფესორი ჰიგინსის თვალში მე ყოველთვის ყვავილის გამყიდველი გოგონა ვიქნები, რადგანაც ის ყოველთვის ისე მექცეოდა მე, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგონას და ასევე მომექცევა მომავალშიაც. თქვენს თვალში კი მე მართლა შეიძლება ლედი ვიყო, რადგანაც თქვენ ყოველთვის ისე მექცევით, როგორც ლედის და მომავალშიაც ასევე მომექცევით.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი, თუ გიყვარდე, კბილებს ნუ აკრაჭუნებ.

**პიკერინგი** — სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა, ქალბატონო დუღიტლ.

**ელიზა** — თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ვისურვებდი ამიერიდან ელიზა დაგეძახათ ჩემთვის.

**პიკერინგი** — გმადლობთ ელიზა, რა თქმა უნდა, დაგიძახებთ.

**ელიზა** — და მე ვისურვებდი, რომ პროფესორ ჰიგინსს ქალბატონი დუღიტლი დაეძახა ჩემთვის.

**ჰიგინსი** — მაგას ვერ მოესწრები.

**ქ-ნი ჰიგინსი** — ჰენრი! ჰენრი!

**პიკერინგი** — (სიცილით) რატომ თქვენც ასევე არ შეურაცხყოფთ? ნუ უთმენთ, ეს მისთვის სასარგებლონ იქნება.

**ელიზა** — არ შემიძლია. ერთ დროს ამას მართლა გავაკეთებდი, მაგრამ ახლა კი ვერა. იმ დროს ვერ დავუბრუნდები. თქვენგან მსმენია, რომ, როცა ბავშვს უცხო ქვეყანაში წაიყვანენ, რამდენიმე კვირაში ახალ ენაზე ალაპარაკდება და მშობლიურ ენას ივინყებსო. მეც ასევე ბავშვი ვარ ამ თქვენს ქვეყანაში, მეც დამავიწყდა ჩემი მშობლიური ენა და ახლა მხოლოდ თქვენს ენაზე შემიძლია ლაპარაკი. უიმპოლის ქუჩაც დავტოვე და ტოტენჰამ კორტ როუდთანაც კავშირი სამუდამოდ გაწყვეტილია.

**პიკერინგი** — (შეშინებული) თქვენ ხომ კვლავ დაბრუნდებით უიმპოლის ქუჩაზე? ხომ აპატიებთ ჰიგინსს?

**ჰიგინსი** — (დგება) მაპატიებს? როგორ არ მაპატიებს! აბა, წავიდეს! ვნახოთ, როგორ იცხოვრებს უჩვენოდ. თუ მე დამსმარედ არ ვეყოლები, სამ კვირაში ისევ წუმბეში აღმოჩნდება (შუა ფანჯარასთან გამოჩნდება დუღიტლი და ჰიგინსს ზემოდან საყვედურის თვალებით გადმოხედავს. უხმოდ, ფეხაკრეფით მიუახლოვდება თავის ქალიშვილს, რომელიც ვერ

გრძნობს მამის მიახლოებას, რადგანაც ფანჯრისაკენ ზურგი აქვს შექცეული).

**პიკერინგი** — ჰიგინსი გამოუსწორებელია, ელიზა, მაგრამ თქვენ მართლა ხომ არ დაუბრუნდებით წუმპეს?

**ელიზა** — არა. არც ახლა და არც არასოდეს. საკმაოდ ვისწავლე. ახლა ძველ ბერებს, ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვერ წარმოვთქვამ. (დულიტლი მარცხენა მხრიდან შეახებს ხელს. ელიზა ყოველგვარ თავდაჭერილობას კარგავს, როდესაც მამას ასე ბრწყინვალედ ჩაცმულს დაინახავს. ხელსაქმე გაუვარდება) აა-აა-ოო-უუ!

**ჰიგინსი** — (ყვირილით, აღფრთოვანებული) აჲა, ესეც თქვენ: აა-აა-ოო-უუ-უუ! აა-ოო-უუ! გამარჯვება! გამარჯვება! (კუთხეში მდგარ დივანზე გაიშხლართება და გულზე ხელებს დაიკრეფს).

**დულიტლი** — გოგო აქ არაფერ შუაშია. ასე ნუ მიყურებ, ელიზა. ჩემი ბრალი არ არის. ფული ჩამივარდა ხელში.

**ელიზა** — ამუამად, მამილო, ალბათ, მილიონერს შეახე ხელი.

**დულიტლი** — სწორედ რომ ასეა. მაგრამ დღეს რაღაც საგანგებოდ ვარ ჩაცმული. წმიდა გიორგის ეკლესიაში მივდივარ ჰენოვერის მოედანზე. შენს დედინაცვალზე ვიწერ ჯვარს.

**ელიზა** — (გაბრაზებული) ნუთუ ისე უნდა დაიმცირო თავი, რომ ის მდაბიო ქალი შეირთო?

**პიკერინგი** — (მშვიდად) მამაშენი ვალდებულია, ელიზა. (დულიტლს) მართლა, თქვენს საცოლეს ახლა რამ შეაცვლევინა აზრი?

**დულიტლი** — (ნალვლიანად) დაშინებულია, უფროსო, დაშინებული. ბურუუაზის მორალს თავისი მსხვერპლი სჭირდება. შლაპა დაიხურე, ელიზა, და ჩემს ქორწინებას დაესწარი.

**ელიზა** — თუ პოლკოვნიკი თანახმაა, მე... ჰო... წამოვალ. (თითქმის ატირებული) არ დაგზარდები, მამა, მაგრამ, სულერთია, ლანძღვა არ ამცდება.

**დულიტლი** — ნუ გეშინია, ის საბრალო ქალი ახლა ყველასთან ტკბილადაა. როგორც კი დიდ ხალხში მოხვდა, მაშინვე მოთვინიერდა.

**პიკერინგი** — (ელიზას ნაზად შეახებს ხელს იდაყვზე) ნუ აწყენინებთ, ელიზა, წადით.

**ელიზა** — (აღელვებულია, მაგრამ მაინც ცდილობს გაულიმოს პიკერინგს) კეთილი, წავალ. გაიგოს, რომ გულლვარძლიანი არა ვარ. ახლავე დავბრუნდები (გადის).

**დულიტლი** — (პიკერინგს მიუჯდება გვერდით), ვერ ვიტან ამ ცერემონიებს, პოლკოვნიკო. თქვენც რომ წამოხვიდოდეთ, კარგს იზამდით.

**პიკერინგი** — თქვენ ამას შეჩვეული უნდა იყოთ: ელიზას დედასთან ხომ იქორწინეთ?

**დულიტლი** — ვინ მოგახსენათ. პოლკოვნიკო?

**პიკერინგი** — არავის უთქვამს, მაგრამ მე ასე მგონია, ბუნებრივია.

**დულიტლი** — არა, ეს ბუნებრივი არ არის, პოლკოვნიკო. ეგ მარტო ბურუუზიულია. მე ყოველთვის უღირსად ვიქცეოდი, მაგრამ ელიზას ნურაფერს ეტყვით. იმდენ თავაზიანობას ვიჩენდი, რომ მან არაფერი იცის, არ ვეუბნებოდი.

**პიკერინგი** — სწორად მოქცეულხართ. რატომ უნდა უთხრათ, რა საჭიროა?

**დულიტლი** — რას იზამთ. პოლკოვნიკო, ეკლესიაში წამომყვებით და ამ საქმეში დამებმარებით თუ არა?

**პიკერინგი** — სიამოვნებით. თუ უცოლო კაცი რამეში გამოგადგებათ, რატომაც არა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — რა იქნება, მეც რომ წამოვიდე, მისტერ დულიტლ? გულით მინდა თქვენს ქორწინებაზე დასწრება.

**დულიტლი** — ძლიერ დამაფასებთ, თუ ამდენ პატივს მცემთ, ქალბატონო. ჩემი საბრალო ბებრუცუნაც სიხარულისაგან გადაირევა. დალონებულია, რომ ჩვენს ბედნიერ დღეებს ბოლო მოელო.

**ქ-ნი ჰიგინსი** — (დგება) სანამ ეტლს მომიმზადებენ, ჩავიცვამ. (კაცები, ჰიგინსის გამოკლებით, დგებიან. კარებში გამავალ ქალბატონ ჰიგინსს ელიზა შეეფეთება. შლაპას იხურავს და ხელთათმანებს იცვამს) ეკლესიაში მივდივარ, მამაშენის ქორწინებაზე დასასწრებად. თქვენ ჩემი ეტლით წამოდით. პოლკოვნიკს შეუძლია სასიძოსთან ერთად წამოვიდეს.

(გადის. ელიზა დადგება ოთახის შუაში, შუა ფანჯარასა და ტახტს შორის. პიკერინგი მივა მასთან).

**დულიტლი** — სასიძო, რა სიტყვა! კაცს მაშინვე აგრძნობინებს თავის მდგომარეობას (შლაპას აიღებს და მიდის კარისაკენ).

**პიკერინგი** — ელიზა, სანამ წამოვიდოდეთ, უნდა აპატიოთ ჰიგინსს და შეგვპირდე, რომ დაგვიპრუნდები.

**ელიზა** — მამაჩემი არ დამრთავს ნებას, რას იტყვი მამილო?

**დულიტლი** — (ნალვლიანად, მაგრამ მაინც დიდსულოვნად) ძალიან კი გაგათამაშეს ამ ორმა ხუმარამ, ელიზა, მარტო ერთი რომ ყოფილიყო, უთუოდ დააბამდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორნი იყვნენ: ერთომეორეს უშლიდნენ ხელს (პიკერინგს) მოხერხებულად კი მოაწყვეთ ეს საქმე, პოლკოვნიკო, მაგრამ თქვენზე გაბრაზებული მაინც არა ვარ. თქვენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი. მთელი ჩემი სიცოცხლე ისე გავატარე, რომ ხან ერთი ქალის მსხვერპლი ვიყავი, ხან მეორის. ამიტომაც ელიზას გამოსულელებისათვის არ გსაყვედურობთ. ამ საქმეში არ ჩავერევი. ჩვენი ნასვლის დროა. პოლკოვნიკო. ნახვამდის, ჰენრი. წმიდა გიორგის ეკლესიაში გნახავთ, ელიზა (გადის).

**პიკერინგი** — (ვედრებით) ელიზა, დარჩით ჩვენთან (ელიზა აივანზე გადის. ჰიგინსი დგება და ისიც ელიზასთან გავა. ელიზა მაშინვე შემობრუნდება ოთახში და კარისკენ გაემართება. ჰიგინსი გაასწრებს და ზურგით კარს მიეყრდნობა).

**პიგინსი** — ელიზა, თქვენებურად რომ ვთქვათ, უკვე საკმაოდ იძიეთ შური, იქნება კმარა? იქნება გონს მოხვიდეთ? თუ კიდევ განაგრძობთ?

**ელიზა** — თქვენ იმისათვის გინდათ დავბრუნდე, რომ მარტო ფოსტლები მოგაწოდოთ, თქვენი ჭირვეულობა ავიტანო და გამაგზავნები გამომაგზავნოთ.

**პიგინსი** — სულაც არ მითქვამს დაბრუნდით-მეთქი.

**ელიზა** — როგორ არ გითქვამთ? მაში, ახლა რაზე ვლაპარაკობთ?

**პიგინსი** — თქვენზე, ჩემზე კი არა. თუ ჩვენთან დაბრუნდებით, ისევ ძველებურად მოგეპყრობით. მე ხასიათს ვერ გამოვიცვლი და აღარც ჩვევის შეცვლა მაქვს განზრააზული. მეც ზუსტად ისეთივე ჩვევები მაქვს, როგორც პოლკოვნიკ პიკერინგს.

**ელიზა** — ეგ არაა მართალი. პოლკოვნიკი ყვავილის გამყიდველ გოგოს ისევე ეპყრობა, როგორც ჰერცოგის ასულს.

**პიგინსი** — და მეც, ჰერცოგის ასულს ისევე ვეპყრობი, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგოს.

**ელიზა** — ეგ მეც ვიცი (თავდაჯერილად შემობრუნდება და ფანჯრისაკენ პირშექცეული დაჯდება ტახტზე). ყველასთან ერთნაირი ხართ.

**პიგინსი** — სწორედ რომ ასეა.

**ელიზა** — ისევე, როგორც მამაჩემი.

**პიგინსი** — (ოდნავ გაიღიმებს, მისი ქედმაღლობაც ცოტა მომტყდარია). მე ამ შედარებას არ მივიღებ, ელიზა, მაგრამ სავსებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაშენი სწორი არ არის და თავისი უცნაური ბედის წყალობით, რა მდგომარეობაშიც უნდა მოხვდეს, სულერთია, თავს მაინც შინაურულად იგრძნობს. (სერიოზულად) უდიდესი საიდუმლოება იმაში როდია, ელიზა, ადამიანს ცუდი ჩვევები აქვს თუ კარგი, კარგად ლაპარაკობს, თუ ცუდად, მთავარი ისაა, არის თუ არა იგი ყოველ ადამიანთან ერთნაირ ურთიერთობაში. ე.ი., მოკლედ რომ ვთქვათ, იქცევა თუ არა იგი ისევე, როგორც ზეცაში, სადაც მესამე კლასის ვაგონები არ არსებობს და სადაც ერთი სული ისევე კარგია, როგორც მეორე.

**ელიზა** — ამინ. თქვენ ქადაგად ხართ დაბადებული.

**პიგინსი** — (აღელვებული) საკითხავი ის კი არ არის, მე უხეშად გეპყრობოდით თუ არა. საკითხავი ისაა, გსმენიათ ოდესმე, რომ მე ვინმეს უკეთესად მოვეპყარი?

**ელიზა** — (ერთპაშად, გულწრფელად) ჩემთვის სულერთია, როგორ მომეპყრობით. ჩამილურჯდება თვალები თუ არა: არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ჩალილავებული მქონდა. მაგრამ, მინდა (ადგება და პირისპირ შეხედავს პიგინს), რომ შეუმჩნევლად ჩამიაროთ.

**პიგინსი** — თუ ასე გინდათ, გზიდან ჩამომეცალეთ, სულერთია არ გაგიჩერდებით. თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოსდა ავტობუსი ვიყო.

**ელიზა** — მართლაც რომ ავტობუსი ხართ: მიდი-მოდიხართ და არავის არაფრად აგდებთ. მაგრამ მე თავს უთქვენოდაც გავიტან. არ გეგონოთ, ვერ შევძლო.

**ჰიგინსი** — მე ვიცი, რომ შეძლებთ. მეც ხომ გითხარით, რომ შეძლებ-დით.

**ელიზა** — (შეურაცხყოფილი მოსცილდება ჰიგინსს და ტახტის მეორე მხარეზე ღუმლისაკენ პირშექცეული დადგება). ვიცი, რომ მითხარით, პირუტყვო. ჩემი თავიდან მოცილება გინდოდათ.

**ჰიგინსი** — სტყუით.

**ელიზა** — მადლობელი გახლავართ (ამაყად დაჯდება).

**ჰიგინსი** — ჩემი აზრით, თქვენ არასოდეს დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა, შემიძლია თუ არა მე უთქვენოდ ცხოვრება?

**ელიზა** — (მოუთმენლად) ჩემს მოტყუებას თავი დაანებეთ. უჩემოდაც კარგად იცხოვრებთ.

**ჰიგინსი** — (ქედმაღლურად) სულ ყველას გარეშეც კარგად ვიცხოვრებ. მე გამაჩინია საკუთარი სული, საკუთარი ღვთაებრივი ცეცხლი. მაგრამ (უცებ მოლბა) უთქვენოდ რომ დავრჩები, ელიზა!! (ელიზას ახლოს და-ჯდება ტახტზე). მე თქვენი იდიოტური აზრებისგან ზოგი რამ ვისწავლე. არ შემიძლია ეს მადლიერების გრძნობით არ ვაღიარო. მივეჩვიე აგრეთვე თქვენს ხმას, თქვენს გარეგნობას. ცოტა არ იყოს, კიდევაც მომწონს ისინი.

**ელიზა** — მერე რა, გრამაფონის ფირებისა და ფოტოსურათების სახით თქვენ ერთიცა გაქვთ და მეორეც. როცა მოგენატრებით, აპარატი ჩართეთ: მას ხომ წყენინების უნარიც არ გააჩინია.

**ჰიგინსი** — თქვენს სულს მაინც ვერ ჩავრთავ, დამიტოვეთ თქვენი გრძნობები და, თუ გნებავთ, სახეც წაიღეთ და ხმაც. თქვენ მარტო სახე და ხმა როდი ხართ?

**ელიზა** — ჰო, ნამდვილი ტარტაროზი ხართ. თქვენ ისევე ადვილად შეგიძლიათ მოხაროთ ქალიშვილს სული, როგორც ვინმე სხვა, ვთქვათ და, მკლავებს მოუგრებდა სატკენად. ქალბატომა პირსმა მიამბო, რომ ხშირად უნდოდა თქვენგან წასვლა, მაგრამ უკიდურეს მომენტში, რამენაირად მოატყუებდით და ისევ აბრუნებდით. თუმცა არც ერთ ჩვენგანს არ გვაგდებთ არაფრად: არც მისთვის ზრუნავთ და არც ჩემთვის.

**ჰიგინსი** — მე ვზრუნავ სიცოცხლისათვის, კაცობრიობისათვის. თქვენც ხომ მისი ნაწილი ხართ, ნაწილი, რომელიც შემომხვდით მე და ჩემს სახლში აშენდით. მეტს რაღას მოითხოვთ ჩემგან ან თქვენ, ან ვინმე სხვა?

**ელიზა** — მე იმაზე არ ვიზრუნებ, ვინც ჩემზე არა ზრუნავს.

**ჰიგინსი** — ეს ვაჭრული პრინციპია, ელიზა. (იმეორებს ელიზას კოვენტგარდენულ გამოთქმას პროფესიული სიზუსტით) — „იყიდეთ ყუალები, ია, ია“ — აი, რას ჰეგავს ეს. — ხომ ასეა?

**ელიზა** — ნუ დამცირით. ეგ ჩემი დაცინვაა.

**ჰიგინსი** — ჩემს ცხოვრებაში არავისთვის დამიცინია. დაცინვა არც სახეს რგებს ადამიანისა და არც სულს. მე მხოლოდ ვაჭრული ბუნებისადმი ჩემი სამართლიანი სიძულვილი გამოვთქვი. სიყვარულით არც მივაჭრია და არც ვივაჭრებ. თქვენ ჰირუტყვს იმიტომ მეძახით, რომ ფოსტლებისა და სათვალის მოწოდებით ჩემი გული ვერ მოიგეთ. ჩემზე უფლება ვერ მოიპოვეთ. სულელი იყავით, როცა ამას ცდილობდით; ჩემი აზრით, საზიზლარი სანახაობაა, როცა ქალს მამაკაცთან ფოსტლები მიაქვს. განა მე ოდესმე მომიწოდებია ფოსტლები? მას მერე გაცილებით უფრო გაფასებთ, რაც ისინი სახეში მთხლიშეთ. თუ მონად გამიხდებით, რაღასა მთხოვთ, ჩემზე იზრუნეო? აბა, ვინ ზრუნავს მონისათვის? თუ ჩემთან დაბრუნდებით, დაბრუნდებით მეგობრული ურთიერთობისათვის, დღეიდან სხვანაირად არავინ მოგეცყრობათ. თქვენ მე ყოველნაირად მიცნობთ. და მეც ყოველნაირად გიცნობთ. და თუ ამიერიდანაც ფინია ძალლივით კვლავ განაგრძობთ ფოსტლების მოტანა-წალებას ჩემ მიერ შექმნილი ჰერცოგის ასულის შესარცხვენად, არ გაგიკვირდეთ, რომ კარი ცხვირწინ მოგიჯახუნოთ.

**ელიზა** — მაშ, რაღას მასწავლიდით. თუ ჩემზე არა ზრუნავდით?

**ჰიგინსი** — (გულიანად) რატომაც არ უნდა მესწავლებინა? ეს ჩემი სამუშაო იყო.

**ელიზა** — და თქვენ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, თუ რა უბედურება მოჰქონდა ამას ჩემთვის.

**ჰიგინსი** — განა შემოქმედი ქვეყნიერებას შექმნიდა, უბედურების შექმნის რომ შეშინებოდა? სიცოცხლის შექმნა ნიშნავს ტანჯვისა და უბედურების შექმნასაც. მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება მისგან თავის დაღწევა: ესაა მკვლელობა. ლაჩრები ყოველთვის მოითხოვენ იმათ ამოწყვეტას, ვინც მათ ანუხებს. ეს ამბავი არ შეიძლება არ შეგემჩნიათ.

**ელიზა** — მე ქადაგი როდი ვარ თქვენსავით. ასეთ რამეებს ვერ ვამჩნევ. მე მხოლოდ იმას ვამჩნევ, რომ თქვენ მე ვერ მამჩნევთ.

**ჰიგინსი** — (ადგება და უკმაყოფილოდ მიდი-მოდის) ელიზა, ნამდვილი სულელი ხართ თქვენ და მე ტყუილუბრალოდ ვფლანგავ ჩემი მილტონური გონების საგანძურს იმით, რომ თქვენს წინაშე ვშლი მას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ, რომ, როცა რაიმეს ვაკეთებ, წუთითაც არ დავფიქრდები იმაზე, რა მომივა, ანდა — რა მოუვა ვინმე სხვას. მე მამათქვენივით ან თქვენი დედინაცვალივით დაშინებული როდი ვარ. ამიტომაც, თუ გნებავთ, დაბრუნდით ჩვენთან, არადა ჯანდაბას იქით გქონიათ გზა.

**ელიზა** — რისთვის დავბრუნდე?

**ჰიგინსი** — (მუხლებით შედგება ტახტზე და ელიზასაკენ გადაიხრება) ისე, ტყუილუბრალოდ. აი, რატომ მინდა თქვენი დაბრუნება.

**ელიზა** — (სახეს მოიბრუნებს) რათა მეორე დღესვე გამომაგდოთ, თუ ყველაფერს არ გავაკეთებ, რაც მოგესურვებათ.

**ჰიგინსი** — დიახ. და თქვენც მეორე დღესვე გამოიქცევით, თუ მეც ყველაფერი არ გავაკეთე, რაც თქვენ მოგესურვებათ.

**ელიზა** — და მერე დედინაცვალთან ვიცხოვრო?

**ჰიგინსი** — დიახ, დედინაცვალთან იცხოვრებთ, ან ისევ ყვავილებს გაყიდთ.

**ელიზა** — ოჟ, ნეტავი შემეძლოს, ისევ ჩემი ყვავილების კალათას დავუბრუნდე. მაშინ არც თქვენზე ვიქნები დამოკიდებული, არც მამაჩემზე და არც არავისზე. რატომ წამართვით ჩემი დამოუკიდებლობა? ან მე რატომ დავთმე იგი? ახლა მონა ვარ, მონა ჩემი ტანსაცმლისა...

**ჰიგინსი** — სრულიადაც არა. გიშვილებთ და წლიურ შემოსავალს დაგინიშნავთ, თუ გნებავთ. არადა, იქნება პიკერინგს გაჰყვეთ ცოლად.

**ელიზა** — (გაბრაზებული მიმოიხედავს) თქვენც არ გამოგყვებოდით, რომ გეთხოვათ — და თქვენ კი წლოვანებით ჩემთან უფრო ახლოს დგახართ, ვიდრე ის რომ არის.

**ჰიგინსი** — (ნაზად) ვიდრე ის და არა, „ვიდრე ის რომ არის“.

**ელიზა** — მე ისე ვიღლაპარაკებ, როგორც მომეპრიანება. თქვენ უკვე აღარა ხართ ჩემი მასწავლებელი.

**ჰიგინსი** — (დაფიქრებული) არა მგონია, პიკერინგმაც შეგირთოთ, ისიც ჩემსავით აპირებს უცოლოდ დარჩენას.

**ელიზა** — მეც არ მინდა გათხოვება. რომ მდომოდა, თაყვანისმცემლების მეტი რა მყავდა?! ფრედი ჰილი დღეში ორ-სამჯერ მაინც მიგზავნის გრძელ-გრძელ ბარათებს.

**ჰიგინსი** — (უკმაყოფილოდ) დასწყევლოს ღმერთმა მისი თავხედობა. (ნამოინევს და მუხლებზე დაჯდება).

**ელიზა** — იმ საწყალ ბიჭს თუ უნდა, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, შემიყვაროს და მართლაც ვუყვარვარ.

**ჰიგინსი** — (ტახტიდან ჩამოდის) თქვენ მისი გამხნევების უფლება არა გაქვთ.

**ელიზა** — შეყვარებულის ყოლის უფლება ყოველ ქალს აქვს.

**ჰიგინსი** — რაო? ასეთი სულელის ყოლის უფლება?

**ელიზა** — ჯერ ერთი, ფრედი სულელი არ არის და, მერე, თუ მას უჭირს, ღარიბია და მეც ვუნდივარ, შეიძლება მის ხელში უფრო ბედნიერი ვიყო, ვიდრე მასზე უკეთესების ხელში, რომლებიც მეფარისევლებიან, მაგრამ არ ვუნდივარ.

**ჰიგინსი** — საქმე ისაა, შეუძლია თუ არა მას თქვენგან რაიმე გამოიყვანოს?

**ელიზა** — იქნება მე უნდა გამოვიყვანო მისგან რამე. მაგრამ ჩვენ არა-სოდეს გვიფიქრია ერთმანეთისაგან რაიმე გამოგვეყვანა. თქვენ რაიმეს გამოყვანის გარდა, სხვაზე არაფერზე ფიქრობთ. მე კი ბუნებრივი მინდა ვიყო.

**ჰიგინსი** — მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გინდათ, მეც ისევე დამასხას თავბრუ თქვენმა მშვენიერებამ, როგორც ფრედის, ხომ ასეა?

**ელიზა** — არა, სრულიადაც არა. თქვენთვის მე არ მომითხოვია ეს

გრძნობა. ჰოდა, ნურც თქვენს თავში ხართ ზედმეტად დარწმუნებული და ნურც ჩემში. მე რომ მდომებოდა, როგორმე მოვახერხებდი ცუდ გოგოდ გახდომას, ჩემი კლასის გოგო ადვილად შეაყვარებს თავს ჯენტლ-მენს, მაგრამ მათ მეორე დღესვე ერთმანეთის სიკვდილი მოენატრებათ.

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ვერ გამიგია, რა ჯანდაბა გავაკეთო.

**ელიზა** — (მეტად აღელვებული) მე ცოტა გულთბილი მოპყრობა მინდა. განა არ ვიცი, რომ ერთი უბრალო, გაუნათლებელი გოგონა ვარ, თქვენ კი განსწავლული ჯენტლმენი ბრძანდებით, მაგრამ მე თქვენი ფეხის მტვერი მაინც არა ვარ. ყოველივე ეს მე გამიკეთებია (უსწორებს თავის თავს), — ყოველივე ეს მე გავაკეთე არა ტანისამოსისა და ტაქსის გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო ჩვენი ერთად ყოფნა. იმიტომ კი არ ვზრუნავდი თქვენთვის, რომ თავი შემეყვარებინა, — მე არ მავინუყდებოდა რა განსხვავება იყო ჩვენს შორის, — არამედ იმიტომ, რომ რაღაცა მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.

**ჰიგინსი** — ეს, რასაკვირველია, მართალია. მეც ამასვე ვგრძნობ ახლა, პიკერინგიც ამასვე გრძნობს. თქვენ კი სულელი ხართ, ელიზა.

**ელიზა** — მე თქვენგან ასეთ პასუხს არ მოველოდი (საწერ მაგიდასთან სკამზე დავარდება და ტირის).

**ჰიგინსი** — მხოლოდ ასეთ პასუხს მიიღებთ, სანამ ამ იდიოტობას არ მოიშლით. თუ გინდათ ლედი გახდეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ნუ გრძნობთ მარტოობას, რომ ადამიანები, რომლებსაც იცნობთ, თავიანთი დროის ნახევარს თქვენს ლოლიავს არ ანდომებენ და მეორე ნახევარს თქვენს დალილავებას. თუ ჩემი ცხოვრების სიცივესა და ჩემს ჭირვეულობას ვერ იტანთ, დაუბრუნდით წუმპეს. იშრომეთ იქ მანამდე, სანამ უფრო პირუტყვს დაემსგავსებოდეთ, ვიდრე ადამიანურ არსებას, გაერთეთ მტლაშა-მტლუშით, აყალიბალით და მერე მანამდე სვით, ვიდრე ჩაგეძინებათ: რა ჯობია ასეთ ცხოვრებას, — წუმპეში ცხოვრებას! ეგ ნამდვილი ცხოვრებაა: თბილი, მღელვარე. რაგინდ სქელკანიანი არ იყოს ადამიანი, მაინც იგრძნობს ამგვარ ცხოვრებას. თქვენ შეგიძლიათ ყოველგვარი მომზადებისა და ჯაფის გარეშე იგემოთ იგი. არც მეცნიერებას ჰეგავს ის და არც ლიტერატურას, არც კლასიკურ მუსიკასა და არც ფილოსოფიას ან ხელოვნებას. მე თქვენ გულცივ, უგრძნობ, ეგოისტ ადამიანად მიგაჩინივართ, არა? კეთილი და პატიოსანი. წადით იმასთან, ვინც მოგწონთ. გაჰყევით რომელიმე მგრძნობიარე ღორს, რომელსაც ექნება ბევრი ფული, წყვილი სქელი ტუჩები თქვენს საკოცნელად და სქელქუსლიანი ფეხსაცმელები, თქვენს დასაწიხლად. თუ იმას არ აფასებთ, რაცა გაქვთ, მოიპოვეთ იგი, რასაც აფასებთ.

**ელიზა** — (სასონარკვეთილი) ოჲ, თქვენ ნამდვილი მტარვალი ხართ. თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია. ყველაფერში მე გამოგყავართ დამნაშავე. ყოველთვის მე გამოვდივარ მტყუანი, მაგრამ, ძალიან კარგად

მოგეხსენებათ, რომ თვითონ თქვენ ხართ ცრუ და მატყუარა. განა, მშვენივრად არ იცით, რომ მე ვერ დავუბრუნდები იმას, რასაც თქვენ წუმპეს ეძახით და, რომ თქვენსა და პიკერინგის გარდა, დედამიწაზე ნამდვილი მეგობრები არ გამაჩნია. თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ ორს მერე, უბრალო, მდაბიო ადამიანებთან ვერ ვიცხოვრებ. ნამდვილად ბოროტი და დაუნდობელი ხართ მას მერე, რაც თქვენ იფიქრეთ, რომ მე ეს შემიძლია. თქვენი აზრით, მე იმის გამო უნდა დავუბრუნდე უიმპოლის ქუჩას, რომ სხვაგან ვერსად ვიცხოვრებ, თუ არა მამაჩემის სახლში. მაგრამ ნუ ხართ იმაში დარწმუნებული, რომ მე თქვენს ფეხევეშ ვარ განრთხმული, რათა, როცა გინდათ, ფეხით გამთელოთ და, როცა გინდათ, ხმა ჩამაქმენდინოთ. ასე არ გამოვა. როგორც კი მდგომარეობას ოდნავ მაინც გავიუმჯობესებ, ფრედის გავყვები.

**ჰიგინსი** — (მეხდაცემულივით) ფრედის! იმ ცხვირმოუხოცელ ბრიყვს? იმ ღარიბ-ღატაკს, რომელიც კურიერადაც ვერ მოეწყობა, დიდი სურვილიც რომ ჰექონდეს? ქალო, რატომ არ გესმით, რომ თქვენ მე გადაგაქციეთ თვით ხელმნიფისთვის შესაფერის სადედოფლოდ?

**ელიზა** — ფრედის ვუყვარვარ მე და ეს სიყვარული მას შესაფერ ხელმნიფე აქცევს. მე არ მინდა მან იმუშაოს, ჩემსავით შრომაში არაა გაზრდილი. მე ვიმუშავებ, მასწავლებლად ვიმუშავებ.

**ჰიგინსი** — ღვთის გულისათვის, მითხარით, თქვენ რა უნდა ასწავლოთ?

**ელიზა** — რაც თქვენ მასწავლეთ, ფონეტიკას ვასწავლი.

**ჰიგინსი** — ხა, ხა, ხა!

**ელიზა** — წვერებიან უნგრელს ასისტენტად გავუხდები.

**ჰიგინსი** — (წამოვარდება გახელებული) რაო? იმ ცრუმოსახელეს?! იმ არამზადას?! იმ ქლესა-მაიმუნს?! იმას ასწავლით ჩემს მეთოდებს?! იმას გაანდობთ ჩემს ალმოჩენებს? აბა, გაბედეთ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა, თუ მაშინვე კისერი არ მოგიგრიხოთ! (ხელს ჩავლებს) გესმით?

**ელიზა** — (გამომწვევად წინააღმდეგობას არ უწევს) დაუყოვნებლივ გავაკეთებ ამას. რას ვკარგავ? ვიცოდი, რომ ოდესმე მცემდით (ჰიგინსი ხელს გაუშვებს, თავდავიწყებული ფეხებს აბაკუნებს, შემდეგ ისე სწრაფად დაიხევს უკან, რომ ტახტს დაეჯახება) აპა, ახლა კი ვიცი, როგორ მოგეპყრათ. რა სულელი ვიყავი, რომ აქამდე ვერ მოვიფიქრე ეს? თქვენ ვერ წამართმევთ თქვენ მიერ მოცემულ ცოდნას! თქვენ ხომ თქვით, რომ მე თქვენზე მახვილი ყურები გამაჩნია. გარდა ამისა, მე შემიძლია, თქვენზე უფრო თავაზიანად მოვეპყრა ხალხს, უკეთესი ურთიერთობა დავამყარო მათთან. აა! (განგებ გამოტოვებს „ჰ-ს, რომ ჰიგინსი გააწელოს). ასე მოგიხდებათ თქვენ „ენრი იგინს“. ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს — (თითებს ატკაცუნებს) თქვენს ქათინაურებსა და თქვენს ლანძლვა-გინებას. გაზეთებში გამოვაქვეყნებ, რომ თქვენი ჰერცოგის

ასული უბრალო ყვავილის გამყიდველი გოგონაა, რომელსაც თქვენ ას-ნავლეთ ლაპარაკი და რომელსაც თვითონაც შეუძლია ყოველი მსურ-ველი ექვს თვეში ჰერცოგის ასულად გადააქციოს, თუ იგი ათას გინეას გაიღებს გასამრჯელოდ. ოჟ, მევე მინდა წიხლი ჩავცე ჩემს თავს, როცა მომაგონდება, როგორ ვიყავი განრთხმული თქვენს ფეხევეშ, როგორ მთელავდით, მლანძლავდით და მაგინებდით, როცა უბრალოდ შემეძლო ერთი თითი ამენია მალლა და ისეთივე გავმხდარიყავი, როგორიც თქვენ.

**ჰიგინსი** — (გაოცებული) ო, შე უმადურო გომბიო, შენა! მაგრამ ეს ჯობს თქვენს ბუზლუნს, ჯობია ფოსტლების მოტანასა და სათვალის მონახვას, ასე არ არის? (დგება) ელიზა, მე გითხარით ნამდვილ ქალად გადაგაქცევთ-მეთქი და მართლა შევასრულე დაპირება. მეც სწორედ ასეთი მომწონხართ თქვენ.

**ელიზა** — გასაგებია. ახლა მხოლოდ იმის გამო მექათინაურებით და მელოლიავებით, რომ თქვენი არ მეშინია და უთქვენოდაც შემიძლია ცხოვრება.

**ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, ასეა, შე პატარა სულელო! ხუთი წუთის წინ თქვენ ჩემს კისერზე დოლაბის სიმძიმე ტვირთად ეკიდეთ, ახლა კი ძლევამოსილ ციხესიმაგრეს, ანდა ბადრაგიან სახაზო გემს ჰგავხართ ნამდვილად. ახლა ორი უცოლო კაცისა და ერთი ბრიყვი გოგონას ნაცვლად, შენ, მე და პიკერინგი, ერთი შინაბერა და ორი უცოლო კაცი ვიქებით. (ქ-ნი ჰიგინსი მობრუნდება. ქორწინებაზე წასასვლელად ჩაცმული ელიზა მაშინვე ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ეტლი გველოდება, ელიზა. მზად ხართ?

**ელიზა** — მზად ვარ. პროფესორი არ წამოვა?

**ქ-ნი ჰიგინსი** — რა თქმა უნდა, არა. ეკლესიაში თავს ვერ დაიჭერს. წირვის დროს ხმამალლა შენიშვნების გაკეთებას დაიწყებს მოძღვრის გამოთქმებზე.

**ელიზა** — მაშ, მეტს ველარ გნახავთ, პროფესორო. მშვიდობით. (კარებისაკენ მიდის)

**ქ-ნი ჰიგინსი** — (მივა ჰიგინსთან) ნახვამდის, ძვირფასო.

**ჰიგინსი** — ნახვამდის, დედა. (უნდა აკოცოს მას, მაგრამ რაღაცა მოაგონდება). ოჟ, მართლა, ელიზა, ვერ შეუკვეთავთ ლორსა და სტილტონის ყველს? მიყიდეთ აგრეთვე ირმის ტყავის რვა ნომერი ხელთათმანები და ჩემი ახალი კოსტიუმის შესაფერი ჰალსტუხი. ფერი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ (ჰიგინსის მხიარული, უზრუნველი, ენერგიული ხმა იმის მაჩვენებელია, რომ ის გამოუსწორებელი ადამიანია).

**ელიზა** — (აგდებულად) რვა ნომერი პატარაა თქვენთვის, თუ კრავის ბეწვებიანი გინდათ. სამი ახალი ჰალსტუხიც გაქვთ, ამას წინათ პირსაბანის კარადაში რომ ჩააწყვეთ და დაგავიწყდათ. პოლკოვნიკ პიკერინგს სტილტონურ ყველს გლოსტერული ორმაგი ურჩევია. თქვენთვის კი სულერთია, განსხვავებას მაინც ვერ ამჩნევთ. მე ამ დილით დავურეკე

ქალბატონ პირსს, რომ ლორის მოტანა არ დაავიწყდეს. მაინც ვერ წარმო-  
მიდგენია უჩემოდ თქვენ რისი გამკეთებელი ხართ? (საჩქაროდ გადის).

**ქ-ნი ჰიგინსი** — ეგ გოგო შენ გააფუჭე, ჰენრი. თქვენზე ფიქრი არ  
მომასვენებდა, ელიზას რომ პოლკოვნიკი პიკერინგი შენზე ნაკლებ უყვა-  
რდეს.

**ჰიგინსი** — პიკერინგი! სისულელეა. ელიზა ფრედის მიჰყვება. ხა, ხა,  
ხა! ფრედის! ფრედის! ხა, ხა, ხა, ხა!!! (ხარხარებს)...

# სარჩევი

## იაკობ ტრიაოლესპი

ჩემი ცხოვრების დაფანტული ფურცლები	7
როცა ასეთი სიყვარულია	19
გაუმარჯვოს ამ თეატრს!	28
ის უიალქნო ნავს ემსგავსება	31
აღარ განმეორდება	36
სევდით და კრძალვით ვიგონებ	44

ამონარიდები

## იაკობ ტრიაოლესპის

ინტერვიუებიდან

მე არ მინახავს ასეთი მსახიობი და ადამიანი	54
როცა თეატრი ახალგაზრდებით ივსება	67
ნუთუ გათავდა	71

<b>კომიტეტის მართვა</b>	
ქართველი კაცი, გვარად ტრიპოლისკი	74
<b>გოდების ჩრდილი</b>	
იაშა ტრიპოლისკი - ჩემი ძია	78
<b>თეოდოზ არჩვანი</b>	
სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი იქნებოდა	82
<b>მედეა ჭავალიძე</b>	
სცენაზე შემოჰქონდა ქართული სული	86
<b>რაზო თაპუკაშვილი</b>	
დიდებული სახელი და კვალი დატოვა	88
<b>გუგა ზაქარიაძე</b>	
გასროლა სცენაზე	90
<b>ელევა ყიფშიძე</b>	
მთიდან ქალამნებით ჩამოსული კაცი	96
<b>ოთარ მელიქისათუაცესი</b>	
მაყურებლის სიყვარული და აღიარება ჰქონდა	98
<b>გიგა ლორთქიფანიძე</b>	
თეატრის გული და სული იყო	102

# სარჩევი

## თაცელი სარაჯიშვილი

ლამაზი სიზმარი

104

## თაზიკო მაისურაძე-ტრიაოლსკი

მუხლებზე დაწოქილ რუსს  
„სტალინმა“ სამმანეთიანი უწყალობა

107

## სოსო ტრიაოლსკი

არ მახსოვს, ჩვენთვის დაეყვირა

112

## ირაკლი ტრიაოლსკი

როგორ უყვარდათ

115

## ოლიკო ტრიაოლსკი-ახმათელი

ჩვენი დიდი ოჯახი

118

## **მედეა კუზუსიძე**

განშორება თეატრის არსებია 122

## **რეზო კვესელავა**

მცირე მოგონება ნაცნობ ინტელიგენტზე 130

## **რეზო კვესელავა**

თუ რაიმე არ მოსწონდა, თავს დაბლა ხრიდა 132

## **გიორგი თატიშვილი**

სიტყვა მეგობარზე 136

## **ქათევან ჭულაძე**

დაუვიწყარი სახე 138

## **ზურაბ გომაძე**

რა დაგვავიწყებს იმ ლამაზ დღეებს 140

## **ანზორ ქუთათელაძე**

სიკეთით მადლმოსილი 142

## **პებალ მონიავა**

„ჰუმანოიდი“ თამადა 148

## **რომან ამირევიზი**

მე მას ვიცნობდი 151

# სარჩევი

**თემურ გაბლუანი**

ზნეობრივი სიმაღლის მაგალითი

154

**ნინო ზაქარიაძე**

GOOD NIGHT, YOUNG LADY!..

156

**ჯემალ ფხადაია**

ხელოვანის ბედნიერება

168

**ვახტანგ კობაიძე**

ქობულაძის ფარდა

174

**ილაკლი უგულავა**

გედის სიმღერასავით

182

პეტრე ბერნარდ შოუ

პიგმალიონი

188

ინგლისურიდან თარგმნეს

იაკობ ტრიპოლისი

და მოსე ქარჩავამ



საკოდ წონაზე ეჭი

წიგნი დაბეჭდილია შპს „სეზანი“

**CÉZANNE**

თბილისი, 2019 წელი  
ISBN 978-9941-0-4393-2



9 789941 043932





ჩემი ცხოვრების  
ადრინდელი წლები  
ბინდ-ბუნდად მახსოვს.  
ბოლოს და ბოლოს,  
მაინც გადავწყვიტე…  
მოკრძალებით ვკიდებ  
ხელს საწერ კალამს…  
და, მაინც, ვშიშობ…  
ვაი, თუ ყველას თავისი  
საკადრისი ვერ მივავო?